# ცისკარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი **12** | 1999

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



*ვიქტორ სერვრანკსი*

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია

# ცისკარი

12 | 1999

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

გალათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

ბივი ბეზეჭკორი
ნოდარ ბრიბალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
ბიბი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აგულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა№ 1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

**გამოიღვიძე, ქნარო!**
3. ფსალმუნები. დასასრული. ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა
**პოეზია და პროზა**
8. რევაზ დანელია. ლექსები
14. ჯემალ მონიავა. კავთისხეური კიდობანი. ნოველები
22. სოფიკო მურმანიშვილი. ლექსები
26. მამუკა ღოღიძე. გამოფენა. მოთხრობა
37. ელგუჯა მარღია. ლექსები
42. გიზო თავაძე. ლექსები
44. გონერ ჭეიშვილი. ისტორიკოსები. მოთხრობა
50. ნონა დავითაია. ლექსები
53. ზაზა პაპიძე. მხოლოდ ბოლოში ფეხს ურევდნენ ვილაცები. მოთხრობა
55. თამაზ მაზმიშვილი. ლექსები
57. ნინო გელაშვილი. ლექსები
58. ციცი გურიელი. ნოველები
63. ლაშა ბრეგვაძე. ლექსები
65. გიგო ნინაშვილი. ლექსები

**ახალი თარგმანები**
66. სუ ში. X-XIII საუკუნეები - სუნის ეპოქა „ცი". ლექსები
თარგმნა თენგიზ თოფურიძემ
**ხელოვნება**
69. მიშელ სეფორი. აბსტრაქტული მხატვრობა. მთარგმნელი
მარიამ გველესიანი-თორდია
**წერილები**
78. დავით მჭედლური. ეროვნული იდეის ძიებაში. დასასრული
114. ჯემალ მეხრიშვილი. ქართული პოეზიის ხემძღვალი
120. ეთერ ყამბეგიშვილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი" და
გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენები"
125. ინგა მილორავა. სილურჯე სიღრმის, ზღვის და... სიკვდილის
129. ნატა სვანიძე. ჭოლა ლომთათიძე ქართული მოდერნისტული პროზის
სათავეებთან
132. მამუკა სირაძე. იბერია - ხეობათა ქვეყანა

**გამოსათხოვარი**
135. მსურს გელათის ცის ქვეშ ვიწვე...

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



*ჰენდრიკ ნიკოლაას ვერკმანი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 146

ალილუია




იერუსალიმი. სიონის მთა.

1. ადიდე, სულო, უფალი ჩვენი.
2. ვიდრე ცოცხალ ვარ,
ვადიდებ უფალს,
ღმერთს ვუგალობებ,
ვსულდგმულობ ვიდრე.
3. ნუ დაენდობი დიდებულებს –
მოკვდავთა მოდგმას,
ვისაც არ ძალუძს გადარჩენა ადამთაგანის:
4. სულს აღავლენს და
დედამიწას დაუბრუნდება
და მეყსეულად განქარდება მისი ფიქრები.
5. ნეტარ არს – ვისაც
სასოების დასამკვიდრებლად
შემწედ ჰყავს ღმერთი იაკობის
და მხოლოდ მისი ეიმედება, –
6. რომელმა შექმნა ცა და
ქვეყანა,
განსახა ზღვა და
წიაღნი მისნი
და დაიმკვიდრა საუკუნო ჭეშმარიტება.
7. უფალი ჩაგრულს განიკითხავს სამართლიანად,
უპოვართათვის მოიღებს საზრდოს
და ტყვეობიდან გამოიხსნის
შეჭირვებულებს.
8. თვალდაშრეტილებს აუხელს თვალებს,
წელმოდრეკილებს გამართავს წელში
და ყველა წმინდანს
სიყვარულით დაამწყალობებს.
9. სახიზარს მისცემს ქვრივსა და
ობოლს,
ღარიბ-ღატაკებს მიაგებს შვებას,
გზასა და სავალს გაუმრუდებს ბოროტეულებს.
10. და განივრცობა მეუფება უფლისეული,
და შენი ღმერთის სუფევა,
სიონ,
იქნება ჩვენთან უკუნითი უკუნისამდე,
ალილუია –
აქებდეთ უფალს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფსალმუნი 147

1. ალილუია –
აქებდეთ უფალს,
რადგან ტკბილია განდიდება ჩვენი ღმერთისა
და დამშვენდება ჩვენეული საგალობელი.
2. რადგან უფალი აღაშენებს იერუსალიმს
და შემოიკრებს
ისრაელის სანათესაოს.
3. გულდაკოდილთა მკურნალად მოვა
და განაქარვებს დავრდომილთა მოთქმა-გოდებას.
4. ცაზე აღრიცხავს ვარსკვლავთა კრებულს,
რომ ყოველ მათგანს დაუწესოს
სახელი თვისი.
5. დიდ არს უფალი,
დიდძალოვანი,
აზრი და გონი მისეული –
განუზომელი.
6. უფალი მოვალს მორჩილთა შველად,
უსჯულოებს და
ბოროტეულებს
დაამდაბლებს და
მიწამდე დასცემს.
7. სამადლობელი შეჰკადრეთ უფალს,
ქნარით ადიდეთ
გამჩენი ჩვენი;
8. რომელიც ღრუბლით შებურავს ზეცას,
დედამიწისთვის მოიღებს წვიმას
და მთების კალთებს
ნაირფერად ააყვავილებს.
9. ნადირ-ცხოველებს მიუჩენს საზრდოს,
ააფრთიანებს ყორანთა ბარტყებს
და ცათა შინა განივრცობა
ხადილი მათი.
10. არც ცხენის ღონეს დაეხარბება,
არც კაცთაგანის მუხლმაგრობას დაედევნება; –
11. არამედ მოვალს მსასოებლის შესაწყნარებლად, –
და შეიწყნარებს
მისეული კეთილწყალობით.
12. იერუსალიმ, უმღერე უფალს,
სიონ, – ადიდე
გამჩენი შენი! –
13. ვინც კარიბჭეთა საკეტურებს გაგიძლიერებს,
კეთილკურთხევით
გიკურთხებს შვილებს;
14. მშვიდობას მოსცემს სამკვიდროს შენსას,
დაგამაძღრისებს
ნარჩევი ხორბლით.
15. სიტყვას მოავლენს დედამიწაზე, –
მეის მოგვამურებს
ბრძანება მისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. თოვლის სამოსელს მატყლივით განფენს,
თრთვილს მიმოფანტავს
ფერფლად და
ნაცრად.
17. სეტყვად მოიღებს ყინულის მარცვლებს, –
ვინ აღუდგება
სიფიცხეს მისას?
18. სიტყვას მოსცემს და
განელდება ზამთრის სიცივე,
ქარს მობერავს და
ნიაღვარი წარმოდინდება.
19. სიტყვა თავისი
გააცხადა იაკობთან,
სჯული და წესი
ისრაელთან გააცნაურა.
20. წარმართები კი –
განაწესა აღთქმის გარეშე
და მისეული სამართალი
მათ არ უწყიან;
ალილუია!

## ფსალმუნი 148

### ალილუია

1. ადიდეთ ციდან
უფალი ჩვენი,
ადიდეთ იგი
მაღალთა შინა.
2. ადიდეთ იგი, ზეციურო ანგელოზებო,
ძალნო მისნო და მხედრობანო,
ადიდეთ იგი!
3. ადიდეთ იგი,
მზეო და
მთვარევ,
სხივშემოსილო ვარსკვლავებო, ადიდეთ იგი!
4. ადიდეთ იგი, მაღალნო ცანო,
და ცათა მაღლა –
წყალო და
ღვარო!
5. კურთხეულ იყოს სახელი უფლის,
რომელმან ბრძანა –
და იქმნა
ქმნადი.
6. და დაამკვიდრა უკუნითი უკუნისამდე,
და ყოველ საგანს დაუთქვა წესი,
რომელსაც ქვეყნად ველარავინ გადაუდგება.
7. აქეთ უფალი, განადიდეთ ქვეყნად ყოველმან –
ურჩხულებო და
წყალთა წიაღნო
და უფსკრულებო წიაღისანო!

8. ცეცხლო და
სეტყვავ,
თოვლო და
კვამლო,
და ქარიშხლებო – ნიადაგ მსრბოლნო
აღსასრულებლად მისეული სიტყვის და
ნების.
9. მთანო მაღალნო, ყველა ბორცვო, ყველა ზეგანო,
ხეო და ტყეო მხმოიარევ,
ყველა კედარო,
10. მინდვრის ჯოგო და
საცხოვარო,
მთების ნადირო,
ქვეწარმავალო,
ფრთაშესხმულო ცათა ფრინველო,
11. ქვეყნიერების მეუფენო,
ხალხო ყოველო,
დიდებულნო და
დედამიწის ყველა მსაჯულო,
12. ყრმანო, ქალწულნო, ჭარმაგებო, უხუცესებო, –
13. ადიდეთ ყველამ
სახელი უფლის,
რადგან ეს ერთი სახელია განდიდებული
და განფენილა დიდება მისი
ცათა შინა და
მიწასა ზედა; –
14. ვინც მოამაღლა საკუთარი ხალხის ღირსება,
აკურთხა მისი
თვითეული წმინდანთაგანი
და განადიდა ისრაელობა –
მახლობელი და
რჩეული თვისი; –
ალილუია!

## ფსალმუნი 149

### ალილუია

1. კვლავ აღავლინეთ ზუნაარის სადიდებელი,
დიდება მისი იგალობოს
წმინდანთა დასმა.
2. ქებას შეჰკადრებს ისრაელი შემოქმედს თვისას
და გაბრწყინდება მეფობა მისი
და იხარებენ სიონის ძენი.
3. როკვით ადიდეთ სახელი უფლის
და უგალობეთ დაფით და
ქნარით;
4. ვინც თავის სამწყსოს გადმოხედა კეთილგანწყობით
და შეიყვარა მორჩილნი მისნი.

5. იმხიარულონ ღვთისმოსავებმა
   და სარეცლებზე
                  დავანდნენ მორჭმით.
6. ღმრთის დიდება აღმოთქვან ბაგით,
   და ხელში ეჭირათ
   წამახული ორლესულები;
7. რომ წარმართებზე აღასრულონ შურისძიება,
   ხალხებს მიუზღონ სასჯელი მათი.
8. ხელბორკილებით შებორკონ მეფე,
   მთავრებს დაადონ მონობის ხუნდი.
9. და აღესრულოს განჩინება უზენაესის
   და განეფინოს დიდება მისი წმინდანთა შორის –
                                        მაღალთა შინა,
   ალილუია – აქებდეთ უფალს!

## ფსალმუნი 150

### ალილუია

1. ადიდეთ ღმერთი წმიდასა შინა,
   ზეციურ მაღლთა სიმყარეში
                       ადიდეთ იგი;
2. ადიდეთ იგი
   მისეული ძალმოსილებით,
   ადიდეთ მისი სიდიადის მრავალგვარობით;
3. ადიდეთ იგი ნაღარის ხმებით,
   ადიდეთ იგი
             ჩანგით და
             ქნარით;
4. ადიდეთ იგი დაფდაფებით,
   ადიდეთ როკვით,
   ადიდეთ იგი
             სტვირით და
             ებნით;
5. ადიდეთ იგი წინწილების ტკბილხმოვანებით, –
   მაღალხმოვანი წინწილებით
                            ადიდეთ იგი.
6. არსნო ყოველნო, აღავლინეთ უფლის დიდება,
   ალილუია –
             დიდება უფალს!

ებრაულიდან თარგმნა

**ჯემალ აჯიაშვილმა**

**დასასრული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევაზ დანელია

## ნაკადულის სული

მოექარგა ტყეს გული ნაკადულის სულით?
მზით მზეში ჩაქარგული აწ ცრემლია სურო!
აწ ცრემლია ის ღამეც - მონატრება წარსულის.
მთვარეს ჯამში ისხამენ? მიენთება ცას სული,
მიენთება... ლილფერას მიეფერა ლილფერა,
სული სუროს ფერია, სულაც სხვა არაფერი!

მოექარგა ტყეს გული ნაკადულის სულით.

## პაატას თავი

ერთაწმინდას მთრთოლვარე გზა ჩუმად ავიარე:
აქ მარხია პაატას უსხეულო თავი!
ვით აპნისის ლურჯი ქარი, ყოველი ავი არი,
სიზმარს ქართლის ქართველურად მაინც მთვარით რთავენ!
დარდი - ჩემი მარადი ცა, სულს არბევს, ვერც არბევს.
ერთაწმინდის ეკლესია... სიოს, აქ რო დარბის,
კარგად ახსოვს თვით პაატას თმაქოჩორა თავი!
ახსოვს, დიდმა მოურავმა, თუ ვით ერთადერთხელ,
სიკვდილს თავი დაუხარა... თავს უშველე, ღმერთო!

ერთაწმინდას მთრთოლვარე გზა... თრთის, ვით სიო, მთვარეც.

## ქართული სისხლი

თაფლა ბალახს - მზის ცხელ სხივებს ჭამდა ცხენი.
ცის აღმართზე წითლად ენთო ალუბალი.
დიდგორს მიხვალთ? სისხლს ქართულს მანდ ეახლენით!
იქიდან თუ წამოგიყვანთ აქ უფალი!

## მზის სიხარული

შეიმოსა მზით ველი. ბრიალებს ოჯალეში.
მთვარის მთვრალი ბალიში, სიზმრითა და ცით სველი,
ო, ვით იყო წუხელის ჩურჩულით ავსებული.
ნეტა არარსებული იყოს შენი წუხილი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნეტა... ველი ნეტარი მზემ კვლავ გადაიარა?
დარდი, როგორც იარა, ჩაქრებოდეს, ნეტა რო!
ის ცის ტბაში და იწვეს, ბროლის სიზმარს ხედავდეს.
მე, ვით სული, მზე დამდევს, - გული უნდა დაიწვას!
იქით არის რა ლამე!.. გემმა ზღვა გადაცურა!
სევდა, ვით სატაცური, შენგან მერგო რაღა მე!

შეიმოსა მზით ველი? ბრიალებს ოჯალეში?
როგორც ქარი შიშველი, სული მივა მალე შინ!

## იმერეთი

მწვანით, თავკვერით, ბუდეშურით იცხონეს სული.
ქარებივით გადაირიენ.
იმერეთია ჩემი დარდი - ჩემი წარსული.
მიდი, მიბრძანდი, ცაში ისევ ადი, ირინე!

აგერ პლატონი, სოლომანი, აგერ ბეკინაც...
ბეწვზე ჰკიდია მთვარე საწყალი.
ნეტა ღრუბელი, როგორც თოვლი, დამაბეკინა,
ა, ეს ღრუბელი, აწ ფრიალებს ბროლის სა წყალი!

ის სიზმარია, არაფერი სხვა სიზმარს გარდა!
ხარებს კი არა, თუ ესტუმრე, ქარებს დაკლავენ!
მე იმერეთი სიყვარულზე უფრო მიყვარდა,
იმერეთია დღესაც ჩემი სულის ვარსკვლავი!

მწვანით, თავკვერით, ბუდეშურით იცხონეს სული.
ქარებივით გადაირიენ.
იმერეთია ჩემი დარდი - ჩემი წარსული.
მიდი, ეწვიე, ცაში ისევ გაისეირნე!

## ტრიპტიქი
(სამკარედი)

1.
ჰყვავის ცა ღვინისფრად. რქებჩქერა ღვინიები
ერქინებიან ჰაერს, ვით ერთურთს.
მინდორში ქარი და სანთელი - გვირილები,
რომ მე დავანთე, მგონია, ღმერთო!

2.
ნიავი თამაშა, თბილი და მზეთვალა,
ველარ ეტევა კაბაში!
კაცებმა ხარები ურემში შეაბეს?
მიდიან კვლავ ჯანდაბაში?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.
არავინ ისეთს არაფერს სჩადის:
რამ გაგაოცა, რამ გაგაკვირა!
ულამაზესი მზე ზღვაში ჩადის,
ულამაზესი თან მიჰყავს კვირა!

## ტეხურიშდუდი*

ნისლი რო ნისლია, აქ ნისლიც კამკამაა და გამჭვირვალე. აქ მზე რო ამოდის, ის მზე კი არა, დამიჯერეთ, სასწაულია. მთვარეს საერთოდ ნუღა იკითხავთ! წვიმა თითქოს მაფშალიაა, სულმოუთქმელად გალობს და გალობს. თოვლი ხომ სულაც აბრეშუმია! ირემი, მზისფეხება ირემი, მიწაზე კი არა, თვით ცაში დადის!

მეხვეწება ფიქრი ჩემი: - წამოდი, წამომყევი, ცა ხომ ჩვენი სულია და... ჩვენც მივდივართ, მივალთ, მაგრამ უხორცონი სრულიადა!

ნისლი რო ნისლია... ფიქრო ჩემო, ჩვენ როდისმე ზეციდან დაბლა, როდისმე დაბლა ჩამოვსულვართ? ფეხი მიწაზე როდისმე დაგვიკარებია?

შენი ცა, შენი მზე, მთვარე შენი, შენივ ნისლიც, მამულო ჩემო, კურთხეულ იყოს!

## მზის სისხლი. დევები

ცეცხლივით ენთო ქვაბულში დევების ცხელი ხორხოცი.
ხორც მიირთმევდნენ კაცისას, როგორც ოჯალეშს, სისხლს ხვრეპდნენ.
მიმოდიოდა სიზმარი: ემატებოდა ხორც ხორცი.
მთელი ქვაბული ეკიდათ მაგ ხორციელებს ფეხებზე!

მოთიხვრილი იყვნენ მზის სისხლით, სიზმრით და შროშანულა ცით?
დევებს იქნება, ვით ზეცა, ეს სულიც გადაულოცო!
შეფრინდა ქარი ქარივით სისხლისფერ არაბულაზე
და თქვა: - დევივით ცა-ქვაბში აწ უნდა მეც ვიხორხოცო!
..........................................................................................
იყო ცა, ეს ცა, ვით სიზმარი?
მზე მაღლით ამოდიოდა.
წამოველ იქიდან ცისმარე, -
სულიდან სისხლი მდიოდა.

- - - - - - -
*მწვერვალი ეგრისის ქედზე. პირდაპირი მნიშვნელობით - ტეხურის სათავე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ძაღლი

ხან ლურჯ ქარს უყეფ; ხან კიდევ რას არ... საკუთარ ლანდსაც
ხშირად ულრენ. ყეფით აღამებ, ათენებ ყეფით. ძილი რაა, თითქმის
არ იცი (თბილ სიზმრებთან შენ ხარ, ხარ თურმე მწყრალად!).
ეზო-ყურეს მეათასედ გარშემო უვლი. იცი მოწყენა, სიხარულიც კი შეგიძლია.
ერთგულება? ერთგული შენზე ადამიანმა ვერ იპოვა, ვეღარც იპოვის!
ულრინე ყველას! იყეფე, არვის მიელაქუცო! ეთამაშე, არა უშავს, ქარს
ბორიალას, საკუთარ ლანდსაც, ლანდს ნამდვილად შენსავით მშიერს და
მთვარის სხივებს - ლამაზად დაღვრილს

არც დღე გაშინებს, არც ღამე? მაშ, ქარს რად უყეფ, რად უყეფ ღრუბელს?
- ვუყეფ კი არა, ადამიანო, დამიჯერე, ვესაუბრები! თუმც კია, შენი
დარწმუნება, ძლივს მომაგონდა, ძალზეა ძნელი!

ხან ლურჯ ქარს უყეფ, ხანაც, ხანაც!.. ძაღლი გქვია და ძაღლური
ბედის კმაყოფილი არა ხარ, მგონი! დამიჯერე, ო, ძალზე ბევრი ჩემი
მოდგმის, კი იცი, ვინც ვარ, შენს ბედს შეჰნატრის!..
მაშ, იყავ, იყავ არხეინად, მიდი, იყეფე!

## გულთოვლის მთები*

მთვრალი მთვარე ღრუბლებს აქეთ ვეღარ გადმოსულა.
გული სტკივათ გულთოვლის მთებს, რაც მე მახსოვს, სულა.

ირმის სისხლი ირემივით, როგორ ბლავის მესმის:
- ეს ცა მერგო უდაბური, ეს ცა მერგო, ეს მე!..

მთვრალი მთვარე ღრუბლებს აქეთ ვეღარ გადმოსულა?
ეს გულთოვლი მთლად გულია, შენც გული ხარ სულა!

მაგ ოქროს გულს გულთოვლის მთებს ვერცვინ ამოაცლის!
მაშ, ზეცაში, დალოცვილმა, შენ რა, იბარბაცოს!

## ღვინის სისხლი**

გავუსინჯე გემო ივლისს,
ღვინის სისხლი პეშვით ვსვი.
ქალი მაინც კვლავ გამოივლის, -
მზე რო უბეში ესვა?

ცით მოქსოვილ ბადეს სული,
არა უშავს, ანებე!
ცაში, ვით მზე, ადის სურო.
სულს ნაბავენ ყანები!

- - - - - -

* ჯავახეთის ქედის მონაკვეთი
** ღვინო - ფრიად მათრობელა და სურნელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტარია, თან უბედო!..
მზედ ის იქცეს... ნეტარძი!
ვინ სვა ზეცის მაგ უბიდან
გადმოღვრილი ნეტა რძე!

გავუსინჯე გემო ველისს,
მივალ, მაინც არ მივალ!
ის აქეთ კვლავ გამოივლის?
სული მზეში ჩამივა!

## ველეულა*

გაილია ველეულა ველე-ველე სირბილით?
ველეულა - გუშინ თოვლი, სინათლე და სირბილე.

ველეულა... ამ ლურჯ კოცონს შველი დასწვაფებია?
ველეულა შენი ცაა, შენი თბილი ფრთებია!

ველეულა რამ გალია, ღმერთმა ნუმც გალიოსო!
ველეულას დაიფარავს, მჯერა, თავად იესო!

## დიდებული

საღამოა იშვიათი.
მთვარე ერთად იშვა ათი.
ქრისტეცრემლას** ქრისტესისხლა***
მიენთო და მიევერა.
ჯადოსნური ზეცა ისხამს
მთიებს. ამ მთას მიე ფერი,
ამ ცას, ამ ველს, ყოველივეს
მკერდი თბილად მოუქარგე?
მერმე მთვარეს გულიც მიე?
დიდებული, ძალზე კარგი!

## თმოგვის ცა

თმოგვის ცა მთვრალია კაკბების ფრთებივით.
კაკბების ფრთებს აჰყვნენ ზეცაში მთებივე.

მზე ცით დის. მოქნეულ მათრახს ჰგავს ბილიკი -
თმოგვის მკერდზე რო გადადის.
კაცებმა აწ ღელე - მთვრალი და ლიკლიკა,
საღლაც, ცის იქით, გადადეს.

- - - - - -

* მდინარე რაჭაში
** ბალახის სახელია
*** ბალახის სახელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

........................................................................

კაცები თურმე ერთობიან, თურმე აი, რით!
აქა დის ახლა მარტოოდენ თაფლა ჰაერი!

## ვითმინე, ვერ მოვითმინე

მოვხარე წუხელ მშვილდივით
ცაში მავალი მე შარა.
მით ფერი შენი შევიღივე
შეინდველასავით მეშარა.
როგორღაც დავაშოშმინე.
როგორღაც  კვლავ ვაშროშანე.
ვითმინე, ვერ მოვითმინე,
ქარმა მოგართვა რო შანა,
წვიმად ვაქციე სხეული,
სული ვაწვიე სამოთხეს!.. -
ჩემი ლექსების რვეული
ქარს ძირიანა ამოთხრის!

## ირგვლივ

ირგვლივ ყოველი ცრუა და ყრუა.
გარინდებულან რატომღაც ტყენიც.
არაფერს ამბობს თვით დელაკრუა*:
„ჭექა-ქუხილით დამფრთხალი ცხენი?**

იქნება ქარმა, იქნება რამემ
ამ ცასწრაფა ტყეს დაუფრთხოს ძილი.
ვისია სული... ვისივით რამინს
ეხვევა ყელზე საღამო ცივი.

სისხლში, როგორც ნისლში, თბილისი.
მიეფინება ქარი ქარელით.
წავიდა უკვე დღე უთბილესი,
საყვარელი, თან არც საყვარელი!

- - - - -
* ფერდინანდ დელაკრუა - ფრანგი მხატვარი
** დელაკრუას ერთ-ერთი ნახატის სახელწოდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯემალ მონიავა



## კავთიხეური კიდობანი

### სოფლის ნიჭი

ამ გაუსაძლის სიჩუმესაც ხომ უნდა მოღებოდა ბოლო. აგერ მეოთხე დღეც მიიწურა, რაც შაქრია პაპა განბანილ-გაპატიოსნებული, მარადისობაში გასამგზავრებლად გამზადებული თვალდახუჭული იწვა და, ჩუმათაანთ ეზოდან ერთი ხმამაღალი კვნესა რა არის, ის არ გამოსულა. ერთი ამოძახილი არ მოსდებია შუკა-ორღობეს. ის კი არადა, წინკარში გაშოტილ ძაღლსაც კი არ დაუყეფია ხეირიანად, იწვა და უილაჯოდ შესცქეროდა მომსვლელ-წამსვლელს.

ჩუმათაანთი იყვნენ და ჩუმათაანთი, მაგრამ წესი, ადათი?!

ჯერ იყო და, ტასიკომ მამის სიკვდილის ამბავი მეორე დღესღა გაუმხილა მეზობლებს. ზაფხულის სიცხეც გასათვალისწინებელი იყო და დატრიალდნენ მოწესეები; დაითითოვეს საზრუნავი, მოპატიჟეებიც აფრინეს და, როგორც იქნა, მესამე დღეს გარეთ გათხოვილი ქალიშვილებიც მოადგნენ მამისეულ სახლს.

– ვაიმე, მამიი... მოგივიდნენ, მოგივიდნენო, – ერთი კი ამოიკვნესა ტასიკომ მორიდებულად, თითქოს ოჯახის სიმყუდროვის დარღვევა არ უნდაო, და ქალიშვილებიც, თავიანთი ჯალაბით, პირზე ცხვირსახოცაფარებულები, ფლიკვინით შემოეწყვნენ მამის ცხედარს.

ეს იყო და ეს, ამაზე ხმამაღალი არც სიტყვა და არც ამოძახილი არ გასულა ჩუმათაანთ ეზოდან.

სოფელი დაბნეული იჩეჩავდა მხრებს, დარდიან-ხარჯიანად ყველაფერი რიგზე გაეწყოთ, მაგრამ ამ პატიოსანი კაცის ასე უტირალ-შეუცხადებელი გასტუმრება მეტად ეუხერხულებოდათ. არადა, დროც საშური იყო.

ხშირბინდი უჩუმრად შემოიპარა ჩუმათაანთ ეზოში. შუაღამეც მოახლოვდა და ჭირის გამრიგემ, ყორანაანთ ჭიპჭიამ, ისევ ითავა: – დავტოვოთ ახლა შვილები, მაგათ თავიანთი საქმე აქვთ, ჩვენ კიდე ჩვენი.

ჯერ ქალები გაილალნენ ოთახიდან, მერე კაცებიც მიჰყვნენ და ცალ მხარეს მიყუჟული ქალიშვილები, თავები უმწეო ლეკვებივით რომ ჩაერგოთ ერთმანეთის მხრებში, სევდიანად მიაჩერდნენ მამის გაყინულ სხეულს.

ძირის სახლში მეზობლის ქალებმა ისევ ჩუმად გააწყვეს სუფრა. ჭიპჭიამ სამიოდ სამძიმრის დეპეშა გადაათვალიერა და ჩაიღიმა: – ე რა კარგი გვარი ჰქონია ჩვენს შაქარასა...

მამაკაცები გაოცებულები მიაჩერდნენ ერთმანეთს. რა შუაში იყო გვარი?! სოფელში კაცის მეტსახელი თუ იცოდი, მორჩა, გვარი აღარ იყო საჭირო. ეგ კია, შერქმეული სახელი ხშირად იცვლებოდა ხასიათის, საქმიანობის, საქციელისა თუ შემთხვევის გამო. ეს იყო სოფლის ნიჭის, შესაძლებლობისა და გამომგონებლობის უნარი.

ახლაც აქ შეყრილების: ყორანაანთ ჭიპჭიასი, ჩუჩუნაანთ წიტასი, დუქანაანთ ქორფასი, წიწაკაანთ მანიასი და ორთვალაანთ ტილასი (ცალთვალაანთ ტილაც ჰყავდათ და გამორჩევა ხომ უნდოდა?), არც გვარი და არც სახელი არავის ახსოვდა. ის კი არადა, თავად ჩუმათაანთ შაქროსაც ჯერ ხეხილაანთ შაქარა ერქვა, მერე უბრალოდ შაქრია და, ვინ იცის, რაღა არა.

ჩუმად გალია თავისი წუთისოფელი ამ ტკბილმა კაცმა. ცოლიც, ისიც მშვიდი და უბოროტო, ადრე გამოეცალა ხელიდან. არც არავინ შეუწუხებია, ისე დაზარდა სამი ქალიშვილი, პირიდან გადმოვარდნილივით რომ დაიმგვანა. უფროსები, ვარო და დარო, გარეთ გაათხოვა, მეზობელ სოფლებში. ნაბოლარა ტასიკოს სახლში მოჰგვარა თავისავით ჩუმი და გამრჯე ქმარი და, შვილიშვილებიც რომ დაიმგვანა, სოფელმაც ხეხილაანთი დაი-

ვიწყა და ჩუმათაანთი შეარქვა მის სახლეულს. დადიოდა სოფელში ჩუმი ღიღინით, თავისი მოკაუჭებული დანით ხელში, და თუ სადმე გასასხლავ-დასამყნობი შეხვდებოდა, პატრონის დაუკითხავად გააკოხტავებდა. პანტაზე გულაბს ამყნობდა, ბალამწარაზე – გოგრა ბლებს და ნატყემლარები ხომ სულ აალუჩ-აგარგარა. უხასიათო, ამღვრეული და, მით უმეტეს, გაბრაზებული ხომ არავის უნახავს და, ამგვარი კაცის ასე უხმაუროდ, უტირლად გასტუმრება სოფელს დიდ სირცხვილად მიაჩნდა.

მამაკაცებმა კიდევ ერთხელ დააჭაშნიკეს სახვალიო ღვინო, შესანდობარიც შესვეს და უაზროდ მიაჩერდნენ ერთმანეთს.

– კაცო, დღეს თვალი აქვს და ღამეს ყური, ერთი მაინც არ უნდა წამოიკნავლონ?!

– ხელები გაშალა ჩუჩუნაანთ წიტამ, – გაგონილა, ხალხო?

– ვახ, ვერა ხედავთ, რო არ გამოსდით, – თვალები გადაუბრიალა ჭიპჭიამ.

– ერთია, რო თითონაც ცოდოები არიან. თუ არ ამოიქარეს, დაიხოცებიან, – შუბლი მოისრისა უფროსმა სიძემ.

– ეგრეა, – მხრები აუბა უმცროსმა.

– ერთი კარგი წიოკა ქალი ეხლა! – ინატრა შუათანა სიძემ.

– მართლა, ერთი ლაზათიანი მოტირალი არა გყავთ სოფელში? – ოთახს თვალი მოავლო უფროსმა.

– მოტირალი რა, განა მეგრელები ვართ, – წაისისინა წიწაკაანთ რძალმა მანიამ.

– იიიჰ, – ხელი ჩაიქნია ქორფამ, – ორი წიწაკა ერთად რაღა იქნება.

– წიწაკაანთ წიწაკა, – განაჩენი გამოუტანა სოფლის ორთვალაანთ ტილამ. მაგდანამ თვალები დააკვესა.

– რა ვიცი, ე ოხერი, თავისიანებს ყველა ტირის და ამ ჩვენებს რაღა დოზანა ეცათ ეგეთი? – ფეხზე წამოდგა ტასიკოს ქმარი.

– შენ ხო არ დაიწყებდი, მანი, ა? – პირი მოწმინდა ჭიპჭიამ, – დაგეწყო, რა ვქნა, და იქნებ კიდეც აგყოლოდნენ?

– დამეწყო არა, სიმღერისა არ იყოს, დამაწყებინებთ და ბოლომდე არავინ ამყვებით, მარტო მამღერებთ ხოლმე, – წაიწკმუტუნა მანიამ.

ისევ სიჩუმემ დაისადგურა. გასვენების ღირსეულად ჩატარება დიდი საფრთხის წინაშე იდგა.

– აგე, ზემოურების შანტიკლორაა მაგ საქმეში გაწაფული. დედამთილიც კოხტად იტირა და მამამთილიცა, – ფრთხილად მოსინჯა ნიადაგი ქორფამ.

– რაც გინდა, თქვი და იმერლის ქალები სჯობია ჩვენებსა, – ღადარს ცეცხლი შეუმატა წიტამ.

– რად უნდა მაგას იმერლობა, დედამთილმამამთილს მეც კარგა ვიტირებდი, – თავი გასცა მანიამ და აქა-იქ ფხუკუნიც გაისმა.

– არა, ვინმე უფრო ახლობელი უნდა ვნახოთ, – სადავეები არ გაუშვა ხელიდან უფროსმა სიძემ.

– აბა, ქალიშვილებზე ახლობელი ვიღა იქნება, – ისევ წაისისინა მანიამ.

– ვაახ, კიდე... – ფეხზე წამოიჭრა გაბეზრებული ჭიპჭია, – არიან და არიან, ვერა ხედავთ, რომ არ შეუძლიანთ, ე?!

– ერთი რო აგვეტირებინა, იქნებ დანარჩენებიც აჰყოლოდნენ, ა? – მორიდებულად შებედა წიტამ სიძეებს, მაგრამ იმათ ხელები გაასავსავეს, ვერა, ჩვენ მაგას ვერ შევძლებთო.

მეორე სართულზე კი დები ზედ დაჰფოფინებდნენ მიცვალებულს. დავარცხნეს, ულვაშები შეუკოხტავეს, წინასწარ გამზადებული თითო ხელი ტანსაცმელიც ზურგსქვეშ ამოუჩურთეს. მარჯვენა მხრის უკან საპარსი ჩაუკუჭეს, მარცხნივ სარკე-სავარცხელ-მაკრატელი. ამოსაღები „სტალინგრადის დაცვის" მედალიც არ დაავიწყდათ, ხალათის გულის ჯიბეში მიუჩინეს ადგილი. მოითავეს საქმე და ისევ მიეკუჭნენ ერთმანეთს.

– აჰა, როგორ გაგაკოხტავეთ, მამიი... – წაიკნავლა ტასიკომ, მაგრამ არა, არ აჰყოლია არავინ.

– სადედაჩვენოდ გამოგაწყვეთ, სადედაჩვენოდა, – ახლა ვარო შეეცადა – ისევ უშედეგოდ.

– ნეტა, ისიც თუ ელოდება?! – მეტად სერიოზულად იკითხა დარომ და ტასიკო აენთო.

– მა, როგორ იქნება? აქ არაფერი უკადრებია და...

– ჰო, – დაიმორცხვა დარომ, – ალბათ, იმიტომაც მიუხარია, – ჩაიღიმა და ვაროსაც შუქი ჩაუდგა თვალებში.

– ე მანდ სიცილიც არ დაიწყოთ. ეგლა გვაკლია, – ოჯახის ღირსება ადარდებდა ტასიკოს, – ბედოვლათებო, იმის მაგივრად, თითო ცრემლი მაინც გადმოგეგდოთ...

– შენ ხო სუ დაიხოკე ლოყები, არა? –

გაცხარდა დარო.

- რა ვქნა, ქალებო, იგეთი ტებილი იყო, აი, შევხედავ და სუ სიცილი მინდება, - თავი გადააქნია ვარომ.

- შეხედეთ, თითონაც იღიმება და მე რაღას მერჩით, - თავი იმართლა დარომ.

- ნეტა, ეხლა მაინც რაღა აღიმებს, - აჰყვა ვაროც.

- გაწყვიტეთ-მეთქი ხმა!.. - ისევ დაუტატა-ნა ტასიკომ. - საწყალი დედაჩვენიც უცრემ-ლოდ წავიდა.

- აბა, მაშინ ხო პატარები ვიყავით, დაო, და მერე ამ დალოცვილმა ისე ღიღინ-ღიღი-ნით გაგვზარდა, სულ სიცილში და სიმღე-რაში, - განმუხტა მდგომარეობა ვარომ.

- ჰო, ერთხელ მაინც რო დაეკრა ხელი, ერთხელ მაინც რო ვეცემეთ, იქნებ კიდეც გამოგვსვლოდა, - მოიწყინა დარომაც.

ისევ მიეკუჭნენ ერთმანეთს.

- ხო არაფერი დაგვვიწყნია, ა? - ოთახს მოავლო თვალი ვარომ.

- დაგვვიწყნია და რა მოხდა, მემრე გავა-ტანთ ვინმეს, - არა ცხრებოდა დარო.

- ვაიმე, დანა! - ფეხზე წამოიჭრა ტასიკო.

- რა დანა, ქალო?

- დანა, სასხლავი დანა, სულ თან დაატა-რებდა.

- აი, გაგისკდეს გული, ხალათის ჯიბეში უდევს, წეღან მომიხვდა ხელი.

- ჰო, აქა ყოფილა, კიდევ კარგი.

- მანდა ყოფილა, თორემ იქაც სუ სანამ-ყენებს დაახვედრებენ! - ისევ წაიხოხმარიკა დარომ და ვარომაც ცხვირსახოციით ამოიქო-ლა პირი.

- მომიკვდეს თავი, როგორ დაგბლაგვე-ბია, - დანის პირი მოსინჯა ტასიკომ, - სუ რო ლესამდი და ლესამდი...

- უთხარი ბიჭებსა და გაულესავენ, - წა-ეშველა ვარო.

- ნეტავი თქვენცა, სხვა რაღა საქმე ექნე-ბა? დაჯდეს თავისთვის და ლესოს და ლესოს, - გაბეზრდა დარო.

- ვაიმე, ლესოსო, - ამოიხავლა ტასიკომ და, აქამდე რომ დებზე მოსდიოდა გული, თავი ვეღარ შეიკავა და ხარხარით დაემხო მამის ცხედარს. - ვაიმეო, - ახლა ვარომ ისივლა და გაშეშებულ დაროს ჩააფრინდა. დარო ჯერ გაოგნებული შესცქეროდა დებს და, უცებ რომ გაასიგრძეგანა თავისი ნათ-ქვამი, აბა იმან ატეხა თუ ატეხა!

სადავემიშვებული ხარხარი აგორდა, გაი-ზარდა, გაიჭექა, ოთახში ვეღარ დაეტია და გამოფრინდა ფანჯრებში. მოედო ეზო-ორ-ღობეს, შეიჭრა ქვემო სართულშიც. ფხაკაფხუ-კით ამოცვივდნენ ბალანაშლილი სიძეები. როგორც იქნა, მეზობლებიც მოეგნენ გონს, ეცნენ კიბეს, აასკდნენ მეორე სართულზე, მაგრამ ოთახში ერთბაშად ყველა ვერ შეეტია, კარებში გაიჭედნენ, უკანანი წინებს აწყდებოდნენ, ძალაობდნენ, ფეხის წვერებზე დგებოდნენ და ამაოდ ცდილობდნენ, გაეგოთ თუ რა ხდებოდა ოთახში. იქ კი ქალიან-კაციანად ცრემლებს იმშრალებდნენ, ხაოდ-ნენ. იდგა ერთი გნიასი, ხორხოცი და ვაი-უშველებელი, ქალები მკერდს იმჯიდავდნენ, ხელისგულებს მუხლისთავებზე იტყაპუნებდნ-ენ და კედელს ურახუნებდნენ კეფას. სიძეებიც ცრემლებად ქცეულიყვნენ.

- ტირიან, ხალხო, ტირიან, - უკანებს გა-დმოსძახა ჭიპჭიამ, - ვერა ხედავთ, რო ხმითა ტირიან, ხმითა!.. - მერე გამოარღვია მეზობ-ლები, პირი აღმოსავლეთითა ქნა და პირჯვა-რი გარდაისახა:

- დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი. ამნაირ სანთელივით კაცს სხვანაირი შეცხად-ება არც მოუხდებოდა!

იმ დღიდან სოფელს ახალი სახელი შეემა-ტა: - სიცილაანი.

## ხალისო

ვერ შეიშნოვა ხალისომ ფურდედობა. ისე-თივე ანცი და მოუსვენარი დარჩა, როგორც დეკეულობაში იყო. არადა, ცოტა დადინჯება არ აწყენდა, თავისი ჭრელასათვის მაინც ხომ უნდა მიეცა მაგალითი. დაჰქრის ისევ, დაკუნტრუშობს უშობელივით. ნახირს ხომ მეკვლედ მიუძღვის საძოვარზე. ახლა საღა-მოს მობრუნებული ისე შემოაზმუვლებს ორ-ღობეს, ყველა ხვდება: - ჩვენი უბნის ნახირი ბრუნდებაო, ქალები თავს ანებებენ საქმიანო-ბას და ხელების მშრალებით ეგებებიან.

შემობაკუნდება ორღობეში ლაღად, თავა-ღერილი, დაიზმუვლებს ისევ ამაყად, აქაოდა, ყველანი მშვიდობით მოგიყვედით, ფერდებიც ამოვსებული მოგიტანეთ და ცურებიც გამო-ტიკნულიო. შუბლით შეაღებს კუტიკარს, ჯერ ჭრელას მიეალერსება ნაზი ზმუილით. ცურზე არ გაიკარებს, - ჯერ არ გეკუთვნის, ჯერ პატრონისაო, - შეიკუნტრუშებს კოხტად, თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის კანტურით წავა და თავად დადგება ბაგაზე - ჩქარა ჩამომწველეთ, განა ამდენის შეკავებაც შემიძლია, ვერა ხედავთ, რძე მიწვეთავსო?! - მიუცუცქდება დიდედაც სამფეხა სკამით. ჩამობანს ისედაც ჩამოკრიალებულ ცურს და აბა, უნდა ნახოთ, როგორ არაკრაკდება სარძევეში რძის ოთხი ჭავლი. ჯერ სახრის შემოკვრის ხმა გაუდის ლითონს, მერე ჩადინჯდება, ჩაბუყბუყდება და, ჭურჭელი რომ აივსება შხაფაშხუფით, რძის თეთრი ფანტელი ნამხეფად ეფინება მიწას, აქათქათებს იქაურობას. ფერდზე სიყვარულით დაჰკრავს ხელს დიდედო, დაგელოცოს ცურიო და ახლა ჭრელას დროც დგება, აყალყული რომ ელოდება თავის რიგს. მიუშვებენ თუ არა და, იმათ ცქერას ალარაფერი ჯობია. მოიკეცავს გრძელ, შვლის ფეხებს ჭრელა, შეუცუცქდება და ერთს არ აჰკრავს ცურში, არ შეაწუხებს, თავისთავად მოუჩხრიალებს მსუყე და თბილი რძე. ეს კიდე, ხალისო, მოიღერებს კისერს და ლოკავს და შეზუზუნებს, შეზუზუნებს და ლოკავს. კრუსუნი გაუდის ჭრელასაც სიამოვნებისაგან. მერე გამოვლენ დედა-შვილი, ლამაზები, მოხდენილები, კუნტრუშით მოედებიან ეზოკარს და დიდედოც ვითომ ბრაზობს: - „რაც დედაა, ის შვილი, ატრაშუნე“. - ახლა ღობის ძირებს მიაშურებენ, გამოცელავენ ბალახს, გამოაკრიალებენ, მავნე რამემ რომ არ ჩაიბუდოს. იკუნტრუშებენ ისევ დიდი ხნის უნახავებივით, ბოსტნისკენ ერთს არ გაიხედავენ, იციან, ბოსტანი პატრონისაა. იტლინკავებენ, იბუჩავებენ და ამასობაში კიდეც ჩამოიღამებს. შეუცუცქდება, შეუთბუნდება ჭრელა დედას, ისიც გადაადებს კისერს და იძინებენ მშვიდად, უშფოთველად.

ახლა დილას, ვიდრე ნახირი ჩამოივლიდეს, გააქვთ ერთი ზუზუნ-ზმუილი. ჭრელას თავი ყინჩად მოაქვს, ნახირში იწევს; ეს კიდევ აწვება რქებით, - ჯერ ადრეა, შენი ადგილი იცოდეო. გაჰყვება ჭრელა ნახირს სოფლის ბოლომდე, გაადევნებს სევდიან თვალებს, მერე შეიკუნტრუშებს დედამისივით და შემობაკუნდება ეზოში. დიდედოს გული უსკდება, - ცუდად დაკუნტრუშობს ეს აულაგმავი, რასმეს არ მოეწიოსო, - მაგრამ ჭრელას რა გააჩერებს?!

იმ დღეს კი, ის იყო სოფელს მოაშმუვლა ხალისომ და ჭრელაც გამოენთო ორღობეში. ერთი ჩვეულებისამებრ შეიკუნტრუშა, დაალირა თავი და გაიჭრა ნახირის შესახვედრად. სად იყო და სად არა, უცებ გზაზე უზარმაზარი „ლენდროვერი“ გამოიჭრა. ჩამოშვებული ფანჯრებიდან ბრახიბრუხად იფრქვეოდა ხმააწეული მაგნიტოფონის ღრიალი. შიგ მყოფი გოგო-ბიჭები, რიტმს აყოლილები, თავებს უხათქუნებდნენ სახურავს.

მანქანა და ჭრელა ერთმანეთისაგან ხუთ ნაბიჯში შედგნენ. ჭრელამ კისერი მოიღერა და გვერდულად შეათვალიერა ურჩხული, - ეს რა საფრთხობელა შემოხეტებულა ჩვენს სამფლობელოშიო, - და აჭყლოპინდნენ გოგოები მანქანაში: - ვაიმე, რა ლამაზია, ბიჭებო, დაიჭირეთ რა, დაიჭირეთო!.. - მანქანა ბღუილით დაიძრა. ჭრელა ერთი შეხტა და წაკუნტრუშა სახლისაკენ. მერე ისევ შეჩერდა, შემობრუნდა. ჭრელასა და მანქანას შორის მანძილი მოკლებოდა. ამ დროს მანქანას განწირული ზმუილით ჩაუქროლა ხალისომ. გვერდი გაკრა, შეაბარჯღალა და ცურის ბარძაყებზე ხათქახუთქით ხბოსა და „ლენდროვერს“ შორის გაიხირა.

- „ვაიმე, მანქანა გამიფუჭა ამის!..“ - შეიკურთხა მძღოლმა და სიჩქარეს უმატა.

ხალისო გარბოდა ორღობეში, რქით გზიდან ჭრელას გარიდებას ცდილობდა, მაგრამ დამფრთხალი ხბო ორღობის ხან ერთ მხარეს მიაწყდებოდა, ხან კი მეორეს. მანქანაში კი ერთი ჟრიამული გაჰქონდათ მგზავრებს. ხალისო ჭაიღალა და, რაკიდა ჭრელა ვერ მოიგდო, ილაჯგაწყვეტილი შედგა, შემობრუნდა, ბალანა აშლოდა, თვალები ჩასისხლიანებოდა. ერთი შეზმუვლა განწირულად, წინა ფეხებით მიწა მოთხარა, დაალირა თავი და გამეტებული დაიძრა მანქანისაკენ.

- ვაიმე, დამლეწავს ეს შობელძაღლიო, - ისევ იყვირა მძღოლმა და მანქანა გააქვავა, სიჩქარე გადართო და ბღუილით გააქანა უკან. ხალისო რქების ლაპლაპით გამოიჭრა მტვრის კორიანტელიდან. მორბოდა და საშინელი ურჩხულის გარდა ვერაფერს ხედავდა.

მანქანა, როგორც გამოვარდა, ისევე სწრაფად გაუჩინარდა მოსახვევში. ხალისო შედგა, აძაგრულმა გახედა სიცარიელეს, მერე აქოშინდა, კუნთები აუთამთამდა, მუხლები მოუდუნდა, ერთი განწირულად შებღავლა და ფეხებგაფშეკილი ჩაენარცხა ორღობის მტვერში. ზმუილ-ბღავილით მოასკდა ნახირი, გარს შემოერტყა ხალისოს, რა დაინახეს

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენაგადმოგდებული დობილი, დაიხარნენ, დაყნოსეს, ერთი-ორი წაუქიმუნჯეს და, ძვრაც რომ ვერ უყვეს, აიშვირეს თავები და ატეხეს საშინელი ზმუილი. ხმაურზე გულგახეთქილი სოფლელები შემოეხვივნენ ნახირს, სცემდნენ, ეწეოდნენ, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს, ვერ გაირეკეს ძროხები. მერე თავი ანებეს, განზე გადგნენ და გაოგნებულები შესცქეროდნენ იმათ გულსაკლავ ზარსა და ზმუილს. ძროხები გარს უვლიდნენ ხალისოს, სასოწარკვეთილნი ბღაოდნენ და ზედ აღენდნენ ჩამომდინარ ცრემლს, ლორწოსა და დუჟს. ჭრელა უაზროდ დარბოდა, ხან ნახირს მიაწყდებოდა, ხან კიდევ ხალხს.

- გული გასკდომიაო, - გასინჯვა რომ მოათავა, მერედა დაასკვნა ზაურა ექიმმა.

- ეგენი ზევით იყვნენ, პარაკისში, სალმრთო შეწირეს და დილას აქეთია ღრეობენო, - ბიჭებმა.

არადა, მარიამობის მარხვის შუაწელი იყო. მაგათაც შეეწიოთ მამა უფალი, შეუნდოთ!..

## სულის მოსახსენებელი

- აქაური არ უნდა ბრძანდებოდეთ, - მღვდელმა საფლავის კურთხევა მოამთავრა და სარიტუალო ნივთების ალაგებას შეუდგა. აიღებდა, ჯვარს გადასახავდა, ეამბორებოდა და ფრთხილად აწყობდა „დიპლომატში“.

- ზემო სოფლიდან ვარ, აგერ ექვს კილომეტრში, - ხელი გაიშვირა და წითელ კვერცხებს ადგილი შეუნაცვლა, ჯვარი გამოსახა საფლავზე.

- თქვენი რა იყო მიცვალებული? - გამომცდელად შეხედა მღვდელმა.

- არც კი ვიცი, რა გითხრათ...

- თუკი საფლავის საკურთხებლად საგანგებოდ ჩამოხვედით, ახლობელი უნდა იყოთ, მაგრამ ისეთი ღიმილნარევი სევდით დასცქერით, მიჭირს ნათესაობის დადგენა.

- საგანგებოდ არ ჩამოვსულვარ, მეგობარს გამოვყევი, შემთხვევით მომხვდა თვალში ამ პატიოსანი კაცის საფლავი, მოულოდნელობამ გული მომიკლა, თან რაღაც გამახსენდა.

- მე არ ვიცნობდი, ალბათ, ჩემამდე გარდაიცვალა, წელიც არ აწერია, - სურათს შეავლო თვალი მღვდელმა.

- ასეთ კაცს არც დაბადებისა და არც გარდაცვალების თარიღი არა სჭირდება. ასეთები არც იბადებიან და არცა კვდებიან, მუდმივად არიან, რომ გაალამაზონ ადამიანთა ყოფა.

- რაღაც საინტერესოს მალავთ, - ჩააცივდა მღვდელი.

- არა, არა ვმალავ, მაგრამ არც კი ვიცი, ღირს თუ არა მოყოლა. თუმცა დანახული და გაგონილი სიკეთე კაცს მთელი ცხოვრების განმავლობაში მიგყვება. ოცდახუთი წლის წინანდელი ამბავია. მეექვსე კლასში ვიყავით. ჩვენს სოფელში მაშინ პური არა ცხვებოდა და, იძულებულები ვიყავით, აქედან გვეზიდა. შევიყრებოდით გათენებისთანავე რვა-ათი ბიჭი, ჩამოვიქროლებდით თავდაღმართს და მთელი სოფლის სამყოფი პური აგვქონდა. თავქარიანები ვიყავით, გვეხალისებოდა კიდეც, მაგრამ, აბა, ათი-თორმეტი პურის ტარება მაინც ჭირდა. აქეთ რომ მოვხალისობდით, აღმართებში ძალიან ვიღლებოდით. არადა, სკოლის დაწყებამდე უნდა ავბრუნებულიყავით.

კაცმა სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და ჩაიღიმა: - ერთხელაც მოვიბღოტებით ჩვენჩვენი ტომრებით, გავცდით სოფელს და ვირი არ აბია?! ძოვს თავისთვის. დავიჭირეთ, ავკიდეთ მთელი სარჩო, ჩვენც ზედ ავეხორხოლენით და ცემითა და შეძახილებით, რის ვაივაგლახით ავივაკეთ. ის იყო, ჩვენი სოფლის ორღობეში უნდა შევსულიყავით, დავეცით ერთი ყიჟინა და იმ საცოდავმა ჰყარა ტლინკები, მიმოგვფანტა გზაზე, მერე იბრუნა პირი და ჩვენი ტვირთიანად დაეშვა თავდაღმართში. გონს მოსულები ჩვენც დავიტიშენით. მოვრბივართ, მოვდევთ და მოგვაქ ქვა და ლორდი. მოკლეებზეც ვჭრით, მოვაგორებთ ეკალ-ბარდებს, მაგრამ ვერც თავს დავუარეთ და ვერც დავეწიეთ. ისეთია, ჩვენი პურის ტომრები ფრთებივით უფარფატებს. შემოგვასწრო სოფელში. ეცა თავის ჭიშკარს, შეაღო და გომურთან დადგა. მივაწყდით ჩვენცა, საბერველივით ვქშინავთ აქეთ ჩვენ და იქით ის. გულამომჯდრები, ფეხებდაკაწრულები შევცქერით ვირს. გამოვიდა ეს ცხონებული. ჯერ ვირი შეათვალიერა, მიეფერა და მერედა მოგვიბრუნდა. არც ერთი არ მოვრიდებივართ, არც დავმალულვართ, მთელი სოფლის პური, აგე, იმის ვირსა ჰკიდია და არ გინდა სოფელში აბრუნება?! ვდგავართ და ველით განაჩენს. - შემოდითო, - გვანიშნა.

რაღა ჩარა იყო, შევედით და რვავე ავეწკაპენით წინა. გვიყურა, გვიყურა და უცებ გვკითხა: - „ეს ვირია და თქვენა კიდე ადამიანები?!“ - ჩავკიდეთ თავები. ხვითქი გადაგვდის შუბლზე - სირცხვილისაცა და დაღლილობისაცა. - ამას თავიდან სახედარი ერქვაო, - განაგრძო, - ხვთის ცხოველია ესა, ქრისტე ამაზე ამხედრებული შევიდა იერუსალიმში, თქვენა და თქვენისთანებმა კიდე ეს სახედარი გაავირეთ და იმიტომაც გეკითხებით: თქვენ უფრო ვირები ხართ თუ ესაო. - ვდგავართ, ვერც თავსა ვწევთ და ვერც ხმას ვიღებთ, ეს ოფლი კიდევ ცრემლებივით გვდის, ატირებას აღარაფერი გვიკლია. - ეხლა რა გიყოთ თქვენაო, - და ამოგვიჯდა გულები, შევღნავით, ვემუდარებით, პური დაგვიბრუნოს, თორემ ცალკე სოფელს ვერ გადავურჩებით და ცალკე კიდე სასწავლო ნაწილის გამგეს. გვიყურა, გვიყურა და დაგვჭექა მეხივით, - ჩაიწყვიტეთ ხმა! რასა ჰგავხართ, სოფელ-ქვეყანაზე არ გამოიჩინებით. ჩადით რუზე, თავ-პირი ჩამოიბანეთ, ფეხები ჩამოირეცხეთ და ისევ აქ მოდითო.

გავცვივდით, ჩამოვიკოხტავეთ ფეხები, ქოჩრებიც დავისველეთ, გადავიტკიცეთ და გავუმწკრივდით ისევ: - ეხლა ეს სახედარი წაიყვანეთ, კარგად მოუარეთ, არ გამივიროთო. არც ერთი არ შეჯდეთ ზედა და არც სახრე დაკრათ, თორე ყველაფერს მომიყვებაო. ჩამოარიგეთ პურები და გამოუშვით, თითონ მომაგნებსო. - მადლობის თქმაც ვერ მოვახერხეთ, ისე ვიყავით გაბრუებულები. დავეწკრივეთ ისევ და უკან გამოვყევით იმ ჩვენს გამამწარებელსა. - ეცადეთ ისე იცხოვროთ, ვირმა არ გაჯობოთო, - მოგვაძახა. ხშირად გამომდგომია ეს შეგონება, ახლაღა მომეცა მადლობის თქმის საშუალება.

- გაანათლოს, - „დიპლომატი“ აიღო მღვდელმა და საფლავს ჯვარი გადასახა, - სიკეთის მქნელიც დალოცოს ღმერთმა და იმ სიკეთის დამნახავიცა.

აღდგომის მეორე დღე იყო, მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი, საფლავთა კურთხევის დალოცვილი დღე.

## ბედია ყველაფერი, ბედი

ბედია და ბედი, გენაცვალეთ, ყველაფერი, თორემა მარტო მაგისი ტოლები დაითხოვდნენ?! მაგისიცა, მაგაზე უმცროსებიცა, იმათზეცა და აბა, რა ვიცი, ვიღასზე აღარა. ეს კიდენა, ანდე (კინაღამ წამომცდა ამ გასათხოვარი ქალის წლოვანებაი), ზის შინა და ელოდება, ეგრე უნდა?! ბედს, გენაცვა, თვალებში უნდა მიაფრინდე, ქვეშ გაეგო, მოულაქუცმოუგურგუროო, ეგრე უნიათოდ კი არ უნდა ელოდო.

ჯერ კიდენა ჩემი ამ სოფელში ჩამოთხოვებამდე (აბა, რა დროა გასული, ლამის მეორე ბიჭიც სკოლაში წამივიდეს) მაგის პირველ საბედოს, დასანიშნად ამოსულს, მანქანიდან ფეხი რო გადმოუდგამს, გადაბრუნებია და მოსტყდომია. ჰო, ჰო, მართლა მოსტყდომია, მააშ... (მერე იმას პირს აქეთ ვიღა უზამდა?) ჰოოდედა, ეტყობა მაგის ბედსაც იქ წასტყდა ფეხი. იმთავით-ამთავამდე ბევრჯერ მოეცარა ხელი. მერე იყო, მეც ჩამოვსთესლდი (დაიწვეს ის დღე, მე კიდე ცალკე გასაჭირი მადგას), მომანათვლინეს ნარგიზაი (მოუნათლავიც ყოფილა და იქნებ ეშველოსო), ჰოდედა, გული მისკდება იმის საცოდაობითა. მას მერე მე ჩემსას ვცდილობ ხოლმე, მაგრამ ბედია მაინც ყველაფერი, ბედი.

ეს ბოლო საქმე მაინც რო არ გამოვიდოდა, არ მეგონა. რაც მე ფეხსაცმელი ვცვითე სამშობლოში სიარულითა, მარტო ეგ რად ღირს? შევახვედრე კიდევაც, გავაცანი, თვალში მოუვიდათ ერთიმეორე და, რა ვიცი, ვინ რა გაიგო, აბა, სოფელს რას გამოაპარებ, გაიხარა ყველამ, - ნარგიზა ისევა თხოვდებაო, - აბა, ეს რაღა სათქმელი იყო? ისევა თხოვდებაო, გეგონებათ, აჰა, ერთი ხუთჯერ მაინც ყოფილიყო გათხოვილი. ის კი არა, ამ ხნის ქალს (კინაღამ ისევ წამომცდა მაგის წლოვანებაი) ნარგიზა რომ ისევა ქვია, ცოტა ისიც კი მეუხერხულება. ესენი კიდევა, - ისევა თხოვდებაო. არადა, ხასიათი გინდა, გუნება, საქმის სიყვარული, სული, გული, მეზობლობა, ჩემმა მზემ, არ დაეწუნება. შესახედავადაც არა უშავს რა, ჯერაც ისევ კარგა მოკიტინებულია. „ასჯერგაზომეის“ კი ეძახიან სოფელში და ერთხელ მაინც ხო უნდა გაჭრილიყო ამდენხანს ნაზომი?!

შაბათი დღე იყო, მამამისი კოლა, ქუქუნა დედამისი, იმათი ქალაქს გათხოვილი უფროსი ქალიშვილი ლამაზოი (უბრად იყო ოჯახთან და, ბედი არ გინდათ, სწორედ ეხლა შერიგებია) - არ მიყვარს ეგ ქალი და რა ვქნა. დედის გული, თორემა ლამაზობისა მაგას რა სცხია? ცხვირი ძუძუებზე ეწმინდება

და იმ ამოპუტულ წარბებს ისე წკურავს, ვაიმეე... ჰოდედა, მოკლედ მე, კოლა, ქუქუნა და ლამაზოი ეს მერამდენედ შევიკუჭეთ კოლას სუ პირველი გამოშვების დაფხავებულ „პობედაში" და მეზობლების ლოცვა-კურთხევით დავიძარით ჩემი სამშობლო სოფლისაკენ, სასიძოს სახლ-კარისა და შინაურების გასაცნობადა.

ეს საცოდავი ასჯერგაზომეი კი იდგა გულზე ხელებგადაჯვარედინებული, მხრით ჭიშკრის ბოძს მიყრდნობილი და ისეთი თვალით გადმოგვცქეროდა, - სულერთია, აქედან მაინც არაფერი გამოდნებაო. - აბა, ეს საქმეა? ეგეთ საქმეზე ეგრე გაიშვება ხალხი?!

- აქამდე რად არ მოუყვანია ცოლი, იქნებ ნაცოლარიც არიო, - სოფლიდან გავედით თუ არა, წარბები აწკურა ლამაზომა.

აბა, როგორ უნდა მოეყვანა, გენაცვათ, თავმომწონე კაცია, „კრაზზე" ზის, ეგრე კი არ არის, პაპისეულ გვერდგადაქცეულ ქოხში ის ცოლს შეიყვანდა?! ჯერ უმცროსი დამები დააქორწინ-დაასახლა, მერე მეგობრებს მიეხედა, ყველა გზაზე დააყენა, ვინ შოფრად, ვინ ინსპექტორად, დააბინავა ისინიცა და მერეღა აიშენა თავისთვის ორსართულიანი სახლი. იგეთია, თვალი ზედ დაგრჩება. მართალია, ჯერ მხოლოდ ორი ოთახი გააწყო, მაგრამ, ამათი მარიფათის ამბავი რო ვიცი, ის და ნარგიზაი მთელ სახლსაც მალე გამოაკოხტავებენ. მოკლედ, „ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო," რო იტყვიან, ეგრეამეთქი. მაინც ეჭვიანად მიცქეროდა ლამაზოი, უნდოთ. ეტყობოდა, არც ამას მოედიოდი თვალში.

ჩემ სოფლამდე შორი კი არ არის, აქვეა, მაგრამ კოლას ერთ დროს საამაყო „პობედას" (ისე, ვინ მოსთვლის, რამდენი მადლი სცხია, რაც იმას დაუქორწინ-დაუთხოვებია) ქანცი გასდიოდა, გულ-გვამი უბუუბუყებდა, წამდაუწუმ წყალი უდუღდა და ორთქლი თუ ზეთი წურწურით ჩამოსდიოდა.

დილით გამოსულები ნაშუადღევს, როგორც იქნა, მივადექით სიძიანთ (იქ მისვლამდე, რა თქმა უნდა, სასიძოს ახალი სახლიც შევათვალიერეთ).

აუცილებელი მიკითხვ-მოკითხვისა და ნაცნობ-ნათესავების გარკვევის შემდეგ სუფრის დროც დადგა და სასიძოს მამამ, ვალიკომ (თავად სასიძო „რეისში" იყო და წამოწამ ელოდნენ) სუფრასთან მიგვიწვია. იგეთი სუფრა გაეშალათ, იგეთი რო... აბა, რავი. პარლამენტის თავმჯდომარეს რო ეკადრება, იგეთი.

- ერთი შენი სახელი შემახსენეო, - ლამაზოს ბარკლის გადანახსენი გადაუდო ვალომ და ისე მოუბოდიშა, ვითომ სუ იმის სახელის ხსენებაში იყო და ეხლა რაღამ დამავიწყაო.

- ლამაზოს მეძახიანო, - ნაზად ჩაიღიმა იმანაც და ვალომ ყელში გაჩხერილ ნერწყვს სადღეგრძელოუთქმელი ღვინო სასწრაფოდ მიაყოლა, ე მანდ ფხუკუნი არ დამცდეს და თავი არ მომეჭრასო. მეხი იმასაც დაეცეს, მე ხო ვიცი, არც ის შეპფერის, მაგრამ მარო ჰქვია სინამდვილეში.

სუფრა ეშხში იყო შესული და კოლამ ხაშლამით მოთხვრილი ქონიანი თითებით პურს გული გამოაცალა, დააგუნდავა და ზედ შეაწმინდა.

- ე ოხერი ლეკვები, როცა გინდა, მაშინ გადაიკარგებიან, დაუძახეთ, თითებს მაინც აგვილოკავენო, - იხუმრა სასიძოს მამამ, ვალომ. ო, ეგეთი ხუმარაა, მუცელი სუ ხელით უნდა გეჭიროს.

- ვაიმე, მომიკვდეს თავიო, - კატომ, იმისმა ცოლმა და ოთახიდან გავიდა. ცოტა ხანში აჭარხლებული შემობრუნდა გაზეთით ხელში, ბოდიშობითა, - ეგრეა უცოლო კაცის ამბავი, აბა, გუშინ ბაზრიდან ყველაფერი ამოგვიზიდა, ნარგიზასაები მოდიანო და „სალფეთქი" არ დავიწყნია?!

- დრო იყო, გაზეთიც არ გვქონდაო, - გაიცინა ვალომ, ხო გითხარით ხუმარა კაცია-მეთქი.

სასიძოს ლოდინში კარგა შეჰყვნენ ერთმანეთს სამძახლოები, მაგრამ, კოლას რო თვალები ამოებრიცა და გვერდი გაუვარვარდა ქუქუნას ფერებითა, სასიძოს ლოდინს აზრი აღარ ჰქონდა.

- ალბათ, ინსპექციამ შეაჩერა სადმე, არ იცით იმათი ამბავიო?! - პირი მოსწმინდა ვალომ შვილს. იმისი მოუსვლელობა არც მე მომდიოდა გუნებაში, მაგრამ ლამაზო ისე წკურავდა წარბებს, ის უფრო მადარდებდა, რამე კუდი არ გამოება ამ ამბისათვინ.

ეჰ, რა ვიცი, ბედია მაინც ყველაფერი, ეგეც ბედი იყო, ალბათ, იმ საცოდავი ნარგიზას ბედი.

- ეგ არაფერი, გადმოვიდეს, როცა იქნება, დაელაპარაკონ ერთმანეთს, ნიშნობის დღეც დათქვან, რო ჩვენც მოვემზადოთო, - ქუქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამ, თორე კოლა იგეთი იყო, აზრი არ ეკითხებოდა.

ხვევნა-კოცნითა და მომავალი ბედნიერების სურვილებით დაშორდნენ ერთმანეთს სამძახლოები. უკან მანქანას მოჰყავდა კოლა თუ კოლას მანქანაი (აბა, რაც მაგათ ეგეთ საქმეებზე უვლიათ), სუ ბღუილ-ბღუილით ამოვბრუნდით სოფელში. ჭიშკართან შეყრილ მეზობლებს სლოკინ-სლოკინით ახარა კოლამ, - კარგაა საქმე, კარგაო და ქუქუნამ ნალოსავით აითრია ქმარი.

- აბა, მოჰყეთ, როგორ იყოო, - ყველანი რომ შევიყარეთ ოთახში, მერეღა იკითხა ნარგიზამ. გულზე ისე გადაიჯვარედინა ხელები და ისე გადმოგვხედა, - ხო მაინც არაფერი გამოგივიდათო.

- რავი, შვილო, მგონი კარგი ხალხია. სახლიც კარგი უდგა იმ შენს საბედოსა, ორი ოთახიც გაწყობილი აქვს, დანარჩენისა თქვენ იცითო, - ქუქუნამ.

- კარგი ხალხია, კარგიო, - საძილედან გამოგვძახა კოლამაც, თითქო ყურს გვიგდებსო.

- თითონ რატო არ იყოო? - ისევ იკითხა ნარგიზამ და ქუქუნამ ლამაზოს გადაუბრიალა თვალები. იმან ისევ აწკურა თვალები, ვითომ მე რა შუაში ვაარო.

- „რეისში" იყო, შვილო, აბა ეხლანდელ დროში რო კაცი საქმეში დგა, იმას რა გაემტყუნებაო, - თავი იმართლა ქუქუნამ. მე ვზივარ, დანა პირს არ მიხსნის. ვხვდები, რაღაც კარგა არ უნდა იყვეს საქმე.

- „რეისში" იყო, „რეისშიო", - ისევ გამოგვძახა კოლამ მეზობელი ოთახიდან და მივხვდი, სულაც არ ბოდავდა საცოდავი.

- აბა, ყველაფერი წვრილად მიამბეთ, როგორც იყო, არაფერი დამიმალოთ, სულერთია გავიგებო, - ნარგიზამა.

- სალფეთქებიც არა ჰქონდათ სტოლშიო, - მიახალა ლამაზომ.

- ამას რო სადმე წაიყვან, ხო უნდა მიხვდე როგორი დაც ეყოლება, - გავიფიქრე, პირში კი სხვა ვუთხარი: - ქალო, შენ რო ქალაქში ცხოვრობ, სულა გაქვს ის სალფეთქები-მეთქი.

- მააშო, - ისე გაიკვირვა, თითქო სუ სალფეთქებში გორაობდეს; არა, ყველა კი არ გაითხოვება ქალაქში.

- სალფეთქებიც არა ჰქონდათო?! - ცხვირი აიბზუა და კარი მოგვიჯახუნა ნარგიზამა.

რავი, ავი თვალი გამოგვყვა თუ რა იყო, ეგრე ჩამომიშალეს ეს კრიალოსანივით აწყობილი საქმე. მეორე დღეს ისევ გავცვითე ფეხსაცმელი, გადაველ სამშობლოში და ვალოსა და კატოს წვრილად გადავეცი ნარგიზას დანაბარევი: - ნუღარ შესწუხდებით, აქეთ აღარ გამოიხედოთო, - ნეტა, სუფრას რაღას აშლეინებდნენ, ა?

„რეისიდან" მობრუნებული სასიძო თავის ძმაკაცებიანად მაინც გადმოვიდა. დიდხანს ელოდა ნარგიზას ჭიშკართან, მაგრამ არ გამოუვიდა ნარგიზაი, არ დაენახა.

- სუ ერთია, მოგიტაცებო, - ბოლოს მანქანის კარი მიიჯახუნა იმანაც.

- ჯერაც არ მოვუტაცნივარ, ველარ მოვბრუნდიო? - ნარგიზამ ფანჯრიდან დაუძახა.

- ახ, მოტაცებულიცა ხარო?! - ტყუილი ქალო, ტყუილი. რა მოტაცება, რის მოტაცება, ყასიდად დაუძახა, სახოხმარიკოდა.

კოლა კიდე აწყვეტილივით ასკდება ღობეებს, - უნდა გამალოთოს ამ შობელძაღლმა თავისი საბედოების გაცნობა-მონახულებაშიო?

აბა, რა ვიცი, მუქთად შერჩებათ ის პურმარილი?! ისე, ბედია მაინც ყველაფერი. იქნებ ერთხელაც მოადგეს „კრაზი" ამათ ეზოს, თორე ამდენჯერ განაზომი ერთხელაც ხო უნდა გაიჭრას, გენცვა, არა?!

მე კი მაგათკენ გამხედავი აღარა ვარ, არაღა, თუ ბედი აქვთ, თავად დაუჩოქებს ჭიშკართან, ეგრე არ არი?



ვიქტორ პასმორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფიკო მურმანიშვილი

* * *

ვინ მორწყავს ცრემლით სულის ულაბნოს,
კოკორგაუშლელ ქვიშის ყვავილებს.
ჩასახლდა ქარი ბალახის სულში.
უკვე დაცვივდა ფოთლები ჭადრებს.
ღამეს ათევენ ბროწეულები
და მიმშრალებენ ნაწვიმარ თვალებს...

* * *

გულს თუ მიპოვი, აჩუქე ზეცას
და ზღვას მიეცი თვალები ჩემი...
სული ამინთე ნაცვლად კელაპტრის...

* * *

ჯერ მომკლეს,
მერე დამაფარეს სასოწარკვეთა...
ხეიბარ ღამეს უნდო ხელები
დილით სისხლისფრად აუელვარდა...

* * *

ბებიას

ჩრდილს რად იფარებ მდუმარ სახეზე,
მიწაზე ქვებიც იქცნენ გულებად.
შენ კარს აღებდი უცხო მგზავრთათვის;
შარავანდს იფენ სამკაულებად.
ნაცარშეყრილი სითბო კერიის
დაღლილ სხეულის წარმავლობაა.
გვირგვინი შენი და ჯილდო უფლის –
სიკეთე, მადლი, თავმდაბლობაა...

და დასასრული:
ფერწასული სურათი დღის –
ხალხი, გულგრილი ცრემლი რომ სდის...

* * *

დაე, გაყინოს გორგონას თეთრმა
თვალებმა ჩემი სამსხვერპლო ზეცა.
მშიოდეს პური, მწყუროდეს წყალი,
ოღონდ იმედის პერანგი მეცვას...

* * *

ისევ იგლოვდა წვიმა.
დღე იყო ოთხი აპრილის.
ხეს ფესვს უთხრიდა ქარი.
დაიჭრიალა კარმა...
– ვეღარ მოვიცდი მეტსო! –
თვალს მიეფარა მგზავრი...

## დიოგენ

მზეს ნუ ეფარები, კეისარო,
ნუ დამიჩრდილავ ჩემი წილი სამყაროს ნათელს,
ნუ გამიძარცვავ მარტოობის უმდაბლეს სურვილს.
დიახ, უბადრუკ გამოხედვას წავართვი მზერა,
სული დავუთმე მოკვდავთ ტანჯვებს,
სხეული – მიწას!
თვალები ჩემი მხოლოდ ცაა და მხოლოდ ზეცა...
ჩამომეცალე, კეისარო!
მზეს ნუ ეფარები!
უნდა მივაგო საზღაური მე ჩემს საწუთროს...

* * *

ვერვინ გადავა უკვდავთა ნებას
და ნარცისს სევდა მოძებნის ისევ.
დღეს თანატოსი მოკლავს გაზაფხულს.
დუმს ორითია ქარის ძახილზე.
დაიგრიალებს ღამე საავდროდ.
დაიბადება ნოტოსი ხევში.
დაიმალება ვარსკვლავთა ფარა,
მთვარე შიშისგან გაქრება ბნელში.
წვიმა გამოჰყვა თეთრ ღრუბლებს კვალზე,
კვლავ ახმაურდა ზევსის ეგიდა,
იელვა ელვამ ათენის ხმალზე
და ჩამოცვივდა ცრემლი თემიდას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

კლდეს ნაგვემივით შემლოდა სახე
და მლოცველივით იდგა ბუნება.
ჩუმად ტიროდნენ ყვავილნი - ვნახე
და არყოდათ ქარებს გუნება.

## კოლხური მირაჟი

სახნისის ბილიკს მიჰყვება კვალი,
ხარებს რქებს შუა ადგას ნათელი,
დაამწყალობებს მეხრე ნახნავებს,
სუფრის თავს იწვის თაფლის სანთელი.
თენდება, ხესთან ნიმფა ხარხარებს,
ხარებს მოეხსნათ უღელი, კვერი.
მთვარე გადაცლა მუხას, მახარემ
დალოცა ღვინით, გატეხა კვერი...
ეს მირაჟია მარადიული;
მაღლა - მუხაზე ოქროს საწმისი;
დაბლა - მიწა და ხარები, კაცი -
ცალ ხელში ხმალით, ცალში - სახნისით!

* * *

და ხელმა უცხომ მაღლა ცაში გაავლო ხაზი,
დაუსაწყისი, უჩინარი და უსასრულო.
სამი დღე მომცა, სამი დილა, სამი საღამო;
უნდა ვიპოვო ბედისწერის, ჩემის, წერტილი -
გადაკვეთილი უცხო ხელით უჩინარ ცაზე...

დათქმული დროის მარცვლებივით ცვივა ქვიშაში...

* * *

კლდემ ნაპრალიდან ამოისუნთქა
რძისფერი ნისლი.
მდინარის კენჭმა შეისრუტა
მოთეთრო ნამი.
მწვანე ბალახი გადასარჩენად მიიწევს წყლისკენ...
შეიყრებიან ქარიშხლები ურარტუს კართან
და ყველაფერი ამაოებად იქცევა ისევ -
უკიდეგანო სამყაროს გარდა...

* * *

ბეწვის ხიდზე გავლით წყეროვილს ვიკლავ დარდის,
შეუშრობი ცრემლის მოვიკვეთე ლანდი
და მოხრილი ქედით, დაწყევლილი ბედით
შევყრიე აჩრდილთ, გავყვედევნე ძახილს...
უკვირთ ანგელოზებს - ყოფილაო ბალდი.
მეფერება ნიმფა დაღლილს, დაღლილს, დაღლილს,
დავრჩენილვარ მარტო, დაღლილი ვარ წყევლით.
დამაპკურე, ღმერთო, უცოდველთა ცრემლი...

* * *

ბალახის ფერი მიიღო ნისლმა
და წვიმის წვეთში ჩასახლდა მწუხრი.
მლოცველებივით ხვდებოდნენ გრიგალს
ხეები ცივი, ხეები უტყვი.
იელვა ყვითლად და ნაფლეთებად
მოედნენ ზეცას რუხი ღრუბლები.
სტკიოდათ ჩუმად, ტიროდნენ ჩუმად
გარდასულთა და მოსულთ სულები.

## ინკვიზიტორი

ისევ ჩნდებიან ღამით სენაზე
კუდიანები.
სტკივათ სხეული,
დაღდასმული
ცეცხლის ალებით...
ნაპირს ძარცვავენ ქარიშხლები
ურცხვი თვალებით
და გაწეწილი ტირიფები
კარგავენ კლემას.

## სემირამიდა

„ნეტავ, რა ხელმა...“ - არ იტყვის არვინ
დაღუმებულან ბაგეები რიდით და კრძალვით.
აქ დრო გაჩერდა, მირაჟია წლები და დღენი,
საუკუნეებს აჩოქებენ სამოთხის ხენი.
აქ, ამ ბაღებთან ისვენებენ ხორშაკნი ქარნი.
ზღაპრებს და სიზმრებს, ბაღებისას, ჰყიდიან
მგზავრნი...
ეს არც მონათა ნაკვეთებია და არც მეფეთა,
ეს - სიყვარულის თქეში ცვივა გოლიათ ხიდან.
ო, როგორ ვნატრობ, ო, როგორ მინდა, ჩემი
ყოფიდან
შენს საუფლოში გადმოვსახლდე, სემირამიდა...
შენი სამყარო უკვდავია, ვგრძნობ, რომ
სრულქმნილ ვარ.
შემოსილი ხარ გაზაფხულის მწვანე ფურცლებით.
შენს ფერხთ წინაშე, ყვავილთა მტვერში
ხელაპყრობილნი დაჩოქილან მგოსანთ მგოსნები...

* * *

რომ მოადგება ჩემს კუნძულს შავი კანოე დარდის,
მე შევძლებ ღიმილს ტირილის ნაცვლად.
მე შევძლებ, ალბათ, გავმართო ანძა
და დავრჩე მარტო უძირო ზღვაში...
მე ჩემს სიმღერებს ვიმღერებ ისევ,

დავფარავ ღრიალს მშფოთვარე ტალღის.
წამომყევ, ქარო, გავშორდეთ ნაპირს –
რომ მოადგება ჩემს კუნძულს შავი კანოე დარდის...

* * *

დაბრუნდი, სულო!
შეშლილ სხეულში შემოაბიჯე
და ცოდვებისგან მიხსენი ისევ...
დაბრუნდი, სულო!
მე გიერთგულებ, როგორც ქარები
გოლიათ ხეებს.
დაბრუნდი, სულო!
და მე გავწყვეტ სიძულვილს წელში.
შურისძიებას წყევლით მოვკლავ.
მოვეფერები უფერულ დღეებს...
დაბრუნდი, სულო!
შეშლილ სხეულში შემოაბიჯე
და ცოდვებისგან მიხსენი ისევ!

* * *

კერიას ეჯდა მუხანათობა
და მელოგინეს ღამეს უთევდა.
სამყარომ შობა ბრმა უკუნეთი –
შავი ძმობილი ბოროტთა სულთა.
როცა პეპლები მოვლენ სამისნოდ,
შენც ყვავილივით მოდიხარ მინდვრად.
ო, სად მოსულხარ, ჩემო მაისო,
აქ ხომ კაენის სასახლე იდგა...

## პირამიდებთან

უცხო სიმღერას იმღერის ნილოსი
და პერგამენტის ძველ ფურცლებს მორწყავს...
იდუმალებით სავსე მზერით მაცილებს სფინქსი
და რას ტაძართან აღავლენენ ქურუმნი ლოცვებს.
გამოკიდულა პირამიდა ცა-მიწას შუა
სამოციქულოდ უკვდავებსა და მოკვდავთ შორის...
უცხო სიმღერას იმღერის ნილოსი...

## ჩვენება ღვთისმშობლის ტაძრის ფონზე – პარიზში

სძინავს მთელ პარიზს,
სიჩუმეა.
დრო გაჩერდა, არ იძვრის ქარი.
ტაძრის კედელთან დგას ბოშა ქალი,
ვით დედოფალი...
ვხედავ, აცეკვდა ლურჯი აჩრდილი,
არც დაირები, ნარნარებს უხმოდ,
მერე ცხენები გამოჩნდნენ ეტლით
და დედოფალი მეეტლეს უხმობს...
...მივდევ, ვერ ვწვდები და ვეწამები
და ის მშორდება იდუმალებით.
მე ვრჩები მისი ჩრდილის ამარა
და დავასველებ ჩემს ჯვარს ცრემლებით...

* * *

სწრაფი ფიქრივით მოძებნის ფიფქი,
დაათოვლება ჩაფერფლილ ბუხარს
და გაჩერდება დრუბლებში მთვარე,
აქ რომ ქარები გაწყვეტენ სუნთქვას
და დამთავრდება ეს უნდო ღამე –
საშიში, ბნელი, ურცხვი და გულქვა...

* * *

მე ამ ტილოზე დავხატე სახე
მწვანე თვალებით, წამწამთა ხაზით.
მე ამ სხეულზე დავხატავ ფოთლებს,
როგორც ხეებს აქვთ ნაყოფი – დარდი...

* * *

ჩემს პატარა ძმას, რომელმაც აკრძალა
ჩვენს ეზოში ჩიტებზე ნადირობა.

აქ, შენს ეზოში
საყდარია ზამთრის ჩიტების.
ხეები უკან აბრუნებენ
თოფის სროლის ხმას...
გაყინულ ხელებს აფიცხებენ
ბუხარს ბიჭები.
ხორკლიანი მზე ეფარება საქორია მთას.

## ციკლიდან: „ამორძალები“

### I. ამორძალი

ისე გაძარცვეს სურვილი შენი,
ვით შემოდგომამ ხეთა ფოთლები.
კაცი წავიდა ჩუმად და ფრთხილად,
გამოგვეცალნენ ტრფიალთ ორები.
წყალზე დანთებულ კელაპტრებივით
იდგნენ მაღლობზე თმის ქალები –

ეროვნული ბიბლიოთეკა


უხმო ჩურჩულით უხმობდნენ ამურს
ძუძუმოჭრილი ამორძალები...
ჩამოივანა ჭალაში მწუხრმა,
წყალს შეულოცა ახალმა მთვარემ
და დაიცალა სიცოცხლე უმალ,
ვით ნაზამთრალზე დამდგარი ღამე.

## 2. შეყვარებული ამორძალი

როცა ჰელიოს გაეკვრის ეოსს მოწმენდილ ცაზე,
ფერმკრთალი მთვარე დილით ტოვებს შავგვრემან ნიუქსს.
ცრემლი დაცვივა ყვავილებზე უკვდავ ნეფელეს,
თურმე ხეებიც ფოთლებისგან იძარცვებიან,
როცა ქალწული მოჭრილ მკერდს იგლოვს...
უხეშ ხელებში მშვილდ-ისარი ზომავს ჰორიზონტს
და ბორეასი ისევ მშვიდად, ქვითინით ტირის,
მალულ სიყვარულს როცა ღმერთი მსხვერპლად მოითხოვს,
მაშინ ხეებიც თავდახრილნი თმას იძარცვავენ,
როცა ქალწული მოჭრილ მკერდს იგლოვს...

## 3. დაჭრილი ამორძალი

სილიან ნაპირს სიყვარულს უხსნის ოკეანიდა,
თითქოს არ ესმით მახვილთ ხმები ბრძოლის ველიდან,
გაშორდა ბნელი პირქუშ ჰადესსაც
და ვარსკვლავები მწვანე ბალახზე
დაცვივდნენ დილის ნამის წვეთებად...
გადმოიწვერა მეწამული მზე მშვილდის წვერზე
და, რომ შეეხო მამრის ხელი მოუჭრელ მკერდზე,
ვერ ზიდა შუბი, დაიცალა ძალ-ღონისაგან,
მსწრაფლ განერიდა არესის ველს და სიძულვილი
გამოკეტა პანდორას ყუთში...
გაწვიმდა ისევ, ათენას ხმაში ყვიროდა ომი.
სილიან ნაპირს მკერდს უკოცნიდა ოკეანიდა,
ღია ჭრილობას აფროდიტე ზღვის ქაფით ბანდა
და ისევ მშვიდად დილის ვარსკვლავთ ულევი ცვენა
ნამის წვეთებად მთავრდებოდა ლილისფერ ველზე...

## 4. ამორძალის სიკვდილი

რის ჰორიზონტი მოკვდავივით განიგმირება,
გადამწვარ ქვიშას შეაშრება ცრემლის მდინარე;
როცა ავყიობს ქარიშხალი ველურ გვიმრებთან,
როცა სიჩუმე ჩამოწვება ომის წინარე...
როცა ალიონს სისხლისფერი პერანგი მოსავს,
როცა არესი სიხარულით თრთის და ხარხარებს,
ამორძალები აღავლენენ ჭალაში ლოცვებს
ახალი ომის გადასატანად...
როცა ბუნება თავს იწყევლის და თავს დასტირის,
როცა მდინარე, დილით ლურჯი, კვლავ გაწითლდება,
ის, ამორძალი, მშვენიერი, ნაზი ქალწული
ამურის მშვილდით?! არა - მახვილით განიგმირება...



*იულიუს ბისე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამუკა დოლიძე

## გამოფენა

შუქი ჩაქრა. ქუჩის განათება არის, ციმციმებენ რეკლამები, მაგრამ კიბეზე ვერ ჩავდივარ, რომ გარეთ გავიდე. არადა, როგორ მელოდებიან! როგორ მელოდებიან! ვინ? არ იკითხავთ? აბა რა გითხრათ, როცა სახლიდან ვერ გამოვსულვარ, რომ გავარკვიო, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავადგინო, ვინ მელოდება ქუჩის გადაღმა, სამხატვრო აკადემიის კედელთან. ვინ არის? რა უნდა? ან რად აინტერესებს ერთი უიღბლო კაცი, რომელმაც ნახევარ საუკუნეს ისე გადააბიჯა, ცხოვრებაში თავისი ადგილი ვერ ჰპოვა? ვინა ვარ? რა მინდა? ამ უსაშველო წყვდიადში გარკვევით ვერაფერს ვიტყვი. უარესი კი ის უნდა იყოს, რომ შევეგუე სიბნელეს. ჩვეავად მექცა ბნელში ხელის ფათურით ბოდიალი. მეტსაც გეტყვით: ამ მავნე ჩვევის შესაფერისი მსოფლმხედველობაც კი გამოვიმუშავე, რომლის თანახმად უგზო-უკვლოდ ხეტიალით მიზანს უფრო მიაღწევ, ვიდრე წინასწარ დასახული გზით და, რაც მზის სინათლეზე ვერ გიპოვნია, ბნელში შემთხვევით იმას შეიძლება გამოჰკრა ხელი. ამიტომ მადლობა „თელასს", რომ შუქი გამორთო! რომ სინათლის ცეცხლზე ჰამლეტის მამის აჩრდილივით დავცოცავ; ქუჩის გადაღმა მოუთმენლად მელოდებიან, დაძაბულობა იგრძნობა ზევითაც, სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზშიც. ვიღაცამ გადასწია ფარდის კუთხე და სავსე მთვარესავით გამოანათა ქსოვილთა ნისლში.

არავის შეშინებას მე არ ვაპირებ. არც ის მინდა, ჩემს ნაცვლად იძიონ შური და სისხლის ტბა დააყენონ გრიბოედოვის ქუჩაზე. ძმა მე არ მყავს, ყურში საწამლავი რომ ჩამაწვეთოს, ცოლი ჩემს მერე გათხოვებას, არა მგონია, მოასწრებდეს, შვილს რაც შეეხება, ისეთი დაბნეულია, სისხლის აღებას ვინ ჩივის, ნეტა, თავის თავს მიხედოს.

არა! ჰამლეტი აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, ბნელეთის მობინადრე აჩრდილივით გამოვეცხადე შუქ-მიბინდულ ქუჩას. სიბნელეში რაც ხელთ მომხვდა, ის შემოვიცვი. თმას აღარც კი ახსოვს მაკრატელი და ჯაგრისი. ფაქტია, რომ ჩემი სახით ვიღაც თმაგაჩეჩილი, ნახევრად ჩაცმული გამოვარდა გარეთ, გამოვარდა ჩემს უკითხავად, რადგან მე თუ გახსოვართ, ყოველთვის კოხტად ჩაცმული, თმადატკეპნილი გამოვდიოდი ქუჩაში. ეჰ, რა დრო იყო! კაცსაც ისე ლამაზად მოკლავდი, ლამის ჭირისუფლები დაგიკრავდნენ ტაშს. ო, ეს იყო რომანტიზმის ხანა! რაის რომანტიზმიო, იკითხავს ვინცხა, სწორედ რომანტიზმი, რადგან ზომიერების დარღვევა უკვე რომანტიზმია, როცა სილამაზის შეგრძნება გადადის ყოველგვარ საზღვარს და ტკბილი სიზმარივით გვეთამაშება ნამდვილი ცხოვრება.

– გათავდა სიზმარი! გაიღვიძე! – მომძახიან გაღმა მხრიდან.

მთვარეული ხომ არ ვგონივარ ამ გადარეულებს? უბრალოდ, ზამთრად ბნელში ყოფნამ სიცხადე დაუკარგა მზერას, წაშალა ჩემი სახე, ფორმა შემოაცალა სხეულს. ზოგი ისე დავაფრთხე, კედელ-კედელ მიიპარება. ერთი ქალბატონი კი გაოცებით შემომცქერის.

– რას დამსგავსებიხარ, შე უბედურო!

– რა გნებავთ, ქალბატონო..?

– სულხან, – აივნის ჩამუქებულ კუთხეს შესძახა ქალმა. მანსარდის ჩრდილს კაცის სილუეტი მოსწყდა.

– აქ მო! – გასცა ბრძანება.

სილუეტმა სინათლეზე კუნთმაგარი კაცის ხორცი შეისხა.

– აჩვენე მეგობარს მისი პორტრეტი!

– სულხანი სამხატვრო აკადემიის შენობაში შეგვიძღვა. ნანა – ასე ერქვა იმ ქალბატონს – გვერდში მომდევდა. ხელი მოვხვიე.- ჯერ პორტრეტი ვნახოთ! – ჩურჩულით გამომისხლტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უნდა ვნახო? მეათეხარისხოვანი მხატვრის უნიჭო ნაცოდვილარი ცოცხალ-მკვდარი ადამიანის შესახებ. სარკე არა მაქვს? რას იკლავდა თავს?

- სარკე სხვაა. - მომიბრუნდა ნანა. - შენი პორტრეტი კი შენსავით განუმეორებელი და ერთადერთია.

დერეფანმა მოუხვია და პატარა ოთახი შემობრუნდა ჩემკენ - ჭერამდე სავსე მტვერდადებული ტილოებით. სულხანი ღრმად შეიჭრა სართულებად დაწყობილ სურათებში. ზედა ფენა გადმოანგრია და თავფეხიანად შიგ ჩაძვრა.

ერთხანს თითქო ვიღაცას ებრძოდა, ისიც უძალიანდებოდა, ფართხალებდა, მაგრამ სულხანმა სძლია და, როგორც იქნა, გამოათრია ნახატების გროვიდან.

- ეს ვინდაა? - ვცდილობ გავარჩიო ფერმკრთალი სახე.

- დაგიჯერო, ვერა ცნობ? სიბნელეს დავაბრალო ეს თუ სიბერეს? - თქვა ნანამ.

- უიმე, შენა ხარ? - იხტიბარი არ გავიტეხე და ჩავეხუტე უცნობს.

- იქნებ მეც აღარ გახსოვარ? - გაგვაშველა ნანამ.

- შენს თავს რა დამავიწყებს! - ვიღრიალე.

- ამან დახატა შენი პორტრეტი. მერე კი ფაფუ... არ ვიცი, გაყიდა თუ არაყზე გადაცვალა.

- ასე უნდა მოექცე მხატვრულ ნაწარმოებს, შე დამთხვეულო? - სულხანმა უცნობს ნჯღრევა დაუწყო - გაიხსენე, სად წაიღე, ვის გაატანე!

- გამახსენდა! - უცებ აყვირდა მხატვარი, ნახატების გროვას გადაახტა და კედლის ბზარში შეძვრა.

- არ გაგვექცეს! - იყვირა ქალმა და ფეხდაფეხ მისდია.

ერთი კი დავაპირე გაძალიანება, მაგრამ სულხანმა ისე მკრა ხელი, გაბზარული კედლიდან პირდაპირ გვირაბში შემაგდო.

- სად მიგვყავართ? - შევძახე ქალს.

- გამოფენაზე, - გამიღიმა, - ოღონდ მანამდე სპეცმომზადების კურსები უნდა გაიარო. გარანტია უნდა გვქონდეს, რომ ყოველგვარი ექსცესების გარეშე მოინახულებ შედევრებს.

- არ მინდა! - გავჩერდი.

- გინდა, მაგრამ გეშინია, - სულხანმა ისევ მკრა ხელი. - ვერ ხედავ, სული წინ გისწრებს. წინ წასულ მხატვარზე მანიშნა.

ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, გვირაბი გაფართოვდა, განათდა და წინ სამხატვრო აკადემიის შიდა ბაღი გაიხსნა.

მიწურული ღამე ფსკერზე narჩენი ნალექივით ტრიალებდა განთიადის სხივთა ჩანჩქერში. სილამაზის კანონების დაცვით გაშენებული ბაღი ვერ იზიდავდა ჩემს გულს.

- რაღა დროს ჩემი აღზრდაა, დავბერდი კაცი, ტვინი საცერივით გამიხდა, - ამოვიოხრე.

- აი, ეს ნაღდია, - ტაში შემოჰკრა ქალმა. - მაგრამ, მოდი, საქმეს მივხედოთ.

ამ მომხიბლავმა არსებამ ამიხსნა, რომ მე და ჩემი მხატვარი წარსულის გადმონაშთებს ვეკუთვნით, რომ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ჩვენი გარდაქმნა და ახლებურად აღზრდა, აღსაზრდელთა საწყისი მონაცემების დადგენისა და მათი შემდგომი გადამუშავების საფუძველზე.

- ვინ ბრძანდებით? - მკითხა.

- წარმოდგენა არა მაქვს, - ხელები გავშალე. - რაც „თელასი“ „საქენერგოს“ შეეჯახა, ისეთი წყვდიადი ჩამოწვა, საკუთარი თავის გარჩევის უნარი დავკარგე.

- მით უკეთესი! - ტაში შემოკრა ქალმა - იოლად გადასამუშავებელი მასალა იქნებით. მეგობარზე რაღას გვეტყვით?

მხატვარს გახედა, რომელიც გემოს უსინჯავდა ვარდებს.

- ჩემთვის ეს პიროვნება იმდენად ბუნდოვანია, საკუთარ თავს მაგონებს.

- ნუ წაიშლებით სულ, თორემ ჩვენც არაფრად ჩაგაგდებთ და ნაგავს გაგაყოლებთ.

ამის თქმა და ქუჩის მხრიდან აწკარუნდა ნაგვის მანქანა.

- ვერ გადაგვაგდებ! - უთხრა მხატვარმა - მშვენივრად იცი, ვინცა ვართ.

- წადი, დღეს შენთვის არაფერია. - ხელი გაუქნია ქალმა ბაღში შემოსულ მენაგვეს.

- მე კი ვიცი, ვინცა ხარ - გამიღიმა - მაგრამ საჭიროა, თვითონაც გახსოვდეს ეს. - შემდეგ შებრუნდა და ბუჩქნარს შესძახა - ქალბატონო ლიანა!

მცენარეული ყოფიერების სრულ სიჩუმეში ჩურჩულით გაკრთა მისი ხმა.

- ლიანა დეიდა! - ხმა გაძლიერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– აღარ უნდა მომასვენო – ერთ-ერთი ბუჩქი შეინძრა, ფეხზე წამოდგა და ჩვენკენ წამოვიდა. სახე-სხეული ძლივს გამოიკვეთა ბუჩქივით დამდგარ და ლიანებად გადმოყრილ თმაში.

– აღარ უნდა მომასვენო?

– კიდევ ერთი გზადაბნეული მოგიყვანეთ, – წარუდგინა ნანამ ჩემი თავი.

კაცის კვალობაზეც საკმაოდ ზორბა ლიანა დეიდამ ხელი ისე მომიჭირა, ლამის თითები ჩამიმსხვრია.

– ხომ იცი, როგორ გვიჭირს ადგილები? – მიუბრუნდა ნანას.

– ო, ეს იშვიათი ადამიანია! (თუნდაც იმიტომ, რომ პირველ პირში არსებობს).

– ვინ ბრძანდებით? – ჩამეკითხა ქალბატონი ლიანა.

– მე ვარ მე! – დავჭექე.

– გაქვს კი ამის უფლება? პირველ პირში ყოფნას განსაკუთრებული დამსახურება სჭირდება. ჩვენი თავდაუზოგავი შრომის ფასადაც კი ათასში ერთი თუ ეღირსება პირველი პირის წოდებას.

– ნახვამდის! – შემოვტრიალდი.

– სად გარბიხარ! – დამემდგერა ჩემი ბუნდოვანი მეგზური. – მხატვრის თვალი უკეთესს რას ნახავს?

– მხატვარი ბრძანდებით? – გაუღიმა ლიანა დეიდამ – ო, როგორ გვაკლია გემოვნებიანი კაცი! როგორ ფიქრობთ, ეს სიწითლე წაიკითხება, როგორც ვარდი ორქიდეების ფონზე?

– ჩვენ ერთმანეთს [illegible]რ დავშორდებით, – ვთქვი. – მხატვარი [illegible]ველ პირში მყოფს თან უნდა ახლდეს...

– ეჰ, ბევრი ჩემულობს, რომ გამორჩეული და ერთადერთია ამ ქვეყნად, მაგრამ...

ლიანას უცებ აზრი გაუწყდა, თვალი გაუშტერდა, სწრაფადვე მოეგო გონს და გასაქცევად შემართულს ქეჩოში მწვდა, საშინელი ძალით დამითრია და ეკალ-ბარდებში ჩამაგდო.

ვიდრე განძრევას მოვასწრებდი, ორი ხე დამემდგერა, აქეთ-იქით გამქაჩეს. ერთი ნაღდად სულხანი იყო, ლამის შევეჯახე მის ხავსმოდებულ სახეს.

– შენი გახევებული მოწაფეები ჩემისთანა კაცს ვერ დაიჭერენ!

გავიბრძოლე გველებივით შემოხვეულ ტოტებში. მართლაც ხეებს ჰგავდნენ ეს უბედურები: ნამყენი კიდურები საგაზაფხულოდ გასხლულ სხეულზე. სახის დამსკდარი ქერქიდან ნაქური, წებონარევი თვალები.

– სულხან! – მივუბრუნდი ერთ-ერთს... ან მე რას მერჩი, ან თავს რატომ იღუპავ?

– ეგ უკვე დაღუპულია, – მითხრა ლიანამ. – მას შემდეგ, რაც ქვეყანა გადაჭამა და ყველაფერს მიედ-მოედო. აქ, ჩვენთან ხემცენარეული არსებობით იხდის სასჯელს.

არ გამიგია, ჯოჯოხეთი სამოთხის ბაღივით ლამაზი იყოს.

– რად გინდა ეს ტრანსცენდენტური ფრაზები? ჩვენ არც ასე ლამაზები ვართ და არც ისე ცუდები. მთავარია, რომ ვართ, ვარსებობთ და ჩვენთან ყოფნა ვისთვის სასჯელია, ვისთვის საჩუქარი.

– ჩემთვის რა იქნება?

– აბა, რა გითხრა, ჩემო კეთილო? არც მე ვიცი ეს, არც შენ და არც იმან, ვინც აქ მოგავლინა. ვნახოთ...

ამ სიტყვებით დამთავრდა ჩვენი გასაუბრება. რამდენიმე ბუჩქი აკადემიის პანსიონატში შეგვიძლევა. რეგისტრაციის შემდეგ მე უკვე ვეღარ გავაგრძელებ თხრობას, რადგან მესამე პირში გადამიყვანეს და მხატვართან ერთად ჩამრიცხეს პანსიონატის მოსამზადებელ ჯგუფში.

## თავისთავად გაგრძელებული სიტყვა შემდგომ მოვლენათა შესახებ

ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟს აღარაფერი აკლდა, როცა სამხატვრო აკადემიის პანსიონატში წარსულის ორი გადმონაშთი ჩარიცხეს, ჩვეულებრივ, ასეთ მოძველებულ, ფორმადაკარგულ მასალას ნაგვის მანქანას ატანენ ხოლმე, მაგრამ ამ უბედურებმა რატომღაც მიიქციეს სამხატვრო ადმინისტრაციის ყურადღება. ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებულ მეურვეობას მოითხოვს, რადგან, თუმცა მას ჩამოართვეს პირველ პირში ყოფნის უფლება და ამით გაათანაბრეს სხვა აღსაზრდელებთან, მას, როგორც ფიქრობენ, მაინც შერჩა სხვებისგან გამორჩევის საშიში სწრაფვა. ეს მისწრაფება ისე გაძლიერდა, რომ ერთხელ გაქცევაც კი სცადა! ბაღის კიდეზე გავიდა, ლობეზე გადაძვრა და პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირ მტკვრის ნაპირისკენ დაადო თავი! მდინარეზე არ ჭადასულა, სანაპიროს გაყვა და საპატრიარქოს გვერდზე ჩაუარა! აბა საიდან უნდა ცოდნოდა, რომ იქვე, ტაძარში შესძლებდა ჩამორთმეული პირადობის აღდგენას; ამ ცოდნისთვის ის ჯერ არ იყო მზად, მაგრამ რწმენა მაინც მიარბენინებდა წინ, ოცდამეერთე საუკუნის ნისლით მოცულ ქალაქში, კონტრასტების ქალაქში, სადაც უმოწყალოდ ჩაბნელებულ ფანჯრებს ენაცვლებოდა უხვად გაკაშკაშებული ვიტრინები. ისიც თავბრუდახვეული პეპელასავით ვერ წყდებოდა ამ სიკაშკაშეს, მოჯადოებული უტრიალებდა სათამაშოების ნათელ სამყაროს. სარკესავით მოელვარე შუშა იხილავდა მის თვალს, უსასრულოდ ირეკლებოდა მისი გონების სფეროში და ანათებდა უხსოვარი წარსულის არეს.

„და აქ უცებ შემომეცალა თავსმოხვეული გარსი და ვიგრძენი შეხება რაღაც ვრცელთან და ნათელთან და „ბავშვთა სამყაროს" მარადჩაუქრობელი ვიტრინა კალეიდოსკოპივით ათამაშდა თვალწინ და აღარ არსებობდა წლების სიშორე. კინორომანტიკულ კადრებად ჩამწკრივდა და დატრიალდა ძველი უბანი. თითქო ორსართულიანი ქუჩის ეს ფრაგმენტი, ფერთა თამაშის ეს ნაწვიმარი არე, სარკე-მოედანზე ასხლეტილი ცა იმდენად იყო წარუშლელი, რამდენადაც იყო წუთიერი და არსებობდა მხოლოდ ჩემთვის. მხოლოდ წუთიერად ჩემთვის ყოფნაში პოულობდა ის თავის უკვდავებას, რადგან მხოლოდ მე წარსულთან შეხების გზით ვუერთდებოდი მარადიული სიცოცხლის განცდას".

პანსიონატის აგენტებმა გაქცეული სათამაშოების მაღაზიასთან იპოვეს; უსიცოცხლო, გაქვავებული სახით მისჩერებოდა „ბავშვთა სამყაროს", ისე იყო გალურჯებული, ჩანს მთელი ღამე ვიტრინის წინ, ყინვასთან ჩახუტებულს გაეტარებინა.

- გასულია გაღმა - ფეხი წაჰკრა სულხანმა.

ცოცხალი თუ მკვდარი, მაინც მიჰგვარეს პანსიონატის დირექტორს. აღდგენითი სამუშაოები მთელ დღეს გრძელდებოდა. მხოლოდ მზის ჩასვლის წინ გაახილა საიქიოდან მობრუნებულმა თვალი.

- რატომ არ ისვენებ, რატომ ვერ ეტევი შენს ტყავში! - ქუხილივით მოესმა ლიანა დეიდას ხმა.

- ნუ ანჯღრევთ, ქალბატონო, არ შემოგვაკვდეს, - გააჩერა ექიმმა.

- ჯანდაბას მაგისი თავი! მეტიჩარა! ვერ ვასწავლე ჯგუფური ცხოვრება! სულ ხელიდან გაგვირბის! თავს ასე იმიტომ იჩენს, გამოფენაზე მოხვედრა უნდა! თითქოს ამოდენა ექსპოზიციას მაგის კოშმარული ხილვებისთვის ვამზადებთ! თავხედი! ჯერ ჩვენს მიწაში ფესვი არ გაუდგამს და უკვე თავის ჭკუაზე გვეთამაშება!

- თავი დამანებეთ! - ისე წამოიყვირა, ლამის ყალყზე შეაგდო ლოგინი - თვინიერ თოჯინას ვერ გამოძერწავთ ჩემგან! ხელში ჩაგემსხვრევით და მერე მიფრთხილდით!

- ბოდავს! - ლიანა დეიდამ შუბლზე აკოცა და ფრთხილად გაიხურა კარი.

ამ მონოლოგის შემდეგ მან სწრაფად აღიდგინა ძალები და ისევ გაქცევაზე ფიქრი დაიწყო. ამჯერად უფრო ფრთხილად იქცეოდა; შეიმუშავა ორაზროვანი, სიტყვით მოთამაშე სტილი და გადავიდა გაურკვეველ, გარდამავალ მდგომარეობაში, რაც მას საშუალებას აძლევდა ერთდროულად პანსიონატშიც ყოფილიყო - სანიმუშოდ დაეცვა ჯგუფური ცხოვრების შინაგანაწესი დ ამავე დროს მოეხერხებინა ყოფნა გარეთაც, ქალაქის ნებისმიერ უბანში. მაგრამ რაც უნდა შორს წასულიყო, იდუმალი ძალა უკან აბრუნებდა, აკადემიის საგამოფენო კორპუსთან, რომლის მიმქრალ ფანჯრებში რაღაცა მოძრაობა იგრძნობოდა; თუ ეჩვენებოდა?

შენობა ყოველმხრივ თავს აწონებდა, იხილავდა თავის ათასნაირად ჩაკლიტულ, ჩაქვესკნელებულ სანახებში, იხილავდა მხოლოდ იმიტომ, რომ მის დერეფნებსა და დარბაზებში განსაკუთრებული რამ მომხდარიყო, რაც თავისი კრიმინალური სიმძაფრით გამოკვეთდა და გამოაჩენდა მას. მაგრამ შენობა ჯერჯერობით არ იხსნებოდა მისთვის. მუზეუმის წინა ფასადი ვერანაირ აზრობრივ დატვირთვას ვერ ქმნიდა. უკანა, ყრუ კედელიც მოუსყიდავი მცველივით იდგა, იმედად ერთი ბზარიც არ ემჩნეოდა მის გაქვავებულ სახეს. უნდა შექმნას წონასწორობა გრავიტაციის ველში, რომ სულ სხვა ძალამ გააქარწყლოს სხეულის სიმძიმე და ატყორცნოს ზევით, ღია სარკმელთან, მაგრამ-რა? რამ შეიძლება შეაჩეროს მსოფლიო მიზიდულობის

ეროვნული ბიბლიოთეკა



კანონი? რომ სხეული გველის პერანგივით შეატოვოს სახლის საძირკველს და ავიდეს აფრინდეს ამ ცას მიბჯენილ კედელზე! რა ხანია წვალობს, გადაქექა ლექსიკონები, ათასნაირ სინონიმს შეახვედრა სულის დამამძიმებელი სიტყვა, მაინც ვერ გახსნა, ვერ გააფართოვა, ვერ შეამსუბუქა, ვერ აათამაშა ის...

„გეყოფა ტვინის ჭყლეტა! ცურვას ხმელეთზე ვერ ისწავლი! გამოსავალს უძრაობაში ვერ ნახავ!“

პირდაპირ დაეძგერა ქვითკირის კედელს, ბრმად, გაუაზრებლად შეაცოცდა ზედ. მთავარია, უკან არ მიიხედოს. ერთმანეთს ვერ ეგუება გავლილი გზით ტკბობა და წინ მოძრაობა, ახლის შექმნა და შექმნილის აღქმა; ქმნადობის ძალა ამოძრავების შვეულ კედელზე, ზევით და ზევით; ახლა მას ცა უფრო იზიდავს, ვიდრე მიწა.

ასე მიაღწია ღია ფანჯარას. მზე ფარშევანგის ბოლოსავით გაიშალა ცაზე. ფერად ჩრდილ-ნათელად დაიქსაქსა ქალაქი. ბუდიდან ამოვარდნილი სარკმელი მასთან ერთად მიეხეთქა ჩარჩოს. წამით ჩაბნელდა და ნათურებით გაბრდღვიალდა არე. საღამოს სურნელება შეეპარა ჰაერს. მუზეუმის შეუმშრალ ფერთა მკვეთრი სუნი ინტრიგასავით შეერია ამ სურნელებას და შექმნა მოძრაობა გარედან შიგნით, ღამის გარემოცვიდან საგამოფენო ნათელში. ამ მოძრაობამ წარიტაცა ჯერ მისი სუნთქვა, შემდეგ მზერა და ბოლოს ზესწრაფვით ამჩატებული სხეული. კი არ შეძვრა, ლამის შეფრინდა საგამოფენო დარბაზში.

ნაწვალები ფრაზების მიღმა უცებ გაჩნდა სილაღე, სიმსუბუქე; სუნთქვა თავისუფლად შეეძლო; აღარაფერი აჩერებდა; მოძრაობდა წინ და წინ, გადადიოდა დარბაზიდან დარბაზში და ეძებდა, თვითონაც არ იცოდა, რას; ფერშეუმშრალი, მწვავე ინტრიგა დაატარებდა შედევრებს შორის, მაგრამ არა! არც ერთი ქმნილება არ იპყრობდა გულისყურს, არაფერს ეუბნებოდა, არსაით მიანიშნებდა და ხალხით გაყრუებულ დერეფანში სამარის სიჩუმე იდგა. გაცვეთილი, ჩიხში მოქცეული სიტყვა აღარ ახსოვებდა აზრს, ვერ იჭერდა თავის მნიშვნელობას, ვეღარაფერს გამოხატავდა. მხოლოდ მოძრაობა იყო გამოსავალი, მოძრაობა, მოძრაობაში უძრავის აღმოჩენის, წარმავლობაში მარადიულის პოვნის იმედით. ამიტომაც არ ჩერდებოდა, ისევ და ისევ ტრიალებდა, აღარ მოჩანდა გზა, ხლართებში გაება ფიქრიც; ზეამოცანის გამჭოლი დერეფანი პატარ-პატარა ოთახებად მიმოიფანტა ფერ-ფორმები, კომპოზიციები, ჩრდილ-ნათელის თამაში, ათასფერი ცის ათასნაირი ქვეშეთი, უთვალავ საგანთა მასა, წარმოუდგენელ სახეთა სიზმარი დაუჯერებელ ამბავთა სიცხადე; ეს ყველაფერი ტრიალებდა მის ირგვლივ, მაგრამ ვერ ქმნიდა აზრს, ვერ იწვევდა წინ მოძრაობას, რადგან მწვავე სუნი სულ სხვა სიღრმიდან ისმოდა. მთავარია, არ შეჩერდეს, არ დაფიქრდეს, იმოძრაოს, რომ ყნოსვით მიაგნოს იმას, რამაც კედელზე გაიყვანა და აქ შემოაგდო. ჯერაც არ იცის, რატომ მიიზიდა ამ სიმწვავემ, რატომ ვერ ტკბება მხატვრობით და ეძებს, ეძებს ამ მწვავე, გამაღიზიანებელი უცოდინრობის წყაროს, იმ ათვლის წერტილს, რომლის ირგვლივ ეს არეული, ხერხემალგადამტვრეული მუზეუმი შემობრუნდება, დატრიალდება და თავიდან მოიპოვებს შინაარსობრივ სიმწყობრეს.

შეუცნობელი საწყისის ძებნაში თითის ირგვლივ შემოატრიალა დარბაზი და ბოლოს მიაგნო პატარა, აბლაბუდებით დაფარულ კარს, რომ ჩანდა და არც ჩანდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ჩაბნელებულ კუთხეში.

- უცხო პირთა შესვლა აკრძალულია - გზა გადაუღობა ხესავით აღმართულმა მეთვალყურემ.

- მე ვარ, მე!

- მართლა შენ ყოფილხარ! - იცნო სულხანმა - მით უმეტეს არ შეიძლება!

ხეკაცი გზიდან ჩამოიშორა, მაგრამ, შეეხო თუ არა კარს, აწკრიალდნენ, აჟღარუნდნენ, ამღერდნენ მუზეუმის ზარები, გადაბრეცილმა სახეებმა ჩამოაბნელეს სივრცე; ათასი ხელით დაებღაუჭა ლაბირინთის მცველთა ცხრათავიანი ურჩხული.

„ნუ ჩერდები! იმოძრავე! არ დაარღვიო რიტმი; შეჩერდები თუ არა, ეჭვის ობობა შემოგეხვევა და თავის აბლაბუდაში გაგხვევს. ვიდრე ეჭვებში გახლართულხარ, ვიდრე შეშინებას მოასწრებ, იმოძრავე, იბრძოლე, არ მისცე თვალს საშინელების დანახვის დრო. რიტმის უწყვეტობაში, იდეებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემების ცვლაში ველარ ასწრებენ მცველები ურჩხულად შერწყმას - თავების მიტყუპებას, ხელ-ფეხის შეერთებას, ერთი, უშველებელი სხეულის შესხმას. თავიდან მოახერხეს ეს, რადგან წამით შეფერხდი, წამით დაფიქრდი - რა ხდებოდა შენს თავს, მაგრამ, როგორც კი გამოხვედი უძრაობიდან, გველეშაპიც გაიფანტა, გათითოკაცდა".

ვერცხლისწყალივით დარბოდა, ტრიალებდა, თითებშუა უსხლტებოდა გამოფენის მცველებს და კედლიდან მოგლეჯილ საცეცხლურს ხმალივით იქნევდა. ამ თავბრუდამხვევი ცეკვის შედეგად ნელ-ნელა ამოიზარდა დალეწილ მცველთა სისხლიანი გროვა. ჩალურჯებული სახეები, ყურთან მოქცეული ცხვირი, გადმოკარკლული თვალი, მტევანჩონჩხს შელეწილი თითები, კვადრატებად, კუბებად დაშლილი სხეული ქმნიდა უზარმაზარ, დარბაზის მთელი სივრცის შემავსებელ პანოს, სადაც იდეა, ფერი და ფორმა ამაოდ დაეძებდა ერთმანეთს.

ახლა უკვე აღარავინ უშლიდა ხელს. კარი თავისით გაიხსნა და წინ, მწვავე სუნით გაჟღენთილ ოთახში გამოჩნდა...

საღ არის ამ დროს მხატვარი? რატომ დავივიწყეთ მეორე პერსონაჟი, განუყოფლად შერწყმული პირველათან? მოგეხსენებათ, მთავარმა გმირმა ისე გაამწვავა და დაძაბა სიტუაცია, თავისი მოძრაობით ისე შეავსო გამოფენის ლაბირინთები, ნემსის ჩასაგდები ადგილი არ დაგვიტოვა; ამიტომ ბოდიში, მაგრამ თავიდან უნდა გავიაროთ ეს გზა, მხატვარსაც რომ შევურჩიოთ როლი.

ყოველივე, რასაც აქ ეძლევა არსებობა და აზრი, ითხოვს დანახვასა და შეფასებას. სხვისი თვალი აგვირგვინებს საკუთრად ყოფნას და იწვევს მოძრაობას იდეიდან არსებობისაკენ. ამიტომ მოითხოვს მაყურებელს საკუთარ გამოფენაზე მოხვედრილი პირი და მშვენივრად ეგუება აზრს, რომ თვითონაც არის გამოფენილი და რომ მისი მოძრაობით უხილავ მხატვარს შტრიხი გამოჰყავს მისი ცხოვრების ფურცელზე.

ამრიგად, დავბრუნდეთ უკან, ღია სარკმელთან, სხივთა თამაშით შექმნილ სახესთან, რომელიც უკვე მოძრაობს სურათებს შორის. ღერეფანი უხვევს და უხვევს. და ისევ თავის თავს უბრუნდება! ჩანახატები და ესკიზები ერთი აზრის გარშემო ტრიალებს. გულს უწვავს ეს აზრი, გრძნობს მის სიმხურვალეს, ფერსა და გემოს, მაგრამ ვერ აცნობიერებს და ისევ მეორდება ერთი და იგივე, მონოტონურად, გულის გამაწვრილებლად... წრეში ტრიალი ხომ მისი ცხოვრების განცდაა! როცა აკვიატებული იდეა დესპოტივით თავს წაადგება და იპყრობს ცხადსაც და სიზმარსაც, გადადის ერთი ნაწარმოებიდან მეორეში; თითქოს წინ მიდის და მაინც ადგილზე რჩება! ახლაც გარბის, გარბის უკანმოუხედავად, ბრმად, რადგან ხედვის ეს გაცვეთილი, მომაბეზრებელი, იდეით თავსმოხვეული სტილი მზერასთან ერთად ფიქრსაც უფანტავს და კოშმარული სიზმრის გულის წამსვლელი სიმსუბუქე მიარბენინებს არსაით, რადგან მკვდარი წერტილიდან ვერ დაძრა დრო, ვერ მიაღწია სიცოცხლეს.

- ასე არაფერი გამოვა, - მოესმა ხმა, შეჩერდა, მიაჩერდა სიბნელეს. სილუეტი მოწყდა ჩრდილით მოცულ კედელს და წინ, სივრცეში გაიშალა.

- შენა ხარ?! - იცნო მხატვარი.

- ასე არაფერი გამოვა, - ფრაზა განმეორდა და გაგრძელდა - ჩანახატების ღერეფანს კუდი პირით უჭირავს. რამდენიც უნდა იხეტიალო, შორს ვერ წახვალ, პირდაპირ თუ არ გაკვეთე...

- ჩემი ბრალია! - აღმოხდა, - ხშირად მემართება ასე. შემომიძვრება, შემომიჩნდება რაღაცა აზრი, წამართმევს ნებას, თავისუფლებას და უსასრულოდ მატრიალებს ერთი წერტილის გარშემო.

- ეგ რომ არ ვიცოდე, აქ არც დაგხვდებოდი, - უთხრა მხატვარმა. - გავხედე თუ არა შენს ჩანახატებს, მივხვდი, ღერეფანი ნელ-ნელა მოუხვევდა და ბოლოს წრეს შეკრავდა.

- რა ვქნა?

- ბალის ჩანახატს დააკვირდა. აქ აზრი თითქოს წრეში აღარ ტრიალებს, კალაპოტიდან გადმოდის და სურნელოვან სიმწვანედ იღვრება.

- ვხედავ, მაგრამ ვერ ვიხსენებ. მახსოვს ოქროყანა, მახსოვს ის ბედნიერი დრო, მაგრამ, რა ხდებოდა ჩემს თავს, არ მაგონდება.

გაიხსენებ! - მხატვარმა უცებ დანა დააძრო და ნახატი შუაზე გაფატრა!

ბალის გახეული ქსოვილიდან სისხლივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იფეთქა ვარდების ნიაღვარმა. სიმწვანე გადმოვიდა ჩარჩოდან და მთელ სივრცეს მოედო. გამაბრუებელმა სურნელებამ აამღვრია დარბაზი, წაშალა ყოველი ჩარჩო და ერთმანეთს შერწყმული სურათები თვალშეუსწრებლად დატრიალდნენ მის ირგვლივ.

– არ წაიქცე, – მხატვარმა ხელი შეაშველა, მაგრამ ველარ მოასწრო. გახეულმა ქსოვილმა საშინელი ძალით მიიზიდა, მწვანე ელვერთა მორევმა დაატრიალა და ღრმად ჩაითრია.

– სადა ვარ? – მიიხედ-მოიხედა.

– ბაღში, – მოესმა გარედან – რასაც ელოდებოდი, ის დაგემართა. შენივე ჩანახატმა ჩაგყლაპა.

– შენ როგორ გადარჩი? ვინა ხარ?

– ვინ ვარ? განა წინასწარ არსებობს პასუხი? მივყვეთ მოძრაობას, დავიცვათ რიტმი და ჩვენი ერთადყოფნის ორუცნობიანი განტოლებაც ამოიხსნება.

ამის თქმა და ნოხივით წინ გადაგორდა მწვანე ბილიკი. თემად გაშლილი, მოტივებად გაბმული, აზრებად შეკრული და გრძნობებად დაღვრილი ბაღი ჯარს შემოეხვია; მართალია, გველეშაპი-გვირაბი შუაზე გადასკდა და ლიობიდან მზის სინათლემ მოსჭრა თვალი, მაგრამ სხივების ქსელში ისე გაიხლართა, ველარ მიხვდა, რატომ ვერ სუნთქავდა. რა უშლიდა ხელს.

– მიშველეთ! – იყვირა.

– სადა ხარ? – მოესმა ჩანახატის გარედან.

– თვალისმომჭრელი აბლაბუდებია ირგვლივ. დიდი ფოთლები დაიხურა ცა.

– ეგ ლელვის გაუკ ვი ძირია. გრაფიკულად რომ მოხაზე, მაგრამ ფერწერულად აღარ დაამუშავე.

– იმ ჩანაფიქრისთვის მეტი არც მჭირდებოდა!

– ჰოდა, იბოდიალე ახლა მაგ დაუმთავრებელ ესკიზში. ხედავ რამეს?

– ხის მსხვილი ტანი ცერად ჭრის ბუჩქებს, შუაზე იყოფა და ტყეპარკის მიმართულებით იშლება.

გაყევი ტოტებს! – დაუყვირა მხატვარმა – გააღწევ თუ არა ეკალბარდიდან, მარჯვნივ, პატარა მინდორზე გახვალ!

– ვხედავ! გამოჩნდა!

– მინდვრის კიდეზე, ტყესთან სკამი დგას.

– ფიცარი აგლეჯილი აქვს.

– როგორმე ჩამოჯექი. რას გრძნობ?

– მოუსვენარ სიმშვიდეს. მწუხარე სიხარულს. რაღაც გაურკვევლობას.

– სწორია. ოდესღაც უკვე იჯექი მანდ. იმასთან ერთად, ვინც თან გიყვარდა და თანაც გძულდა. ეჭვი და სიყვარული სხვადასხვა მხრიდან გლეჯდა შენს გულს.

– ამიტომაც გამომივიდა ბაღი ასეთი ორაზროვანი. ხან ალერსით მაბრუებს, ხან სამარეს მითხრის.

– ხედავ რამეს?

– ვერაფერს ნისლის გარდა.

– ნუ იძაბები! მოადუნე თვალი! ოცნებით გაეთამაშე იმას, რასაც ვერ ხედავ.

თვალთან შეთამაშებული ღრუბელი შემკვრივდა, შემოისაზღვრა, ნისლში გახვეული ქალი ჩამოუჯდა სკამზე.

– ნანა! – ხელი მოხვია.

– სულ ერთია, რას დამიძახებ, – ხელიდან გამოუსხლტა. – შენთან ყოფნამ წაშალა ჩემი სახე. ისიც არ ვიცი, გიყვარვარ თუ გძულვარ.

– ვინა ხარ?

– ვისაც ვერ ივიწყებ და არ გაგონდება.

– ნუ მაწვალებ. ან ცხადად მეჩვენე, ან თავი დამანებე.

– შენი ბრალია, ასეთი რომ ვარ. ეჭვით შემღვრეულმა თვალმა შექმნა ჩემი ბუნდოვანი სახე. აკანკალებული ხელით მომაწერე გაურკვეველი შტრიხები.

– აღარ შემიძლია!

წამოხტა, ხელი სტაცა. ქსოვილთა ნისლში გახვეული ქალი დაუსხლტა. პეპელასავით გაეთამაშა.

გაჰყვა. გაეკიდა. ვერ იხსენებდა და ვერ ეწეოდა. ვერ ივიწყებდა და მაინც მისდევდა. სიყვარული მიაფრენდა თუ დევნის აზარტი? ნისლი თანდათან გაიფანტა, ბაღს შეერია და უცებ ბეწვის ხიდზე აღმოაჩინა საკუთარი თავი.

– მიშველე!

– სადა ხარ? – დაუყვირა მხატვარმა.

– ქარი ათამაშებს ხიდს!

– შეიმაგრე თავი! გაწონასწორდი! ბოლომდე არ აყვე არც სიყვარულს, არც სიძულვილს!

– აღარ შემიძლია! ქარმა გაგლიჯა ხიდი! ბეწვზე ვკიდივარ!

გაწყდა ბეწვის ხიდი, მაგრამ ვიდრე ვარდნის სიმსუბუქეში ბოლომდე ჩამოეშვებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არყოფნის ფარდა, მხატვარმა ხელი შემოყო ნახატის სიღრმეში, ხიდს მოწყვეტილი ჰაერშივე დაიჭირა და ისევ ბადის კიდეზე დასვა.

- გამაგებინე, რა ხდება! თუ სიზმარში ვარ, მითხარი, ვის ვინ ესიზმრება!

- აბა რა გითხრა, - უპასუხა მხატვარმა, - მე და შენ ხომ ერთნი ვართ, მაგარამ, მე თუ ჩარჩოს გარეთ არ დამტოვე, ისე საშიშია მანდ შესვლა. საკუთარი გრძნობების უფსკრულს გარედან ხედვის სიმსუბუქით თუ დააღწევ თავს.

- აი, თურმე საიდან მოდის ის მძაფრი სუნი! იმასაც გეტყვი, რა იმალება იმ ოთახში - აბლაბუდა კარს უკან.

- სუ! იმ სიმწვავემდე შორია ჯერ! კვანძის ნაადრევი გახსნა აზრს დაუკარგავს ჩვენს შემდგომ მოქმედებას.

- ბატონი ბრძანდები.

- წამოდექი... გაყევი ხეივანს! ხეები შემჭიდროვდებიან, ერთმანეთს შეერწყმევიან.

მარცხნივ და მარჯვნივ მართლაც ჩაიკეტა სივრცე. ცის თაღი ჭერივით დაეხურა ერთმანეთს უწყვეტად, განურჩევლად აღევსნებულ ხეებს.; ბადი ალერსით შემოეხვია და ნიაღრასავით მოერგო.

- ხეივანი თავდება. გარეთ გამოდი! - დაუყვირა მხატვარმა.

- არ მინდა! აქ კარგად ვარ!

- გამოდი, უკვე გაიგეს შენი მანდ ყოფნის შესახებ! მუზეუმის მთელი ადმინისტრაცია ფეხზე დგას!

- ვის რას ვუშავებ?

ეგ ჯერ გაურკვეველია. დანაშაულის შედგენილობას მისი გამოძიების, მისი მხილებისა და განჩინების პროცესი დაადგენს. ჩემზე უკეთ მოგეხსენება, რომ ამ გაუკუღმართებულ მუზეუმში კვლევა-ძიება იწვევს საძიებელი საგნის არსებობას და არა პირიქით.

ძლივს ჩაამთავრა სიტყვა, რომ კარი გასკდა და დარბაზში ხალხის ნაკადი შემოიჭრა. ეს გახლდათ მცოდნეების, კრიტიკოსების, შემფასებლებისა და გადამკეთებლების პირველი ტალღა. მცველთა კორდონი ჯერ-ჯერობით იჭერდა ალალ-მართალ მნახველთა ძირითად მასას ვიდრე კორდონი გაირღვეოდა, სპეციალისტებს უნდა შეექმნათ აზრი გამოფენის შესახებ და გადაერჩიათ საუკეთესო ნამუშევრები.

ღმერთო, რა ხდებოდა ირგვლივ! სანახაობას მოწყურებული მცოდნეები ამტვრევდნენ ჩარჩოებს, თვალით ნანახს უსინჯავდნენ გემოს; ფერი სისხლივით ეშხეფებოდა კედელს, წვეთავდა ძირს; მცოდნეებს კრიტიკოსები ენაცვლებოდნენ, ლოჯებით გლეჯდნენ ყოველივე მხატვრულს; ღეჭავდნენ, უკან აფურთხებდნენ და ლუკმა-ლუკმა დანაწევრებულ, აზრობრივად დარღვეულ ფორმებში მთლიანობას ეძებდნენ!

- „რა საჭიროა ასეთი ნისლი! შტრიხი დაუმთავრებელია, სახეს დასრულება აკლია, სათქმელი ბუნდოვანია! ფერთა თამაში იდეას ამღვრევს, დრამატურგია იმსხვრევა! მეტი გარკვეულობა! მეტი სიცხადე! ნესტო ცხვირს უნდა მოერგოს, ცხვირი თვალებშუა ჩაჯდეს.!“

ნაწარმოებები ყვიროდნენ, მაგრამ ვიღას ესმოდა მათი ხმა? ნადავლი ახლა ხელში ცენზორებმა და გადამკეთებლებმა ჩაიგდეს. სად ფერს წაამატებდნენ, სად შტრიხს წაშლიდნენ, სად კომპოზიციას შეაბრუნებდნენ! ერთიან განწყობილებას პატარ-პატარა გრძნობებად არღვევდნენ და ნგრევის ქაოსში თავის დიქტატურას ქმნიდნენ; მაგრამ მთლიანობას ვეღარ აღგენდნენ. რაღაც აკლდა შესწორებულ ქმნილებებს. რაღაც უხილავი, სულ მცირე და უმთავრესი.

- დავუბრუნოთ სიცოცხლე მიწას მოწყვეტილ ხილვებს! ფეხზე დავაყენოთ სიზმარი! - ღრიალებდა ლიანა დეიდა და შემფასებელთა კბილებდაკრეჭილი ლაშქარი მუსრს ავლებდა მათ შესახვედრად გამოფენილ შედევრებს. მათ არ ესმოდათ, რომ დაუმთავრებელი სახე, ვერგამოთქმული აზრი იყო ხარკი სიცოცხლის იმ განუსაზღვრელი საწყისის წინაშე, საიდანაც დასაბამს იღებდა ყოველი არსებული.

საშიშია, გაეკარო იმას, რაც გულიდან გადმოსკდა და თავისით მიედინება ფურცელზე. მისი შეცვლა, მისი შევსება, მისი შელამაზება სპობს მის სიცოცხლეს.

- ხელს ნუ ახლებთ! არ შეიძლება არაფრის შეცვლა! - ყვიროდა მხატვარი. - შტრიხიც რომ წაამატო, სიტყვაც რომ დასძრა, დაირღვევა და გაიფანტება შიგ ჩასახლებული სული!

ვინ გიგდებს, ძმაო ყურს! თუკი ვინმეა შიგ ჩასახლებული, გარეთ უნდა გამოდევნონ, რომ მთლიანად დაისაკუთრონ მისი შექმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნილი! ერთს მკრთალი სილურჯე არ მოსწონს, რადგან ბაზარზე ახლა სისხლისფერი ზღვა უფრო ფასობს; მეორეს ამლმოღებული ქალაქის ეშინია, თავზე რომ ენგრევა ბომბდამშენების ცა; მესამემ ქართველის თვალში ჩაღვრილ სევდას ამერიკული ღიმილი მოარგო! მოკლედ, გაცხარდა მუშაობა! ვინ მზის ცეცხლი მოსდო სხივთა თამაშით შემდგარ განთიადს, ვინ ბადის-ჩრდილ-ნათელის გამძაფრება დაიწყო.

- მივცეთ მეტი კოლორიტი პეიზაჟს! - დაიყვირა ლიანა დეიდამ და წებონარევი ფერი შპრიცით შემოასხა ნახატის ჭრილში.

ამ ტკბილმა, დამამძიმებელმა სიმწვანემ სული შეუხუთა ბადს. მის მსუბუქ, სიზმრისეულ ფერთა მიმოქცევას ბაზრობაზე გამოფენილი მხატვრობის სიმკვეთრე და ელვარება მიეცა. ბადში მყოფსაც დაეხშო სუნთქვა, უკან, ტყისკენ დაიხია, იქაც რომ მისწვდა ინექციით შემოსხმული ფერი, მწვანე ქსოვილი გაარღვია და დარბაზში ისკუპა!

გადმოხტა თუ არა სურათიდან, შეშინებულმა კრიტიკოსებმა უკან დაიხიეს. მთელი ტანი უხურდა. მის ჩანახატში ქირურგიული ჩარევის შემდეგ თითქოს ხორცი მოაგლიჯეს, მაგრამ სიმხურვალე ჭრილობიდან არ მოდიოდა, ბრაზით ანთებული იმას დაეძებდა, ვინც მყუდროება დაურღვია.

- არ გემალები, აქა ვარ, - ხალხის ტალღიდან ამოცურდა ლიანა დეიდა. წელში გამოყვანილი კიტელი და დემოკრატიული ქვეყნის ჯინსები ეცვა. მის სწორ, იდეოლოგიურად გამართულ სახეს მრგვალი სათვალე ამშვენებდა.

- ბადში თამაშით სინამდვილეს ვერ გაექცევი, ყმაწვილო! - გადმოვიდა შეტევაზე. შენს მწვანე საფარს მოკლე ფესვები აქვს. მიწიდან ვერ ამოაქვს სასიცოცხლო წვენი.

- თავს არ დამანებებთ, ქალბატონო ლიანა!?

- მე არც ლიანა ვარ და არც ქალბატონი - თვალი აარიდა - ისე კი, თუ გაგეხარდება ძია ლავროსი დამიძახე (ეს ბნელს შერეული არსება სინათლეზე მართლაც ისე სწრაფად იცვლიდა ფერსა და სახეს, ვერ გაარკვევდი, ლიანა დეიდა იყო თუ ძია ლავროსი).

- რა მნიშვნელობა აქვს, ვინა ხარ! მთავარია ვინ დგას შენს უკან, რას წარმოადგენს ის ანონიმური ძალა, კანონის და სამართლიანობის სახელით რომ ათანაბრებს ყველას, - მიაყენა პირველი დარტყმა.

არც მე მადარდებს შენი წარმომავლობა, - უპასუხა. - შენ უნდა გახდე ხელოვნების უსახელო მუშაკი, რომლის ვალია არსებულის გამოხატვა და არა არარსებულის შექმნა.

- პირველი რაუნდი პირწმინდად წააგო. ძია ლავროსიმ ყველანაირად მოუგო სიტყვა. საჯაროდ ამხილა მისი მიწას მოწყვეტილი „სისხლნაკლული“ შემოქმედება.

ნუ გეშინია, - მხატვარმა ოფლი ჩამოსწმინდა, - ხომ ხედავ, რამდენს გირტყამს და მაინც ვერ წაგაქცია. ძალა არა აქვს მის დარტყმებს, რადგან თვითონაც არ სჯერა, რასაც ქადაგებს.

სიტუაცია მეტად დაიძაბა. ბლანტი, მძიმე, ოფლით შეღებილი ჰაერი ავსებდა ბრძოლის არეს. დარტყმის ყრუ ბგერა და სუნთქვა-შეძახილი თუ არღვევდა სმენადქცეულ სიჩუმეს. ძია ლავროსი აშკარად დაიღალა. ახალს ველარაფერს ამბობდა. თავის თავს იმეორებდა. ერთხელაც მძაფრად შეუტია, შინ დაზეპირებული სიტყვების კორიანტელი დააყენა ირგვლივ, მაგრამ აზრი ველარ მოიკრიფა და ახლა უმიზნოდ იქნევდა მუშტებს. იმასაც ველარ ხვდებოდა, რომ კაცს კი არა, იდეას ებრძოდა, იდეას ამ სიტყვის შესახებ, რომელიც არსებულს კი არ გამოხატავდა, თვით წარმოადგენდა სიცოცხლეს და არსებობდა თავის დაუსრულებელ მოძრაობაში. სიტყვა კი არა, სიტყვის თამაში იყო ეს და ამ თამაშმა ისე დაახვია ძია ლავროსს თავბრუ, დაავიწყდა, ვინ იყო, რისთვის იბრძოდა; სათვალე მოიხსნა, კიტელი შემოიგლიჯა და ფორმადაკარგულ ლაქაფ შეერწყა მაყურებელთა ტალღას.

ისევ ჩაქრა ნინათლე. მუქი, რომელსაც ნაწარმოებები ასხივებენ, ველარ ფანტავს სიბნელეს, რადგან წყვდიადი არ წარმოადგენს სინათლის საპირისპირო ცნებას, არამედ აქტიურად მოქმედი პერსონაჟია, თავისი ზღვარდაუდებელი არსებით მუზეუმის მთელი აგენტურის მომცველი.

ამიტომ ნუ გაგვიკვირდება, რომ გამჭოლი მოქმედების გვირაბში ეს ბნელი არსება რვაფეხასავით დაცოცავს; ადამიანის სუნით ალგზნებული, გვერდით ოთახებშიც აფათურებს საცეცებს, რომ გზიდან გადამცდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეები შთანთქას.

ასე ეწია ბნელი ჩვენს მოქმედ გმირს, ააცდინა დასახულ მიზანს, იმ პატარა ოთახს, საიდანაც მოდიოდა მძაფრი, გაუცნობიერებელი სუნი. ვეღარ გაარკვია, სინათლე ჩაქრა თუ სახეებმა ჩამოაბნელეს სივრცე. სილუეტების შავი ნაკადი გადადიოდა დარბაზიდან დერეფანში, შუშაბანდიდან შემოღვრილ სინათლეს ეჯახებოდა და ქმნიდა ნათელბნელი შტრიხებით მოქარგულ არეს.

- დაგვიბრუნდა ჩვენი მოუსვენარი ბიჭი! - ჩრდილთა ნათელის თამაშს სიცხადე მოჰფინა ლიანა დეიდას ხმამ. - სად გარბიხარ? რატომ უბრუნდები იმას, რაც უკვე დაასრულე? ბაღი გენატრება? ა, ბატონო, შუშის სათბური. უნებურ ჩანახატს ეს სილამაზის კანონებით გაშენებული ყვავილნარი არა სჯობია? მოგცემ გასაღებს და სულაც ნუ გამოსულხარ მაქედან. შენი სახით კიდევ ერთი იშვიათი ნიმუში შეემატება ჩვენს ეგზოტიკურ კულტურას!

ლიანას ნიშანზე ტოტებგაფარჩხული ხე მოსწყდა შუშაბანდს და მისკენ დაიძრა. ადამიანმა უკან დაიხია. გადმოზნექილმა ხემ ფეხზე შემოახვია ფესვები. ერთი ფესვი ზედ შეაცოცდა, ყელში სწვდა...

სისხლი მოაწვა სახეზე. წითლად აგიზგიზდა ჩანახატების კედელი. გავარვარდა ჭერი, ჩალურჯდა სივრცე; ერთხელაც აელვარდა მომაკვდავი დარბაზი, მაგრამ ვიდრე მთლიანად ჩაქრებოდა, ზედ აღსასრულის პირას განათდა გზა! - უნდა გაეღო საკუთარი არსებობის ტოლფასი მსხვერპლი, რომ გადაერჩინა ის, რაც მას ასაზრდოებდა და ამოძრავებდა. უცებ შეიცნო ეს გზა, უცებ მიიღო გადაწყვეტილება, ლამის შეეჯახა სულხანის ხავსმოდებულ სახეს,. ერთი გაფიქრებით გაგლიჯა ყელს შემოხვეული ფესვი და დერეფნის ბოლოს, ღია კარისკენ გაიქცა.

- იქ არ შეხვიდე! შეჩერდი! - მიეწია ხმა.

რაც გადაწყვიტა იმას ვეღარ შეცვლიდა. ნებაყოფლობით უახლოვდებოდა სამსხვერპლოს, რომ შეწირულობის წინ წუთით მაინც ეგრძნო თავისუფლება, მთელ ცხოვრებად უღირდა თავისუფლების ეს წუთიერი განცდა. მის მწველ სიმსუბუქეს შეეწირებოდა მისგან შექმნილი. შეუმჩნევლად აჰყვა სამხატვრო აგენტების კუდი, ეგზოტიკურმა მცენარეებმა ჩახლართეს გზა, მაგრამ რაც უფრო ცხადად ხედავდა მთავარ იდეას, მით უფრო ნათლდებოდა გამჭოლი მოქმედების გვირაბი.

მაინც ვერ მიაღწია მწვავე სუნით გაჟღენთილ ოთახს. სიტყვა, რომელიც წინ მიარბენინებდა, ამავე დროს მოძრაობის ახალ პერსპექტივასაც ქმნიდა და საჭირო იყო გარეშე ძალა, დაუსრულებელი სტრიქონიდან რომ ამოაგდებდა და ნამდვილ დროსა და სივრცეში გაიყვანდა.

ასე გარბოდა და მაინც ვერ ეწეოდა ბოლოში ალმართულ კარს. რაც მეტ ძალას ხარჯავდა, სიტყვა დერეფნის შესახებ უფრო გრძელდებოდა. სირბილი ვერ ამოკლებდა გზას და ბოლო აღარ უჩანდა დასასრულისკენ სწრაფვას.

წინ ისე ჩამობნელდა, ვეღარაფერს არჩევდა. ვერც უკან მოიხედავდა, რადგან, მიიპყრობდნენ თუ არა მის ყურადღებას, მაშინვე მიეწეოდნენ და ლუკმა-ლუკმა დაგლეჯდნენ კბილებდაკრეჭილი კრიტიკოსები. ასე მოძრაობდა არც წინ, არც უკან, ვიდრე მხატვარმა ფანჯრიდან არ შემოჰყო ხელი, გახსნა უკანასკნელი კარი და პატარა ოთახში შეაგდო.

* * *

მივიხედ-მოვიხედე. ირგვლივ არავინ იყო. მძაფრი სუნით გაჟღენთილ სივრცეში პორტრეტი ეკიდა. იმდენად ზუსტი და სრული იყო ჩემი ნაკვთები, რომ მე არ ვიყავი ეს. სურათი კი არ აჩენდა, ნიღაბივით მალავდა ჩემს ნამდვილ სახეს. ნაკვთების სიზუსტე და დასრულება სპობდა და ამ ორაზროვნებას, იმ გაურკვევლობას, იმ თამაშს, რაც ფაქტიურად ვიყავი მე.

ამიტომ ის უფრო მაინტერესებდა, რასაც პორტრეტი ფარავდა და არა ის, რასაც გამოხატავდა. ჩარჩოს დავეძგერე, ნახატი ამოვაგდე და შუაზე გადავხიე. საშინელმა ტკივილმა დამიბინდა გონება. სისხლის ბურუსმა გაავსო სივრცე. მძაფრმა სუნმა გრძნობაზე მომიყვანა. ეს სიმძაფრე გახეული სურათიდან იფრქვეოდა. ჭრილობაში ღრმად შევყავი ხელი. ყოველი მოძრაობა ტკივილს მაყენებდა. მაინც ვიპოვნე ის, რასაც ვეძებდი! გავარვარებულმა შუშამ ხელი დამწვა.

- არ მიეკარო! - მუქარასავით მომესმა.

უფრო მოვჭიდე ხელი. გულივით მფეთქავი ბოთლი ამოვიღე სურათის სიღრმიდან.

შუშის კედლებს მიღმა, მუქ-მომწვანო ფსკერზე ცეროდენა მხატვარი დაელანდე.

- დაიღუპები და ჩვენც დაგვღუპავ! - ერთხმად აყვირდა ხალხი.

დარბაზში გამოვედი. უზარმაზარი ენერგია მქონდა ხელთ, ვიპოვე ძალა, ამ უსაშველო მუზეუმს რომ შემომაცლოდა და თავისუფლებას მომიტანდა. ახლა უკვე თამამად დავაბიჯებდი გამოფენის სივრცეში. შიში ვერავინ მეკარებოდა. ერთი გაფიქრება, ერთი მოძრაობა და ჰაერში ავიტანდი საკუთარ ქმნილებებს. მენანებოდა მათთვის შეწირული ცხოვრება, მენანებოდა სიხარული, მათ შექმნას რომ ახლდა თან, მაგრამ იმდენი ტკივილი, იმედგაცრუება, შურის თვალი და გაუგებრობა მოსდევდა ამ სიხარულს, რომ აღარ შემეძლო ამ ტვირთის თრევა! ბოთლს თავი მოვხადე და ხელი ვუშვი...

შიგ შეკუმშული, მხატვრის სილუეტად შემდგარი საწვავი უცებ გაფართოვდა, ჯინივით ამოსკდა ღია ყელიდან და ჩემს შეუცნობელ ნებას აყოლილი გამოფენას ათასი ცეცხლით მოედო!

ძლივს მოვასწარი გარეთ გამოვარდნა, რომ მთელი შენობა განთავისუფლებული ჯინის ცეკვა-თამაშმა შთანთქა. ცეკვის ორგიაში ჩაიწვა სიყვარულით ანთებული ქალი, ცეცხლის თმა გაიშალა ლიანა ღეროდამ! დაირღვა და გაიფანტა განუკითხავ მცოდნეთა ინტრიგების მქსოველი ბირთვი! კვნესა, კივილი, სირენების ხმა... ღმერთო, რა ხდებოდა ირგვლივ! წითლად გავარვარებულ სართულებზე სასიკვდილოდ როკავდნენ ჩემი ცხოვრების პერსონაჟები. ქარცეცხლის ქროლვაში, ნგრევასა და ქაოსში უკვე ველარ ვარჩევდი ვერც ერთს!

ერთხელაც საშინელი სისწრაფით გატრიალდა ჯინი, თან წარიტაცა ჩემი თავდავიწყება და სიბრაზე; ერთხელაც აელვარდა საშხატვრო აკადემიის შენობა, შემდეგ მუყაოს მაკეტივით ჩაიკეცა და ხანძრად ავარდა.

დავაბიჯებდი ნანგრევებს შორის ყველაფრისაგან თავისუფალი, სასოწარკვეთილი; თითქოს მუზეუმი კი არა, მე ვიყავი დამწვარი და გამოლადრული და ჩანახშირებულ ფერთა სამარეში ამაოდ ვეძებდი სულის სამყოფელს. მაინც ბჟუტავდა იმედი, რომ აღმოვაჩენდი სიცოცხლეს, მაინც ვერ ვშორდებოდი ნახანძრალ ეზოს, ვიდრე კვამლი არ გაიფანტა და დავინახე ის რასაც ამოდენა მსხვერპლის ფასად ველოდი;

წინ, თვალისმომჭრელ სხივებში ჩემი სურათების სასწაულით გადარჩენილი კედელი გამოჩნდა! ცეცხლი ვერ ეკარებოდა, მხოლოდ ჩარჩოსავით გარს ერტყმოდა და ანათებდა სიტყვით შექმნილი ნახატების საგამოფენო სივრცეს...



მაურის ესტევე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ელგუჯა მარღია

## ნუ გეშინია...

ნუ გეშინია... მე შენთან მოვალ,
მოგძებნი ბნელში ხელისცეცებით...
მჭირდები ისე, ვით ზამთარს თოვა,
როგორც ორთავეს ეს სარეცელი.

შენ ახლა ისე მჭირდები, ისე,
ვით ღამეს დილა, დილას - საღამო...
როგორც პოეტებს უსაზღვრო სივრცე,
როგორც ვარსკვლავებს მთელი სამყარო.

მე ვიცი, თბილი ცრემლების გასწვრივ,
შენი სიზმრებიც როგორ შფოთავენ...
ვით დაკარგული ნაწილი ნაწილს,
რადგან ერთმანეთს ვეძებთ ორთავე.

ნუ გეშინია... მელოდე... მოვალ,
გიპოვნი მაინც ხელისცეცებით,
მჭირდები ისე, ვით ზამთარს თოვა,
როგორც ორთავეს ეს სარეცელი.

## გიორგი ჭანტურიას საფლავთან

„ნუთუ ვერ შეუგნიათ უკანონოების ჩამდენთ,
ჩემი ხალხის მჭამელთ,
პურს რომ სჭამენ და ღმერთს არ უხმობენ?
იქ შეკრთნენ შიშით, რადგან ღმერთი
მართალთა თაობაშია“.
(ფსალმუნი 13.4.5)

დღეს უფრო მძაფრად
მენატრები და მენანები...
ვით ცოცხალს,
ისე გითვალთვალებს
მკვლელი, ართვალი...
შენ იყავ კაცი! -
რა თქმა უნდა,
იყავ ცოდვილი...
იყავ ცოდვილიც
და უფალთან ცამდე მართალიც...
საწუთრო მაინც,
გამუდმებულ ტანჯვით მოსილი,
ლამაზია და შეუცნობი,
როგორც თემიდა...
დღეს შენს საფლავთან
მუხლმოყრილი ქალი ლოცულობს
და უკვდავება იმზირება
ქალის ცრემლიდან.

* * *

დავიღალე და გადამეღალა
სულიც, სხეულიც, როგორც ქვეყანას...
ირგვლივ გარემო ცოდვით დამძიმდა
და უფრო მეტად ყოფნა გაჭირდა.
და ეს სამყაროც ისე გაცივდა,
ამაზე ფიქრი უკვე არც მინდა...
მაინც როდემდე უნდა გაგრძელდეს,
მაინც როდემდე - ჯვარცმა-ჯვარცმიდან...
მაინც რამდენი უნდა იდარდო,
უნდა იტანჯო და იქვითინო.
ეს ყველაფერი მაინც როდემდე,
პატიმარივით, უნდა ითმინო.
ეს შენი წილი მცირე სიცოცხლე,
ვის უნდა უძღვნა და შეალიო;
მაინც რამდენი შხამი, სამსალა,
რამდენი თასი უნდა დალიო...
სიკვდილო, დავრჩი უფლის ამარა,
მტრის ულმობელი დროის საცერი,
და შენი ღია თვალი - სამარე,
როგორც მსტოვარი სულში ჩამცქერის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლერი ალიმონაკს

მიდის მწერალი... თან მიჰყვება გრანელის ლანდი,
გრანელის ცრემლებს შეუერთა რომელმაც დარდი...
გრანელის სიტყვას შეუწონა რომელმაც სიტყვა
და აქამომდე დაფარული სიმართლეც ითქვა...
სიმართლე ითქვა, რა თქმა უნდა, მკაფიო, მწარე
და „მიწის ცქერით დაქანცული განათდა მთვარე;
განათდა მთვარე... გამოფრინდა სულიდან ჩიტი
და მოგვენატრა გაზაფხულის საღამო მშვიდი..."
თუმც დღემდე მაინც პასუხს ითხოვს მრავალი კითხვა,
მართალზე-მართლა ჭეშმარიტი გაცხადდა სიტყვა.
დიდება იმ ღმერთს, ილია რომ უწოდებს სინდისს, -
მწერალს - პოეტთან მისასვლელი ვინც გასდო ხიდი...
მიდის მწერალი, მიუყვება მჩქეფარე გაშზირს,
ვით უსხეულო, მარტოოდენ ფიქრი და აზრი;
ინახავს რწმენას, როგორც საგზალს ეული მგზავრი
და კარგად უწყის, რომ ცხოვრება - ბოროტი მავრი
ახრჩობს შემოქმედს, როგორც მიწას ახრჩობს ჭაობი,
ანდა მარტოსულს განცდა ეჭვის, მიუსაფრობის...
მიდის და მიაქვს წუთისოფლის ჭაპანი მძიმე
და გრანელივით სამერმისოს ინახავს იმედს...

## შეხვედრა

ზღვა მოდის ჩემთან... მე მას ვიხსენებ,
ზღვაო, ვარ ისე, არა მიშავს რა,
იქნებ დაწყნარდე და დაისვენო,
მეც გავყუჩდები, როგორც ნიჟარა.

მინდა, შენს სუნთქვას მივაყურადო,
შენი მზითა და ზეცით გავერთო,
რომ ერთმანეთი კვლავ მოვინატროთ
მოწყენილებმა უერთმანეთოდ.

შენთან ვარ უკვე, ზღვაო, ზღაპარო,
რომ ნაფოტივით მშვიდად მარწიო...
ჩემი წუხილი შემოგაპარო,
შენი ტკივილიც გავინაწილო.

ასე ცოდვილი და უხეირო
ჩემი ცხოვრება მაინც რა იყო...
შენ შეგიძლია, სუსტი სხეული,
მკვდარი თევზივით სადმე გარიყო.

სადმე გარიყო... ჩემი ეჭვები
და ოცნებებიც ისე გაფანტო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ნაპირზე ჭრელი კენჭები,
მიმობნეული უმისამართოდ.

ზღვა მოდის ჩემთან... მე მას ვიხსენებ,
ზღვაო, ვარ ისე, არა მიშავს რა,
იქნებ დაწყნარდე და დაისვენო,
მეც გავყუჩდები, როგორც ნიჟარა.

## ვაჩე ანდრონიკაშვილის საუბარი შულმანთან...

(მიხო მოსულიშვილის რომანიდან „უჟამო ჟამის რაინდი")

ვერ მომისყიდი, ვიყო გამცემი
და, კარგად იცი, ისკარიოტელ,
თავისუფლების ჯვარსაც მაცვამენ,
რომ საუკუნოდ სისხლი მდიოდეს.

რომ ჩემი სისხლით ჩემი არჩანდა
უცებ ცასავით ისე განათდეს,
ერთად გამოჩნდეს ყველა ლაჩარი,
ყველა ორგული და მოღალატე...

ცას უერთდება ჩემი ფესვები
და წინაპართა მესმის ძახილი,
არ დაეცემა შიშიონელი,
როგორც მამულის დროშა დახრილი...

ვიცი, სამშობლოც, როგორც რაინდი,
უნდა ვეძებო... უნდა მტკიოდეს...
მომაქვს სიმართლე - უფლის მახვილი
და გეშინოდეს, ისკარიოტელ!

* * *

აღარც მითი და აღარც ლეგენდა,
მოკლეს ოცნება, რაც გვიხაროდა...
ვინ გამოგვიყვანს ამ დილეგიდან,
ვინ ამოგვათრევს ნეტა ხაროდან.
მძერა გამცემი და ალმაცერი
ვინ ჩაგვისაფრა, როგორც ღალატი...
სად მიგვლალავენ ქონდრისკაცები,
ეშმას ტრაპეზი და მასკარადი.
ვინ დააწვეთა სისხლი ღიმილზე,
ვინ ჩაგვიწიხლა ყოფნა-ხალისი...
იქნებ დასრულდა გზა და ილევიძებს,
დღემდე მთვლემარე აპოკალიფსი.
იქნებ მორჩა და იქნებ დამთავრდა
ყოფნა... გაიხსნას ცა უტყუარი.
ვინ არის კაცი იგი მართალი,
ვინ არის კაცი იგი მტყუანი, -
ღმერთმა განსაჯოს... ვინ გაგვითენოს
ღამე ლუსკუმი და უსიერი,
რას მოასწავებს, ცოდვისმტვირთველო,
ეშმას ასეთი მშვიდი იერი.
აღარც მითი და აღარც ლეგენდა,
მოკლეს ოცნება, რაც გვიხაროდა...
ვინ გამოგვიყვანს ამ დილეგიდან,
ვინ ამოგვათრევს ნეტა ხაროდან.

## ძახილი

ლექსი ეძღვნება მერაბ კოსტავას ხსოვნას

I.

როგორ გაუცხოვდი და როგორ
გაუდაბურდი,
ეს ბარაბას გზა არი, გევედრები,
დაბრუნდი!..

როცა უფრო საშიში მოჩანს წინ
რუბიკონი,
ნეტა რამ დაგავიწყა ერწუხი და
დიდგორი...

ნეტა რამ დაგავიწყა უფლის ყველა იგავი,
ისე მოგითარეშეს, თითქოს სხვისი იყავი..

მართლაც რაღაცნაირი გახდი უფრო
ველური,
აღარც გორდა გიჭრის და აღარც
დავითფერული.

აღარ მღერის ფრანგული, არ კისკასებს
შიმშერი,
თბილი სიტყვის სალბუნიც უკვე ვეღარ
გიშველის.

ხალიბისგან ნაწრთობი სული გქონდა
მარადის,
ასე რამ გაგიბზარა მტკიცე
ფარ-მუზარადი...

ვხედავ, შადიმანების ორგულობა-
ღალატით,
როგორც შაგრენის ტყავი, ისე
დაპატარავდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადლა არი ფიცხელი შეძახილი სამასი,
თავდადება ცოტნესი... ერთგულება საბასი...

როგორ გაუცხოვდი და როგორ გაუდაბურდი,
ეს ბარაბას გზა არი, გევედრები, დაბრუნდი.

II.

იცრემლება ტაძარი ნატყვიარი ფრესკებით,
ნუთუ ამ სინამდვილეს წარიტაცებს ქვესკნელი...

ნეტა რამ დაგანათლა ტანჯვა და ფათერაკი,
ნეტა რამ ჩაგირღვია მტკიცე ჯაჭვის პერანგი...

გაოხრებდნენ აქამდე, შენ კი მაინც გასძელი,
ნუთუ არ გესიზმრება თორელი და მხარგრძელი...

ხნავდი, სამკალს იმკიდი, თან ჭრილობას იხვევდი,
გეშინია თითქოსდა წარსულისკენ მიხედვის...

სხვა სახმილით იწვოდი და სხვა ფიქრით ღელავდი,
სხვა სინათლეს აფენდი ეგვიპტით თუ ელადით...

აღარს ამირანი და არც ზღაპრული ყამარი,
ნუთუ არ გესიზმრება დავითი და თამარი...

შენ, სისხლისგან დაცლილი, დღემდე მაინც მოხველი,
ნეტა რამ დაგავიწყა იბერია... კოლხეთი...

რტოებჩამოსხეპილსაც მოგითხარეს ფესვები,
თუ სიმღერით კვდებოდი, ცოცხლდებოდი ლექსებით...

ი „ვეფხისტყაოსნით“, შენი „დავითიანით“,
უფლის მადლით მოსილი მენატრები მთლიანი...

მენატრები შეკრული, უძლეველი, დიადი,
ლალი-დარუბანდითგან ვიდრე ნიკოფსიამდი...

ასე ხელებგაწვდილი, სხვა ოცნებით გართული,
მენატრები ამაყი, მდიდარი და ქართული...

III

თუმცა ერთადერთი ხარ, თუმცა მეიმედები,
ნეტა ამ ჯოჯოხეთში სად ვეძებო ედემი...

სხვა სიმაღლეს ელტვოდი და სხვა აზრით ელავდი
სიბრძნით გაბრწყინებული ფაზისით და გელათით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყალთო და ვარძია კვლავ გმოსავენ დიდებით,
როგორც ლეგენდები და ზღაპრები და მითები...

გაოხრებდნენ აქამდე, შენ კი დღემდე გასძელი,
ფუძესმოწყვეტილები გეძახიან ტაძრები:

როგორ გაუცხოვდი და როგორ გაუდაბურდი,
ეს ბარაბას გზა არი, გევედრები, დაბრუნდი!

* * *

შელებილია ცის კაბადონი
სისხლით და... ხელებს იბანს პილატე,
თუ არ ვიქენი შენი პატრონი,
ვის ეყვარები, ვინ მოგინატრებს.

მითაქამიდან დავრჩით მარტონი,
თუმცა ღვთიური ღვივის სინათლე...
შელებილია ცის კაბადონი
სისხლით და... ხელებს იბანს პილატე.

* * *

სიხარული, ტკივილი,
შეუნახავთ ბარათებს...
უფლის სულგამოვლილი,
თუ იყავი მანამდე.
ან ვინ იყო პირველი,
ვისშიც შემოანათე,
შენი მონა-მორჩილი,
ბრმა სამარის კარამდე.
უცნაურო, ფარულო,
ყმაწვილო და ბებერო...
ვერ დაგთმობ, სიყვარულო -
სენო უკურნებელო!

* * *

მივუყვები მე ჩემს გზაწვრილს,
ხან მათოვს და ხანაც მაწვიმს,
როგორც ზვავი ჩამომიწვა,
სულში სევდა სიბერის...
ნეკნებშუა გახირული,
გულია თუ ქვაყინული...
სინანულით იყურება,
ცისკენ ლიუციფერი.
ირგვლივ არც რა გასახარი,
არც ძველი და არც ახალი,
გეკითხები: ეს სამყარო,
მართლა წუთისოფელი, -
განკითხვის ჟამს რა იმედით
ელოდება... რაიმეთი
გამოაღწევს ვითომ ღეთას,
უფლის უარმყოფელი?
მივუყვები მე ჩემს გზაწვრილს,
ხან მათოვს და ხანაც მაწვიმს,
როგორც ზვავი ჩამომიწვა,
სულში სევდა სიბერის...
ნეკნებშუა გახირული,
გულია თუ ქვაყინული...
ხედავ? - ურცხვად იყურება
ცისკენ ლიუციფერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გიზო თავაძე

## იგი
(პრეისტორიული ლექსი)

*ჯემალ ქარჩხაძის ხსოვნას*

ეჰაუ, ფორი დაჰყრია თხილნარს,
მზე მოაბოტებს სადღაც იქიდან...
„ცამ გაახილა დღის თვალი ფრთხილად“,
მთვარე ზურგს უკან გადაიკიდა.

აამღელვარა მუხები სიომ,
ნუნისთან თვალი დახუჭა ელდამ,
ჩიტი კვნესოდა წიო და წიო,
დარდობდა დიდი ვეშაპის დედა.

•

იგი მოვიდა!
მზე!.. თოვლი!.. სეტყვა!..
იგი მე. ვიყავ, ოდით და ოდით,
რაჭიკულიტი, - მარადი სევდა, -
გამართულს მომაქვს თხილწნელა
გოდრით.

ვეამბორები უფლის ცრემლს, - ფაზისს,
იგისთან ერთად შენც რომ გაცურე,
მდინარეს ჰქონდა სურნელი ვაზის,
როს ტალღას მხარი გაულაწუნე.

•

ბერიდა ნოა...
ბერიდა ნოა...
ტალღის სიმღერა, კიდობანს ესმა,
სადა ხარ, ნოე?
ერთგულო ნოე,
სამყარო ლამის წალეკოს გესლმა.

ამდენი ცოდვით გაირღვა მიწა,
შეჩერდით! მალე უფალი მოვა,
ვინაც სამი დღე ამ ქვაბში იწვა,
ბერიდა ნოა...
ბერიდა ნოა...

•

ნი!
ნეკნისაგან გამოძერწილო,
იგი გაგითბობს ფეხებს გათოშილს,
სილაში იწექ, ერთობ წელწვრილი,
მზეს იწურავდი მხურვალ საშოში.

ზღვა გიმღეროდა მუხლზე დამდგარი,
ტერფებს ამოჰყვა თეთრი სიმლაშე...
და მე გიხილე, სიცხით დამდნარი
როგორ ჩაბრუნდი სოველ სილაში.

•

ზუ!
ფუტკარივით კეთილშობილო,
მე ახლაც მახსოვს შენთან პურობა,
დედაო მიწავ, მიწავ მშობელო,
შენ გვაპატიე უმადურობა.

გხნავდით, გთესავდით წელგამართულნი,
ზუს ძმაც ვიყავი და ბიძაშვილიც,
და ვღიღინებდით ურმულს ქართულად
კოლხეთის ველად ზღვისკენ გაჭრილნი.

•

ვანი,
სავანე,
გინ დავანება,
სიტყვაში ცურავ - ჩქერის კალმახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაქტიკების მღვრიე ბანებმა,
ალმოგაცენეს ლორთქო ბალახი...

და რომ არ ჩახმე, იგი მოგხედავს,
ღრუბლებს მორეკავს უთეთრეს ფთილად...
კვლავაც გიდარდებს ვეშაპის დედა,
„როს ცა გაახელს დღის თვალებს
ფრთხილად"

## ადრე გაზაფხულის დილა

წამოიკიდა ქარმა ნისლი და
მთის მწვერვალებზე ფარდად გაჰკიდა.
ვიდრე ცა უბეს გადაიხსნიდა,
მზე გამობრძანდა თავის ბაკნიდან.
მზე გამობრძანდა თავის ბაკნიდან
(გაცისკროვანდა თავად ბაკანი),
განახვნა სხივთა დიდი ბანკი და
გადამკრა სხივი - იატაგანი.
ყინვამ გახეხა ხეთა საყელო
და, სანამ კვირტებს ობლად დაყრიდა,
ცვარმა გალუნა სხივთ ცისარტყელა.
მზე გამობრძანდა თავის ბაკნიდან

## ამორძალი

წარმართული სისხლის გეშით
მოზვირთობ და მოხმაურობ,
დამაყარე ისრის თქეში,
ამორძალო კოლხაურო.
ძუძუ, აჭრილ-ასერილი,
გიბრდღვიალებს ცეცხლის დარად,
ეგ რა ხმები ასეირდა:
„მივალ გურიაში, მარა..."
თმაში ქარი გატალღულა,
ჩაწნულია ცხენის ფაფარს...
„კრიმანჭული" და „მირანგულა"
ზღვაში მოაღენენ ჩქაფანს.
როგორც შევარდენი კაკაბს,
ყივილ-ყივილ გაგედევნო,
შემოგძარცვო ტყავის კაბა,
უ მაგ თეძოებით ვევნო.
ახლა სიყვარულის თვეა,
ვინძლო კოცნა გამოგძალო,
ახლა შენი გულიც ტყვეა,
კოლხაურო ამორძალო.

## აპრილი ანუ ახლა იღვიძებს ქალი

როგორც გაჭრილი კარტი,
ისე წავიდა მარტი
და გაღვიძება ხეთა
რა უცებ შემეფეთა
რომ არ დაუქრავს კრინტი,
ისე გამოსკდა კვირტი.
ახლა იღვიძებს ქალი,
მანტოდან მოჩანს ლალი...
სამოსს დატოვებს ცხრაპირს
და... გაუმარჯოს აპრილს!

## წყარო

როგორც ლექსი აკაკის,
წყარო ჩაირაკრაკებს,
მძივებს აბნევს ხავსზე...
მეშინია დაკარგვის
ულამაზეს ნაქარგის,
ტყეში ასე პატარას
არ აებნეს თავგზა.



*ჯორჯ ვანტონგერლო*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გონერ ჭეიშვილი

## ისტორიკოსები

დილის თერთმეტი საათი იქნებოდა სოფელ კედაროს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, დათიკო გალავაბერიძემ, ქუთაისში გამომცემლობა „ოცდამეერთე საუკუნის“ კარი რომ შეაღო. მთლად უფროსი არ დახვდა, მაგრამ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან შებრძანდითო, უთხრეს მისაღებში.

დირექტორის კაბინეტის დერმატინგადაკრული რბილი კარი იჭვნეულად შეათვალიერა და იმ კარზე დააკაკუნა, თავმჯდომარე რომ ეწერა. რადგან არავინ გამოხედა, მომჭირნედ შეაღრიჭოვა, მხოლოდ თავი რომ შეტეოდა, ისე, ჰოდა, კედაროს სკოლის ვიცე დირექტორს უთავო ტანი „ოცდამეერთე საუკუნის“ მისაღებში დარჩა, ხოლო თავი თავმჯდომარის კაბინეტს ათვალიერებდა დიდი გულმოდგინებით. ვრცელ ოთახში საწერ მაგიდას სათვალიანი, ჯერჯერობით ნახევრად მელოტი მამაკაცი უჯდა. ამდენი ტელეფონი დათიკოს მხოლოდ რაიკომის მდივნის კაბინეტში უნახავს. სხვა რაღაცეებისთვის, ტელეფონების მიღმა რომ მიეწყოთ, მდივანთანაც არ მოუკრავს თვალი და, ალბათ, ფაქსებს, კომპიუტერებს, სელექტორებს და ამნაირებს ეძახიან, ამ ბოლოს რომ შემოვიდა მოდაში. მაშინვე რიდი შეექმნა იქმჯდომარისა.

- მოდი, მოდი!.. - მიაძახა კარის ჭრიალს იქმჯდომარემ. ისე, შორიდან ვერავის ცნობდა, მაგრამ კარის შემღებს, თუნდაც მიქელგაბრიელი ყოფილიყო, ჩვეულებისამებრ თავისთან იწვევდა. დათიკო გალავაბერიძემ ნახევარი ოთახი რომ გაიარა, მერე ამუშავდა დამხვდურის სათვალე, იცნო კიდეც ისტორიის მასწავლებელი.

- გამარჯობა, ბატონო დავით! - ღიმილით გაუწოდა ხელი დაბნეულ პედაგოგს სააქციო საზოგადოების თვალმა და ყურმა.

- ჩვენებურს კი მიგამგვანე, მარა, რომელი ხარ, ველარ გაგიხსენე, - ხელთან ერთად ღიმილიც შეაგება ნამოწაფარს. მასწავლებლის ყურადღებიან მზერას არ გამოპარვია, მარცხენაზე ორი თითი აკლდა ნამოწაფარს. მაშინვე გაუნათდა მეხსიერება.

- გუჯა არ ხარ შენ, ვაჟა სამბიჭაძის უფროსი ვაჟი?!

- გუჯა ვარ, დათიკო მას, გუჯა! - დაემოწმა ვაჟას ვაჟი და სკამი მიართვა, დაბრძანდითო.

მოსწავლე და მასწავლებელი ახლოს არა, მაგრამ ერთ სოფელში ცხოვრობდნენ. ოცი წელი აღარ ენახათ ერთმანეთი. მოსწავლე მაინც ადვილად ცნობს მასწავლებელს. მასწავლებელს უჭირს დაკაცებული ნამოწაფარის მოკვირვება.

ურთიერთმოსიყვარულე მზერა თანდათან სინანულად გადაკეთდა, მასწავლებელი 20-22 წლის წინანდელ ნათქვამს ნანობდა - ცხრა უმაღლესი რომ დაამთავრო, შენგან კაცი არ დადგება, ბიძიაო, გუჯას უთხრა, არადა, მეოცეს ბოლოში „ოცდამეერთე საუკუნეს“ მართავს ეს მამაძაღლიო, ფიქრობდა.

- კალოშის ამბავი გახსოვს, გუჯა?!

- რა დამავიწყებს, მაშინ რომ დაგეჭირეთ, ელემენტარულად გამხეთქავდით კვახივით და რაღაცა, მაგრამ ახლა ნავთის ამბავს გაგახსენებთ, ბატონო დავით.

- კინაღამ ფერმა რომ დავწვი?!

- დიახ, ჩემო ბატონო!

- მე კინაღამ დავწვი და შენ გამახსენებ?!

- მართლა რომ დამწვარიყო, ჩემი ბრალი იქნებოდა, დათიკო მას!

- როგორ, კაცო!.. ხელები ისე ატრიალა, ხელისგულებს ხანდახან ხედავდა გაკვირვებული ისტორიკოსი.

როგორ და, ახლა შეიძლება გამხელა, მით უმეტეს, ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა. ჯერ რაც თქვენ იცით, თქვენ მოყევით, რაც არა და მე მაცალეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მე რა ვიცი და... ჩაველი ჯემალიას კოოპერატივში; გახსოვს, ალბათ, ნამოწაფარი იყო ჩემი, კაი ნავთი გამატანე-მეთქი, მე ვუთხარი. გამივსო კანისტრა. სხვაგან ვიყავი წასასვლელი და ის კანისტრა მოსწავლეების ხელით გავუგზავნე თამარას, გემახსოვრება ჩემი მეუღლე... - ეს იკითხა და მიაჩერდა ნამოწაფარს, ახსოვს თუ არაო.

გუჯამ თავი ისე დინჯად დაიქნია, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს შეეფერებოდა.

დათიკოს კმაყოფილება მოჰგვარა ნამოწაფარის თავის დაქნევამ. თხრობის გაგრძელებაც დააპირა, რომ გახსენებოდა, სად შეჩერდა; თავად ვერ გაიხსენა და გუჯას ჰკითხა:

- უკაცრავად, სად შევჩერდი?!

- თამარასთან შეჩერდით, დათიკო მას!

- ჰოდა, იმას ვამბობდი... - ისევ დააპირა ამბის გაგრძელება, რომ სელექტორზე მწვანე ნათურა აციმციმდა.

ღილაკს თითი დაჰკრა თავმჯდომარემ.

- შუქი გამოირთო, ბატონო გუჯა!.. - ჩახლეჩილი ხმით აუწყა ვიღაცამ.

- ეს მინდოდა ახლა?! - შეწუხდა გუჯა, - ლეიბორისტების საარჩევნო რეკლამები მაქვს მოსასწრები, - გამორთო სელექტორი და ტელეფონს დასწვდა.

- თელასია?! გამარჯობათ!.. „21-ე საუკუნიდან" გირეკავთ, შუქი გამოირთო... შენ რომელი ხარ, ხმაზე ვერ გიცანი... ჟანეტა?! რაღაცას შეიძენ, ჰო, ჟანეტ, დამიჩქარე და მაყარიჩი იქნება... რა და „სექს-ბომბა", იქნება „ძინ-ძინი" და რაღაცები... ორივე გინდა? ორივე თუ გინდა, გაგვინათე „21 საუკუნე" თუ არა, უშუქოდ არ გამოვა...

ყურმილის მეორე ბოლოდან ქალის ტკარცალი მოისმა, ისეთი, დათიკომაც გაიცინა, ის აღარ გაუგონია მასწავლებელს, რაც ტკარცალს მოჰყვა ჟანას მხრიდან, გუჯამ გაიგონა მხოლოდ: ძინ-ძინი უშუქოდაც ხერხდებაო და ისე ჩაიღიმა თავმჯდომარემ, თითქოს ძილისწინ ფეხსგულზე მოუხიჩინესო. წითელი ტელეფონის ყურმილი დადებული არ ჰქონდა, ყვითელმა შექნა ამბოხი.

- გისმენ! ვაჰ, შენა ხარ, ემელიანიჩ?! საიდან რეკავ? ტრაპიზონიდან?! გუშინ მოსკოვიდან დამირეკე, დღეს... ფიგარო ხარ, ფიგარო! ჰო... სამ ტონას დავიტოვებთ, იმ ფასებში, როგორც შევთანხმდით; ათი ტონა არა, სამის ფულიც გვიჭირს ელემენტარულად, ხომ უყურებ, როგორ გაფრინდა დოლარი, ლარს დედა უტირა, ჩვენც, რა თქმა უნდა. სამი თვეა, ხელფასები ვერ გაგვიცია, სიგარეტის ფული გამიჭირდა, „პარლამენტის" მაგივრად „პრეზიდენტს" ვაბოლებ კაი ხანია... შენ კი არა, ცოლი აღარ მიჯერებს და თანამშრომელი, ერთი ცნობილი მწერლისა არ იყოს, „სანამ ხიდის თავში არ დავჯდები ქუდმოშვლეპილი, არ დაიჯერებთ"... კაი, გელოდებით!

- მერე, ბატონო დავით! - სტუმარს შეახსენა გუჯამ.

- კი გენაცვალე, მაგრამ სად შევჩერდი?

- თამარასთან შეჩერდით, თამარასთან!

- ჰოდა, დენი მაშინაც ჭირდა, შებინდებისთანავე გამოიტანა ლამპა თამარამ, არ იქნა და არ მოეკიდა ცეცხლი, მერე მე ვეწუმწუმე კაიხანს, შენც არ მომიკვდე... მოვხსენი თავი ლამპას და შევასხი ბუხარში; გაღავირიე კაცი, როდის აქრობდა ნავთი ცეცხლს, რა გამომატანა ჯემალია მაიმუნმა ნავთის მაგიერ-მეთქი, მომივიდა გული, მარა რა მომივიდა. მეორე დღეს დავავლე კანისტრას ხელი და წაველი, აქა-იქ ნავთი კი მექცეოდა, მარა ნავთს რომ ცეცხლი არ ეკიდება, დასაქცევი არაა?! შავი დღე ვაყარე ჯემალიას, შე ოხერ-მუდრეგო, რა გამატანე ნავთის მაგიერ-მეთქი, მე ვუთხარი.

- რაიო, - მითხრა, - მთელი ზედა და ქვედა კედარო ამას ხმარობს, არ დაუწუნიათ და შენ რას ამბობ მაგას, რომ ამბობო, - აქით არ შემომიტია? გამოარბენია ლიტრიანი თუნუქის სარწყულა.

- ჩაასხი ერთი ამაჩიო, - გამომიწოდა.

გადმოვასხი მსუყედ, მოვიქნიე ხელი და მთელი სარწყულა უანგარიშოდ მივაქცმოვაქციე მინდორში, გავკარი ასანთი, ჩემო ბატონო, და არაფრის მოლოდინით გულდაჯერებულმა დავაგდე ნავთით მოსველებულ ეპიცენტრში. ვუჰო!!! - იფეთქა და აიქოჩრა ალი; ალს თავი დაანებე, იქვე პალოზე დაბმული ღორის ბაწარიც გაქცენთილიყო საწვავით. უკნიდან ცეცხლი რომ შეენთო, გადაირია ღორი, რა არი ესო; მოუსვა მარა რა მოუსვა; მირბის ღორი, მისდევს ცეცხლი, მიასწორა ფერმას და შეძვრა პოლქვეშ, შეითრია აბრიალებული ბაწარი, ვასხით და ვასხით წყალი, კიდევ კარგი, მანამ ჩავაქრეთ, სანამ ხანძარი გაჩაღდებოდა... ავიტანე სახლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მორჩენილი ნავთი, მშვენივრად მოეკიდა. რა მოხდა წინა საღამოს, ახლაც გაკვირვებას ვარ, ღმერთმანი...

- წინა საღამოს არა, მაგრამ, შუადღით რაც მოხდა, მე ვიცი, ჩემმა ძმამ ჯაბამ და ჯაბას ძმა ჯუბამ.

- რას მეუბნები! - ახალივით გაუკვირდა ძველი ამბავი მასწავლებელს.

- ახლა აღარც გახსოვთ, ალბათ, თქვენს სახლამდე ის კანისტრა სწორედ მე და ჯაბას გაგვატანეთ. გავუყარეთ გამძლე ჯოხი სანავთეს და ელემენტარულად წავჩლახუნდით ოკრო-ბოკრო გზაზე, ცოტ-ცოტა კიდევ გვექცეოდა და რაღაცეები. სახლს რომ მივუახლოვდით - ბევრი ნამთი დაკლებია, ამის გულობიზა დაგვბეჟავს დათიკოო, - მითხრა ჯაბამ.

მივიხედ-მოვიხედე, ახლო-მახლო წყალი არსად იყო და რაღაცეები, მოდი, ჩავაიმასქნათ-მეთქი.

ჩემზე ჭკვიანი არც ჯაბა იყო, ჩავაიმასქნათო, დამეთანხმა, მაშინვე ეცა შაშვის ბუდეს ბარტყის გადმოსაფრენად.

ბევრი აღარ გვიფიქრია, პირველად ჩემი ბაკი ჩავცალე ელემენტარულად, არ ეყო და ჯაბამაც ჩაამატა დიდის გულმოდგინებით. ამ ამბავში ვართ და ჯუბა წამოგვეწრო, უმცროსი ძმა.

მეც მაქნევინეთო, - თანხმობას არ დალოდებია, ისე მიუშვირა თავისი შაშვი საერთო რეზერვუარს. აღარ ვაქნევიეთ სავსე კანისტრაში, დაწყებული საქმე ვეღარ შეწყვიტა და იქვე ასკილის ბუჩქს ჩაუტარა დეზინფექცია, მერე პასპორტი დააბინავა, გაიქცა თქვენი სახლისკენ ყვირილ-ყვირილით:

- მაგას ვეტყვი თამარა დეიდას, სანაფთეში რო ჩოუფსითყეო.

მალე დავიჭირეთ, ერთი ვედრა მოხალულ მიწის თხილს შევპირდით. უყვარდა მიწის თხილი ჯუბას, ხოლო, რაც შეეხება შარდს, იგი ნავთზე მსუბუქი ყოფაქცევის გამოდგა, ჩვენი ჩამატებული, თავზე მოიყენა ძირითადმა სითხემ, სწორედ თავზე მოყენებულით გაგივსიათ იმ საღამოს ლამპა. შარდს რომ ცეცხლი ეკიდებოდეს, მთელი სოფლის ღობეები, ბურღოები და რაღაცეები კაიხნის გადამწვარი იქნებოდა ელემენტარულად. სახლიდან რომ ჩაგიბრუნებიათ ნავთი, თქვენც დაგქცევიათ გზაში, ალბათ, იმდენი, რამდენიც მე და ჩემმა სახლიკაცმა ჩავამატეთ ელემენტარულად, სანავთეში სუფთა ნავთი დარჩებოდა და კიდეც შეუნთეთ ფერმას ცეცხლი. ცეცხლის დანახვაზე სამივე ძმამ სიმინდებში ვდურთეთ თავი, ჩვენ არაფერი დაგვბრალდეს-თქვა. ჯუბა მაშინაც აჭუჭყუნდა:

- შეპირებული მიწის თხილი მომიტანეთ, თუ არა, ვეტყვი დათიკო მასწავლებელს რო ჩოუფსით სანაფთეშიო. ასე იყო, ბატონო დავით.

უყურე შენ?! - ჩაილაპარაკა დათიკო მასწავლებელმა, საჩვენებელი და ცერა თითები ნიკაპს შეუბიჯგა, იყო ერთხანს ასე, გვიან, მაგრამ მაინც გახსნა ამბავი საკვირველი, - ეშმაკია ბავშვი, რას არ მოიფიქრებს. აბა, ახლა კი არ მოიმოქმედებ მაგას, - თქვა ბოლოს.

- ახლა რავა ვიზამთ, ახლა ჯუბას მიწის თხილით კი ვეღარ შევიქცევთ, დოლარებს მომთხოვს ელემენტარულად, - ახითხითდა ვაჟას ვაჟი.

კარმა გაიჭრიალა ისევ.

- მოდი, მოდი! - კვლავ გაიხედა კარის მიმართულებით გუჯამ.

საბუთებით ხელგადატვირთული ბუღალტერი აღმოჩნდა, ყველაფერი წინ დაულაგა თავმჯდომარეს და დათიკოს მიაჩერდა კითხვისნიშანივით, ხომ არაფერი დავაშავე, საუბარი რომ შეგაწყვეტინეთო.

გუჯამ მაგიდის ნათურა ჩართო, მარცხენა ხელი, - თუ აუცილებლად არ ჭირდებოდა 11 წლის ასაკიდან, ანუ იმ დღიდან, რაც მასზე თითები დააკლდა, სულ ჯიბეში ედო, მარჯვენას მიახმარა და საბუთები ისე ახლოს მიიტანა სათვალესთან, უცხოს ეგონებოდა, წასაკითხად კი არა, შესაჭმელად უნდაო. დროდადრო შეკითხვებს იძლეოდა, ხოლო ბუღალტერი ფრიადოსან მოსწავლესავით სხაპა-სხუპით პასუხობდა, რის შემდეგაც სათანადო ადგილას დასმული გუჯას ფაქსიმილე საბუთს იურიდიულ ძალას ანიჭებდა. როგორც კი ყველა საბუთს იურიდიული ძალა მიანიჭა, უკლებლივ „ფრიადოსან" ბუღალტერს დაუბრუნა. ახალგაზრდა ქალმა ბუღალტრული გულმოდგინებით ჩამოართვა, დათიკოს ოდნავი თავდაკვრით უსიტყვოდ მოუბოდიშასავით, მადლიერების გრძნობისმაგვარი დარჩა თუ დატოვა და ოთახიდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

გუჯამ მარცხენა ხელი ჯიბეში ჩააბრუნა; იმ ხელით დიდი ხანია სამი თითის კომბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციასაც ველარ აკეთებს, რადგან სწორედ ის თითები აკლია, რომელთა შუაცერი უნდა გააკვეხოს, გარეგნულად ხელის მტევანი მუშტს დამსგავსებოდა, მუშტი თავდაცვის ერთ-ერთი საიმედო იარაღი გახლავთ და ამიტომაც ატარებდა ჯიბით პატრონი. რაც თავი ახსოვს, მხოლოდ ორჯერ იშიშვლა მარცხენა, როგორც იარაღი და ორჯერვე შეეცვალა პირ-სახის პლასტიკა იქითურ მხარეს. ეს ამბავი ყველამ იცის და ერიდებიან კიდეც გასამებას.

მეგობარი ჰყავს, იოთამ ერისთავი, თანაგრძნობით შეკითხვია ერთ დღეს, რესტორანში ძალით რომ დააპატიჟებინა თავი გუჯას, რითი წაიწყვიტე ის თითებიო. თოფის წამლით, - მოკლედ უპასუხნია კითხულს. შენაც მიგიგნია წამლისთვისო, დაუწყია ქირქილი იოთამს. ღვინოს რამდენს ჩამოდგამ დღესო, ამითაც დაინტერესებულა ერისმთავარი. მაშინაც მარცხენა ჯიბის იშვიათი ხელი უჩვენებია გუჯას. ამდენსო. აჯუჯღურებულა იოთამი, - იმ წამალს მეც დავულუპივარ, მეორე ხელი სად დამალე, შე მწვალებელოო.

- მოდი, მოდი! - კარის ჭრიალს კვლავ შეეგება გუჯა.

- ჩაის ხომ მიირთმევთ, გუჯა ბატონო, - შეღებული კარიდანვე დაეკითხა ფერადი ქალიშვილი.

- ორი ჩაი! - ხმაზე იცნო კადრების ინსპექტორი გუჯამ.

სულ მალე ფერადი ქალიშვილი კვლავ გამოჩნდა, კარი იდაყვით გააღო, რადგან ორივე ხელი ფართო ლანგრით ჰქონდა დაკავებული. მიერთვა სტუმარ-მასპინძელს ჩაი ლიმონით და ორსართულიანი ტორტის მალლივი ნაჭრები ხენდრო-თაფლინით.

მოსაუბრენი ერთხანს პარიზის კოშკივით გადახრილი ნამცხვრის ნაჭრებით იქცევდნენ თავს. ტკბილი მოგონებიდან წარსულის უფრო ტკბილ მოგონებებში ჩატორტმანდნენ.

- გუჯა, ბიძია, სკოლის დამაგვირგვინებელი ბანკეტის მერე აღარ მინახავხარ, მახსოვს, ხუთიანი ატესტატით გაგიშვით, რადგან შვიდიანი არ იწერებოდა, ჰოდა, ის მაინტერესებს, იმ ბანკეტიდან აქამდე რავა მოჭახრაკდი.

- ჩვეულებრივად, დათიკო მას, სოფელში დარჩენილ კაცს, ელემენტარულად, თოხი და ბარი უნდა გეჭიროს დღენიადაგ მკვიდრად. სამითითა ხელში თოხი ვერაფრით მოვიმარჯვე, რადგან წიგნი და კალამი მიჯეროდა, თქვენს მოცემულ ატესტატს შაურიან საქაღალდეში სხვა საჭირო საბუთებიც მივამატე, ჩამოვყევი ჩვენი სოფლის გზაწვრილს, გზაწვრილმა, ელემენტარულად, მთავარ ტრასაზე გამომიყვანა. ვდგავარ ალალბედა ტრასაზე, იქ, სადაც დიდ ყვითელ დაფაზე თბილისის და ქუთაისის მიმართულებები ეხატა... დათქმული მქონდა, პირველსავე ავტობუსს ავმგზავრებოდი და, სადაც ჩამიყვანდა, იმ ქალაქში მეცადა ბედი. ბედისწერამ საფიჩხიის ეკლესიასთან ჩამომსვა. მაშინ პირჯვრის გადაწერა დანაშაულად ითვლებოდა და გულში შევთხოვე ღმერთს შეწევნა. მისაღებ გამოცდებზე შეკითხვებს ამომწურავად რომ ვპასუხობდი, სიხარულის მაგიერ სიბრაზეს ვატყობდი გამომცდელებს. ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტიც გავხდი და ლენინური სტიპენდიანტიც. ზოგიერთ ლექტორზე დიდი შემოსავალი მქონდა, მაინც სტუდენტური ჭაპანწყვეტით გამქონდა თავი. არ დამავიწყდება, ნაადდგომევს წითელი კვერცხი ამოვიღე ჯიბიდან, ჰაერში ავისროლე, გაჭირვებული მხედველობის გამო ასროლილი კვერცხის გამოსახულება გაორდა, გამოსახულება დავიჭირე, კვერცხი იატაკს დაენარცხა და ისეთი ხმა გამოსცა, ყველას ყურადღება მიიქცია. ჩემდასაუბედუროდ, დერეფანში კომკავშირის კომიტეტის პირველი მდივანი იმყოფებოდა თურმე. წითელი კვერცხის დანახვაზე გადაირია, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის იდეოლოგიურ მუშაობას ფრიად მძიმე შეფასება მისცა: რას ჰგავს ესო, კვერცხიანი სტუდენტის ფეხი არ ვნახო ინსტიტუტში, სამაგალითოდ კომკავშირის რიგებიდანაც გარიცხეთო. დაესივნენ ლექტორ-მასწავლებლები, ლენინური სტიპენდიანტია, ყველა წიგნი წაკითხული აქვს, წაუკითხავი წიგნები ესიზმრება, არ ივარგებს მაგის გარიცხვაო. როგორც იქნა, მეპატია. კომკავშირის კრებაზე მაინც გაიტანეს ჩემი საკითხი, საჯაროდ გამკიცხეს, ბოლო სიტყვაში კრებას შევპირდი: ამიერიდან თუ ქათამი თვითონ არ დადებდა წითელ კვერცხს, მე აღარ შევღებავდი. ის კომსომოლა, დათიკო მას, ახლაც დიდი კაცია, დროულად გადაიღება ბიოგრაფია, თავის კვერცხებსაც ღებავს სხვის კვერცხებსაც, ეკლესიაში ყველას ასწრებს სანთლის ანთებას და მეუფეს ეჯიბრება პირჯვრისწერაში.

- არიან, გუჯა ბიძია, მასეთებიც, მის მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მინახავს ცხოვრებაში, მერე, ბიძია, მერე!

- მერე, წითელ კვერცხებზე გულმოსულმა წითელ დიპლომზე დავამთავრე ინსტიტუტი და თქვენი არ იყოს გავხდი ისტორიკოსი... როგორც ჩანს, პედაგოგობა არ იყო ჩემი მოწოდება. ერთხანს მუზეუმში ვიმუშავე, საბჭოთა პერიოდის განყოფილების გამგედ. შევატყვე, დიდი ხნის ფოხი აღარ ჰქონდა საბჭოეთს და რუსთაველის საზოგადოებაში გადავედი სამუშაოდ, მრავალშვილიან უსახლკარო ოჯახებს საზოგადოებაში მოზიდული სახსრებით ბინები შევაძენიე ბოლნისსა და დმანისს. გამომცემლობა „გვირაბსაც" ვხელმძღვანელობდი ერთხანს, მერე „21-ე საუკუნის" აქციონერი გავხდი და ვმუშაობ, როგორც უყურებთ, გაჭირვებით.

- კი, ბიძია, ამას თუ გაჭირვება ჰქვია, - ნატორტალ თეფშს დახედა მრავალმნიშვნელოვნად დათიკომ.

- გაჭირვება სულაა, ნამცხვარი, იშვიათად; იშვიათი ტორტი ვერ ატკბობს მუდმივ სიმწარეს. თამარა დეიდა როგორ ბრძანდება, ხომ არ დაბერდა.

- რავა იქნება: შაქარი მაღალი, მეხსიერება დაბალი; წნევა მაღალი, მხედველობა დაბალი; მოთხოვნილება მაღალი, შესაძლებლობა დაბალი და დაჯახირობს ამ განზომილებებს შორის...

ისევ ტელეფონი, ისევ სელექტორი, კარის ჭრიალი, მომსვლელ-წამსვლელი, გრძელ მოკლე-საუბრები და უკვე ყურს შეჩვეული დათიკოს კითხვა:

- სად შევჩერდი, გუჯა, ბიძია?!

- თამარასთან შეჩერდით, დათიკო მას!

- ჰო, რაც თამარას კირს, მეც მაწუხებს, ოღონდ შაქრის მაგივრად მარილებს ვაგროვებ სახსრებში? გამიმწუთხდა ადგომაც და დაჯდომაც, გუშინდელი კი აღარ ვარ. მაშინ, კალოში რომ დამიმალე ახალგაზრდა ვიყავი.

20-22 წლის წინანდელი ამბის გახსენებამ ორთავეს ისეთი ღიმილი მოჰგვარა, კალოში რომ არ ეხსენებინათ, უნებლიეთ მაინც კალოში გაგახსენდებოდათ.

- ეგ ამბავი მთლად ჩემი ბრალი არ იყო, მაშინ ვერ გამომტეხე და ახლა მაინც გეტყვი მართალს.

- მითხარი, ბიძია, მითხარი, ნავთი ქე მიგიტანია სახლში მშვიდობით; სიმართლეს თუ იტყვი, არასდროს არაა გვიან...

- მეშვიდეში ვიყავი, უთოვლო დეკემბრის ზამთარს იანვარიც უთოვლოდ მიჰყვა, მაგრამ თებერვალი შემოიჭუჭგა თოვლიანი. იმ დილით იმოდენა მოთოვა, სახლიდან უკვალავში ძლივს მივედი ჭიშკრამდე. სკოლაში ბავშვების სიმრავლე კი იყო, მაგრამ მასწავლებლები არ ჩანდნენ. ზოგი ქუთაისიდან დადიოდა, ზოგი სხვა სოფლებიდან. თქვენს გარდა თუ არ ვცდები, ორი სამი პედაგოგი იყო კიდევ. ჰოდა, ოთხი გაკვეთილი ჩაგვიტარდა იმ დღეს: ალგებრის მაგიერ - ისტორია, - რუსულის მაგიერ - ისტორია, ფიზიკის მაგიერ - ისტორია და გეოგრაფიის მაგიერ - ისტორია. ოთხივე თქვენ ჩაგვიტარეთ და სწორედ იმ დღეს გამოვიჭირე ჩემს თავში პატარა ისტორიკოსი. ბოლო გაკვეთილზე წერითი დავალება მოგვეცით და მეც შევუდექი საქმეს, ახლა როგორ გაქვთ, არ ვიცი და, მაშინ მარცხენა ფეხზე დიდი კოჟოჟი გქონდათ, დიდი და მტკივნეული. ფეხსაცმლის ჩაცმა გიჭირდათ და ზაფხულობით სულ სანდლებით დადიოდით. ზამთარში რავარია სანდალი, ალბათ, ამიტომ ცალ ფეხზე ჩექმა გეცვათ, მაზოლიან მარცხენაზე ცხრა ნომერი კალოში ფაყვედ რომ გქონოდად კოჟოჟიანი ადგილი. იმ კალოშსაც ვერ იტანდით და გაკვეთილის გამოსვლამდე იხდიდით ხოლმე. სუსტი მხედველობის გამო, სულ წინა მერხზე ვიჯექი, მასწავლებლის მაგიდა სწორედ წინა მერხზე იყო მოდგმული. ჩემი ყურის ასაწევად არცერთ მასწავლებელს ადგომა არ დაჭირვებია და ამ საშურ საქმეს ყოველთვის ადგილიდან ილევდნენ. სიახლოვის ბრალი იყო ალბათ, დავალება რომ მოვილიე, გავიშტრიმე და ფეხებში რაღაც წამომებორკა. ფეხებითვე შემოვითრიე ის რაღაცა მერხის ქვეშ, ვსტაცე ხელი და მივიტანე ცხვირთან, ცხვირთან მიტანილს ყველაფერს ვცნობდი, ვიცანი კალოშიც. ამ დროს თქვენ დამინახეთ და გამიწყერით, გადააგდე მაგ, რაცხა ჯანდაბაა და დავალებას მიხედეო. მე ქე მივხედი ელემენტარულად, ჯანდაბა კი არა, თქვენი კალოში იყო, მაგრამ თქვენ არ გაიცნობიერეთ ჩემს ხელში, რაც იქვე გეგულებოდათ, მაგიდის ქვეშ. გადაგდებით რავა გადავაგდებდი თქვენს კალოშს, ჩემს უკან გოგო იჯდა, იმას გადავაწოდე, თქვენ რომ არ დაგენახათ, ისე, უკან გადააწოდე-თქო, იმან იმას, იმან იმას და ჩავიდა ბოლოში.

- მე სადა წევიღოო?! - იკითხა პაჭულიამ უკანა მერხიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაჭულია თქვენ დატუქსეთ, დაჯექი ადგილზეო და იმანაც შეაგდო ცარიელ მერხში თქვენი ლევი კალოში.

ზარის დარეკვამდე კალოში მეც მიმავიწყდა; მაშინ გამახსენდა, მაგიდის ქვეშ წინდიანი ფეხით რაღაცის ძებნა რომ დაიწყეთ. მივხვდი, რაც იძებნებოდა, ელემენტარულად, ვერ ნახეთ და კიდეც ჩახედეთ. ჩახედვაც არ შეიქნა საკმარისი, შეძვერით კიდეც. ცარიელი რომ ამობრუნდით, მე მკითხეთ, სადაა ჩემი კალოშიო. უტეხად გიპასუხეთ, არ ვიცი-მეთქი, სად წაიღე კალოშიო, გამიმეორეთ უკვე გაღიზიანებულმა, რა ვიცი, თქვენი კალოში, თქვენსას კი არა, ჩემსას ვეღარ ვაგნებ ვერაფერს-მეთქი და ამ დროს იყვირა პაჭულიამ, - ამას ხომ არ ეძებ, დათიკო მასო...

- რა უნდა, ბიჭო, მაგას მაქ!

რა ვიცი, მე რობაქიძემ გადმომცაო.

რობაქიძემ თქვა - ფანჩულიძემო, ფანჩულიძეს ხოხიაშვილისგან მიეღო, ხოხიაშვილს ჩემი გვარი არ უთქვამს, მარა ისე შემომხედა, მაშინვე მიხვდით, მე რომ ვიყავი მთავარი დამნაშავე. დასაჭერად წამეტანეთ, მაგრამ გაგექეცით. ფეხშიშველა ვერ გამომეკიდეთ და ასე დაგევჩხვენით ხელიდან, - ხითხითით დაამთავრა გუჯამ ძველი ამბავი, -ისე, მართლა თქვენი ბრალი იყო, დათიკო მას, გადააგდე, რაცხა ჯანდაბააო, რომ მითხარით.

- მაგ არაფერი, - თავი მოიფხანა დათიკომ, - სახლში თამარას მოვუყევი, ასე იყო-თქვა და კინაღამ მომკლა, იმ ბავშვს თავის გაჭირვება ეყოფა, ტყვილა აბრალებ ყველაფერს, შენ მიაბოდიალე, ალბათ, სადმეო... უჰჰ, რამდენი ხანი ვისაუბრეთ, გაგაცდინე კიდეც, აბა, კარგად მეყოლე ახლა და კედაროში რომ ჩამოხვალ, შემომიარე; ჭურს მოვხდი, კაი ღვინოს დაგალევინებ. აბა კარგად... და დათიკო ისე ჩქარა გავიდა კაბინეტიდან, გუჯამ იმის კითხვაც ვერ მოასწრო, რამ შეგაწუხათ, რაზე მობრძანებულხართო. კვლავ სანდლები ეცვა, ალბათ, ახლაც აწუხებდა კოჟოები.

ისევ გაიჭრიალა კარმა. ისევ დაიძახა გუჯამ, მოდიო და საცოდავად მომღიმარი დათიკო გალავაბერიძე არ შერჩა ხელში?

- რაზეც ჩამოვედი კედაროდან, ის ქე მავიწყდებოდა, - ტყავის საქაღალდე გახსნა დათიკომ, - ამ სიბერეში, მაინც გადავწყვიტე... ორმოცი წელია ვმუშაობ ზეთ. ხან ამან შემიშალა ხელი, ხან იმან და გამიფრინდა ჩიტები. რაღა დროს ჩემი დისერტაციაა, მარა ამდენი ნამუშევარი მეცოდება, პუბლიკაციები გამოვაქვეყნე და ახლა ნაშრომი მინდა სტამბურად აიკინძოს, შემოდგომაზე დაცვა მაქვს, თუ მივაღწიე იქამდე. მინდა იქითაც ხარისხიანად წავიდე, - ჩამქრალი ნათურისკენ აიქნია ხელი გალავაბერიძემ.

- მაგ საქმეს კი გაგიკეთებთ, დათიკო მას, აბა ჩვენ რას ვაკეთებთ აქ, ბიუჯეტში მართალია გვაქვს გარღვევა, მაგრამ მთლად კი არ დაქცეულა ქვეყანა.

- შენი იმედი მაქვს, გუჯა, ბიძია, - ასე უთხრა ნამოწაფარს, გულში კი გაიფიქრა: - ეს ჩვენი ვაჟაევიცი რავა „ცისფერი მთების" ზაზაევიჩს დამგვანებია ბიუჯეტით და ჩამოლაპარაკებითო.

- როდისთვის გინდათ მოგისწროთ?!

- ასე, ორ თვეში.

- ერთ თვეშიც გაგიკეთებთ.

- კიდევ უკეთესი, ერთ თვეში მოგაკითხავთ, ქე მეჩხუბება თამარა, დაანებე თავი, რაღა დროს ეგააო, მარა...

- კარის ჭრიალს მდივანი გოგონა შემოჰყვა.

- მოსაწვევი დატოვეს, ორშაბათს თეატრში ხართ მიპატიჟებული.

მდივანმა რომ კარი გაიხურა, ისევ იკითხა დათიკომ, სად შევჩერდით.

- თამართან შეჩერდით, დავით ბატონო! - ისეთი ინტონაციით უთხრა ახალმა ისტორიკოსმა ძველ ისტორიკოსს, სულ სხვა ეპოქაში გადასახლდა გალავაბერიძე, ნიკოფსია და დარუბანდი, ოქროს ქოშები, აღმაშენება, ყივჩაღები და ყოჩაღები, დიდგორი და ბასიანი, დედისმედი და მამულის იმედი, ღმერთი და ხატი, გელათი და იყალთო გაახსენა, ხოლო გუჯა ვაჟაევიჩი „21-ე საუკუნიდან" ახლაც შუქს ეხვეწებოდა თელასს.

თელასს მაინც ვინ ჩაუფსა სანავთეში?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნონა დავითაია

* * *

იქ, უშბის ძირას,
შიხრის ველზე
ვარდისფერ თოვლის გუმბათებს შორის
მიდგას კარავი და სვანური მახურავს ქუდი.
უელავს კუდი ეშმას და მზაკვარს
და მირევს გზაკვალს ამ სიმწვანეში,
მაგრამ მის მაცდურ ელვარებას
ვამარცხებ ჩემი ცხოვრების წესით
და „ოქროს კვეთის“ ვფლობ საიდუმლოს.
მყავს სამი დიდი მნათობი ცათა
და არ ვცნობ სხვათა:
პირველი, - რომელ ვებრძვი ნადირთა;
მეორე - რომელ მასწავლის ლოცვას;
მესამე - მიზის სავსე ტაბლაზე
და სამთავ ერთი ჰქვია სახელი -
მზე, - რომელ დიდი დედაა ჩემი...

## აიეტი

მე ვარ აიეტი.
მაქვს ცათამწვდომი ციხე-კოშკები
ურიცხვი დარბაზებით, უძვირფასესი ლითონით და ქვებით შემკული
და მძვინვარე ლომები დარაჯობენ სიმშვიდეს ჩემსას.
ოქროსფერია ჩემი სასახლე
და უზარმაზარ მუხის ტოტებზე
ოქროს ვერძი ჰკიდია რქებით.
დამიდის ძვირფას სამოსელში გახვეული ჯალაბი ჩემი
და მაძღარი მონა-სპა.
დიდია ჩემი სამეფო, ძალიან დიდი.

მე ვარ აიეტი
და სიბრძნე ჰქვია ჩემს სიმდიდრეს,
სიბრძნე-გრაალი...
მყავს ასული ულამაზესი,
უჭკვიანესი,
ცოტა თავნება,
ცოტა კერპი,
ცოტა ჯიუტი...
ჯადოქარივით ყოვლის შემძლეა,
მიუწვდომელი ბალახმცოდნე და გულთმისანი -

ეროვნული ბიბლიოთეკა



და თვალი მისი ილიონს სწვდება -
და ფლობს ყოველგვარ საიდუმლოს ამა სოფლისას...
აურაცხელი დაუდის რემა
და იცის ენა ყველა მოკვდავის...

- მე ვარ აიეტი
და სიბრძნე ჰქვია
ჩემ სიმდიდრეს აუწონავს,
სიბრძნე გრაალი.
- არ შემოუშვათ არგონავტები!
ნუ იხილავენ თვალნი მათნი
სიმდიდრეს ჩემთა...

მე ვარ აიეტი,
დიდი მეფე ზღვათა და ხმელთა
და მყავს ასული,
რომელსაც წვეტიანი ფრჩხილებიდან
ჩამოსდის სისხლი ძმის, უმრწემესის
და რომელს მკერდქვეშ უზის დრაკონი...

მე ვარ აიეტი,
და ვარ მფლობელი ურიცხვი განძის,
რომელსაც ჰქვია სიბრძნე - გრაალი
და რომელიც მოდის ნოედან...

არ შემოუშვათ არგონავტები!
არ შემოუშვათ!

* * *

„მე რა ვთქვა,
უნდა კაცობა ბაკურმა დაიკვეხოსა“
*ვაჟა-ფშაველა*

დავკარგე ყველაფერი,
რაიც მქონდა, რაიც არ მქონდა,
მაგრამ მყავს ყველა (ჯვარი ეწეროთ),
ვინც უნდა მყავდეს,
ვის სიცოცხლესაც ვავედრებ ქალწულს,
რომელმაც მამრი არ უწყოდა ამიერიდან,
და ამიტომაც ვარ ბედნიერი,
და ამნაირი,
ასე ღარიბი და ფეხშიშველი მივცურავ საღლაც

ქარვის მთებისკენ,
მაგრამ მანამდე
შენ უნდა გნახო
და მოვისმინო შენი სიმღერა, იქნებ მეამოს...

ნაბრძანები მაქვს, გემის კიჩოზე მიმაბან თმებით,
რომ არ შემშალოს, არ გადამრიოს სიმღერამ შენმა
და ზღვის სიგრილემ
ლოკოკინებს არ მიუგდოს ჩემი სხეული.

ო ღმერთო ჩემო, როგორ მიყვარდი,
ვიდრე სანთელი არ ჩააქრეს ველის ქარებმა
ჩვენს ჭერმაღალ სანთიობოში.

მაგრამ მას შემდეგ,
აგერ რამდენი წელიწადია
ავი სიზმრები მიკაწრავდნენ სადაფის ღამეს
და მთვარის ლოგინს ჯავშნიანი ობობა ჭამდა...

...მერე სულ მოვის პერანგს ვკერავდი
და სულ ბაკურის ცოლობა მწადდა!..

## ისევ ჩემს ძმას – ზურაბს

ლექსზე დათენებულ ღამეებს
და წიგნით გადარეულ წამებს
ნაღდ გულს,
კაცურ გულს,
უღალატოს, –
ნაკლად გითვლიან, ძმაო, –
ცარიელ ჯიბეს,
ძმაკაცებში გადაყრილ ხურდებს...
– ვისაც რა სურდეს,
ოღონდ შეგრჩეს
სული კვლავ ისე,
შენს მამაკაცურ სილამაზეს
ასე ცხადად რომ დამანახებს!
ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს,
იტყვის მავანი,
და თუ ასეა
ამ ლექსსაც გესვრი,
შიგ გულში მოგხვდეს,
– დაი კი მოკვდეს,
თუ ისე მოკვდეს, –
შენი პორტრეტი უსათუთესი
არ დაგიხატოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაზა პაპიძე

## მხოლოდ ბოლოში ფეხს ურევდნენ ვიღაცები

მწყობრი მთლიანი მექანიზმივით მოძრაობს, მხოლოდ ბოლოში ურევენ ფეხს ვიღაცები. ხარისკაცები დანალულ ჩექმებს ქვაფენილს ახლიან.

- Раз, рааз, раз, два, трии! - ხმამაღლა ითვლის სერჟანტი გურამ ვარდანიშვილი, - ногу, ногу возьми!

მწყობრის თავში მიმავალმა ბატისკისერა, აყლარწულმა რიგითმა ნამაზალაევმა მთელ მარჯვენა რიგს აურია ფეხი.

- Ногу возьми, блядь, кому я говорю! - მრისხანებს სერჟანტი და დაუნდობლად ურტყამს ქუსლში პიწკს.

- ოიჰ, - კვნესის ნამაზალაევი და ფეხს სასწრაფოდ ცვლის.

ოი და... на, - ნიშნისმოგებით უხურდავებს სერჟანტი.

- წიე, ნასოკს ნუ ურტყამ მაგ საცოდავს, კოჭი არ ამოუგდო, - აფრთხილებს პაატა ლაბახუა მწყობრის ბოლოდან.

„ნეტა ერთი რას იკრიჭება ეს ძალად ოხუნჯი, „იბოღმება“ გურამა, თითქოს მეც მირონოვი ვიყო, ისე მოსეირნობენ. გეგონება, ისინი მყავდნენ, რა ჰქვია იმას... რო ჰკითხო ძმები ვართო გეტყვიან და ერთი ბეწოთიც კი არ გცემენ პატივს. ამათ დასანახად მაინც... ჰმ! შურთ თორე...“

საჩაიეს ღია კარიდან тетя Люба გამოდის, იხრება და ნარეცხ წყალს ბალახზე ღვრის.

- Ротаа! - ხმას უწევს გურამა და ქალს მალულად ჩასცქერის ფარღალალა უბეში.

ჯარისკაცები უფრო გამეტებით სცემენ ტერფებს ქვაფენილზე.

- Привет солдатики! - ესალმება тетя Люба და მარჯვენა მკლავს და მკერდს ათიმთიმებს.

- ნესვებივით არ უწყვია? - ბუტბუტებს გურამა და თავს უკრავს ქალს.

კიდევ უფრო იხუთება ჰაერი.

მთების გადაღმიდან ქუხილი მოისმის.

„არა, ამ კლიმოვს რაღას ერჩიან? - ფიქრს განაგრძობს გურამა - მე ძაანაც პატივი მცა, ულაპარაკოდ, პირდაპირ სერჟანტი მომცა და მთელი ატდელენია ჩამაბარა, მაშინ, როცა ის ჩემიალა მირონოვი თურმე მთელი წელი უტარებია ეფრეიტორად. ჰმ! ეფრეიტორი მირონოვი, ეფრეიტორი, თფუ, მაგის... ისე კი, მართალს ამბობენ „Лучше иметь дочь проститутку, чем сына эфреитора“-ო. სწორედ რო მაგაზეა რა. მეც ამიტომ ჩვენმა კამანდირმა, როგორც ქართველს, არც მაკადრა ეგ ეფრეიტორობა, ესენი კიდევ ქართველები არ უყვარსო გაიძახიან. თანაც კაცი შემპირდა, ერთ თვეში პარტიის საქმესაც მოგიგვარებო...“

ქვემოდან „უაზიკი“ მობღუის და მტვერს აყენებს. დაღლილი და სიცხით მოთენთილი ჯარისკაცები უაზროდ ბლიტავენ თვალებს.

„ცხვრებივით არ არიან ეს ჩემისები? გინდა, მარცხნივ გაუშვებ, გინდა - მარჯვნივ“. თითქოს ისევ სასიამოვნოდ ულიტინებენ სამხრეები.

- Стой! - აცხადებს უცებ.

მოულოდნელი ბრძანებით დაბნეული ოცეული ისევ წინ მიიწევს.

- Стой, вашу мать! - თვალებს უბრიალებს სერჟანტი მეწინავეებს. მწყობრი ჩერდება.

- На месте шагоом марш! აქა-იქ რაღაცა ჩაიზუზუნეს.

- ეეე! მოიცა რა. თუ ძმა ხარ. რა დროს ეგ არის ახლა! - ცხარობს ზაზაია კაპანაძე, - ხო იცი, რომ ყარაულიდან მოვდივართ, არა?

- ბოლო დროს ძალიან უსტავნოი გაგვიხდა, - ვითომ სხვათა შორის შენიშნავს პაატა ლაბახუა.

- არ გესმის, შე კაი კაცო? წუხელის ისედაც ლამის დაწყდა ხალხი, ვერ ხედავ, ფეხზე ძლივსღა ვდგევართ? - არ ცხრება კაპანაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აღარ მოკეტავენ? ეს...“ ცოფდება გურამა და ბორდიურზე აწიტებს.

- Стой! - აჩერებს ოცეულს - Шагоом марш!

კლუბთან ბზისფერთმიანი, ცხვირაქერცლილი ოფიცრის ქალები ჩამომდგარან, მზესუმზირას აკნაწუნებენ და თვალების ნაბვით რაღაცას ყვებიან.

- Раз, рааз! უფრო ომახიანად ითვლის სერჟანტი.

- დეე-დოოო, რა გოგონებია! - იცხადებს ლაბახუა.

გურამა ავად იბღვირება.

ბზისფერთმიანები თითქოს ვერც კი ამჩნევენ ბრახაბრუხით მომავალ ჯარისკაცებს.

- Ротаа! - ხმას იბოხებს ოცმეთაური.

ჯარისკაცები კვლავ გამეტებით ახლიან ჩექმებს ქვაფენილს.

- За-пе-вай!

- Над полями необъятными... უხალისო ზუზუნს იწყებს წინა რიგი.

- ...и лесами перекатными... - ხმას აშველებენ დანარჩენებიც.

- სულ წაგვიხდინა კაკალი კაცი იმ... მაინც ისმის ლაბახუას ჯიჯღინი.

- Громче! - ბღავის გურამა და ოცეული შორი გზიდან მიჰყავს.

- საიდან მივდივართ, ეე? ეგ ხომ არ გაგიჟდა? - ყვირის კაპანაძე.

- Рота стой! - აჩერებს მწყობრს სერჟანტი და მათკენ მიდის.

- თქვენ რა წითელი კოჭები ხართ ვითომ? არ გეკადრებათ, რო იმღეროთ თუ რა? - ჯიქურ შესცქერის თვალებში ბიჭებს.

წუთიერი დუმილი ბლანტი სითხესავით მდორდება. გარემო იმუხტება. გაკვირვებული ჯარისკაცები უხმოდ მისჩერებიან ქართველებს.

კაპანაძეს სახე ებრიცება.

სერჟანტი წუთიერ დუმილს გამარჯვებად თვლის.

- За нарушение порядка в строю обьявляю рядовому Капанадзе и рядовому Лабахуа кухонный наряд внеочереди - აცხადებს ოფიციალურად.

შიგუმბაევის მხარეს ამოფარებული კალიუტკინი ბოროტად იღიმება.

- შენ რა სულ თავზე გადაგვაჯექი შე... - იწევს კაპანაძე.

- რა მითხარი? შენი... - იყინჩება გურამა და კაპანაძეს პირველი ესხმის თავს.

- Вы что, джигиты - მოჩხუბართა შორის დგება ჩეჩენი მუსა - Они-же смотрят на вас - სცრის კბილებში.

პაატა და ლეკი მირზა თვალებჩასისხლიანებულ ზაზაიას აკავებენ.

- მუსა მართალია, ახლა ამათ დასანახად არ გვინდა, მერე... - ამშვიდებს ლაბახუა.

ცემით მოვკლავ მაგ შობელძაღლს... - კბილებს აღრჭიალებს კაპანაძე.

- Что это с ним, თავს აქნევს გულდაწყვეტილი მუსა.

მირზა ყაზარმას გასცქერის.

- ესენი არ ჩაერევიან, ჩვენი საქმეა, მაგრამ გააფრთხილე, არ გაგვაშველონ. - არიგებს ლაბახუას კაპანაძე.

ეეჰ! ერთმანეთში ლუკმა გაგვიყვია და ახლა... წუხს ლაბახუა და გაბრაზებით ურტყამს ქვას ფეხს

- ეს... სალაგები, ჭკუას გასწავლით თქვე... მოიცა, მივიდეთ! - ავად იღრინება გურამა და ახლა უკვე პირდაპირი გზით მიჰყავს ოცეული ყაზარმისაკენ. - კამანდირი მართალია - ყველაფერში ესენი არიან... მოიცათ, ამ საღამოსვე მოგაჭკვიანებთ, თქვე...

- Рос-сия, любимая моя... - ბღავიან ჯარისკაცები და მწყობრად მიაბიჯებენ, მხოლოდ ბოლოში ისევ ფეხს ურევენ კავკასიელები.

კაპიტანი კლინოვი კაბინეტის მაღალი ფანჯრიდან ღიმილით დასცქერის სიმღერ-სიმღერით მიმავალ ოცეულს და მის ახალ მეთაურს.

გვერდებგამობერილი წითელი მზე ზღვაში ჩასაყვინთად ემზადება.

- Рос-си-я - ექოდ ასკდება ყაზარმის ნაცრისფერ კედლებს.

ნიავი ჭაობის ლერწამს აბიბინებს.

წვიმის პირველი წვეთები მტვრიან ასვალტზე კაპუნობენ.

სადღაც ისევ ბღუის „უაზიკი“.

მზეც უკვე ადუღებს კასპიის წყალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თამაზ მაზმიშვილი

## მონატრება

ველი განჩინებას, სიტყვა მომენატრა,
სიტყვა ალესილი, ეკლიანი.
გულყელმორღვეული წვიმა მომენატრა,
აზრებამღვრეული ხეტიალი.

ჭექა მომენატრა, მეხნარევი,
ზეცა ელვიანი, ზოლიანი,
ფრენა მომენატრა, უმიზეზო,
ფრთებით - ყინულიან-თოვლიანით.

ეჭვი მომენატრა, ძაფი გაწყვეტილი,
ბეწვის ხიდი - ჩახსნილ, ჩაქცეული,
მთები მომენატრა. ანთებ-აღგზნებული -
- წამი - მოსული და გაქცეული.

ველი განჩინებას, სიტყვა მომენატრა,
სიტყვა ალესილი, ეკლიანი.
გულყელმორღვეული წვიმა მომენატრა,
აზრებამღვრეული ხეტიალი.

## საქმემ გაარჩიოს

კ. ყანდიაშვილს

ბრმა გადავიყვანე გზაზე,
მშიერს მოვუტეხე პური,
მწყურვალს მივაწოდე წყალი,
დაღლილს დავუწყნარე სული,
მოხუცს შევაშველე ხელი,
ბავშვებს გავუბერე ბურთი,
ძმობა გავუწიე ეულს,
ჭკუა დავარიგე ურჩი.

თევზი დავაბრუნე წყალში,
ქათამს შევუხვიე ფეხი,
მერცხალს დავულოცე ზეცა,
მუხას ავაცილე მეხი.

ერთიც ჩავიწერე ქულა,
ღვთისკენ შევიმოკლე რიგი,
საქმემ გაარჩიოს კვლავაც
კაცი, პატარა და დიდი.

## ღამის ჩანახატი

ბაღში მოგონება ტირის,
გული გადუღეღავს ზღაპარს,
ტილო გაუშლია ღამეს,
ზღაპარს ჩრდილებიანს ხატავს.

მთვარეს დაჰბნევია ვერცხლი,
ქარი ჭორებს უყრის კაკალს,
კატა ნაწყენია თაგვზე, -
თაგვი ვეღარ ამჩნევს კატას.

ნავი გაუშვია ქვევრში,
ნავზე დაუნთია ცეცხლი,
ნავზე უგროვია ვერცხლი
და თბილს ელოდება ზამთარს.

ჯერ კი მოგონება ტირის,
გული გადუღეღავს ზღაპარს,
ტილო გაუშლია ღამეს -
ზღაპარს ჩრდილებიანს ხატავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა


## ვნების აჩრდილი

მტკვარზე დაფრინდა ღამე,
ღლემ შეიკვეცა ფრთები,
გკოცნის აჩრდილი ვნების
გეშინია და კრთები.

კოცნას უხვდები კედლად,
შავებჩაცმული ჯვარის.
შეკითხვას – თუა ღმერთი?!
პასუხობ – არის! არის!

ბედზე ბუტბუტებს მტკვარი,
ბანს ეუბნება ჭალა,
ჩაუყლაპია ნაცარს
ხმელი ფიჩხი და ჩალა.

## გადატეხილი ყრიან ხეები

გადმოუდგია მეზობელს ღობე,
ჩაუწევია მუცელი საფლავს,
ქანგს დაუფარავს პაპის ორპირი,
თავს სარეველა დასხმია სახნავს.
ალგეთის მგლის ცოლს მოუკლეს შვილი,
ალგეთის სოფელს პატრონობს ქორი,
გაუზიდიათ მარანი თაგვებს
და დაუყრიათ კატებზე ჭორი.
გადატეხილი ყრიან ხეები,
მოუქნევია ქარიშხალს ბოლო,
კვლავ დაუზარდე სოფელს შვილები,
შენ ალგეთელო დევკაცის ცოლო.
თუ ჩამოწვება კვლავაც მეწყერი,
თუ დაიქუხებს – [illegible]ა მთა იაროს,
სხვა გზა არ ჰქონდეს ამოსვლის გარდა
მზეს, თუ ცოტათი დაიგვიანოს.

## დაბადება და გარდაცვალება

ინგა შარიფაშვილს

ჩამოვარდნილ ფოთოლის
ფრენის ტრაექტორიას,
გიგავს ნოსტალგიიდან
გაქონილი ზმანება.
არნახული სისწრაფით
გაფრენილი აგვისტო,
წამს სიცოცხლედ იქცევა,
წამს – ხორციელ წამებად.
სიზმრის აუხსნელობით,
ცეკვა ცეცხლის ენების,
დავარდნილი ცხენების
სევდიანი თვალებით –
შენი ოცდათოთხმეტი
ფოთოლცვენის ზაფხული
იხდის სამაგიეროს
სესხისა და ვალების
ღმერთთან მიახლოების,
წამიერი სურვილით –
გარდაცვლილი ოცნების
ხატად გამოსვენება,
ორჯერ ოცდათოთხმეტით,
ფაფარ აშლილ ცხენებით,
კვლავ სიცოცხლის წყურვილით
ზეციერი მშვენება.

## გაუთენარი ღამე

ხვალინდელ დღეზე ფიქრში,
ჩასძინებია კატას,
მოუზომავი ქინით
ყინვა კუბოებს ხატავს.

გაუთენარი ღამე,
ჩრდილებს მიუძღვის ქარი,
ტკივილებს ველარ მალავს,
საკიდმოშლილი კარი.

ჭაში ჩავარდნილ მთვარეს
ჩამოუთხელდა მკერდი,
და გათოშილი ყინვით –
ძაღლმა იცვალა გვერდი.

მკრთალ და უძალო რიჟრაჟს,
მზისგან გამოყრილ სართავს,
ჯერ ვერ მოუკლავს ღამე
და აურზაურს მართავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ნინო გელაშვილი

## ბელურები

გადაიფრინეს ჩიტებმა გუნდად,
თბილ სამყოფელში ეშურებიან,
თითქოს დამტოვეს... სევდა კრთის გულთან,
აქა-იქ მხოლოდ ბელურებია.

გადაიბნევა თეთრი უდაბნო,
ეს მერამდენედ გამოცდა მელის,
მოგონებები მოვლენ უდაოდ,
და შენი სახე ფიფქებით სველი.

შორი ქივქივი მომესმის შველად,
ზამთრის ჩიტებიც ემდურებიან,
შენი ღიმილი გამათბობს ყველგან,
აქ მომლოდინე ბელურებია.

## დაისი

მიყვარს დაისის ალერსი მქრალი
და მიფერილი ღიმილი ვარდის,
ვით გარინდება ოცნებით ქალის
ვით ბოლო ბგერა ღვთაებრივ არფის,
ვით სიყვარულის ნაღვენთი გულში
გრძნობათა სკა და სურნელი თაფლის,
მწველი მზე იყო ადრე და გუშინ, -
სისხლის ჩქეფის და ცხოველი დაფის.
ო, ახლა თბილი მოსჭვივის მზერა,
ვით შენთა თვალთა, მეგობრის დარი
და ფიქრის ჩიტი ცას მშვიდად სერავს
შენ და ეს ვარდი, სხვა ყველა არვინ.
დაისის კვდომა, სინაზის ქრობა, -
ო, სინანულის მაწვეთებს ღვენთი,
თბილი ტკივილი მარადის ორთა,
- ეს მოგონების ტატნობი შენთვის.
გადადის, წვება, მზე ირინდება,
ნელა მშორდება შეხება თითთა,
ო, ცის ბუკეტი მუქ სირენებად
ჩემს სულში ჰკონავს ნაღვლიან ფიქრთა,
მიინავლება, უჩუმრად ჩადის,
მტოვებს მაცქერალს წასული გზების,
ო, მეგობარო, დაისის ხატი,
მიდის დიადი გრძნობების ქებით.
წავიდა, გაქრა, სიმძიმე დაწვა,
ო, სიყვარულის სიმძიმე ტკბილი
მიყელყელაობს ცად თითქოს ალვა, -
უკანასკნელი შეიგრძნოს ხიბლი.

## შემოდგომა

ტრიოლეტი

ბაღის ბილიკებს დაჰფენია ფოთლები ქარვის,
სულში შემოდის სიახლოვე წარმავალ
ჟამთან,
იმ გარდასული სიყვარულის ვნება სად არის?
ბაღის ბილიკებს დაჰფენია ფოთლების
ქარვის;
და სევდიანი ნამზეური მოჰყვება არილს,
ქარს შეგუებულ სინანულის ხმა დააქვს
მთა-მთა,
ბაღის ბილიკებს დაჰფენია ფოთლები ქარვის,
სულში შემოდის სიახლოვე წარმავალ
ჟამთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ციცი გურიელი

## მამლის ყივილად მოსული კაცი

გარიჟრაჟი შორს იყო. საწოლში ველარ დაეტია. გახურებული სხეული გაჭირვებით გადმოათრია ჭუჭყიანი ქვეშაგებიდან, რის ვაივაგლახით გაუყარა ფეხები ქუსლებდალეულ ფლოსტებში, აივანზე გახანხალდა, კუთხეში მიდგმულ ტახტზე ჩამოჯდა და გახურებული სხეული დილის ნესტიან ნიავს შეუშვირა. სიგრილემ შვება მოჰგვარა, წამოდგა და პერანგის ამარამ ბოსტანს მიაშურა...

რიჟრაჟისფრად გამოიყურებოდა კვლებში გარინდული მწვანილეული თუ ბოსტნეულის ჩითილი. ნელა ჩაუყვა და მალევე ამოუყვა უკან ბილიკს, იქვე, ბლის გადანაჭერზე ჩამოჯდა და მბორგავი მუცელი ფეხებშუა ჩაისვენა.

„თითქოს ადრეა და რა მემართება?..“ გაიფიქრა და ნამიანი საფეთქლები ხელისგულებით დაისრისა. წამოდგომა სცადა. საშინელი ტკივილი დაეძგერა წელში, წამოაკივლა და იქვე გააშეშა. თავს ცოტა ადროვა, იმ ძალას გაუმკლავდა, შიგნიდან კალოსავით რომ ლეწდა და ანგრევდა.

რამდენჯერმე დაეცა. ბოსტნის ფხვიერ მიწას ფრჩხილებით ჩაფრენილი, გოჯა-გოჯა მიიწევდა სახლისაკენ, როგორც იქნა, აფორთხდა კიბეზე და ლოგინამდე ღმუილით მიაღწია. ტკივილი მატულობდა. სიმწრის ოფლში გაწუწული ქალი იკლაკნებოდა:

- მიშველე ღმერთო, ღმერთო მიშველე, მიშველეე!... - ისტერიამდე მისული ჰაერში არარსებულ საგნებზე წაპოტინებას ლამობდა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, ქანცგაწყვეტილმა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და საშინლად დაიკივლა...

ფეხშიშველა, სისხლით დაწინწკლული მიტკლის პერანგით გავიდა სახლიდან ქალის სული და მტრედისფერს შეერია...

გახშირებული მამლის ყივილი იდგა მდუმარე სოფელში და, ჯერ ისევ თბილ, ნატანჯ სხეულთან პაწაწინა, მოწითალო არსება ფუთფუთებდა და გულსაკლავად ჩხაოდა.

ქალს პირზე შერჩენილი შვების ღიმილი და უსაზღვრო ტკივილითა და ნაღვლით სავსე თვალები ჰქონდა, ყელზე ოფლის ცივი ნაკადულები მოცურავდა, მის სმენას აღარ აღელვებდა მამლის ყივილად მოსული ბიჭის ღნავილი...

აქა-იქ, მეზობელი სახლებიდან, სადაც პირველად მისწვდათ ქალის ტკივილი, - დაფეთებულები გამორბოდნენ.

- მართა, მართააა... ჰაი, მართა...

ოთახში შესულები ადგილზევე გააშეშა სიბრალულმა, გაოცებამ, ტკივილმა და დანანებამ.

- ვაი შენს დედასო!.. - ფეხაკრეფით მიეახლნენ, თითქოს არ გაეღვიძოსო. ატირებულებმა აართვეს ჩაბჟირებული ბიჭი და მოცახცახე ხელებით დაუხუჭეს თვალები.

სოფელში ისევ არ წყდებოდა წითელბიბილოვანთა ომახიანი გადაყივლება, რომელსაც ჩვილის ღნავილიც უერთდებოდა...

გულდათუთქული მეზობლები დაბნეულები იდგნენ და იმდუღრებოდნენ.

მეუღლის გვერდით დაასაფლავეს მართა და ფხვიერ ბორცვზე მინდვრის ყვავილების უნაზესი გვირგვინი დაუტოვეს...

სამადლოდ გაიზარდა ბიჭი ნათესავ-მეზობლებში, პირველი კბილის ამოჭრის სიმწარე მათ დაუამეს, პირველი ნაბიჯის გადადგმაშიც ისინი მიეხმარნენ და პირველი სიტყვის წარმოთქმაც მათ ასწავლეს.

იზრდებოდა ბიჭი და მის თანდათან გაღვიძებულ ცნობიერებაზე ფართო და კითხვის ნიშნებით სავსე თვალები ადასტურებდნენ...

ხშირად, ძალიან ხშირად ხვდებოდა ყურს - „დედა“ და უკვირდა, თვითონ რატომ არ ეძახდა ვინმეს დედას და საერთოდ, სად

ეროვნული ბიბლიოთეკა





იყო დედამისი...

პირველი კლასი და „აი-ია"-ც უდედოდ მოვიდა. გულს სტკენდა მშობელთა კრებებზე შიგადაშიგ მოსულ ნათესავ-მეზობელთა დანახვა, რომლებიც შემდეგ ნელ-ნელა გაქრნენ, საშინელი სიცარიელე აგდებდა გარეთ და ეზოში, ლეღვების ძირში წამოწოლილი, სწავლობდა გაკვეთილებს, ცას აჭყურებდა და ოცნებობდა ოჯახზე, შვილებზე და ულიმოდა შორეულ, აჟრიამულებულ, ბავშვების კისკისით დახუნძლულ დროს...

იზრდებოდა ბიჭი. ყანაში - სიმინდის ატეხილ შრიალში უჩნდებოდა ხელებზე კოჟრები.

ყმაწვილობაში - ალერსით და მორიდებით მოუყვნენ მამლის ყივილად დაბადების ამბავი. მას მერე სიმარტოვე შეუყვარდა. გულჩათხრობილი დადიოდა, გაიპარებოდა და ტყე-ღრე დაეხეტებოდა.

- ცოლი უნდა შევრთოთ ნამდვილადო! - ითათბირეს გარშემო და საქმეს შეუდგნენ. ჯერ გაუბედავად აგონებდნენ, მერე კი ხმა აიმაღლეს და ბოლოს უკვე თავი მოაბეზრეს, საითაც გაიწევდა, წინ დაუხვედრებდნენ: - კაცოო, ცოლი მოიყვა, ცოლიი!

ელვის სისწრაფით მოხდა ყველაფერი. საპატარძლოც მოინახა და ჯვრისწერის გვირგვინიც დაადგეს თავზე.

საკლავი დაიკლა. ქვევრები მოიხადა და ლეღვების ძირში გაიშალა სუფრა. ცამდე ადიოდა სალხინო სიმღერები.

მერე ყველა წავიდ-წამოვიდა.

გამრავლდით, გამრავლდითო! - დაუტოვეს და ამ დღიდან ცოლ-ქმრულ უღელში შებმული ეწეოდა ოჯახის ჭაპანს.

ქალი ლამაზ ფარდებად და ქოთნის ყვავილებად დაბინავდა ოჯახში. ქმარს ეფერებოდა, უელიდა, ჰგვიდა და აწკრიალებდა. თავს იწონებდა ეზოში აღაღანებული სიმწვანით. ოთახში კი მოცისფრო ბროლის ლარნაკში მუდამ წოწოლა მიხაკები ნარნარებდა.

...წლისთავზე ჭერქვეშ აკვანი არ დარწეულა.

არც მეორე და მეხუთე, არც მეათე წელს ჩამოუღიათ სხვენიდან აკვანი...

კაცი წლიდან წლამდე იმედით ელოდა დედისეული კერიდან საკუთარი სისხლის წვეთად ამობრდღვიალებულ გვარის გამგრძელებელს, მაგრამ ამაოდ... ზაფხულის ცხელ მთვარიან საღამოებში ძლივს გადადიოდა ყელში მაწვნის შეჭამანდში ჩამბალი პურის ლუკმა, ზამთარში კი ლობიო და მჭადი...

თვალსა და ხელს შუა იპარებოდა დრო და ჭაღარად სახლდებოდა კაცის თმაში.

კაკლის ჩრდილქვეშ უყვარდა ჯდომა. ფიქრიანი თვალებით გასცქეროდა მთების სილურჯეს, სხვისი სახლებიდან გამოსული ბავშვების ჟრიამული გულს უწურავდა, ნიკოტინით შეყვითლებული თითებით ისრესდა წამოტკივებულ შუბლს და ბოღმის გუნდას ჰგავდა ერთიანად.

ერთხელაც ასე იჯდა; მერე ფიქრებში გართული, მხრებში მოხრილი წამოდგა და დამძიმებული ნაბიჯებითა და გაუბედურებული კაცის ყანყალით გაეშურა ჭიშკრისაკენ:

- ამირან, ამირან, საით, ამირან? - წამოეწია დედაკაცის ხმა. კაცი მობრუნდა. უაზროდ გახედა მოძველებული აივნის რიკულებზე გადმომდგარ ცოლს, მერე ზანტად მოაბრუნა თავი უკვე ჩაბერებული ლეღვებისაკენ. უყურა, უყურა, ხელი ჩაიქნია და ჭიშკრიდან გასული, სოფლის მტვერიან შარაგზას დაადგა.

ის იყო და ის!.. დედის საფლავზე უნახავთ უკანასკნელად, მას მერე თვალის დამკვრელი არავინ ყოფილა. წასულა და გამქრალა.

წასულა და გამქრალა. თურმე დღემდე უცნაურ ამოუხსნელობად დადის და პირმოუკვრელი ჭრილობასავით ვერ იშუშებს მისი გამზრდელი სოფელი მამლის ყივილად მოსული კაცის ამბავს.

## თეთრი ბილიკი

ცხოვრობდა ქალაქში პატარა ქალი.

ქალაქი ჩვეულებრივი და თანაც არაჩვეულებრივი იყო, თავისი აღმართ-დაღმართებით, სტუმარ-მასპინძლობით, სიტყვა-პასუხით, მოდა-ჩაცმულობით, ჰაერ-ამინდით, მტერ-მოყვრებით და მფარველი ანგელოზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებით.

დადიოდა ეს ქალი ამ ქალაქის აღმართ-დაღმართებით, ტკივილიანი ღიმილით უყურებდა ცას და მიწას და ქარიშხალში მოყოლილი უმწეო ტირიფივით თრთოდა სულხორციანად...

ქალაქი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. ვერ ამჩნევდა დარდისაგან დაჩაგრულ ქალს და არც არავის აწუხებდა გარშემო მისი ჩუმი გულისტკივილი. გამოფიტული ნერვების გაწეწილ რიალში სულ ერთ რამეზე ფიქრობდა, შინ მისული ეფერებოდა გოგონას სურათს, ესაუბრებოდა უხმოდ, თავისთის, ჩუმი დარდით.

ამ დარდიანი საუბრებით გავიდა მისთვის რამდენიმე წელი. მონატრების საწნახელს გავლა ეს წლები, სადაც ბოღმის მტევნებად იწურებოდა ქალი, სევდით ატორტმანებული, ცას ემუდარებოდა - დამიბრუნეო შვილი!.. უსინათლო დერვიშივით დაეძებდა ქუჩა-ქუჩა შვილის პატარა, კაფანდარა სხეულს, ქერათმიანი ბავშვების დანახვაზე, საცოდავად შეუხტებოდა გული და ოხვრით დამძიმებული ნაბიჯები მიათრევდნენ ქალს ღამეებისაკენ, სადაც სიზმრებში მოდიოდა გოგო, ეფერებოდა და წუხდა:

- აღარ მიშვებენ შენთან, დედა!..

მერე ელვიძებოდა შიშით დაღლილს და ცხოვრება მისთვის სხვა არა იყო რა, თუ არა უშველებელი ხრიოკი, სადაც ახლართულ ბილიკებზე დარდად გაბმული, თვალდაშრეტილივით ხელისცეცებით დაეძებდა შვილის გამხდარ ხელებს...

მტკივან გულში კი ჩუმად ოხრავდა დამალული სევდა და მბჟუტავ იმედად რიალებდა მოლოდინად ჩაწნული მონატრება. დაბრუნებული მწვანემაუდგადაკრულ მაგიდასთან ჯდებოდა, წერილს წერდა, თან გულში ემუდარებოდა - „უნდა მაპატიო, დედა, უნდა მაპატიო!..“ გაუგზავნელი, დაჭმუჭნილი წერილებით ივსებოდა საქაღალდე კალათი... ასე იყო იმ დღესაც, ვინ იცის, მერამდენედ წერდა:

„შვილო, წახვედი ჩემგან და მეზიზღება ის უქმური დღე, შენი თავი რომ წამართვა... იისფერი, ოდნავ მბჟუტავი იმედი სულს მიბერავს და მაიმედებს, - ნუ გეშინიაო, გოგო!..

მე მაინც მეშინია. გამოვიფიტე და ავირიე. შენ ვერ გაიგებ, რა ცეცხლი მწვავდა ან რა ვიყავი დღემდე... ამას დრო გაგაგებინებს, მანამდე კი მონატრებით გაბერილი გული საცოდავად უნდა ჩამეწუროს მარტოობით გაწამებულ სულში! ცხოვრებაში ყველამ მიღალატა... შენ ჩემი კელაპტარი იყავი. არ მეშინოდა, არც მშიოდა და მციოდა შენთან ერთად...

და უცებ... შენც მიღალატე, გოგო... მიღალატე და თეთრ ჩარჩოში ჩასმული, შენი ხელით მორთმეული გამხმარი იები დამიტოვე... ხშირად მღალატობს ნერვები. მენატრები თითოეული ძარღვით, მთელი არსებით და გრძნობით, ყოველი ჩემი მოსვლა შენთან დიდი ტკივილია. მიკვირს, ან კი როგორ არ გავგიჟდი აქამდე?.. მე ხომ შენით ვცოცხლობ, იმედით ვსულდგმულობ და ეს იმედი მეშველება ორად გახლეჩილი სხეულის თრევაში...“

შემოდგომის ცივმა ქარმა ჩაუკეტავად დარჩენილი ფანჯარა შემოგლიჯა. ქლიავისფერი ბინდი ჩამოწოლილიყო ქალაქში. ქალი წამოდგა, ნამტირალევი ქუთუთოები მუჭებით ამოისრისა და ფანჯარას მიადგა. მიხურა, გახურებული შუბლით ცივ მინას მიეყრდნო... ესიამოვნა. გარინდებულს, ისევ და ისევ ჩამოსდიოდა ცრემლი თვალებიდან...

„ჰმ, ცრემლი!..“ - გაიფიქრა და თავს აუჩურჩულდა: - ის არ ჩანს, - შენი თვალებით იყურება სხეულის ყველა კუთხეში გაბნეული, შენთან ერთად სუნთქავს და თითქოს ვერც კი გრძნობ მის არსებობას თუ შენ თვითონ არ აიძულე, - თავი შეგახსენოს...

საკმარისია, რაღაც გეტკინოს შიგნით, სულში, - მაშინვე წვეთი წვეთს აესხმევა ბროლის კრიალოსანივით და მღაშე ცრემლები წალეკავენ იმ ტკენას ქუთუთოებზე...

ქალი ისევ გაირინდა. დაღლილს, ძილი ერეოდა... მაგიდის უჯრიდან გოგონას სურათი ამოიღო, ლოყით მიეხუტა, თვალები დახუჭა და ასევე ჩამოადო თავი მაგიდას...

„გათხოვება არ მაპატია!..“ - ისევ მოუჭირა რაღაცამ მწარედ გულში, საშინლად მოუნდა ძილი, აღარც განძრეულა ადგილიდან, უცბად დარია ძილმა ხელი.

ნატანჯი სახე ჰქონდა. სიზმარი ნახა უცნაური... ვითომ, სიცხეზე გავარვარებული, მუცელგამობერილი რიყის ქვები ეყარა ხრიოკი გზის აქეთ-იქით.

გზა ხან წვრილი, ხან ოღროჩოღრო, ხანაც ნამეტანი მიხვეულ-მოხვეული თავისნაირივე გზა-ბილიკებით მრავალგზის იკვეთებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

... და თითქოს ამ კლაკნილი ხრიოკებით მოხატულ სივარვარეში მარტო ჩამომჯდარი, საცოდავი კონკების აზროვნებაში მოქცეული-ყო:

– რანი ვართ... რისთვის მოვედით... რა გვწადია და საით მივდივართ?.. რა არის ცოდო-მადლი? სად უფრო მეტი გასავალი აქვს თემიდას სასწორს? ან სიყვარული რა-ღაა – გრძნობათა ეს უნაზესი გვირგვინი სურვილით მთრთოლვარე სულების მშვენიერი შერწყმისა?..

სული რაღაა თავად, – პირველივე ამოსუნთქვით რომ იწყებს სიცოცხლეს და ფეხის ადგმას?..

რატომ აღარ ახსოვს ნამშობიარებ ქალს წუთისწინანდელი სიმწრის ღმუილით ამომუდარებული „ღმერთო მიშველე", – როცა დაინახავს საკუთარი სხეულის გალუმპულსა და მჩხავანა ნაწილს? რა არის დედაშვილობა? სად იწყება და სად მთავრდება ამ სიბრძნის ფილოსოფია?..

მერე ვითომ მზე ნელ-ნელა გადაწვა გვერდზე და მთელი დღის ნასიცხარმა ქვებმაც შვებით ამოისუნთქეს. საცოდავი კონკებიდან ცრემლი ცრემლს გადმოეკიდა და მოხრილი მხრების თრთოლვას გულსაკლავი ზმუილიც დაურთო.

ზმუოდა და ათასნაირად ნაკემსი ჯვალოს კაბის თითოეული ნაოჭი უკრთოდა.

გალაჯულ ფეხებთან განაბული ქვები ახლა მისი ცრემლის სიმხურვალით იმღუღრებოდნენ. ისინი, მართალია, ქვები იყვნენ, მაგრამ ვითომ მათაც გული ედოთ ქვის მკერდში და ნაცრისფერი მზერით ამოჰყურებდნენ ყველასაგან მოგლეჯილ, გათელილ ქალს, ეცოდებოდათ წყენით გაწვალებული და იმედებისაგან მიტოვებული...

საწყალს, კალთაში ჩაეწყო უმოძრაო ჭუჭყისაგან გაუხეშებული ხელები, უაზროდ დაჰყურებდა და ცრემლის სიმლაშის გემო ჩამოსდიოდა დამსკდარ ტუჩებზე...

„მე აუცილებლად ვიპოვი იმ თეთრ ბილიკს, რომელიც ჩემამდე მოგიყვანს, ბილიკის ბოლოს მოთმინებით დაგელოდები და, რაღა თქმა უნდა, ყველა შეცდომას გაპატიებ დიდსულოვნად, როცა მუდარით მომიხვალ და შენდობას მომთხოვ...

გაპატიებ ამ ჩემს ტკივილს, დარდს და უშენოდ ჩავლილ წლებს, მოლოდინით ნაწამებ აპრილებს და მწუხარე, უმაისო მაისებს..."

მე ვითომ ფიქრებში გართულს, საღამოც წამოეპარა, თვალები მჯიღით ამოიმშრალა და ხანხალით გაუდგა გზას, ისე რომ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, საით წაიყვანდნენ ნებისმიერებას აყოლილი, შემცივნული და ქუსლებდამსკდარი ფეხები...

ვითომ ბედისმწერელს ეძებდა. ამ ძიებაში ემსხვრეოდა ხელჯოხი და ვერაფრით ამოეხსნა წუთისოფლის უცაბედი ფერიცვალება... „– ეჰ, დრო ისევ წაიყოლებს წლებს, დრო დაგაქალებს, დრო მოგიტანს დედობას და აი, მაშინ კი ნამდვილად გაგახსენდები... გაგახსენდები და ვერასოდეს აპატიებ შენს თავს ამ დიდ შეცდომას..."

დაზამთრულ სულში კითხვების კორიანტელი ირეოდა:

– რისთვის მოვედი? რა მინდოდა? – საით მივდივარ?..

ფიქრს არ ანებებდა დაშანთული გულმუცელი, ყელში ნაკეცებად გაჩხერილი ღალატის მწარე გემო ლოცვაში ხელს უშლიდა:

„მე მაინც ვლოცულობ, სიყვარული დაფარავს ჩემში ტკივილებს, ვლოცულობ შენი სულის გადასარჩენად, შენგან ხელნაკრავი და მიტოვებული... ვევედრები უზენაესს, რომ მოგიტევოს ცოდვათა უმძიმესი ცოდვა, ჯერ კიდევ ბავშვს, გადაგირჩინოს სული!..

მერე ვითომ უმწეოდ ჩააყოლა მზერა სადღაც, ვიღაცის ბაღში განაზებით ჩაწოლილ ცხელი მზის ბოლო ნაწნავს და რომელიღაც გზაჯვარედინზე თვალდიას ჩაეძინა... ძილში განაგრძო პატარა ნაფეხურების ძებნა, ქერა კულულები და შვილის თვალები ელანდებოდა...

უსახელო გზაჯვარედინზე ხავერდოვანი თითებით ეფერებოდა ღამე საბრალო კონკების გათეთრებულ თმას და ანუგეშებდა:

ნუ გეშინია, მალე დაგიბრუნდებაო შვილი! მაგრამ ქალს ისე ღრმა ძილით ეძინა, აღარაფერი ესმოდა.

**P. S.** ... დილით, სახლის სიცივენაზავი სიჩუმე ჭაღის ბროლებთან ერთად კრთოდა საწერ მაგიდასთან. ჩაუკეტავი ფანჯრიდან შემოვარდნილ ქარს იატაკზე მოეფანტა დაუმთავრებელი წერილის ფურცლები...

პატარა ქალის ოდნავ ღია თვალებიდან გარინდებული სიცარიელე იყურებოდა უსაშველო სიცისფრით...

ახლა მისთვის ყველაფერი სულ ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო... გულმა ველარ გაუძლო, საბოლოოდ გასრისა ტკივილმა. ბავშვურ ბაგეებზე შეჰყინვოდა გაშტერებული სინანული მწარე სინამდვილით: - გააფსუსებული სილამაზის ქარს გაყოლებული გრძნობების სისათუთე - სამუდამოდ გადაჩეხილი სიკვდილის ნაცრისფერი ბილიკებიდან მისივე უფსკრულებში ჩაზავებული სული წუხდა:

- ვაიმე, დავაობლეო შვილი!

იქვე, მგლოვიარე ლარნაკებში უნაზესი გაფითრებით თრთოდა თეთრი ვარდები. მწუხარე დანანებით დაჰყურებდნენ გარდაცვლილ ტკივილს...

სამძიმრისთვის ემზადებოდა მარტოდ დარჩენილი სახლი...

იმ დღეს ქალაქი ჩვეულებრივად აგრძელებდა ცხოვრებას...

## სინანული

ჩაიქროლებენ ქვიშიანი დარდის ქარები.

ჩაიქროლებენ და სულში ქვიშებადვე ჩაბარხანებულ ბოღმის კორტოხებს წაიყოლებენ.

სადღაც უდაბნოში კი თავს ჩამოიხრჩობს ჩემი მზე - ასიათასჯერ ვნებადაცლილი, გაფითრებული და ხურვაშეყრილი მზე...

ალმურადენილ ცხელ სიყვითლეს კი მირაჟებივით შეერევა ბაობაბის ბებერი მკლავებიდან ჩამოცურებული სინანულის სიცხიანი წებოვანება...

ჩაიქროლებენ ნაცრისფერი დარდის ქვიშები და სიცოცხლეს - ნაირ-ნაირი, ფერადოვანი ტყუილებით მოხატულს - მისტიკური ალების კივილიან როკვაში ამოხდიან სულს...

„მძიმე თალხებით ჩამოდგება ციდან მწუხრი და მგლოვიარე მზერა ჩამოიფარებს დარდის პირბადეს...

ჩემი ყნოსვა კი ნაცნობ და საყვარელ სურნელს დაუწყებს ძებნას - თბილ დაისებში ოცნებიან იმედებად ადენილს.

სადღაც კი ძალიან შორს, შორს, შორეულ სიშორეში - ლამის ცისა და მიწის გასაყარზე - ალიცლიცდება სუფევა უკაცური სიმარტოვის და სამუდამო, ვრცელი დუმილისა...

ჩაიქროლებენ ქვიშიანი გრიგალები... თვალს ვერ მოვასწრებ, ისე სწრაფად ჩაიქროლებენ და გრიალა ულმობელობით შემომაძარცვავენ მთელ იმედებს...

მერე კი, მერე - ჩემი გული - ქვიშიანი გრიგალებით გადათქერილ - მლაშე ცრემლებად დაიშლება და შენი სახე, ჩემთვის ესოდენ ძვირფასი და მონატრებული - ოქროს ნამცეცა, ქვიშისავე მარცვლებით აიხაპება...

ჩაიქროლებენ ნაცრისფერი დარდის ქარები და სულში ტკივილებად ჩაკორტოხებულ ბოღმის ბარხანებს წაიყოლებენ...



*ჰუგო არტურ ბერტრანი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლაშა ბრეგვაძე



## თბილისური ახალი წელი

შარშანდელივით შეხვდი ახალ წელს
და ფანჯარასთან უაზროდ მდგომი
შარშანდელივით უთვალთვალებდი
მთელი წლის განმავლობაში
ერთი საათით გამოცოცხლებულ -
ფეთქებად ქალაქს...
შარშანდელივით არ იყო თოვლი
და მხოლოდ ცვალებადი
მოღრუბლულობა...
შარშანდელივით მოიწადინე
რომ დაგელევარა უბიწო სითხე
და ლორწოვანი გარსის მახლობლად
შეიგრძნე რაღაც უცხო სხეული...
შარშანდელივით კვლავ ჭარბად იყო
გარეთ - სიცივე...
სახლში - საცივი...
შარშანდელივით გეუფლებოდა
მოჭარბებული აღგზნებადობა
და გოზინაყით ხელში და პირში
შენ კვლავ ატირდი მამაკაცივით...
შარშანდელივით კვლავ დაგვრჩა
ნაძვის ხე მოსართველი...
არ მეგულება არავინ
შენზე უფრო კარგი და
შენზე უფრო ქართველი...

* * *

შეძლებისდაგვარად გეცოდება
მუნჯი როსკიპი,
ქუჩაში მდგარი ცივი ხელებით...
დროს ეწოდება სხვა ჰოროსკოპით
სავსე აურა...
მე გახელებით გილოშნი თვალებს...
მეუცნაურა ხალხმრავლობა
შენს აივანთან...
დიდი ხანია აღარ გაღელვებს
სველ ტროტუარზე მოფენილი ძველი
წიგნები
და ომობანას თამაშის შემდეგ
მხარეთა შორის გვამების გაცვლა...
თანდათანობით უფრო მოგბეზრდა
მხოლოდ და მხოლოდ
მოვალეობის მოხდის მიზნით
ამოსული მზე...
სადაც ცხედრებია და კულისები,
მე მოვალ შენთან - გეგულისები
და სამამულო წარმოების ადამიანებს
თავს მიანებებს
ტანჯვა მიწიერი -
ოდნავ ბიწიერი
ჩვენი შობადობა...
რაღა გამოვიდა?!
ყელში ამოვიდა
მოკლემეტრაჟიანი და შავ-თეთრი
სიცოცხლე...

## ძველებური ხალიჩების შესყიდვა

შეინიშნება გაუგებრობა -
ხევ სურათს და ვერ გრძნობ ხევსურეთს...
კვლავ მოაქვს ნიავს შორეული
ფაიფურები...
შენ კი უაზროდ ეფერები
კედელზე ჯვარცმას...
რელიგიური სისასტიკით მოისპობ ნაყოფს

და აღაშფოთებ მშვიდობიან
მოსახლეობას...
დაფერფლა ცეცხლმა ძველი დავთრები...
რაღა თქმა უნდა ისევ დავთერები
რომ დავამტკიცო მეცნიერულად -
მე შენთან მინდა!..
შენ დამელოდე ზემოთ - კუს ტბასთან...
მე მოვალ შენთან საბაგირო გზით...
ვერ შეგვაშინებს მასის ხორხოცი
რადგანაც ხორცი
ჩვენ მათ დავუთმეთ...
დავუთმეთ შორი მთა-ველები
და თაველები...
მე და შენ ძველებურ
ხალიჩებს გვართმევენ...

* * *

ჩვეულებრივი მშობლების თვალწინ
ჩვეულებრივად ბერდები...
აღარ გაწუხებს მთის წვერზე ჯვარცმა
და ნატვრის ხეზე დაფლეთილი
ცხვირსახოცები...
შენს ღრმა კალთაში კვლავ იხოცება
მცირეწლოვანთა მძაფრი სურვილი...
შენი სიშიშვლით მოგვრილი ეშხი
ჩვენ კვლავაც გვტკივა
როგორც ლეშხი -
ცრემლები ხეთა...
ქარს გაატანე მემუარები...
მემუარები მონაზონივით...
შუაღამისას შენი ბავშვობა
ზღვაზე წავიდა და თავი მოიკლა...

* * *

თაობის ტანჯვამ მუხლუხოებით
გადაგვიარა ორსულ მუცლებზე...
პერიოდული პრესის ფურცლებზე
კვლავ გაიელვა შენმა სახებამ...
მშრალი გრძნობების ვერგასაღებამ
შენ არა გავნო...
გელოდები ჯერგადაუმწვარ პურის
ყანებში
შენ კი გამოჩნდი ყავახანებში -
გაურკვეველი სქესის ადამიანებთან
ერთად...
უშეღავათოდ გვაბრუებდა თეთრი
აბსურდი...
შენ ისევ გსურდი
მაგრამ შენს სურვილს წინ უდგებოდნენ
ჩვენი ქაშვეთის ორნამენტები...
აღტკინებული ისევ ენთები
და კვლავ გაღელვებს სიახლოვე
ფანჯრის რაფების...
ხანშიშესული ფოტოგრაფების მსგავსად
უყურებ ჩვეულებრივ სანახაობას
და გეშინია...
ბრბოს ძალადობა დაგეშილია
მალფუჭებად და იაფ განცდებზე
ველარ შეერწყა შენს სისხლს ვაქცინა...
ყველამ დაგცინა...
შენ კვლავ გაწვალებს სულ სხვა
ქ. თბილისი...
სულ სხვანაირად დანახული ღამით -
კუს ტბიდან...

* * *

რა უცნაური დილაა...
ეს დილა იდილიაა...
ნუ გეშინია ვენერიული დაავადების...
ცეცხლი ვარდების
ალბათ სულეთია
რადგან სულერთია
შენი არსებობა...
ჩვენ ვერ გვაოკებს სურათი
რომელზეც ხატია სურსათი
და არის აღქმა ეს ღირსეულის -
სასარგებლო წიაღისეულის
აღმოჩენას თუ შეედრება
შენი და ჩემი ყოფიერება
რომელსაც არ სჭირდება
ხელოვნური განაყოფიერება...
მე დავითვალე შენი თვალები...
გითვალთვალებ და გეთვალთვალები...
ცარიელია ყველა ამპულა;
საცოდაობა - მზე დალუპულა;
თანაც წამართვეს სამართებელი -
გზა მართებული:
ველარ გაგიჭრი პატარა თითებს...
ველარ აგივსებ თითებს თუთებით...
უაზროდ დაიმსხვრა ჩვენი თაობა
როგორც ნაკეთობა კერამიკული...
რატომღაც მაწვალებს შენი მუცელი
ოდნავ ლირიკული, -
რომელსაც ელის საკეისრო კვეთა...
გზნება როკვათა
ქარში მალული -
ეს არის გრძნობა არანორმალური -
ეს სამამულო ომია.

# გიგო ნინაშვილი



## სამშობლოს მიწა მიღირს ყველაფრად

ძილში სიზმრები დამყვა ზიარად
იგი მომყვება, სადაც გავივლი.
მთვარე მიჭირავს ხელში ფიალად
და მზე მგონია სატრფოს ყვავილი.
სამშობლოს მიწა მიღირს ყველაფრად,
მისი ერთ-ერთი ტარიგი მეც ვარ.
იგია ჩემი ხორცის საუფლო
სულის საუფლო - ლურჯთვალა ზეცა.
ძილში სიზმრები დამყვა ზიარად,
ყველგან დამყვება, სადაც გავივლი.
მთვარე მიჭირავს ღვინის ფიალად
და მზე მგონია სატრფოს ყვავილი.

## როგორც სიცოცხლე ზღვის გულში სახლობს

როგორც სიცოცხლე ზღვის გულში
სახლობს,
აი, ამ გრძნობით მე ვარ პოეტი.
ძიებითა ვარ უფალთან ახლოს,
ვუმღერ სამშობლოს - მისთვის მოვედი.
ქალის მოსახიბლს ვფლობ ოსტატობას
ენაწყლიანი, სავსე ნუგეშით.
და ვიმსახურებ ყველასთან ნდობას,
ვუფიცავ, მათ მიმართ არ ვარ უხეში.
სიტყვა ძვირი მაქვს, ალერსიანი,
მოსიყვარულე, მოფერებითი.
დღეგრძელი იყოს ეს დღე მზიანი
და სიყვარული მხოლოდ ნებითი.
აღარა ვარ ის, რაც ვიყავ გუშინ,
სულის სიცოცხლე აღარ მიტკბება.
დავბერდი კაცი და ახლა გულში
სასიყვარულო ვარდი მიჭკნება.
დავდივარ, მაგრამ მუხლი მეჭრება,
რაღაც ტკივილი ჩემს სულშიც სახლობს.
ქალების ცქერით გული მიკვდება,
სიბერის სენი არ მიშვებს ახლოს.

## საუკუნეთა აჩნია კვალი

სახლი სახლზეა მიჩუქურთმული,
დამშვენებულა თითქოს მძივებით.
ჩვენ ამ სიყვარულს ვაჩუქეთ გული,
სულის სიწმინდით ზეცას მივყვებით.
მზე ამოსულა ფერების სხივით,
ქალაქის ფანჯრებს ეალერსება.
მივყვები გამზირს წარსულზე ფიქრით,
მომავლის რწმენით გული ივსება.
საუკუნეთა აჩნია კვალი -
დაუნდობელი რისხვა ჟამისა.
გულში დავითის ელვარებს ხმალი,
სულში - სიწმინდე ქეთევანისა.

## ამ ცის გადაღმა თეთრი მთებია

ამ ცის გადაღმა თეთრი მთებია
მზისგან გაშლილი ალუბლის ბაღით,
აქ სხვა სიცოცხლით დგანან, ტკბებიან
სამოთხის მიწით, ცისფერი თაღით.
ზოგი ყვავილობს, ზოგი კი გახმა,
მითხრეს, წაგიყვანთ თუ გნებავთ გაღმა...
იქ მიმავალ გზას ვადგავარ ახლა,
სიცოცხლეს ვიწყებ თავიდან წაღმა.

# სუ ში

## X-XIII საუკუნეები - სუნის ეპოქა „ცი“

### ვმაღლდები ღრუბელთმიღმიერი დრაკონის მთაზე

ყვითელ ბალახში ნაბიჯ-ნაბიჯ ბილიკს მივკვალავ,
ძამრეც ფერდობზე მივჩანჩალებ, მივალ ხმეული.

ისე მოსჩანან შორს ქათქათა, სიპი ლოდები,
თითქოს ცხვრის ფარა შეჰფენია სთვლობის იალაღს.

ვით სარეცელზე - მთის მწვერვალის გორმახ მიწაზე
ჩამოთენთილი დაეცემა ჩემი სხეული,

გადაიშლება ცა ღრუბლებით ნაქანდაქარი
და უსასრულო ვარსკვლავეთის სივრცე კრიალა.

როცა შორეულ ხეობების ტკბილი სიმღერა
ექოდ ხმიერი ქარაფებს და ტინებს დაჰხარის,

სამხრეთ-აღსავლით მომავალი ვიღაც გამვლელი -
ქეიფს გადაჰყევ, ბატონოო! - მეტყვის ხარხარით.

### ყვითელი ხარის ტაძარი *

მდინარიდან კლდეა ამომართული,
მწვერვალისკენ არვინ იცის გზა.

დგას ქარაფზე წმინდა ხარი ნასუქი,
ქედმაღალი გადმოსცქერის მგზავრთ.

- - - - - -

* ყვითელი ხარის ტაძარი (ხუანიო მიაო) - მდინარე იანძის თვალწარმტაც ხეობაში ერთ ლამაზ მთაზე მდებარეობდა. გადმოცემის თანახმად, მსოფლიო წარღვნისას, მითიურ იმპერატორ იუიუს ყვითელი ხარი დაეხმარა სტიქიის დაშოშმინებაში. ტაძარიც სწორედ ამ ხარის სადიდებლად ააგეს. დიდი ხნის განმავლობაში ტკბებოდნენ ხუანიო მიაოს მშვენიერებით მდინარე იანძიზე დაშვებული მგზავრები. მრავალმა პოეტმა შეასხა მას ხოტბა და ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ თითეული მათგანი არაჩვეულებრივად საინტერესო ინტერპრეტაციით გამოირჩევა. ლი ბოს ლექსში ყვითელი ხარის ტაძარი სწრაფადმქედინი დროის დაუნდობლობასთან არის ასოცირებული, ჯან ვენჯუნთან - მდინარის სტიქიის ძალმოსილ მბრძანებელთან, პოეტი ლუ იუ კი თავის დღიურში წერს: „დღეა თუ ღამე, ყვითელი ხარი არ გშორდება. აი, გათენდა, დაღამდა კიდეც, ის კი უცვლელ ხატებად მიდგას თვალწინ“.

სუ ში-სთან ტრადიციული თემა ახლებურ ელფერს იძენს. ლექსში ავტორი ჩაფიქრებულია იმ ადამიანების ბედ-იღბალზე, რომლებსაც არსებობისათვის უმძიმესი შრომა უწევთ. (მთარგმ.)

დამხობილან მომლოცველნი ტაძართან –
მოგვს ნუკვა და შევედრება ხამს...“

შეწირული ცხვრის პეტელი შეერთვის
ფლეიტის და დაფდაფების ხმას.

შორს ბეჩავად ხნულში ხარი ფორხილობს –
გააქვს კვალი, ხან ეცემა ძირს,

რქებდალეწილს დასცვეთია ჩლიქები,
ქედით გუთანს მიეწევა ძლივს.

დაჯერდება როცა ბლუჯა ბალახსაც,
კვლავ მორჩილად გადაიმტვრევს ჯოხს...

დასტურ, ამგვარ არსებობას წამებულს,
ქვით ნაკვეთი კერპი იყო, სჯობს.

## ესსაა გამოვცურეთ ძიაჯოუდან

შევცურეთ, შორით
დაფდაფების გუგუნი ისმის,

დასავლის ქარი,
აფრიალებს ანძაზე ალამს.

ნაცნობი ერდო
გაიცრიცა მიღმიერ ნისლის,

რიერაჯის ბინდში
მიიკარგა ძინშუის* ჭალაც.

იმატა სივრცემ,
მიგვაქროლებს მალიად ზენა,

ირეკლავს სხივებს
მანძიანის* ანკარა წყლები.

ფრიალო კლდიდან
ბუდა* მშვიდად გვაყოლებს მზერას.

გაშლილა არე
უსასრულო ველების წყებით.

ბოგირზე ბერი
თევზაობს და, მნათობი სანამ

მიმქრალი სხივით
გადაჰკვეტავს დასავლის რაზებს,

დავუქნევთ ხელებს,
უმალ ისიც მოგვაგებს სალამს

და თბილი მზერით
გაგვაცილებს შორეულ გზაზე.

------

* ძიაჯოუ – თანამედროვე ქალაქ ძიადინის (სიჩუანის პროვინცია) ძველი სახელწოდებაა. ლექსი 1059 წელს დაიწერა, ე.ი. მაშინ, როცა სუ ში მამასთან – სუ სიუნთან (იგი განთქმული ლიტერატორი იყო) და უმცროს ძმასთან – სუ ძიუსთან ერთად მდინარე იანძიზე მოგზაურობდა.

*ძინშუი და მანძიანი – მდინარე იანძის შენაკადებია. ამჟამად მათ მინძიანი და ცინძიანი ეწოდებათ.

*ბუდა მშვიდად გვაყოლებს მზერას... – სუ შის სამგზავრო დღიურში ჩაუნიშნეს, რომ ბუდას ქვის ქანდაკება მდინარე მანძიანისა და იანძის შესართავთან, მაღალ მთაზე იყო აღმართული. ეს იყო ე.წ. „მომავლის ბუდა“, – ბოდისატვა მაიტერიუ, რომელსაც კაცობრიობა ბოროტებისა და უბედურებისგან უნდა ეხსნა. „მომავლის ბუდას“ დიდი მუცლითა და სხივმოსილი ღიმილით გამოსახავდნენ და ბედნიერებისა და კმაყოფილების განსახიერება იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჩვენ დავშორდით შარშან
ჯუიხანის ბჭესთან.
თოვდა... განა ტირიფს
მოსცვიოდა ღინღლი.
რახანია მიწყდა
გაზაფხულის ჭექაც.
კვლავ არ ჩანხარ... თოვს და
ნაკვერჩხალი ღვივის.

თასი ღვინით სავსე,
კრეტსაბმელი ღია,
სტუმარია ჩემი
დღეს ნათელი მთვარე.
იყინება ცვარი
და ქარები ქრიან,
შუაღამე ლანდად
მოსდგომია კარებს.

მთვარე ისევ ბროლის
ძაფებს ქარგავს ამოდ,
ზღვრად ლავგარდნის გასწვრივ
სხივი უძევს წვრილი.
მოშურნეა ჩან ე* -
შიგ შემოჭრას ლამობს,
სურს იხილოს მერცხალთ
მოტრფიალე წყვილი.

## ღამეული ფიქრი

ლელიანში დაჩურჩულებს ქარი,
ეს ჩურჩული სიჩუმეა თან.
კარს გამოვხსნი, ვუცქერ წვიმის ქვეშე
მთვარე ტბაში როგორ იბანს ტანს.

წევს მეთევზე, თოლიასაც სძინავს,
ეგებ სიზმრებს ნახულობენ მსგავსს!

გასხლტა თევზი - ღემონს თითქოს მთვარის
ათინათი შემოევლო გარს!

შეღამების დრო და ჟამი დადგა,
ვერ შეხვდება ახლა კაცი კაცს,

მხიარულად მომდევს ჩემი ჩრდილი,
მხოლოდ მასთან სიარული მწადს...

მოაწყდება ხანაც ტალღა ნაპირს,
კვალს დატოვებს, მიიქცევა კვლავ,

ტირიფებში ბლანდებს ხლართავს მთვარე,
თითქოს ტოტებს სხივთა ძაფით კრავს.

სიცოცხლე ხომ ლტოლვა არი სწრაფი,
სევდისა და ფორიაქის რთვა

და წამიერ გაელვების გარდა
ამაოა ყოველივე სხვა.

მამლის ყივილს ზარის რეკვა ერთვის
და საცაა აღმოხდება მზეც,

გონგი ამცნობს მეთევზეებს - დროა,
რომ გაუდგნენ ლაჟვარდოვან გზებს.

თარგმნა *თენგიზ თოფურიძემ*

------

* ჩან ე (ხენ ე) - მთვარის ქალღმერთი, რომელმაც თავის მეუღლეს, მითიურ მეისრე ის უკვდავების ელექსირი მოსტაცა და ამით მთვარეზე ამაღლდა. შუა საუკუნეებში მას ულამაზეს ქალად გამოსახავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიშელ სეფორი

## აბსტრაქტული მხატვრობა

მონდრიანიდან კანდინსკიმდე რომ მივდივართ, თითქოს ერთი სამყაროდან მეორეში ვინაცვლებთ, თუმცა ისინი თითქმის ერთ დროს, ხელოვნების ისტორიისათვის გადამწყვეტ თუ კრიტიკულ პერიოდში მოღვაწეობდნენ. ეს ორი პიროვნება დიდად ვერ იზიდავდა ერთმანეთს. მე მოწმე ვარ მათი პირველი შეხვედრისა 1930 წ. Cercle et Carre-ს ჯგუფში, სადაც მათი საუბარი ძნელად თუ თავსდებოდა ელემენტარული ზრდილობის ნორმებში. მოგვიანებითაც, როდესაც კანდინსკი საცხოვრებლად ნეილს გადავიდა, მათი ურთიერთობა დიდად არ გაუმჯობესებულა. „ვერ ვიტან მას" - თქვა მონდრიანმა სიცოცხლის მიწურულს კანდინსკიზე, როდესაც მას ამ უკანასკნელზე ჰკითხეს.

ამ ესოდენ განსხვავებული ძალის მქონე ორ ბუმბერაზ მხატვარს ერთმანეთის მხოლოდ უგულებელყოფა თუ შეეძლო. ერთი მათგანი რუსეთიდან იყო, ფანტასტიკური ორიენტალისტური საფუძვლით, რაც ყოველთვის არსებობდა მასში და რამაც მის ფართო შემოქმედებაში უხვ ფერთა მხიარული მშფოთვარებით იფეთქა. მაშინ, როცა მონდრიანმა კუბისტებთან დაამყარა კავშირი, კანდინსკიმ, სავსებით ლოგიკურად, ფოვისტებთან ჰპოვა საერთო. მხატვრობაში გვიან მოსული კანდინსკის (იგი ოცდაათზე მეტისა იყო, როდესაც გადაწყვიტა, ხელოვნებაში ეღვაწა) ხედვა მოაჯადოვა კლოდ მონეს Haystacks-მა („თივის ზვინები"); ამასთან, ფოვისტურმა ფერწერამ, რომელიც 1907 წ. პარიზში თავისი ხანგრძლივი ყოფნისას იხილა, მას ნამდვილი შემოქმედებითი სტიმული მისცა. რუსულ-ორიენტალისტურმა ელემენტებმა მის ხასიათში უეცარი გამოვლენა ჰპოვა და გააგრძელა იშვიათი ძალითა და გაბედულებით დამკვიდრება. კანდინსკის პირველი აკვარელი (1910წ.) - ეს არის კოლორიტული ესკიზი, რომელიც თავისი სიცხოველითა და გაბედულებით დღევანდელ ნებისმიერ ტაშისტურ თუ ნონფორმისტულ მხატვრობას უახლოვდება.

მართლაც, ეს სწრაფი ჩანახატები განცალკევებულ ავანპოსტად რჩება კანდინსკის მხატვრობის ევოლუციაში. ამასთან, საცნაურია, რომ მისი დასრულებული ტილოები, როგორებიც არის Improvization on Mahogany, Composition III და Improvisation 10. შესრულებული იმავე წელს, როდესაც ზემოაღნიშნული აკვარელი შეიქმნა, ისევ მიდის აბსტრაქციის მიმართულებით, როგორც ფიგურატიულის, საგნის გულდასმითი ინტერპრეტაციის გზით. ჩვენ ვიცით, რომ კანდინსკი წერდა პეიზაჟებს, ამოსაცნობს, როგორც ასეთს, 1913 წლამდე. მაგრამ ვის ძალუძს განარჩიოს, დიდი Composition IV (1911) ან Improvisation (1912) გუგენჰაიმის მუზეუმიდან პეიზაჟებია თუ გონებისმიერი ფანტაზიის ნაყოფი? აქ ყველა ზღვარი ბუნდოვანია, როდესაც უკუგდებულია პირობითობა და, უნდა ვაღიარო რომ, ეს ფაქიზი სხვაობები მე ერთგვარად ფუჭად მეჩვენება. ხელოვნების კრიტიკოსი ერთხელ ამტკიცებდა, რომ შეეძლო ამოეცნო ცხენზე ამხედრებული კაცის ფიგურა „პირველ აბსტრაქტულ აკვარელში". თუმცა იმდენი დისკუსია წარიმართა პრიორიტეტის შესახებ აბსტრაქტულ ხელოვნებაში, რომ ძნელია თავი აარიდო ზმობის ამ ლაბირინთს.

მე, ჩემდათავად, ვაღიარებ უპირატესობას მკვეთრად გამოკვეთილი მდგომარეობებისას, რადიკალური და თვით ექსტრემალური პოზიციებისასაც კი. მაგრამ ამავე დროს ვგრძნობ რაღაც იდუმალ და ძლიერ მიმზიდველობას ბუნდოვანი ვითარებებისას, როდესაც ისინი ბუნებრივი და არამოჩვენებითია. ვგულისხმობ, მაგალითად, იმ მერყევ წამს, როდესაც დღე მიწურულია, მაგრამ ჯერ არ დალამებულა; ემოციის ჩრდილ-ნათელს ინდიფერენტულობასა და გულითადობას შორის, ადგილს, გაწოლილს ვაკესა და მთას შორის, გაურკვეველ ასაკს ყრმობასა და სიჭაბუკეს შორის. თუ ეს ბუნდოვანება ესოდენ მიმზიდველია, ეს ხდება იმიტომ, რომ იგი ამდენადვე განუსაზღვრადია. ის, რაც წმინდად გარდამავალია, ყველაზე მეტად მიმზიდველია გონებისათვის თავისი მოუხელთებლობის გამო. იგივეა მონდრიანის, კანდინსკის და კუბისტების შემთხვევაშიც: აბსტრაქციისა და ფიგურატიულობის ზღვარი მათ ნამუშევრებში იმდენად უმნიშვნელოა, რომ ხშირად არ ვიცით, რომელ მხარეს ვართ. ეს ის ბუნდოვანებაა, მათ ნამუშევრებს იშვიათ პოეტურ ხიბლს რომ ანიჭებს. ისეთმა მხატვრებმა, როგორიცაა კლე, მირო, დიუბუფე - ასევე გაშალეს თავიანთი კარვები ამ საზღვარზე და განუწყვეტლივ მოგზაურობდნენ ერთი მხარიდან მეორეში, თავად დაუდეგარნი ამავე განწყობას იწვევდნენ მაყურებელში.

1911 წლის დეკემბერში კანდინსკიმ გამოაქვეყნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Uber das Geistige in der Kunst (სულიერის შესახებ ხელოვნებაში). ეს ნაშრომი იმავე წელს ორჯერ გამოიცა გერმანიაში, თუმცა მისი სრული ინგლისური თარგმანი არ გამოცემულა 1946, ხოლო ფრანგული 1949 წლამდე. არც ერთ წიგნს არ გაუკეთებია ახალი აზრებისა და იდეების შორსმჭვრეტელურად და სრულად გაგება-გადმოცემისა თუ გავრცელების საქმეში იმდენი, რამდენიც ამ ნაშრომმა. იგი არის და დარჩება მეოცე საუკუნის ხელოვნების ფუნდამენტურ გამოკვლევად, ჩვენი საუკუნის სხვა საუკუნეებთან შედარების მუდმივ ბაზისად. თვალი გადავავლოთ რამდენიმე მონაკვეთს:

„როდესაც ფორმა გვევლინება რაიმე მნიშვნელობის გარეშე და არაფრის მთქმელია, ეს პირდაპირ არ უნდა იქნეს გაგებული. არ არსებობს ფორმა, არ არსებობს სამყაროში რაიმე, რომელიც არას გვაუწყებდეს. ხშირად, მართალია, ეს უწყება ვერ აღწევს ჩვენს სულამდე - ან იმიტომ, რომ იგი თავისთავშივე არ მოიცავს რაიმე მნიშვნელობას, ან კი უფრო იმიტომ, რომ იგი არ გადაცემულა სწორი მიმართულებით... ყველა სერიოზული ქმნილების შიგნით ჟღერს მშვიდი და ღირსეული სიტყვები „აქ მე ვარ“. სიყვარული თუ ანტიპათია ნამუშევრისა მასზე დაქროლავს და ქრება, უჩინარდება. ეს სიტყვები კი სამარადისოდ ჟღერს... ხელოვნებაში არ არსებობს არანაირი ცნება „ვალდებულების“ გაგებით - იგი ხომ მარად თავისუფალია. „ვალდებულებამდე“ ხელოვნება ქრება, როგორც დღე იწურება ღამის წინ“.

მაგრამ მთავარი თემა ამ წიგნისა არის შინაგანი მოთხოვნილების, შინაგანი გულისწადილის დადასტურება (die innere Notwendigkeit, der innere Drang), ერთგვარად ბერგსონისეული elan vital-ის მისადაგება მხატვრობისადმი. ავტორი მუდამ უბრუნდება ამ მთავარ თემას, როგორც მისი ნააზრევის ძირითად წყაროს.

„ყველა საშუალება წმინდაა, როდესაც ისინი ნაკარნახევია შინაგანი მოთხოვნილებით. საძრახისია და მიუღებელი ყველა საშუალება, რომელიც არ აღმოცენებულა შინაგან მოთხოვნილებათა წყაროდან. ბილიკი, რომელსაც ჩვენ დღეს ვადგავართ და რომელიც ჩვენს ეპოქას იღბლად დაუდო, არის ის გზა, რომელსაც გავყავართ საგანთა გარეგანი სახიდან და სანაცვლოდ საწინააღმდეგო, შინაგან მოთხოვნილებათა გამოვლენისაკენ გვიბიძგებენ“.

„მხატვარი ბრმა უნდა იყოს „ამოსაცნობი“ თუ „ამოუცნობი“ ფორმის მიმართ, ყრუ - თავისი დროის მოძღვრებებისა თუ მოთხოვნების მიმართ. მისი თვალი მისივე შინაგანი სამყაროსკენ უნდა იყოს მიმართული, ხოლო ყური შინაგან მოთხოვნილებათა ხმის სმენად. მაშინ მას შეეძლება გამოიყენოს ყველა მიღებული საშუალება და თანაბარი უნარით - ყველა მიუღებელი საშუალება. შინაგანი მოთხოვნილება აღმოცენდება სამი მისტიკური წყაროდან: 1. თითოეულმა მხატვარმა, როგორც შემოქმედმა, უნდა გამოხატოს არსი საკუთარი პიროვნებისა; 2. თითოეულმა მხატვარმა, როგორც თავისი დროის პირმშომ, უნდა გამოხატოს არსი თავისი ეპოქისა; 3.თითოეულმა მხატვარმა, როგორც ხელოვნების მსახურმა, უნდა გამოხატოს თუ რა არის ზოგადი არსი ხელოვნებისა (ეს არის ელემენტი წმინდა და დროის მიღმა მდგომი (ზედროული) ხელოვნებისა, რაც თანდაყოლილია ყველა არსებისათვის, ხალხისა და დროისათვის და რაც გამოხატულია თითოეული მხატვრის, თითოეული ხალხის და თითოეული ეპოქის ქმნილებაში, და როგორც ხელოვნების მთავარმა ელემენტმა, არ უწყის არც დრო და არც სივრცე). სულიერი თვალი საჭიროებს ღრმად ჩასწვდეს მხოლოდ პირველ ორ ელემენტს, რათა გახსნას, გამოააშკარაოს მესამე. მაშინ საცნაური ხდება, რომ „უხეშად“ ნაქანდაკარი სვეტი ინდური ტაძრისა იმავე სულით არის სავსე, როგორითაც, ვთქვათ, ყველაზე „მოდერნისტული“ ნაწარმოები.

ასეთი სულიერი ატმოსფერო სუფევდა Blaue Reiter-ის პერიოდის მიუნხენში. მაგრამ ყველა იმ მხატვარს შორის, რომელიც მონაწილეობდა იმ ცნობილ გამოფენაში, კანდინსკი ერთადერთი იყო, ვინც აბსტრაქტული ტილოები შემოგვთავაზა და ამ შემთხვევაშიც კი, როგორც ვნახეთ, მისი არჩევანი გაურკვეველი რჩებოდა: ერთი ნაწილი მისი ნამუშევრებისა ამბივალენტურია 1913 წლამდე, თუ არ ჩავთვლით უამრავ შემობრუნებებს ფიგურატიული ნამუშევრებისაკენ ბევრად გვიანაც კი, როგორიც არის, Saint George (1917); With the Wooden Horse (1917); მოსკოვური პეიზაჟები 1920 წლისა და Three Mottled Figures (1942).

ზოგ შემთხვევაში, ვთქვათ, კუფკასათვის გადასვლა წმინდა აბსტრაქციაზე მოულოდნელი იყო და იგი ფიგურატიულ მხატვრობას აღარც მიბრუნებია. ზოგნი მიემართებიან დამასკოს გზაზე და ნათელღებულნი ხდებიან*, სხვანი კი, მხოლოდ შემთხვევითობის ახირებულობას მინდობილნი, მიუყვებიან სოფლის ბილიკებს, რომლებიც მათი ტვინის უამრავ ხვიართა დარად კლაკნილია. თუმცა როგორც სრულიად მარტივად ჩანს, კუფკას შემთხვევას თავისი სირთულე აქვს. ჩვენ მასში ვპოულობთ თვითჩასახვას თავისუფალი ფორმებისას, რაც ნებისმიერი ფუტურისტული, ფოვისტური და კუბისტური გავლენისაგან დამოუკიდებლად აღმოცენდება ან, პირიქით - იმავდროულად ყველა ამ მიმართულებით არის პირობადებული. გვაოცებს იმის ხილვა, თუ რა თავისუფლად გადადის იგი ერთი ფორმიდან მეორეში, უმარტივესიდან - ბაროკომდე, არაბესკას წმინდა ფორმებიდან - სიმბოლისტურ მაღალფარდოვნებამდე. ფაქტია, რომ მხატვარი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა 1900-იანი წლების Art Nouveau-ს ე. წ. „მოდერნისტული სტილის“ ატმოს-

- - - - -

*იგულისხმება სავლეს ინიციაცია დამასკოს გზაზე, მისი ქრისტიანად მოქცევა. (მთარგმნელის შენიშვნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეროში და უჭირდა მისგან სრულად თავის დაღწევა. მისი, როგორც მხატვრის, ამ გაუწონასწორებლობის მიუხედავად, იგი იპყრობდა სიმაღლეებს ყველა იმ მიმართულებისას, რომელსაც ირჩევდა და ყველა შემთხვევაში იგი რჩება მოდერნისტული ხელოვნების ჭეშმარიტ, ავთენტიკურ პიონერად.

კუპკა იმხანად მონაწილეობს Fale Salon-ის გამოფენაში (1912 წ.) ორი ნამუშევრით, რომლებმაც ააფორიაქა საზოგადოება და რომლებიც უეჭველად პირველი სურათებია, მაუწყებელი კუბიზმის რადიკალური განახლებისა ყოველგვარი უკანდახევის გარეშე. 1913 წ. მან იგივე სალონში გამოფინა Localisations of Graphic Mobiles I და II მაშინ, როცა Salon des Independant-ში წარმოადგინა Verical Planes და Brown Line Solo . მხატვარს, როგორც ჩანს, სიამოვნებას ჰგვრიდა ერთმანეთის გვერდიგვერდ ურთიერთსაპირისპირო ხასიათის ტილოების გამოფენა - ალბათ, იმიტომ, რომ ამ გზით ხაზი გაესვა ინსპირაციის კაპრიზებისათვის. კუპკას შემოქმედება ამ აზრით სიცოცხლის ბოლომდე მართლაც ჭირვეულია და მერყევი, მაგრამ არასდროს - ფრივოლური, ფუქსავატური. შესაძლოა მასში იუმორის, სულის ამ ნათელი მხარის არარსებობამ გახადა ესოდენ ძნელი მისი მხატვრობის „მიწისაგან მოწყვეტა" პარიზში. მაგრამ მაინც სიდიადით აღსავსეა მისი Language of the Verticals (1913), Blue and Red verticals (1913), Pholosophic Architecture (1913), Sonorous Verticals (1921), Elevations (1938)

დელონეს სულიერ გარემოში (კვლავ 1921 წელს ვგულისხმობ) ჩვენ ვაწყდებით ორ ამერიკელ მხატვარს - მორგან რასსელსა და სტანტონ მაკდონალდ რაითს. თუმცა ისინი პარიზში გაიწაფნენ და მათი მხატვრობაც აშკარად განიცდის დელონეს ორფიზმის გავლენას, მათ მაინც არ სურდათ ყოფილიყვნენ მისი მიმდევარნი. როდესაც ისინი გამოიფინენ 1913 წელს ჯერ მიუნხენში, შემდეგ პარიზში (ბერნჰეიმ უმცროსთან), თავიანთ თავს „სინქრომისტები" უწოდეს. სწორედ ამგვარი სახელდებით უნდა მიეღო ისტორიას პირველი ამერიკელი აბსტრაქციონისტი მხატვრები და არაფერი ამართლებს მათ იმაზე მეტად, როგორც ეს სიტყვა.

ისინი ძალიან ახალგაზრდები იყვნენ - 1912 წ., რასსელი ოცდაექვსისა, მაკდონალდ რაითი კი ოცდაორისა. პარიზის დიდ გამოფენებზე წარმოჩენილი უკანასკნელი სიახლეებით გახალისებულნი, ისინი თითქოს დასნებოვანდნენ პარიზული კლიმატით, ერთდროულად ყოველ ფერს უხადეს ხარკი და მთლიანად კოლორისტულ ძიებებს მისცეს თავი.

ის უსისხლო დანაშაული, რასაც ისინი სჩადიოდნენ (როგორც ჩანს, წინასწარგანზრახვით, რაზეც თავადვე წერდნენ), იყო ენერგიისა და გულწრფელობის სათანადო ტრანსკრიფცია ტილოზე. ლირიზმი, რასაც ისინი ფერის მეშვეობით აღწევდნენ - ზუსტად ისე, როგორც ეს დელონესთან გვაქვს, არც ერთ შემთხვევაში არ გამორიცხავს სტრუქტურის მათეულ შეგრძნებას. მაგრამ მათი ხელოვნება დიდად განსხვავდება ფრანგული მხატვრობისაგან. რასსელი იყენებს ურთიერთშეჯახებულ გეომეტრიულ ფორმებს, უპირატესად ტრაპეზოიდალურს, ცვალებადი მრუდე ხაზებით ან მათ გარეშე. მისი მთავარი ნამუშევარია Synchromy to Form, რომელიც გამოიფინა Salon des Independent -ში 1914 წ. არანაკლებ ღირსშესანიშნავია Synchromy in Four Parts No.7 (1914 წ. უიტნის მუზეუმი, ნიუ-იორკი), რაღაც კალეიდოსკოპის მსგავსი, რომლის ოთხი ნაწილი ერთმანეთს ამაგრებს და იმავდროულად კიდეც არყევს. უხეში და მკაცრი დეტალებით მხატვარი აღწევს სრულქმნილ მთლიანობას. ეს იყო სრულიად ახალი სტილი იმ დროისათვის, როდესაც სურათი შეიქმნა.

მაკდონალდ რაითის მანერა თუმცა საკმაოდ ძალისმიერია, ამავე დროს უფრო ელეგანტური და ყველაზე მეტად ალუზიური, ვიდრე მისი კოლეგისა. ამიტომაც მასში მეტია სიფაქიზე და დახვეწილობა, რაც აყალიბებს მომავალი ორიენტალისტის ხელწერას (მაკდონალდ რაითმა მრავალი წელი მიუძღვნა ძველი იაპონური ხელოვნების შესწავლას და დღეისათვის იგი მის ერთ-ერთ მაღალ ავტორად გვევლინება). Oriental synchromy in Blue-Green (1918 წ.) უიტნის მუზეუმიდან მისი ერთ-ერთი ყველაზე დასრულებული ნამუშევარია და სათაურშივე გვაუწყებს მხატვრის ლტოლვას აღმოსავლეთისაკენ. მისი შემოქმედების პირველ პერიოდში იშვიათია წმინდად აბსტრაქტული ხასიათის ნამუშევრები, მაგრამ მათ, რასაც ვიცნობთ, სრულიად მომწიფებული და მაღალი კლასის მხატვრის ხელი ატყვია. მათში მიღწეულია ფორმისა და ფერის ის ჰარმონია, რაც იშვიათად დაძლეულა მხატვრობაში.

ჩემს წინაშე გადაშლილია ფართო ფურცლები მორგან რასსელის 1912/13 წწ. გამოცემული ალბომისა, რომლის უამრავი ესკიზი მდიდარ მასალას წარმოადგენს მისი მხატვრობის გენეზისის წარმოსაჩენად. ჩვენ მოწმე ვართ საგნის პროგრესირებადი ნგრევისა, რასაც მხატვარი მიჰყავს დეტალებით რეკომპოზიციისა თუ იმპროვიზაციისაკენ, სხვაგვარად რომ ვთქვათ - კუბისტური პროცესისაკენ. ამასთან, რასსელმა ძალიან სწრაფად მიაღწია იმ წერტილს, სადაც მან სრულიად უკუაგდო საგანი და დაიწყო თავისუფალი ქმნა ფორმებისა და ფერთა. ერთ-ერთ ესკიზზე ვკითხულობთ სიტყვებს, ფანქრით წარწერილს: „აქ განზრახ არ არის საგანი, მან გონების სხვა სფეროს ეგზალტაცია უნდა გამოიწვიოს".

მეორე ამერიკელი, პარიზში იმავე დროს მოღვაწე, იყო დელონეს მეგობარი, რომლის სურათები ორფისტთა ჯგუფთან ერთად გამოიფინა Salon des Independant-ში 1914 წ. მისი სახელია პატრიკ ჰენრიხ ბრუკი. მისი შემოქმედების დიდი ნაწილი განადგურდა. რაც შემორჩა ამ პირველი პერიოდიდან - ეს არის რამდენიმე სურათი იელის უნივერსიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექციიდან. ეს ნამუშევრები საკმაოდ ახლოს არის მორგან რასსელის სტილთან - იმ სტილთან, რომელიც ბრუკმა მოგვიანებით განავითარა კუბური ფორმების მიმართულებით და მესამე განზომილების გზით, რაც, როგორც ჩანს, თავისუფლად გამოიყენა ახალი სივრცითი გარემოს შესაქმნელად.

სამივე მხატვარი მონაწილეობდა Armory Show-ში 1913 წ. რამდენიმე წლის შემდეგ მორგან რასსელი და მაკდონალდ რაითი დაუბრუნდნენ ფიგურატიულ მხატვრობას - ეს უკანასკნელი სამუდამოდ (გარდაიცვალა 1953 წ.), ხოლო რასსელი იაპონიაში რამდენჯერმე ყოფნის შემდეგ ახალ სინქრომისტულ თემებს მიმართავს.

საერთო აზრით, ომისწინა წლების რუსეთის მხატვრული ატმოსფერო უჩვეულო იყო. ამ პერიოდში შექმნილი ნამუშევრების ზუსტი დათარიღება არც ისე იოლია. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ ლარიონოვი და გონჩაროვა გამოიფინენ პოლ გიიომთან პარიზში 1914 წ. ივნისში. იქ წარმოდგენილი ორმოციოდე სურათიდან დაახლოებით თხუთმეტი სრულიად აბსტრაქტული ხასიათისა გახლდათ. ეს იყო ერთგვარი რეტროსპექტივა მათი რუსული ნამუშევრებისა, წარდგენილი პარიზის საზოგადოებისათვის და გიიომ აპოლინერიც უშურველად ასხამდა მათ ხოტბას გამოფენის კატალოგში. აშკარაა, რომ ყველა სურათი არ იყო შექმნილი იმ წლის მხატვრულ მიმდინარეობათა მიხედვით, როდესაც ისინი შეიქმნა. თავად ეს ფაქტი და წარმოდგენილ ნაწარმოებთა მრავალფეროვნება ხაზს უსვამს ამ ორი მხატვრის ისტორიულ მნიშვნელობას და მათ 1914 წლამდელ ძიებათა სითამამეს.

უპირველესად, ისინი იყვნენ ფუძემდებლები „რეიონიზმი"-სა, („რეი"-ზმისა.)* სიტყვა, შექმნილი ალბათ კუბიზმის საპასუხოდ. არაფერი ისე არ ეწინააღმდეგება კუბის პლასტიურობასა და წონადობას, როგორც სინათლის, შუქის გაელვება. რეიონიზმის მანიფესტი ლარიონოვის ხელმოწერით 1913 წ. გამოჩნდა, თუმცა სავსებით დასაშვებია, რომ ლარიონოვისა და გონჩაროვას მიერ ამ სტილში დაწერილი სურათები გაცილებით ადრე შეიქმნა. მე მქონდა შესაძლებლობა მენახა რეპროდუქციები ლარიონოვის ორი რეიონისტული, სრულიად აბსტრაქტული ხასიათის ნამუშევრისა - 1912 წ. გამოქვეყნებულ მოსკოვის ერთ-ერთ გამოცემაში. ამ სურათებში გაელვება ფუტურისტების მანიფესტისა, რომელიც ფართოდ გავრცელდა, აშკარად საცნაურია. როგორც ცნობილია, ყოველივე, რაც ხდებოდა პარიზში მყისვე ხდებოდა ცნობილი მოსკოვში, უმეტესად კოლექციონერების - შუკინისა და მოროზოვის მოღვაწეობის წყალობით, რომლებიც დიაგილევის მსგავსად, მთელ დროს მოსკოვსა და პარიზში ატარებდნენ. 1914 წ. დიაგილევთან მეტად ახლო ურთიერთობაში მყოფმა ლარიონოვმა და გონჩაროვამ თითქმის სრულიად მიატოვეს ფერწერა და შემდგომ თავიანთი შემოქმედება მთლიანად ცნობილ Ballets Russes-ს მიუძღვნეს.

იგივე სიძნელეს ვაწყდებით მალევიჩის ნამუშევართა დათარიღებისას. ჩემთვის ძნელია იმის დაჯერება, რომ მხატვარს შეეძლო ეცრუა თავის წიგნში („უსაგნო სამყარო" - თავდაპირველად გამოქვეყნებული 1927წ.), როდესაც წერდა: „მთელი 1913 წლის განმავლობაში, ჩემს უიმედო და განუსჯელ მცდელობაში - გამეთავისუფლებინა ხელოვნება საგნის უსარგებლო წონადობისგან, მე მივმართე კვადრატს და გამოვფინე ტილო, რომელიც სხვას არაფერს წარმოადგენდა, თუ არა შავ კვადრატს თეთრ ფონზე......" თარიღი - 1913 წ. ათჯერ მეორდება იგივე წიგნში მალევიჩის ნამუშევართა რეპროდუქციების ქვეშ, 1914 - ორჯერ, 1914-15 - ერთხელ, 1915 - ოთხჯერ, 1916 - სამჯერ და ა. შ. რაც უნდა ვიფიქროთ ამ თავისებურ მითითებებზე ან ამ თარიღთა სიზუსტეზე, მ. აბასკუს მიერ ამ პერიოდის დოკუმენტთა გამოწვლილვით შესწავლამ ცხადყო, რომ მალევიჩის სუპრემატისტული ნამუშევრები არ გამოფენილა 1915 წლამდე, რაც, ფაქტობრივად, ამ ნაშრომის რუსული გამოცემის თარიღიც არის.

ჩვენ არ ძალგვიძს უგულებელვყოთ ის განსაკუთრებული სითამამე და გაბედულება, რითაც მალევიჩმა საზოგადოებას წარუდგინა 1915 თუ1913 წელს გრაფიტით შესრულებული უბრალო კვადრატი, როგორც ხელოვნების ნიმუში.

თავისი ფოვისტი, კუბისტი და კუბისტ-ფუტურისტი წინამორბედებისაგან მალევიჩმა წინ წასწია სუფთა და მარტივი სიბრტყე, აქედან კი - მართლწერა პირველადი ელემენტებისა: წრე, ჯვარი (ან ერთმანეთის გადამკვეთი ორი სიბრტყე), სამკუთხედი, სწორი ხაზი და ტეხილი შტრიხი. ეს სწორედ ის ალფაბეტია, რითაც მან დაიწყო თავისი მხატვრობის სტილის შექმნა - ერთგვარად ჰაეროვანი კონსტრუქცია, რომელსაც „სუპრემატიზმი" უწოდა. იგი უკავშირდება კონსტრუქტივიზმს, რომელიც ტატლინმა, მხატვარმა-მოქანდაკემ გამოიგონა და ასევე როდჩენკოსეულ ნონ-ობიექტივიზმს. ამ ორმა უკანასკნელმა მხატვარმა მას მერე მიანება ამ ორიგინალურ ხელოვნებას თავი, რაც რუსეთში კომუნიზმი დამყარდა და შემდგომ, გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკას მიჰყვეს ხელი. მალევიჩი დაუცხრელი და სრულიად უსახსრო, განაგრძობდა ბრძოლას ლენინგრადში, სადაც იგი გარდაიცვალა 1935 წელს. მისი ბევრი ნამუშევარი ინახება პეგი გუგენჰეიმის კოლექციაში (ვენეცია), ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია „თეთრი თეთრზე" - 1919 წ. ასევე დიდი წილი მისი სურათებისა დაცულია ამსტერდამში, შტედელიკის მუზეუმში.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ რამდენიმე ცალკე

- - - - -

*„Ray" ინგ. ნიშნავს სხივს (მთარგმნელის შენიშვნა).

მდგომი წინამორბედი. ფრანსის პიკაბიამ დაწერა სურათი სათაურით Rubber ჯერ კიდევ სულ ადრე, 1908 წ. და ასევე წარმოადგინა რიგი აბსტრაქტული ნახატებისა. ჯოზეფ ლაკასმა, სრულიად ახალგაზრდა ქვისმთლელმა შექმნა რამდენიმე შესანიშნავი ნახატი გუაშით 1909-12 წლებს შუა; გრიზაილში მუშაობდა პოლიაკოვი. ბარანოვ-როსინი, ყველაზე მეტად მოწამე და მარტოსული მხატვარი, თუკი ოდესმე ვინმე ყოფილა, დროდადრო ქმნის აბსტრაქტულ სურათებს. პარიზში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში არის მისი ერთი უცნაური, დიდი, უსათაურო ტილო, 1910 წლით დათარიღებული. ავსტრიელ მხატვარ შტოლბახის მიერ ჯერ კიდევ 1906 წ. შექმნილი მრავალრიცხოვანი აბსტრაქტული ნახატებიდან ზოგიერთს კრიტიკოსები 1960 წელს გამოცემულ გამოკვლევებში „პატარა ნოველებად" მიიჩნევენ.

არ შემიძლია გვერდი ავუარო დეგას აბსტრაქტულ „შთაბეჭდილებებს", რომლებიც რამდენიმე წლის წინათ გამოიფინა პარიზში და რომლებიც საოცრად ახლოს დგას თანამედროვე „თხუპნია" ნონფორმისტი მხატვრების ნამუშევრებთან. ჩვენ ვიცით, რომ კლოდ მონე ფართოდაა აღიარებული პარიზელი აბსტრაქციონისტი მხატვრების მთელი ჯგუფის წინამორბედად. მე მინახავს მისი ერთი დიდი ესკიზი სამხრეთ საფრანგეთის ერთ პატარა მუზეუმში, ერთერთი იმ ესკიზთაგან, Nympheas-ათვის რომ შექმნა, რომელიც ადვილად ჩაითვლებოდა აბსტრაქტულ მხატვრობად. რას გითნევთ ლიქიორის მარკა, თუ მას ჭაშნიკი არ გაუსინჯე! ის თრობა, რასაც თანამედროვე ახალგაზრდა მხატვრები გარკვეული დროს უსამართლოდ დავიწყებული Nympheas-ით მიეცნენ, არც ერთ შემთხვევაში არ უბიძგებს მათ უაზრობისაკენ.

მაგრამ დეგაზე და მონეზე ბევრად ადრე იყო სხვა წინამორბედი, რომლის აბსტრაქციამდელი შთაბეჭდილებანი, მაგალითად ვენეციისა, ცნობილია. მე ვგულისხმობ ჯ. ტერნერს. როდესაც პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, მონდრიანი ჰოლანდიაში მოგზაურობდა. კლეს, პევზნერს, მარკსა და მაკეს უკვე შექმნილი ჰქონდათ თავიანთი პირველი აბსტრაქტული ნამუშევრები (ორი უკანასკნელი მხატვარი ფრონტზე დაიღუპა); არფი ჯერ პარიზში იყო, შემდეგ ვეგისში, შვეიცარიაში, სადაც ხატავს ილუსტრაციებს ბაგჰავატ გიტასათვის და ქმნის თავის პირველ აბსტრაქტულ კოლაჟებს რომლებსაც მოგვიანებით უწოდა Before my Birth „ჩემს დაბადებამდე"); ბრანკუსი ძერწავს „უძღებ შვილს"; ქრევენი ბოთლების სადგამს, როგორც ხელოვნების ნიმუშს, წინასწარ შეიგრძნო რა დადაიზმი; იტალიაში მანელლი წერს თავის პირველ დიდ ტილოებს გეომეტრიული ფორმებით; ბალლა ქმნის „მერკური მზის წინ უჩინარდება"-ს; ლონდონი მოწმეა ვორტიკისტთა ჯგუფის დაბადებისა, რომელიც დიდად არის დავალებული ფუტურისტებისაგან და რომელმაც ინგლისს მისცა მისი პირველი აბსტრაქციონისტი მხატვარი ედუარდ ვოდსვორთი.

რამდენადაც ვიცი, 1914 წლამდე მოწყობილ გამოფენებს შორის არც ერთი არ ყოფილა წმინდად აბსტრაქტული ხასიათის მქონე. მნიშვნელოვანი სამხატვრო გამოფენები, რომლებშიც აბსტრაქტული ტილოები ვიხილეთ (რეპრეზენტატიულ ნამუშევრებთან ერთად) იყო Blaue Reite-ისა მიუნხენში, Jack of Diamonds-ისა მოსკოვში, Salon des Independent, Salon d' Automne, Salon de la Section d'Or-ისა პარიზში, გამოფენები Modern Art Circle-ისა ამსტერდამში, Armory Show 1913 წ. ნიუ-იორკში, Stieglitz Gallery-ისა იმავე ქალაქში და Sturm Gallery-ისა ბერლინში.

ფართედ გაიშალა უამრავი ახალი მასალა ამ საუკუნის ხელოვნების შესაქმნელად. შესაძლებელი გახდა შენება (სამშენებლო ინსტრუმენტებში დამახვრეველიც ერია). მაგრამ შემდგომი ორმოცი წლის განმავლობაში ძნელად თუ ვინმე იქმოდა უკეთ, ვიდრე ეს ამაო პატივმოყვარეობას მოკლებულმა რამდენიმე შემოქმედმა შეძლო თავისი შეზღუდული საშუალებებით, მართლაც, ძნელად თუ ვინმე იღვწოდა მათზე უკეთ.

## თავი მეორე

### *1915 წლიდან 1940 წლამდე*

რამდენ სიკეთეს უნდა ვუმადლოდეთ ცხოვრებაში შემთხვევითობებს! ვთქვათ, მონდრიანის შეხვედრას თეო ვან დაზბურგთან 1915 წ. მიწურულს, რომლის წყალობითაც ორი წლის შემდეგ გაჩნდა De Stijl-ი („სტილი"). ადამიანთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა პატარა მებრძოლი ჟურნალით დასაბამი მისცა დიდ მოძრაობას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა და კვლავაც ახდენს ამ საუკუნის ხელოვნების ერთ-ერთ მთავარ ტენდენციაზე. ვან დაზბურგი ყოველგვარი გაბედული წამოწყების მაძიებელი ინტელექტუალი იყო და რისი ძიებაა უფრო მშვენიერი ინტელექტუალისათვის, ვიდრე ძალუმი, თამამი იდეისა? მონდრიანი იყო დაზბურგის დიდი აღმოჩენა. მისი დიდი იდეა.

ამ ორი ადამიანის ურთიერთობა თითქოს წინასწარმიმართული იყო, რომ ერთმანეთისათვის გაეგოთ და ერთმანეთი შეევსოთ. ისე, რომ ჰოლანდია არ მიუტოვებია, ვან დაზბურგმა ახლო მისდია ავანგარდისტულ მიმდინარეობებს ევროპულ ხელოვნებაში. იგი აქვეყნებდა პოემებს, მრავალრიცხოვან სტატიებს და თან სურათებს ქმნიდა. მონდრიანს წვლილი მიუძღვის პარიზის მხატვრული ატმოსფეროს შექმნაში - ყველაზე ცივისა და ყველაზე ცხელის მსოფლიოში და მისი შემოქმედების, უფრო სწორად - მისი შემოქმედების მეორადი მხარის მეშვეობით დამყარდა კონტაქტი მასა და პარიზულ გარემოს შორის: ნახატები, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალფრედ ბარმა მოგვიანებით უწოდა „პლუს-მინუს" ნამუშევრები - პროგრესული განვითარება, ერთგვარი მედიტაცია ჰორიზონტალურ-ვერტიკალურ თემაზე, რომელიც სრული დისტილაციის წერტილამდეა მიყვანილი. ეს სერიები გადაიზარდა დიდ ნახატში წაშლილი ოვალური კონტურით (კროლლერ-მიულერის მუზეუმი ოტერლოდან), რომელიც წარმოადგენს მწვერვალს მხატვრის განვითარებისა და ხაზობრივ ძიებებში.

რა იყო შედეგი? არსებითად, როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო პრობლემა ესთეტიკური ჰარმონიზაციისა ადამიანსა და ურბანისტულ გარემოს შორის. ვან დაზბურგი უწინ მუშაობდა არქიტექტორებთან, თუმცა მისმა რადიკალურმა იდეებმა მცირედი გამოძახილი ჰპოვა მათ ნამუშევრებში ჰოლანდიაშიც კი, სადაც არქიტექტურა, როგორც ვიცით, იმ დროისათვის უკვე ახლო იყო ფუნქციონალიზმთან. მონდრიანის გვიანი ნამუშევრების ჰორიზონტალურ-ვერტიკალური რითმები, შავისა და თეთრის სიმკაცრე მის დიდ ნახატებში თითქოს გარდასახვაა წმინდა არქიტექტურული ფორმებისა ფერწერაში - ისეთი წმინდა არქიტექტურისა, იმ დროისათვის ვინმეს თუ ეოცნებებოდა მხოლოდ. აქედან ტერმინები - plastique pure და nouvelle plastique (დანიურად zuivere beelding და nieuwe beelding). მონდრიანის შემოქმედებასთან ზიარება ვან დაზბურგისათვის საკუთარ რეფლექსთა კრიტერიუმად იქცა, გამოამჟღავნა რა მხატვარში არსებობა სულისმიერი არქიტექტურისა - კონცეფცია, რომელიც უნდა გამხდარიყო საფუძველი მთელი სისტემისა, დედაარსი De Stijl-ისა. ერთხანს დაზბურგი ფიქრობდა, სრულიად უარეყო თანამშრომლობა არქიტექტორებთან De stijl-ში იმ მოსაზრებით, რომ მათი პრინციპები შესაძლოა უკომპრომისო ყოფილიყო. საბოლოოდ მან უარყო ეს გადაწყვეტილება და პირველი გამოცემაც ამ მიმართულების ჟურნალისა არქიტექტორებთან - ოუდი, ვილს, ვანჰოფ, მხატვრებთან - მონდრიანი, ვან დერ ლეკ, ჰუზარ, მხატვარ-მოქანდაკე ვანტონერლოსთან და თავად ვან დაზბურგთან - მხატვართან, არქიტექტორ და ბონსეს სახელით ცნობილ პოეტთან ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად მოხდა.

მონდრიანის შემოქმედების განვითარებას ამ წლების მანძილზე ნაბიჯ-ნაბიჯ შეგვიძლია გავადევნოთ თვალი. ჯერ მოკლე შტრიხები იქცევა სიბრტყეებად, შემდგომ, უფრო გრძელი ხაზები თანდათან აპობს ტილოს მრავალ სიბრტყედ, რომელიც, ვრცელდება რა პროგრესულად, საბოლოოდ კულმინაციას აღწევს რამდენიმე ხაზითა და სიბრტყით შექმნილ 1928-32 წწ. კვადრატული ფერწერის მართლაც მშვენიერ დუალურ მთლიანობაში. მისი შემოქმედება - ეს სიჩუმის გამარჯვებაა, სიცარიელის ნელი და სიღრმისეული განცდაა, იმ სიცარიელისა, რომელშიც მავანი ყოველგვარ სიტყვიერზე უარის თქმით იმკვიდრებს თავს. მონდრიანის სურათები დემატერიალიზებული, ასკეტური ტილოებია, რომლებიც მინიმუმს ხორციელი არსებობისას სულიერი არსებობის მაქსიმუმის მეშვეობით გადმოგვცემს.

მხატვრობის განვითარების ამ გზას ახლდა სხვადასხვა წერილები, რომლებიც ხსნის ნაწარმოებს ძირითად იდეათა შესატყვისი ტერმინებით. სტატიები, ესსეები და პლატონისეული სტილის დიალოგები მრავალგზის იმეორებენ ჰორიზონტალურ-ვერტიკალური თემის ფილოსოფიას, დაფუძნებულს შეპირისპირებითს, ურთიერთკავშირის, წონასწორობისა და სტრუქტურის ცნებებზე. გვაოცებს აზრთა სიცხადე თუნდაც იმ პირველ წერილში, მონდრიანმა De Stijl-ში რომ გამოაქვეყნა. მე შემიძლია თვალი გავადევნო მის მოსაზრებათა თანმიმდევრობას, რომლებსაც წინ უსწრებდა არა მხოლოდ მისი მრავალრიცხოვანი ჩანაწერები, არამედ ის ინტელექტუალური საყრდენიც, რომელიც მონდრიანმა ჰპოვა ჰოლანდიელ ფილოსოფოს შონმეიკერსში და რომელთანაც მას 1917-18 წლებში მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. შონმეიკერსის ჰინდუიზმზე დაფუძნებული შრომები მისტიკურ მათემატიკაში ნაცნობი იყო მონდრიანისათვის. ასევე აცნაურებდა იგი თავისი აზრების თანაზიარობას და სიმყარეს ჰენრი პონკარეს კითხვისას, რომლის Valeur de la Science (1906) მეტად ფასობდა ინტელექტუალთა წრეებში. მოგვაქვს ნაწყვეტი ამ წიგნიდან, რომელმაც შეიძლება გააოცოს მკითხველი მონდრიანის ნაწერებთან სიახლოვით (ხაზგასმები ჩემია - მ. ს.);

„შეგრძნებები არ გადმოიცემიან, უფრო სწორად, მათი წმინდა თვისობრივი ხარისხია არაგადმოცემადი. თუმცა ეს არ ეხება შეგრძნებათა *ურთიერთმიმართებებს*. ამ თვალსაზრისით ყოველივე ობიექტური მოკლებულია ყოველგვარ თვისებას (ხარისხს, სახეს), იგი სრულიად *ფარდობითია*. ამიტომ მხოლოდ შეგრძნებათა *ურთიერთმიმართებებს* შეიძლება ჰქონდეთ ნამდვილი ღირებულება... მხოლოდ ამ *ურთიერთმიმართებებში* უნდა ვეძიოთ ობიექტურობა...

განა არ გვაგონებს ეს სიტყვები ფრაგმენტს მონდრიანის მიერ 1917/20 წწ. დაწერილი სტატიიდან?

მონდრიანის თითქმის ოლიმპიური სიმშვიდე, მისი ძიებები როგორც უმარტივესი ელემენტებისა, ასევე სახვით საშუალებათა შემცირების სფეროში მკვეთრ კონტრასტს ქმნის ვან დაზბურგის იმ ნერვულ ციებ-ცხელებასთან, რომლითაც შეიტანა მან De Stijl-ში მისივე ალღოთი წვდომილი სხვაგვარი ფასეულობანი. ვან დაზბურგის მცირე ზომის ნამუშევრები, 1917-19 წწ. გამოქვეყნებული, შექმნილია უზარმაზარი ინფორმაციისა და იშვიათი შორსმჭვრეტელობის შერწყმის შედეგად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედთა ამ შესანიშნავი გუნდის ზოგი წევრი ახალი აზრებით, სხვანი კი მამოძრავებელი ძალით ქმნიდნენ საფუძველს ჟურნალისა, ყოველ შემთხვევაში, 1924 წლამდე, მონდრიანის მიერ De stijl-ი მიტოვებამდე. პრინციპები De Stijl -ისა კარგად არის ცნობილი: სწორი კუთხე მის ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ პოზიციაში (რომელსაც მონდრიანმა „მყარი საბჯენი" უწოდა) და გამოყენება სამი ძირითადი ფერისა, ყოველგვარი შენაერთისა და ნიუანსის გარეშე.

თავის „ელემენტარიზმის მანიფესტში", (1924 წ.) ვან დაზბურგმა დააყენა საკითხი, მეტი დინამიკური ეფექტის მისაღწევად სწორი კუთხე 45 გრადუსამდე დაეხარათ. მონდრიანმა მაშინვეე უარყო ეს წინადადება, როგორც ერესი და შეწყვიტა თანამშრომლობა ჟურნალთან.

იმ დროისათვის, როდესაც De Stijl-ი თავის პირველ გამოცემას აქვეყნებდა, რუსეთი ღრმა პოლიტიკურ გარდაქმნებს განიცდიდა. ოქტომბრის რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა რუს ავანგარდისტებზე, რომელთა შორის ბევრს ერგო მაღალი თანამდებობები სახვითი ხელოვნების სამასწავლებლო თუ ადმინისტრაციულ დარგში. კანდინსკი, მალევიჩი, შაგალი, პევზნერი, ტატლინი და მრავალი სხვა კონსტრუქტივისტი, სუპრამატისტი და კუბისტ-ფუტურისტი მხატვარი 1921 წლამდე სახელმწიფო მოხელე გახდა. როდესაც კომპარტიის ახალმა დირექტივებმა აამუშავა ახალი დოქტ[illegible]ციალისტური რეალიზმისა, რაც დღემდე გაბატონებულია*. ამის გამო ბევრმა რუსმა არცთუ მცირედნიჭიერმა მხატვარმა დატოვა თავისი ქვეყანა, ხოლო ისინი, ვინც ახალ კანონებს დაემორჩილნენ, შემოქმედებითად პარალიზებულნი დარჩნენ და ნელ-ნელა მოწყდნენ გარე სამყაროს. რამდენიმე მათგანი, ვისაც ოფიციალური მისიით წილად ხვდა რუსული ხელოვნების ორგანიზება პარიზში, ბერლინსა და ლონდონში, სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. თუმცა, ჯერ კიდევ დიდი იმედების ხანა იყო - წაახალისეს ყველაზე მოწინავე მხატვრები, სახელგანთქმული კანდინსკი და მალევიჩი; კონსტრუქტივისტების გამოფენები მოეწყო ლენინგრადსა და მოსკოვში; ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა დროის ამ ბედნერ მონაკვეთში იყო 1920 წ. მოსკოვში, ღია ცის ქვეშ მოწყობილი გამოფენა ძმების - გაბოსი, პევზნერისა, - ტვერსკოის ბულვარზე და იქვე მდგომ მუსიკალურ კიოსკში. სწორედ ამ გამოფენაზე ამუშავებდა ცნობილი Realist Manifesto, რომელიც სივრცის პირველადობას აცხადებდა და კრძალავდა გაუმჭვირვალ მასას ქანდაკებაში. უფრო მეტიც - ეს იყო მოვლენა, რომელმაც მხატვარი პევზნერი მოქანდაკედ აქცია.

იმავე პერიოდში შვეიცარიაში სტიქიურად აღმოცენდა გეომეტრიული აბსტრაქციის მესამე ცენტრი, ჰოლანდიისა და რუსეთის ამავე მიმართულებებისაგან სრულიად განცალკევებული, ჩაკეტილი საზღვრებისა და სამხედრო მდგომარეობის გამო.

მე ვეხები ჟან არფისა და სოფი ტეუბერის მიერ 1915/16 წწ. შესრულებულ ნამუშევრებს და ასევე ქაღალდის ამონაჭრებს, მათი თანამშრომლობით შექმნილს. მალევიჩმა მხოლოდ ერთხელ გამოფინა სრული კვადრატი და მაშინვე გადავიდა სხვა გეომეტრიულ ელემენტებზე, ხოლო ტეუბერმა 1916/18 წწ. შექმნა პატარა ჰორიზონტალურ-ვერტიკალურ პოლიქრომთა გრძელი სერია, რომელიც იმდენად ახლოა De Stijl-ის შემოქმედებით პრინციპებთან (რომ აღარაფერი ვთქვათ ყველა ფერის თავისუფალ გამოყენებაზე), რომ მე მათში ვხედავ ერთ-ერთ ყველაზე საოცარ ილუსტრაციას სინქრონულად პარალელური აზრების თანხვედრისა. რაც მწიფეა, სკდება. სულ ერთია, სად, რა მდგომარეობაში. და ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ახლა, ამ სტრიქონების წერისას, ვთქვათ, საბჭოთა კავშირში მოღვაწეობენ აბსტრაქციონისტი მხატვრები, საიდუმლოდ ფარულნი, რომელთა ნამუშევრები ახლოა იმასთან, რაც ამჟამად იქმნება პარიზსა და ნიუიორკში.

არფი და სოფი ტეუბერი ერთმანეთს ციურიხში შეხვდნენ 1915 წ. ტანერის გალერეაში ერთ-ერთ გამოფენაზე, რომლებშიც სხვებთან ერთად არფიც მონაწილეობდა. როგორც იგი მოგვიანებით წერდა, ეს იყო მთავარი მოვლენა მის ცხოვრებაში, ხოლო სოფი ტეუბერის შემოქმედებაზე, რომელიც მან ცოტა მოგვიანებით იხილა, შემდეგს გვაუწყებს:

„რაღაც ღრმა და მშვიდი სიჩუმე ავსებს მისეულ სტრუქტურებს, ფერებითა და ზედაპირებით შექმნილს. ჰორიზონტალური და ვერტიკალური სწორკუთხა სიბრტყეების განსაკუთრებულმა გამოყენებამ ხელოვნების ნაწარმოებში, უკიდურესმა გამარტივებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ჩემს შემოქმედებაზე. მე აქ ვპოულობ თითქმის გაშიშვლებულ, არსებით ელემენტებს ყოველგვარი მიწიერი კონსტრუქციისა: ცისკენ აზიდულ და აფეთქებულ მოზღვავებას ხაზებისას და სიბრტყეებისას, წმინდა ცხოვრების ვერტიკალურობას და დიდ წონასწორობას, ოცნებისდარი სიმშვიდის ექსპანსიურობას და სუფთა ჰორიზონტალურობას. მისი ნამუშევრები ჩემთვის იყო სიმბოლო ღვთაებრივად ნაგები „სახლისა", რომელიც ადამიანმა თავისი ამაოებით დაანგრია და წაბილწა".

აბსტრაქტული მხატვრობის ჭეშმარიტი არსის წიაღში აღმოცენდა დადაიზმი. განსაკუთრებულმა ვითარებებმა შესაძლო გახადა განსაკუთრებული აფეთქება ბავშვური სიხარულისა და შემოქმედებითი ძალისა და ეს დარჩება უნიკალურ და შეუდარებელ მოვლენად ხელოვნების ისტორიაში.

რა სასროლიც უნდა მოხვდეს ხელთ, დადა ყოველთვის სამიზნეს ახვედრებს. კარგი სნაიპერი

- - - - - -

* წიგნი გამოცემულია 1967 წ. (მთარგმნელის შენიშვნა)

ეროვნული ბიბლიოთეკა



არ საჭიროებს დამიზნებას, რადგან სამიზნე თავად მასშია და აღწევს წარმატებას სწორედ იმ გზით, რა გზითაც მევენახე სხლავს ვაზს - ამ მომქანცველი სამუშაოს მიუხედავად, სასხვათაშორისოდ, დაუდევარი თვალით.

დადას აკმაყოფილებს მხიარულებისა და ეშმაკურ-ოინბაზურის ყოველგვარი ფორმა. მათთან ამ იმპროვიზებული „ოხუნჯობების" მცირედი ნაწილიც კი ისხამდა ნაყოფს. ეს მემკვიდრეობა დღეისათვის კვლავ ცოცხალია, რამდენადაც სხვადასხვა ქვეყნის მრავალი ახალგაზრდა ხატავს დადაის-ტების მსგავსად - არ უშინდებიან არც იოლ მიმბაძ-ველობას, არც მომაბეზრებელ, წუთიერ ოხუნჯო-ბებს. როგორც ჩანს, დადას სიცოცხლე მაინც ხანმოკლე იყო. ის, რითაც ის ისტორიული გახდა, იყო დადაისტთა სრული განცალკევება და ის ფაქტი, რომ შეძლეს შეუთავსებლის დაკავშირება. შეუთა-ვსებადი პირობადებული იყო დროით (ომზისი საზ-არელი სასაკლაოს შუა პერიოდში) და ადგილით (ჭეშმარიტად ბურჟუაზიული ქალაქი ციურიხი). ამ მიმდინარეობის შემოქმედნი არიან არპი, ბოლი, ეგელინგი, იანკო, ჰულსენბეკი, რიხტერი, სოფი ტეუბერი და ცარა. მაგრამ მათზე ადრე ამერიკაში დუშანი, პიკაბის და მენ რეი მოღვაწეობდნენ დად-აიზმის ერთგვარ სახეობაში, ხანდახან „პროტო-დადა"-დ წოდებულში.

ომის დამთავრებამდე დადას სულისკვეთება მთელ ევროპას მოედო. დროის განწყობილებასთან ხმაშეწყობით იფეთქა მან გერმანიაში (სადაც იგი დროდადრო პოლიტიკურ ელფერს იძენდა), საფრანგეთში (სადაც ალფრედ ჟერიმ დიდი ხნით ადრე შეამზადა ნიადაგი ამისათვის), ბელგიასა და ჰოლანდიაში. ზემოთ ჩამოთვლილთა სიას ახალი სახელები მიემატა: მაქს ერნსტი, რაულ ჰაუსმანი, ჟორჟ გროცი, კურტ შვიტერსი. ამის მიუხედავად, დადას ცენტრი მაინც ციურიხში რჩებოდა, ცნობილი „დადას საღამოებით" Gabaret Voltaire-ში, რომლებსაც ესოდენ ხშირად აღწერდნენ წიგნებში, სტატიებსა და ავტობიოგრაფიებში. მაგრამ, ჩემი აზრით, არცთუ კარგად არის ცნობილი ის გარემოება, რომ დადაზე იმდენი კონცეფცია, ამ მიმდინარეობის იმდენი მკაფიო გამოვლინებანი არსებობდა, რამდენი მსახიობიც მონაწილეობდა ამ საოცარ სპექტაკლში. ისეთი განსხვავებული პიროვნებანი, როგორებიც არიან პიკაბია, ერნსტი, არფი, შვიტერსი, დჲუშამი - ეს თითო დასრულებული, პატარა სამყაროა თავისი სრულიად ინდივიდუალური სტილის, აქცენტებისა და, თუ გნებავთ, მანიის მქონე. თუ დადამ შეძლო შემოეკრიბა ყველა ეს ინდივიდუალი ერთნაირ სულიერ ატმოსფეროში, სწორედ იმიტომ, რომ ამ ატმოსფეროს ერთადერთი პრინციპი სულიერი თავისუფლება იყო და დადას მოძრაობა თანმიმდევრულად ებრძოდა ნებისმიერი სახის ინტელექტუალურ შაბლონს.

დადას არა აქვს არანაირი პრინციპები, რამდენადაც ეს უკანასკნელნი არ ემსახურებიან არანაირ მიზანს, გარდა იმისა, რომ ჭკვიანთა ფერხთაგან იყვნენ გათელილნი. დადაისტები ყველაფერში გონიერნი არიან, ვინაიდან არ ეშინიათ, იყვნენ ტლანქი და მოუხეშავი. დადაიზმი იცინის, იმიტომ რომ ამქვეყნიური წარუმატებლობანი სისულელეა. მართალია, ის საზრდოობს, ვინც იბრძვის, მაგრამ არანაირი იარაღით არ მიიღწევა სიცილი. გარდა ამისა, დადას სიცილს სრულიად განსაკუთრებული თვისება აქვს. ეს შემოქმედებითი სიცილია, ეს სიცილია სულიწმიდისა, რომელიც ფრინავს იქ, სადაც მას სურს, და რომელიც მამა ღმერთის სახეშიც კი გამოკრთის.

აბსტრაქტული მხატვრობის მნიშვნელოვანი დადაისტური ნაწარმოებები არპისა და სოფი ტეუბერის გამოკლებით - რომლებზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, არის ეგელინგის ნახატთა სერია მისი ფილმისათვის Diagonal-Simphony და Horizontal-Vertical Mass, რიხტერის ნახატები, მარსელ იანკოს პოლიქრომიული რელიეფები, პიკაბიას „მექანიკური" პორტრეტები, შვიტერსის კოლაჟები. მკვეთრი ხაზიდან არპი მალე გადავიდა არამყარ ფორმაზე, როდესაც მან დაასურათხატა ცარას Cinema Calendrier du Coeur Abstrait (1920). „კლასიკურ" თუ „ბაროკოს" სტილთა ეს მონაცვლეობა ამიერიდან მუდმივი ხდება მის შემოქმედებაში, როგორც გამოხატულება მხატვრის ორი ბუნებისა - მისტიკურის და, მეორე მხრივ, უცერემონიოსი, რომელიც მისი იუმორის წყალობით დროდადრო ერთ დახვეწილ მთლიანობად აალდება ხოლმე.

After Cubizm (კუბიზმის შემდეგ) - ასე ჰქვია ოზენფანისა და ჟენერეს (ლე კორბუზიე) მიერ 1918 წ. გამოცემულ ერთ პატარა წიგნს. ეს წიგნი პურიზმის მანიფესტი იყო. დღეს რომ ვკითხულობთ, იგი გვაოცებს, თუ რაოდენ მკაფიოდ არის მის ფურცლებზე პრობლემები ჩამოყალიბებული და თითქმის გადაწყვეტილი. ვაი, რომ საუკეთესო ინტელექტუალური ღირსებები უსარგებლო ხდება კუბიზმის ზეობის წლების მძიმე მემკვიდრეობის ფორმადქმნაში! ყოველ შემთხვევაში, პურიზმმა მარცხი განიცადა უმთავრესად თავისი ესოდენი ხანმოკლეობის გამო და, აქედან გამომდინარე, მისი ესოდენ სუსტი განვითარების გამო. საყურადღებოა რამდენიმე განაცხადი ამ პამფლეტიდან:

„სამუშაო იარაღები ხელთა გვაქვს: დაუმუშავებელი მასალის გამოყენებით ჩვენ უნდა ავაგოთ ძეგლები, რომლებიც ინტელექტის რეაქციას გამოიწვევს. ეს ის რეაქციაა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს. მეცნიერება მხოლოდ რიგორიზმის გზით ვითარდება. დღევანდელი სულიერება ესოდენ მიდრეკილია სწორედ ამ რიგორისტული სიმკაცრისკენ, სიზუსტისკენ, ძალებისა და მატერიალურის ყველაზე მეტი გამოყენებისკენ, ყოველივე ზედმეტისა და უსარგებლოს უკუგდებისკენ - ერთი სიტყვით - პურიზმისკენ. ეს ასევე დეფინიციაა ხელოვნებისა. ხელოვ-

ნებამ უკვე აღასრულა თავისი საქმე თავისი ენის გამოცოცხლებით, მისთვის ვარგის საშუალებათა კვლავაღმოჩენით. ნატურალიზმმა, იმპრესიონიზმმა და კუბიზმმა გაგვათავისუფლა ცუდი ჩვევებისა და ძვლადშთენილი ტრადიციებისგან. ახლა უნდა შევქმნათ ნაწარმოებები მართლაც ჩვენი დროის შესაფერისი... კმარა თამაშობანი. ჩვენ მივისწრაფვით დარ[illegible]აისლური რიგორიზმისკენ... ჩვენ გვსურს, რომ არც ერთი მხარე ნაწარმოებებისა არ იყენებდეს ეფექტებს შემთხვევითს, არაჩვეულებრივს, შთაბეჭდილებადს, არაორგანულს ან თუნდაც კოლორისტულს. რაც ჩვენ გვჭირდება - ეს არის ნაწარმოებები დროის თანახმიერი, სტატიკური, უცვლელობისა და გარდაუვალობის გამომხატველი".

როგორც ვხედავთ, ეს მკვეთრად ანტი-დადაისტური პოზიციაა. ასე რომ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ ამ საუკუნის ხელოვნების ორი პოლუსის მუდმივ თანაარსებობას: სტილსა და გამოხატვას, წესსა და ზეაღმავლობას.

რაც შეეხება პურიზმის მემკვიდრეობას, მე ვფიქრობ, რომ პურისტებს, რომლებმაც კუბიზმისაგან ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს წინ, ხელი მოეცარათ კუბიზმში სწორედ იმიტომ, რომ მეტისმეტად გაიტაცა საგნის სტილიზაციამ - ბოთლი, ჭიქა, სურა მათთან მარტოოდენ პრინციპის საფუძველია. კუბისტები კი ამჟღავნებდნენ მეფურ ინდიფერენტულობას საგნის მიმართ ან კიდევ, მათი იუმორისა თუ წუთიერი ახირების შესატყვისად, მეტი ქედმაღლური თავისუფლებით ექცეოდნენ მას.

რაც უნდა გამოვლენილიყო კუბიზმიდან (ალბერტ გლიზის წიგნის ქვესათაურს თუ დავესესხებით), ნათლად გაცხადდა ნეოპლასტიცისტთა და სუპერმატისტთა ნაწერებში ისევე, როგორც მათ მხატვრობაში - ეს იყო წმინდა გეომეტრია. ასე რომ, იმ მემკვიდრეობითი უფლება, რაც პურისტებმა მოითხოვეს, მათვე გაუსხლტათ ხელიდან. მანიფესტის გამქვეყნებამდე, რაც უნდა საზრიანი ყოფილიყო ეს უკანასკნელი.

უფრო რადიკალური, ვიდრე რუსული ავანგარდისტული მოძრაობებია (რომელიც ყველა შემთხვევაში ხანმოკლე აღმოჩნდა), იყვნენ მონდრიანი და მისი De Stijl-ელი თანამოღვაწენი, რომელთაც კუბიზმიდან ლოგიკური დასკვნა გამოიტანეს. სწორედ მათი ნაწერებისა და ნამუშევრების მეშვეობით მოეფინა ახალი იდეები მთელ ევროპას. ჭეშმარიტად, ხელოვნება ინდიფერენტულია ლოგიკის მიმართ და კუბისტებმა საკუთარი ხელოვნებისადმი ერთგვარად აგდებული დამოკიდებულებით ნათელყვეს ეს, თუმცა ისტორია დროდადრო ითვალისწინებს მსგავს გარემოებებს. გერნიკა, სავსებით შესაძლებელია, დაგვიანებული შედევრი იყოს ექსპრესიონიზმისა, ბრაკს სავსებით შესაძლოა მოეხატა შესანიშნავი ინტერიერები და შეექმნა ზეგრძნობადი პეიზაჟები, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ მიაღწევდა ხელახლა მათი კუბისტური ნამუშევრების დონეს. ისტორია, ეს მკაცრი ლოგიკოსი, თავისი კანონებით მოქმედებს.

*მთარგმნელი*

*მარიამ გველესიანი-თორდია*



*რობერ დელონე*




*ვოლსი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დავით მჭედლური

# ეროვნული იდეის ძიებაში

მეფეს არ დავიწყებია მთაზე წარმოთქმული დაპირება, - ნინოს ღმერთის სახელზე ეკლესიას ავაშენებო და ნინოს ჰკითხა - სად სჯობია ტაძრის აშენებაო; „სადაც მეფეთა გონება მტკიცე არს", - არცთუ გასაგებად უპასუხა მოციქულთა სწორმა. მეფემ იფიქრა და გადაწყვიტა - ეკლესია სამეფო ბაღში, იმ ბაბილოვანსა და ლიბანური ნაძვის ადგილს უნდა აშენდეს, რომელსაც მდინარეში განსპეტაკებული ფრინველნი დაპბრუნავდნენო. თანაც ჩქარობდა, იქნებ ეკლესიის აგება საბერძნეთიდან გამოთხოვილი მღვდლების ჩამოსვლამდე დავამთავროო.

მეფე ლამის თავად დადგა ხუროთმოძღვრად, ლიბანური ნაძვი მოაჭრევინა და მისგან ეკლესიის შვიდი სვეტი გამოათლევინა. მალე ეკლესიის კედლებიც ააშენეს და ექვსი ძელი იქ გამოიყენეს, მეშვიდე კი, რომელიც ყველაზე დიდი იყო და ტაძრის შუაში დასადგმელად, სახურავის საყრდენად ჰქონდათ გათვალისწინებული, ადგილიდან ვერა ღონით ველარ დაძრეს. ბევრი ეწვალნენ, ათასი ხერხი იხმარეს, მაგრამ ამაოდ; შებინდებისას დაქანცული მირიან მეფე სასახლეში დაბრუნდა, ხუროებიც წავიდ-წამოვიდნენ. მშენებარე ეკლესიაში მხოლოდ ნინო დარჩა მოწაფეებთან ერთად და მხურვალე ლოცვას შეუდგნენ, ლოცვაში გართულ მორწმუნეებს შუაღამისას მოეჩვენათ, რომ რიგრიგობით წამოიქცნენ არმაზისა და ზადენის მთები, ამავე დროს, არაგვმაც გადმოლახა კალაპოტი და ციხეს მოადგა. მთელ ამ ჩვენებას საშინელი გრგვინვა ახლდა. ნინოს მოწაფეები დაფრთხნენ და გასაქცევად მოემზადნენ, მაგრამ ქალწულმა მოძღვარმა განუმარტა, ეს ყოველივე მოჩვენებაა, ქართველთა ძველი ღმერთები ტოვებენ მცხეთას, დაირღვნენ არა ბუნებრივი, არამედ ურწმუნობის მთები და ამიერიდან ქართლში ჯვარცმულის რწმენისთვის გზა განწმენდილიაო. მოჩვენებითმა საფრთხემ კი გაიარა, ისე რომ, გულისძილში მყოფ მცხეთელებს არაფერი გაუგიათ, მაგრამ განთიადისას ქალაქს საშინელი განსაცდელი დაატყდა. მცხეთას სპარსთა ლაშქარი დაესხა, სამივე კარი შემოლეწეს და სისხლის კალო დააყენეს. ზრიალმა და გოდებამ მოიცვა მთელი ქალაქი. სპარსელი მხედრები ჩაბნელებულ ქუჩებში დაქროდნენ და სპარსეთის მეფის ხუარან-ხურას ბრძანებას აცხადებდნენ - მხოლოდ ურიები განარიდეთ პირისაგან მახვილისა, სხვა ყველა ამოჟლიტეთო. აქვე ხმა გავრცელდა მირიან მეფე შეიპყრესო. მაშინ ნინო თამამად გამოვიდა მომყივართა წინაშე და მიმართა: „სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხურან-ხურა, საბასტანით გუშინ წამოხვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლიერად დალეწეთ ქალაქი ესე, და მახვილით დაეცით, ქართა და ნიავთა წარგუალეთ ბნელით ჩრდილოთ კერძო, მთითა და კედარითა აჰა, მოვიდა რომელსა თქვენ ევლტით". აქ მოციქულთა სწორმა ხელით ჰაერში პირჯვარი გამოსახა და ყოველივე უცებ გაქრა, ირგვლივ სიმშვიდემ დაისადგურა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ამბავიც მისი მთხრობელის, ნინოს მოწაფე სიდონიას აღგზნებული გონების წარმოსახვა ან სულაც მშფოთვარე სიზმარია. ახალი რელიგიის გამავრცელებელთა საშინელი წარმოსახვები იმ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროზე უნდა მეტყველებდეს, რაც მაშინ, ალბათ, სუფევდა მცხეთაში: იყო დაბნეულობა, შიშისა და დანაშაულის გრძნობა. ხალხის დაბნეულობას, ალბათ, სარწმუნოებრივი ორიენტაციის შეცვლა, გაორებული რელიგიური გრძნობები იწვევდა - ცალკერძ

- - - -

დასასრული. დასაწყისი „ცისკარი" №9,10

ეროვნული ბიბლიოთეკა



იყო ძველი ღმერთების კულტთან დაკავშირებული საუკუნოვანი ტრადიციები და რწმენა-წარმოდგენები, რომელთაც უფრო ძველი თაობის წარმომადგენელთა შორის ეყოლებოდა მეტი დამცველი, ქრისტეს მოძღვრებით კი უფრო ახალგაზრდობა იქნებოდა დაინტერესებული, რასაც მოჰყვებოდა შეხლა-შემოხლა, დავა და კამათი, დაპირისპირება არა მარტო თანამოქალაქეთა და თანატოლთა შორის, არამედ ოჯახის წევრთა შორისაც კი. რახან საქმე ღმერთებს ეხებოდა, ალბათ. არმაზიც და იესოც ერთნაირად იწვევდა შიშის გრძნობას თითოეული ღმერთის მიმდევართა შორის. არმაზის უარყოფაც საშიში იყო და ქრისტეს აღიარებაც, ძნელი იქნებოდა შინაგანი წინააღმდეგობების გადალახვა, არმაზის მორწმუნენი თავს დამნაშავეებად იგრძნობდნენ და დანაშაულის ეს გრძნობა დიდხანს იქნებოდა მათი ცხოვრების თანამგზავრი. ყოველ შეფერხებას, ხელმოცარვას თუ თავსდატეხილ რაიმე უბედურებას წარმართული ღმერთების ერთგულებისთვის ქრისტეს მიერ მოვლენილ სასჯელად მიიღებდნენ, ხოლო ის, ვინც უარყო მამა-პაპათა სარწმუნოება და კაბადოკიელის მიერ ნაქადაგებ რწმენას შეუდგა, ყველა უბედურებისას არმაზისგან დასჯილად ჩათვლიდა თავს.

წარმოსადგენია დედაქალაქის ქუჩებში გამოფენილი საზოგადოება, ბაზრებში, საკულტო ადგილებში, სანახაობებსა და სახალხო თავშეყრის სხვა ადგილებში მიმდინარე ფიცხი მსჯელობები, მძიმედ დაფიქრებული, გაორებული, დაეჭვებული ან, პირიქით, ფანატიზმით შეპყრობილი სხვადასხვა ასაკის ადამიანები, ახალგაზრდები, მოხუცები, ქალები, კაცები, მდიდრები და ღარიბები, ვაჭრები და ხელოსნები, კულტის მსახურნი და ქალაქში ჩამოსული სოფლელები, მხედრები და კარისკაცნი... ყველა ამ ადამიანს მძიმე საფიქრალი გასჩენოდა და სულიერ მერყეობას განიცდიდა. ეს სულიერი მერყეობა იმ ადამიანებში, ვინც აქტიურად მონაწილეობდა ახალი რელიგიის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, ეტყობა, ზოგჯერ ავადმყოფურ წარმოსახვებად იქცეოდა. რომლის ახსნაც აღგზნებულ გონებას არ შეეძლო. თავის მოწაფეთა მძიმე ხილვებზე იმედიან განმარტებებს მხოლოდ ბრძენი ქალწული იძლეოდა და ეს მახვილგონიერული ახსნები მოკლებული არ იყო პოეზიის ელემენტებსა და ფილოსოფიას.

ასე იყო თუ ისე, გათენებულზე მცხეთაში სპარსთა ლაშქრის შემოსევის არავითარი კვალი არ ჩანდა, არც მკვდრები ეყარა სადმე და არც სისხლის რუები დიოდა, თუმცა, სანამ მეფეს გაეღვიძებოდა, სიდონიამ კიდევ ერთი სასწაული იხილა: ცისკრის გადახრისას ლოცვად მდგარ ხელაპყრობილ ნინოს ვიღაც ნათელმოსილი ჭაბუკი მიეახლა და სამი სიტყვა უთხრა, მერე მობრუნდა, ხელი მიჰყო სვეტს, რომელსაც წინა დღეს ხუროებმა ძვრა ვერ უყვეს და თავის ადგილზე აღმართა. გაკვირვებული სიდონია ნინოს მივარდა - რა არს ესეო, - მან კი უბრძანა - „მოიდრიკე თავი ქვეყნად“. ცოტა ხნის შემდეგ იმ ადგილს გაშორდა და სიდონიაც თან გაიყოლა, მის დანარჩენ მოწაფეებს - ათ ქალს მშვიდად ეძინა, ხოლო როცა გამოიღვიძეს, მათაც იხილეს სასწაული, როგორ ჩამოდიოდა ციდან სვეტის სახით ნათელი და იმ ნაძვის ძირას ეცემოდა, სადაც გადმოცემით ქრისტეს კვართი იყო დაფლული, და ასე იქმნა სვეტი ცხოველი. ეტყობა იმ ღამეს მეფესაც სიზმრები ტანჯავდა და უცნაურად დამძიმებული სვეტის ამბავი აწუხებდა. ირიჟრაჟა თუ არა, ადგა და მშენებარე ეკლესიისკენ გასწია; შორიდანვე დაინახა აღმართული სვეტი, რომელიც გუშინ ხუროების მთელმა რაზმმა ვერ დაძრა - იგი ციურ ნათელში იყო გახვეული. მეფე სირბილით გაეშურა ტაძრისაკენ.

ის დღე მცხეთელებმა ამ სასწაულზე მსჯელობაში გაატარეს და დიდ შვება-სიხარულში იყვნენ. მთავარი გმირი, რასაკვირველია, ნინო იყო, ყოველივე მის მიერ და მისი ღმერთის სახელით ხდებოდა. ნინომ გადაწყვიტა, ესარგებლა ამ გარემოებით და კვლავ სასწაულებრივ მკურნალობას მიჰყო ხელი. ამ საქმეში დიდად გამოადგა ანგელოზის მიერ აღმართული სვეტი ცხოველი, რომლის შეხებაც მეყსეულად კურნავდა დავრდომილებს. ამდენმა მიმსვლელ-მომსვლელმა მეფეს და ხუროებს ხელი ვერ შეუშალა და აჩქარებით განაგრძეს ეკლესიის მშენებლობა; მალე გაასრულეს კიდეც, ცხოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლი სვეტი, მეფის ბრძანებით, საბურველით შებურეს და სნეულებს მასზე ხელი აღარ მიუწვდებოდათ.

ამ დროისათვის ქართლის მეფის მოციქულებმა წარმატებით დააგვირგვინეს თავიანთი მისია ბერძენთა მეფის კარზე. კონსტანტინემ დიდად გაიხარა მირიანის მოქცევით და ქართლის პირველ ეპისკოპოსად იოანე გამოგზავნა, მასვე გამოატანა ორი მღვდელი და სამი დიაკონი. ეს წარმომადგენლობა სრულიად საკმარისი იყო იმ მრევლისათვის, რაც მაშინ ქრისტიანულ ეკლესიას ჰყავდა ქართლში.

მალე ბერძენმა ღვთისმსახურებმა მცხეთას მოაღწიეს და თავიანთი მისიის შესრულებას შეუდგნენ: მონათლეს მეფე და დედოფალი, მათი შვილები, სამეფო კარს მიბაძეს დიდებულებმა და წვრილმა ერმა. ქართლი მტკიცედ დადგა ქრისტიანობის გზაზე, მაგრამ ეს მხოლოდ დედაქალაქსა და მის შემოგარენზე ითქმოდა, თუმცა აქაც ურიათა დიდმა ნაწილმა არ მიიღო ქრისტიანობა, ქრისტე არ აღიარეს მთიელმა ქართველებმა, არც მირიან მეფის სიძემ, რანისა და ბარდავის ერისთავმა ფეროზმა. მირიანმა კვლავ წარგზავნა იოანე ეპისკოპოსი ბიზანტიის კეისარ კონსტანტინესთან და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელიც დედოფალ ელენეს „გამოეჩინა“. მეფე, აგრეთვე, ახალი ქრისტიანული ტაძრებისათვის მღვდლებისა და ქვითხუროების დამატებით გამოგზავნას ითხოვდა.

კონსტანტინე კეისარმა ქართველ მეფეს სათხოვარი აღუსრულა და არა მარტო ნაწილი ძელისა ცხოვრებისა გამოუგზავნა, არამედ ის ფიცრებიც, რომელზეც იესოს ფეხები იყო მიჭედილი. ამას უფლის ხელის სამსჭვალებიც დაუმატა, მღვდელთა და ხუროთა მთელი რაზმი მოავლინა, მშენებლობისათვის საჭირო სახსრებიც მისცა და ქართლის პირველი ეპისკოპოსი, ტომით ბერძენი, იოანე მცხეთას გამოისტუმრა, თუმცა ეპისკოპოსს მცხეთას ჩამოსვლა დაუგვიანდა – მან გზადაგზა ეკლესიების მშენებლობას მიჰყო ხელი; პირველი ეკლესია ერუშეთს ააშენა და უფლის ხელთა სამსჭვალები იქ დატოვა, შემდეგ საძირკველი ჩაუყარა წუნდის ეკლესიას, იქიდან მანგლისს მოვიდა, სადაც ასევე ააგო ტაძარი და უფლის ფერხთა ფიცრები იქ დაასვენა. ეს წმინდა რელიკვიები თითქმის ორი საუკუნე მაინც იყო საქართველოში, შემდეგ კი ჰერაკლე კეისარმა მოაგროვა და ისევ ბიზანტიას გაგზავნა.

მირიან მეფეს, ცოტა არ იყოს, ეწყინა ეპისკოპოსის მოქმედება, რადგან ჩათვალა, რომ კონსტანტინე კეისრის ძღვენი ჯერ მცხეთაში უნდა მოერთმიათ და მერე მეფის ბრძანებისამებრ გაენაწილებინათ. მეფემ თავისი გულისწყრომა ნინოს გაანდო, მაგრამ მოციქულთა სწორმა დაამშვიდა: მაგაზე ნუ სწუხარ, მცხეთაში ხომ თავად უფლის კვართია დაფლულიო. მაშინ მეფე კვლავ დაინტერესდა ეს ლეგენდარული სიწმინდე მართლა არის თუ არა მცხეთაშიო, მოიხმო აბიათარი და კიდევ ერთხელ გამოიკითხა იესოს კვართთან დაკავშირებული წვრილმანები.

ქართლის ქვეყანაში დადგა ახალი, ქრისტიანული ხანა, „წარემართა მეფე და ყოველი ქალაქი მტკიცედ ქრისტიანობასა“. იმ დროიდან მოციქულთა სწორი იქცევა მთელი სამეფოს სულიერ მოძღვრად. ნინო, რომელიც ჯერ ოცდაათ წელსაც არ არის გადაშორებული, ხელში იღებს მთელ სასულიერო ძალაუფლებას და დევნილი მისიონერი ქალიშვილი თვით მეფისა და ეპისკოპოსის მბრძანებელი ხდება. ის არის პირველთა შორის პირველი, მან ყველაზე ღრმად იცის ახალი სარწმუნოება და ამ ცოდნას მოხერხებულად იყენებს. მართალია, კვლავ მწირივით ცხოვრობს, მაგრამ მასთან შეუთანხმებლად იბერიის დედაქალაქში აღარაფერი წყდება, ვერც მეფე გადადგამს მის დაუკითხავად ნაბიჯს და ვერც ეპისკოპოსი.

ამიერიდან ნინოს აღიარებული განმანათლებლის მძიმე ტვირთი დააწვა და მისი ცხოვრება კიდევ უფრო გართულდა, მაგრამ „ტყვეთა მხსნელს“ გონიერება და ნებისყოფა აღმოაჩნდა, რათა თავის ახალ მდგომარეობას შეგუებოდა. იგი კვლავ მიმართავს სასწაულებრივ მკურნალობას, არჩენს მეფისწულ რევის დავრდომილ ძეს, ვიღაც დედაკაცს მკვდარ შვილსაც კი გაუცოცხლებს და, რაღა თქმა უნდა, ზრუნავს ქრისტიანობის გავრცელებისათვის მთელ სამეფოში.

მცხეთის მახლობლად, კლდის თავზე იდგა ერთი უცნაური ხე, რომელსაც ფოთოლი არასოდეს სცვიოდა, და არც ფერს იცვლიდა; თუ სასიკვდილოდ დაჭრილი ნადირი მის ფოთოლს შეჭამდა, მორჩებოდა. იოანე ეპისკოპოსის ბრძანებით ეს ხე მოჭრეს და მცხეთაში ეკლესიის კართან დადეს. ეს იყო მარტის ოცდახუთს, პარასკევ დღეს. ოცდაჩვიდმეტი დღე იდო ხე ეკლესიის წინ, მაგრამ არც ფოთოლი გასცვენია და არც ფერი შეცვლია. მაისში მისგან ჯვარი გამოთალეს და ეკლესიაში აღმართეს. მალე შეამჩნიეს, რომ ჯვრიდან ღამღამობით ორი მანათობელი ვარსკვლავი მიფრინავდა, გაკვირვებულმა ხალხმა ნინოს ჰკითხა – ეს კიდევ რა სასწაული უნდა იყოსო. მოციქულთა სწორმა უბრძანა კაცების გაგზავნა იმ მხარეებისკენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საითაც ვარსკვლავები მიფრინავდნენ, რათა ენახათ, სად ივანებდნენ ისინი. იმ ადგილებში ჯვარი უნდა აღიმართოსო - დასძინა. აღმოჩნდა, რომ ერთი ვარსკვლავი თხოთის მთაზე ჩერდებოდა, მეორე დაბა ბოდს ადგებოდა თავს. მაშინ ნინომ უცნაური განკარგულება გასცა: ერთი ჯვარი აღემართათ თხოთის მთაზე, მეორე კი სალომეს (მირონ მეფის რძალს, რევის მეუღლეს) მიეცით და უჯარმას აღმართოსო, და ეს განკარგულება ყოვლად მიწიერი მოსაზრებით დაასაბუთა: „რამე თუ ბოდი, დაბა კუხეთისა, არა წინააღუდგეს ქალაქსა მეფეთასა (ე. ი. უჯარმას), რამეთუ ერისა სიმრავლე არს მას შინა“. მოციქულთა სწორმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ დაბა „ბოდს კუხეთისასა“ დაუდგებოდა მიწიერი სიცოცხლის აღსასრული და საუკუნო განსასვენებელსაც იქ ჰპოვებდა. ნინოს განსაკუთრებული მეგობრული გრძნობები აკავშირებდა სალომე უჯარმელთან და ამჯობინა საუფლისწულო ქალაქისთვის, რომელიც მაშინ სალომესა და მის მეუღლეს რევს ეკუთვნოდათ, დამცრობის საფრთხე არ შეექმნა კახეთის მხარეში სხვა რელიგიური ცენტრის დაარსებით. აქ იგი პირდაპირ გამოვიდა უფლის და სასწაულმოქმედი ჯვრის ნების წინააღმდეგ.

მეფე მირიანმა გადაწყვიტა - რახან რჯულის შეცვლაა, ბარემ მთელ სამეფოში იყოსო და იმ მხარეებში, სადაც კვლავ წარმართობას მისდევდნენ, მისი მახვილით გავრცელება განიზრახა.

მეფემ ნინოს გაანდო: მინდა „მახვილს მოვაქციენე მთეულნი და სიძე ჩემი ფეროზ“. მოციქულთა სწორმა სრულიად სამართლიანად უარყო მეფის ძალისმიერი მცდელობა და მიუგო: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება, არამედ სახარებითა და ჯვრითა პატიოსნითა ვუჩვენოთ გზა ჭეშმარიტი...“ ნინო და იოანე ეპისკოპოსი არაგვის ხეობაში გაემგზავრნენ მთიელთა მოსაქცევად, მაგრამ მეფემ მათ მაინც აახლა სამეფო ჯარი ერისთავის მეთაურობით. ნინოს ამ ჯარის თანხლებაზე პროტესტი არ გამოუთქვამს, თორემ მეფე ძალდატანებას ვერ გაბედავდა. მისიონერებმა სოფელ წობენს (ახლანდელი სოფელი ჩინთი) მიაღწიეს, იქ იხმეს არაგვის ხეობებში მოსახლე სხვადასხვა თემის - ჭართლელთა, ფხოველთა, წილკნელთა, გუდამაყრელთა წინამძღოლები და მაღალ კლდეზე შემდგარმა ნინომ მათ ქრისტეს რჯული უქადაგა, მაგრამ მთის ხალხი რჯულის გამოსაცვლელად არც მზად იყო და არც სურვილი ჰქონდა, მისთვის უცხო იყო წერილობითი რელიგია და ვერც შორეულ იერუსალიმში ჯვარცმულ ვიღაც ახალგაზრდა კაცში დაინახა თავისი იდეალი. მთიელებმა მტკიცე უარი განუცხადეს სარწმუნოების გამოცვლაზე და შესაძლოა, იარაღიცააჟღარუნეს. „მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი“.

ეს „ძლევით შემუსრვა“, ალბათ, წობენის მიმდგომ მხარეებს არ გასცილებია. წარმოუდგენელია, ერისთავის მცირე ლაშქარს მოკლე დროში მოევლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა კუთხე და წარმართული სალოცავები დაერბია.

ამ წარუმატებელი სამისიონერო ლაშქრობის შემდეგ ნინო თავის შეიარაღებულ მხლებლებთან ერთად ქალეთს გადავიდა და ერწოთონელებს უქადაგა ახალი სარწმუნოება. ეს კუთხე შედარებით ახლოს მდებარეობდა სამეფოს ცენტრთან და, ალბათ, გარკვეული ნიადაგიც იყო მომზადებული ახალი რელიგიის ქადაგებისათვის, ამიტომ მისიონერებს დიდი ჯაფა არ დასდგომიათ, ერწო-თონელებმა აღიარეს ქრისტიანობა, სამაგიეროდ, მთის იქით მცხოვრებმა ფხოველებმა მიატოვეს თავისი სოფლები და თუშეთს გადაიხვეწნენ, - ემანდ, მეფის ერისთავმა კიდევ არ გვაიძულოს რჯულის გამოცვლაო.

ნინომ მთიელებში თავისი მისია დასრულებულად ჩათვალა და ფეროზის მოსაქცევად რანისკენ გაემართა. ეს პოლიტიკურად, ცოტა არ იყოს, გაუმართლებელი ნაბიჯი იყო და გაუგებარია, მეფე მირიანმა რატომ გადადგა იგი. რანი ქართლის სამეფოში არ შემოდიოდა და სპარსეთის საერისთავო იყო, იმ სპარსეთისა, რომელიც, ალბათ, უკვე ეჭვით უყურებდა მირიანის გაცხოველებულ ურთიერთობას კონსტანტინე ბიზანტიის კეისართან, ან სპარსეთის პროვინციის მმართველს როგორ შეეძლო ბერძენთა სარწმუნოების მიღება, თუნდაც იგი მირიანის სიძე ყოფილიყო. ერთი კია, მაშინ სპარსეთშიც დიდი წარმატებით ვრცელდებოდა ქრისტიანობა და, ალბათ, რანშიც აღარ იდევნებოდნენ მისიონერები. რანისა და ბარდავისაკენ მიმავალმა ნინომ დაბა ბოდს მიაღწია. ეს დაბა, როგორც ჩანს, აღმოსავლეთის საქარავნო გზაზე მდებარეობდა და კუხეთის ერთერთი ცენტრი იყო. იქ ებრაელთა ძლიერი დასახლებაც ყოფილა, ეს ხალხი კი საქარავნო გზებზე მდებარე ლაბა-ქალაქებში ეწეოდა ვაჭრობას.

ნინო ბოდში, ალბათ, დიდხანს დარჩენას არ აპირებდა, მაგრამ უეცრად რაღაც სნეულებამ დარია ხელი. მისი ავადმყოფობის ამბავი პირველად სალომემ და რევმა გაიგეს უჯარმაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი სასწრაფოდ ჩავიდნენ ბოდს, თან მეუღლედოფალს აცნობეს ეს სამწუხარო მოულოდნელობა. მირიან მეფემ დედაქალაქიდან სასწრაფოდ გაგზავნა ეპისკოპოსი იოანე, რომელიც, ეტყობა, ადრე დაბრუნდა მცხეთაში და რანს მიმავალ ნინოს აღარ გაჰყოლია. მეფემ ეპისკოპოსს ნინოს მცხეთაში ჩამოყვანა დაავალა, მაგრამ ადგილზე ჩასული მღვდელმთავარი მოციქულთა სწორისგან წინააღმდეგობას წააწყდა. მან უარი განაცხადა მცხეთაში წასვლაზე, მაშინ მეფე დიდი ამალის თანხლებით თავად გაემგზავრა ბოდში.

ამ დროისთვის მოციქულთა სწორის ავტორიტეტი და გავლენა ეგზომ დიდი იყო, რომ „მოსწყვიდიან ფესვსა სამოსლისა მისსა, მიიღებდეს და ემთხვეოდეს სარწმუნოებით". ავადმყოფს დღე და ღამ გარს უსხდნენ სამეფო სახლის ქალბატონები და დიდებულთა ცოლები, – „ყოველნი დედოფალნი", ისინი სასოებით ევედრებოდნენ უფალს „ყოველთა ქართველთა დედის" გამოჯანმრთელებას. მოციქულთა სწორი ასე დიდხანს და ძალმიხდილად არასოდეს ყოფილა ამოდენა ხალხში. იგი ცდილობდა, უფრო მეტად მიუწვდომელი ყოფილიყო და მაყვლოვანში აფარებდა თავს, ახლა კი სიარული აღარ შეეძლო, ვერც თავს მოარიდებდა მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს; მათაც დრო იხელთეს და სცადეს, საბოლოოდ დაეზუსტებინათ „ვინა ანუ სადით" მოვიდა მოციქულთა სწორი ქართველთა ქვეყნის მაცხოვრად. ნინოს სასიკვდილო სარეცელზეც არ უღალატა ჩვეული რაციონალიზმის გრძნობამ, ჩათვალა, რომ ამ ხალხთან ზეპირი ლაპარაკი უკვე შეზღუდული დროისა და დაშრეტილი ენერგიის ამაო ხარჯვა იქნებოდა, საწერი მოწყობილობის მოტანა ბრძანა და თავისი მონათხრობის ჩაწერა ისურვა, რათა ქართველთა ქვეყანას სამარადისოდ დარჩენოდა თავისი განმანათლებლის ამბავი.

ეს იყო უკვდავებისკენ არცთუ მოკრძალებული სწრაფვა და უკვდავების უფლება მართლაც მოიპოვა ოდესღაც მამისგან მიტოვებულმა, სარა ნიაფორის მსახურად მიცემულმა პატარა კაბადოკიელმა ქალიშვილმა, რომელმაც ათასი ჭირ-ვარამი გამოიარა, თავისი დაუშრეტელი ენერგიისა და მაღალი გონიერების წყალობით დიდებას ეწია და ახლა იბერთა ქვეყნის დედად, ქართველთა პირველ წმინდანად ებარებოდა თავის ღმერთს. მის სარეცელთან დაჩოქილიყვნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და სასოებით მიეპყროთ თვალი სიცოცხლის უკანასკნელი სხივით გაბრწყინებული ღვთაებრივი სახისთვის.

სალომე უჯარმელმა და მისმა სეფექალმა პეროჟავრ სივნიელმა სასწრაფოდ მოიღეს საწერელი და იწყეს ნინოს მიერ ნაკარნახევის ჩაწერა. მოციქულთა სწორმა თავისი უკანასკნელი სურვილიც გაუზიარა მეფეს და სთხოვა, იოანეს შემდეგ ეპისკოპოსად მღვდელი იაკობი დაედგინა. თავად იოანე ეპისკოპოსმა შესწირა ჟამი და აზიარა მომაკვდავი.

მიიცვალა მოციქულთა სწორი ქრისტეს შობითგან სამას ოცდამეთვრამეტე წელს, იგი შუახანს მიღწეული, 50-55 წლისა იქნებოდა.

აქ კიდევ ერთ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ლეონტი მროველი გვაუწყებს, ნინო ქართლში მოსვლიდან მეთოთხმეტე წელს გარდაიცვალაო, რაც მისი ბიოგრაფიის ადრინდელ ცნობებს არ ეთანხმება. გამოდის, რომ ნინო ქართლში 324 წელს მოსულა, თუმცა ვიცით, რომ იგი სომხეთიდან რიფსიმიანელთა წამების მეორე წელს მოვიდა. რიფსიმე დედოფლის წამება კი სომხური ისტორიოგრაფიით, დაახლოებით 300 წელს მოხდა. გავიხსენოთ, რომ რიფსიმე დედოფლის წამებას წინ უძღოდა რომის იმპერატორის წერილი სომეხთა მეფე თრდატისადმი, რომელშიც იგი ქრისტიანებს გამოუსწორებელი დამნაშავეებივით ახასიათებდა და მათ გაჟუჟვას მოითხოვდა. ამ მოთხოვნის უკან მხოლოდ დიოკლიანტე შეიძლებოდა ყოფილიყო, ის კი იმპერიას, როგორც ვიცით, 305 წლამდე მართავდა. მაშასადამე, ნინო ქართლში დიოკლიანტეს დროს, 305 წლამდე მოსულა.

●

ქართველთა განმანათლებლის ცხოვრება, რაღა თქმა უნდა, ლეგენდებისა და სინამდვილის ანარეკლს წარმოადგენს. საერთოდ, ჩვენ ამ ეპოქაზე ძალზე ცოტა რამ ვიცით. სამართლიანად წერდა ლაშა ჯანაშია: „IV საუკუნე ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო ხანაა საქართველოს ისტორიაში. ამ საუკუნეში ჩაისახა მთელი რიგი მოვლენებისა, რომელთაც შემდგომი განვითარება მომდევნო პერიოდში ჰპოვეს. ამავე საუკუნეში მოხდა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის უმნიშვნელოვანესი ძვრები, რომლებიც უდიდეს როლს ასრულებდნენ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე. სამწუხაროდ, ჩვენ მეტისმეტად ცოტა გვაქვს ზუსტი, შემოწმებული ცნობები ამ ეპოქის შესახებ, მართალია, „ქართლის ცხოვრებაში" ამ ხანაზე საკმაოდ ვრცელი და გაბმული თხრობაა, მაგრამ ამ წყაროს ცნობები განსახილველი პერიოდის შესახებ ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი. რიგ შემთხვევაში

ისინი არ დასტურდებიან და საფუძვლიან ეჭვს იწვევენ, განსაკუთრებით საგრძნობია ზუსტი ცნობების უქონლობა IV საუკუნის პირველი ნახევრის ქართლის ისტორიისათვის“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპოქაზე ქართველი და არამარტო ქართველი მეცნიერების უამრავი გამოკვლევა არსებობს, ისტორიის ბნელ წიაღში კვლავ ფანტაზიისა და წარმოსახვის მოშველიებით გვიწევს სიარული; ერთადერთი, რასაც შეიძლება დავეყრდნოთ, ერთობ მწირი ფაქტების ლოგიკაა, სხვა რამ წერილობითი დოკუმენტი იმ ეპოქიდან არ შემოგვრჩენია.

●

„ნინოს ცხოვრება“, რომლის თანამედროვე ინტერპრეტაციასაც, ფაქტობრივად, წარმოადგენს ზემოთ მოყვანილი ტექსტი, მარტოოდენ ისტორიული თხზულება არ არის, არამედ ქართული მწერლობის ერთ-ერთი პირველი და შესანიშნავი ძეგლია. ამ აზრის მეცნიერულ აღიარებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ მისი ადრეული ხელნაწერები არ მოგვეპოვება, არც ავტორი ვიცით, არც სხვა რამ დოკუმენტი, გარდა ლეგენდისა, არ ადასტურებს, რომ ეს ნაწარმოები ნინოს აღსრულების უმალვე იყო შექმნილი.

არადა, ამ ნაწარმოებში ისეთი სიცხადით არის აღწერილი პირველქრისტიანობის ეპოქა, რომ მომდევნო საუკუნეებში ამის მიღწევა წარმოუდგენლად ძნელი იქნებოდა. თუ ვაღიარებთ, რომ ნინოს ცხოვრების ქრონიკა მართლა რომელიღაც სხვა ეპოქაში, სავარაუდოდ IX-X საუკუნეებშია შექმნილი, იმ აზრსაც უნდა შევეგუოთ, რომ მას არავითარი დოკუმენტური ღირებულება არა აქვს და მხოლოდ მწერლურ გამონაგონს წარმოადგენს. მაშინ იმ აზრამდეც მივალთ, რომ არავითარი მოციქულთა სწორი არ არსებობდა და იგი მწერლის ფანტაზიით შექმნილი გმირია. ეს, რასაკვირველია, ასე არ არის. თავი რომ დავანებოთ ისტორიულ ტრადიციას და ეროვნულ მეხსიერებას, ნინოს ცხოვრების მოკლე ისტორია IV საუკუნის II ნახევარში ბიზანტიელ ისტორიკოსებს გელასი კესარიელსა და რეფინიუსს ცალ-ცალკე უამბო კონსტანტინეპოლს სტუმრად მყოფმა ქართველმა უფლისწულმა ბაკურმა, რევისა და სალომეს შვილიშვილმა, შვილთა შვილმა მირიან მეფისამ. მათ ეს ისტორია თავის ქრონიკებში შეიტანეს. მაშასადამე, ნინოს ცხოვრება ამ დროს უკვე ჩაწერილი იყო, რადგან საეჭვოა, უფლისწულ ბაკურს ეს ისტორია ზეპირი წყაროებით სცოდნოდა. ამრიგად, ნინო ქართველთა განმანათლებელი ნამდვილად არსებობდა და მოღვაწეობდა ზუსტად იმ დროს, როგორც ცხოვრების მიხედვით და ისტორიული ტრადიციით არის მიღებული. ქართველი ისტორიკოსები ასახელებენ სხვა უცხოურ წყაროებსაც, სადაც ქართლის განმანათლებლად ნინო კაბადოკიელია მიჩნეული.

რატომ შეიტანა ლეონტი მროველმა თავის მეფეთა ისტორიაში ნინოს ცხოვრება? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ იქ მეფე მირიანზეა საუბარი? მას ხომ შეეძლო ისევე მშრალად გადმოეცა ამ მეფის ცხოვრებაც, როგორც სხვა მეფეთა ცხოვრების აღწერისას სჩადის. უნდა ვიფიქროთ, რომ ისტორიკოსს თავისი მიზანდასახულება ჰქონდა და თავისი ვრცელი კომპილაციური თხზულება ამიტომ დაწერა. მას, უპირველეს ყოვლისა, ეწადა, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაედგინა ქართველ მეფეთა რიგი, რათა მშობლიური ქვეყნის ისტორიაში არსებული ლაქები ამოეშალა და ისტორიული ჯაჭვის რგოლები უწყვეტად დაეკავშირებინა ერთმანეთთან. იგი მტკიცედ ხელმძღვანელობდა ეროვნული იდეით და ამ იდეის ყველაზე უფრო ნათელი გამობრწყინების ვრცლად გადმოცემას ცდილობდა. „ქართლის ცხოვრების“ მომდევნო თავებში ისტორიკოსი ჯუანშერი შეეცდება ასევე ვრცლად მოგვითხროს ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, მაგრამ ამისთვის მას წინამორბედი თხზულება ან შესაბამისი მასალები არ გააჩნია, რის გამოც ლეგენდებს იშველიებს ან თხრობის დამაჯარებლობას კარგავს.

რაც შეეხება ქართლის მოქცევის ისტორიას, ეტყობა, ლეონტი მროველს ხელთ ჰქონდა მზამზარეული თხზულება (როგორც ვარაუდობენ, „მოქცევაი ქართლისაის მატიანე“, რომლის დასაწყისს პ. ინგოროყვა წარმართულ ეპოქაში დებდა, თუმცა რა ენაზე იწერებოდა, გაურკვეველია). ისტორიკოსმა სცადა, ეს თხზულება ქრონოლოგიურად ჩაეწერა თავის ისტორიაში. მისი ეს სურვილი და გადაწყვეტილება იმ ფაქტის ცოდნით იყო განპირობებული, რომ ქრისტიანობის მიღება ქართველთა ისტორიულ გზაჯვარედინს წარმოადგენდა, ეროვნული იდეის გამობრწყინება და ამ იდეით ნაკარნახევი ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინების ხანა იყო.

გულუბრყვილობა იქნება იმის მტკიცება, რომ მოციქულთა სწორის ცხოვრების ისტორიის საბოლოო რედაქცია მართლა სალომე უჯარმელს ეკუთვნის. ჯერ ერთი – იგი სომეხთა მეფის, თრდატის ასული იყო და არ შეიძლება ეგოდენ ღრმად და საფუძვლიანად სცოდნოდა ქართული, რომ სიტყვის იმ ფეიერვერკულ ელვარებისთვის მიეღწია, რაც ამ თხზულების ბევრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილას არის თვალსაჩინო. ასევე, ქართულის ღრმად მცოდნე ვერ იქნებოდა მოციქულთა სწორიც, რადგან საქართველოში ჩამოსვლისას მან არც ერთი ქართული სიტყვა არ იცოდა, მან ასევე ცუდად იცოდა სალომე დედოფლის მშობლიური სომხური ენა და ფარავნელ მწყემსს სარა ნიაფორთან ნასწავლი სანიადაგო სომხურით ესაუბრებოდა. ეგეც რომ არ იყოს, მაშინ, 338 წელს, სომხური დამწერლობა, ისევე როგორც ქართული, არ არსებობდა და ვერც ტექსტის ჩაწერა მოხერხდებოდა ამ ენებზე. ყველაზე უფრო სავარაუდოა, რომ ტექსტი ბერძნულ ენაზე ჩაიწერეს, ეს ენა ბრწყინვალედ უნდა სცოდნოდა ნინოსაც და სალომესაც, რადგან სომეხთა სამეფო კარი იმ პერიოდში მჭიდროდ იყო დაკავშირებული რომთან. თრდატ მეფე, ფაქტობრივად, რომის იმპერატორის კარზე აღიზარდა და, ალბათ, იქვე დაოჯახდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სალომეც ბერძნულ-რომაულ სამყაროში იყო აღზრდილი. მშვენივრად ფლობდა იქაურ ენას, დამწერლობასა და კულტურას, შესაძლოა, ნინოს და სალომეს განსაკუთრებული მეგობრობაც ამ ფაქტით იყო განპირობებული, რასაც, ალბათ, სალომეს მადლიერებაც ემატებოდა - ნინომ ხომ ქრისტეს ჯვრით განკურნა მისი დავრდომილი შვილი.

ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: შესაძლოა ნინოს ცხოვრება მართლაც სალომე უჯარმელმა ჩაიწერა, ხოლო მოგვიანებით, ქართული დამწერლობის შემოღებისას, ამ ჩანაწერებით ვიღაც სხვამ, პროფესიონალმა მწერალ-ისტორიკოსმა ისარგებლა, ლიტერატურულად გადაამუშავა ისინი და მშვენიერი თხზულება შექმნა.

მთელი ეს ვარაუდი ეწინააღმდეგება ოფიციალურად დამკვიდრებულ ვერსიას და მათ შორის ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, ნიკო მარის მოსაზრებებს, რომლებიც არ შეიძლება ეჭვშეუტანელი იყოს, რადგან იქაც ისეთივე სიმწირეა უარმყოფელი არგუმენტებისა, როგორც დამამტკიცებლისა ჩვენს შემთხვევაში.

ამ ავტორიტეტულ მეცნიერთა აზრით, ნინოს ცხოვრება შექმნილია არა უადრეს IX საუკუნისა და ავტორიც იმიტომ არის დამალული, რომ გვიან შექმნილი ნაწარმოები ადრეულად გაესაღებინათ. ეს მოვლენა ზოგად ეროვნულ პროცესებთან კავშირში განიხილება, როცა ხდებოდა ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება, საქართველომ თავი დააღწია სომხურ-მონოფიზიტურ აგრესიას და დამოუკიდებელი კულტურულ-რელიგიური განვითარების გზას დაადგა.

ამ აგრესიასთან დაკავშირებით (რომელზეც მომდევნო თავში გვექნება საუბარი) საქმე გვაქვს ისტორიულ პარადოქსთან. ქართველთა ქვეყანამ, მისმა უმაღლესმა საერო და სასულიერო პირებმა მე-7 საუკუნეში წმინდა ნინოს შესახებ სრულიად აღარაფერი იცოდნენ და ქართლის განმანათლებლად მიჩნეული იყო წარმოშობით პართიელი, სომეხთა განმანათლებელი გრიგოლი. ეროვნული მეხსიერების ამ დაბინდვას დიდად შეუწყო ხელი სპარსეთმა და მის იდეოლოგიურ იარაღად ქცეულმა მონოფიზიტურმა სომხურმა ეკლესიამ, რომელთაც გამოიგონეს მითი გრიგოლის მიერ ქართლის მოქცევის შესახებ, მოციქულთა სწორის სახე და ღვაწლი კი უცერემონიოდ იქნა მიჩქმალული.

სულ ადვილი შესაძლებელია ნინოს ცხოვრება მე-7 საუკუნეში, ქართულ-სომხური ეკლესიის გათიშვისთანავე იყოს დაწერილი, თუმცა მე ამ საკითხის მეცნიერულ კვლევას არ ვაპირებ. მისი დაწერის დრო და ავტორი, რასაკვირველია, მეტად საინტერესოა, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ქართულმა საისტორიო მწერლობამ იცის, ქრისტიანობის მიღებით ქართველთა ქვეყანაში ახალი ეროვნული იდეა დამკვიდრდა, მან საბოლოოდ უარყო აღმოსავლურ-სპარსული სამყარო და თვალი მიაპყრო დასავლეთს, ბიზანტიის ქრისტიანულ იმპერიას. დასავლეთი ამიერიდან მისი საბოლოო არჩევანია, თუმცა ამ არჩევანს მომავალ ეპოქებსა და საუკუნეებში დიდი გამოცდა მოუწევს. შესამჩნევია, რომ აღწერილ ეპოქაში ქართველები, ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის იმ ნაწილში, რომელზეც მცხეთის იურისდიქცია ვრცელდებოდა, განსაკუთრებული ნაციონალურ-პატრიოტული გრძნობებით არ გამოირჩეოდნენ. ტახტზე ისხდნენ სპარსელ ხოსროიანთა დინასტიის მეფეები, ახალი რელიგია გადმოხვეწილი კაბადოკიელი ქალისაგან მიიღეს, პირველი ეპისკოპოსი საბერძნეთიდან ჩამოიყვანეს, ღვთისმსახურებას ბერძნულად ასრულებდნენ, სახელმწიფო საკანცელარიო ენა კი, ალბათ, სპარსული იყო, რადგან ქართველებს ჯერ კიდევ არა ჰქონდათ ანბანი, ისევე როგორც მეზობელ სომხეთსა და ალბანეთს.

ეროვნული ცნობიერების ამაღლება, ქართველთა სახელმწიფოებრივი და რელიგიური ორგანიზაცია დაკავშირებულია ვახტანგ გორგასლის სახელთან. ამ ეპოქაში უსათუოდ კიდევ ახსოვდათ მოციქულთა სწორის ღვაწლი და სახელი, რომელიც, ქართველთა სამარცხვინოდ, მომავალ საუკუნეებში დავიწყებას მიეცემა.

ქართველთა განმანათლებლის წმინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელი მხოლოდ მაშინ დაიწყებს კვლავ ამობრწყინებას, როცა საქართველო საბოლოოდ დაადგება დიოფიზიტობას, ყოველგვარ კავშირს გასწყვეტს სომხურ ნაციონალისტურ ეკლესიასა და მისი დამაარსებლის გრიგოლის მოძღვრებასთან, ამით იხსნის ქართლის ეროვნულ და სარწმუნოებრივ დამოუკიდებლობას და თავისი ისტორიის წიაღში მოციქულთა სწორის მშვენიერ სახესაც აღმოაჩენს.

და ეს იქნება ეროვნული იდეის ახალი ზეიმი.

## სომეხ-სპარსელთა რელიგიურ-ნაციონალური აგრესია და ბრძოლა ეროვნული იდეისათვის

### *მონოფიზიტობა და დიოფიზიტობა*

„ჯვარზე მომკვდარი“ კაცის მოძღვრება უტეხი და შეურყეველი აღმოჩნდა. გოლგოთაზე წამებული ძე ღვთისას ნათელი ტალღისებურად მოეფინა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, სამხრეთსა და ჩრდილოეთს, ქვეყნიერების ოთხივ კუთხისაკენ დაძრულმა მისიონერებმა ჯერ რომის უზარმაზარ იმპერიაში მოქცეული ხალხები აზიარეს იესოს ნათელს, ახალმა სარწმუნოებამ მალე იმპერიის საზღვრებიც გადალახა, შეაღწია ველურ სკვითეთში, მაზდეანურ სპარსეთში და, რაღა თქმა უნდა, დამკვიდრდა კავკასიაში.

წარმართთა ახალ რჯულზე მოქცევა ადვილი არ იყო, „ცეცხლთა; ქვათა და ძელთა“ თაყვანისმცემლები ყოყმანით ეზიარებოდნენ ახალ მოძღვრებას, მაგრამ იესოს ნათელი მეყსეულად ავსებდა ახლადმოქცეულთა სულს და ახალი სარწმუნოების წიაღში მარადიულ ნეტარებას ესწრაფოდნენ. უკან დარჩა პირველი ქრისტიანული სექტების ეპოქა, უდაბნოში განმარტოებულ მწირთა თავშესაფრები ქრისტიანულმა ტაძრებმა შეცვალა, რწმენა ფანატიზმის საზღვრებს გასცდა და კულტურული სახე მიიღო, გაჩნდა ქრისტოლოგიური დოგმატისა და ღვთისმსახურების რიტუალთა დადგენის აუცილებლობა.

ეს პროცესი კი გაცილებით საშიში და მტკივნეული აღმოჩნდა. ადამიანები იმ შორეულ დროშიც ძნელად ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, თვით ისეთ სიწმინდეებზე საუბრისასაც კი, როგორიც გოლგოთაზე ჯვარცმულის სახელი იყო და იგი საუკუნოვანი კამათის საგნად აქციეს.

მთავარი საკითხი მთელ ამ საეკლესიო დისკუსიებში, რომელიც 7 მსოფლიო საეკლესიო და მრავალ ადგილობრივ კრებაზე მიმდინარეობდა, წმინდა წერილის განმარტება და ქრისტიანული ჭეშმარიტების არსის დადგენა იყო, რათა ადამიანთა უმეცარ გონებას არ დაემახინჯებინა ახალი სარწმუნოება თვითნებური გააზრებებითა და ინტერპრეტაციებით. ცხადია, სხვადასხვა ეკლესიას და ცალკეულ სასულიერო მოღვაწეს თავისი მოსაზრებები ჰქონდა ყველა სადავო საკითხზე და დისკუსია ხშირად მწვავე ხასიათს ღებულობდა

ამ უთანხმოებათა ნიადაგზე ქრისტიანული ეკლესიის წიაღში წარმოიშვა მრავალი მიმდინარეობა და სექტა.

საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთს ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ გნოსტიცისტები, მანდეისტები, ორგიენისტები, არიმანელები, ნესტორიანელები, სიმონიანელები, ნიკოლაცები, მენანდრელები, კერინთოსიანელები, დოსითესიანელები, კარპოკრატიანელები, მარკონიტები, ვალენტიანელები, ებიონიტები, სატურნიელები და ბოლოს – მონოფიზიტები და დიოფიზიტები. ყოველ ამ მოძრაობას სათავეში ედგა ავტორიტეტული ერესიარქი, - მოძრაობის მოთავე და სახელის მომცემი პიროვნება, რომელსაც თავისი შეხედულება ჰქონდა სარწმუნოებრივი დოგმატის თაობაზე. და ამ შეხედულებას მისი მიმდევრები ერთადერთ ჭეშმარიტებად მიიჩნევდნენ. სხვადასხვა ერესიარქთა მომხრეები ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმიან ერთმანეთს.

ჩვენი ინტერესების სფეროს ამჯერად მონოფიზიტობასა და დიოფიზიტობას შორის ატეხილი ბრძოლა წარმოადგენს, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია საქართველოს ბედსა და ისტორიას. მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა შორის სადავო საკითხი იყო იესო ქრისტეში ადამიანური და ღვთაებრივი ბუნების დადგენა. მონოფიზიტობის ძირითად ფორმულას ასე განმარტავდნენ: „იესო ქრისტე წუთისოფელში მოვიდა ორი ბუნებით, მაგრამ განკაცების ანუ განსხეულების ჟამს საღმრთო ბუნებამ გამოუთქმელად და სასწაულებრივად შეირწყა კაცებრივი და ერთ ბუნებად გამოჩნდა, ღმერთეებრ შთანთქა კაცებრივი და ამდენად ერთიანი ბუნება ჩასახლდა ქრისტეს გვამში და მოგვევლინა ერთ პიროვნებით, ერთი არსებით, ერთი ნებით“ (ნ. პაპუაშვილი „რელიგიის ისტორია“). აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ მაცხოვარი არის მხოლოდ ღმერთი და მთელი მისი მიწიერი თავგადასავალი: ტანჯვა-წამება, დევნა, შეურაცხყოფა, ჯვარცმით დამთავრებული სიცოცხლე მხოლოდ მოჩვენება იყო.

მონოფიზიტთა, ანუ ერთბუნებიანობის მაღიარებელთა მოძრაობას მრავალრიცხოვანი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრეები ჰყავდა განსაკუთრებით აღმოსავლეთის ეკლესიებში, რაც იქ უფრო ადრე გავრცელებულმა ნესტორიანულმა მოძრაობამ განაპირობა.

მონოფიზიტებმა 449 წელს ქ. ეფესში მოიწვიეს საეკლესიო კრება, განდევნეს და შეაჩვენეს ყველა, ვინც მათ მრწამსს არ იზიარებდა, მაგრამ სულ მალე, 451 წელს, რომის პაპის მხარდაჭერით, მოწვეული იქნა ქალკედონის საეკლესიო კრება, რომელიც დიოფიზიტთა გამარჯვებით დასრულდა. ქალკედონის კრების მონაწილეთა უმეტესობამ (მონაწილეობდა 630 დელეგატი) მხარი დაუჭირა დოგმატს, რომლის თანამედროვე ინტერპრეტაცია ასეთია: „ერთი და იგივე პირი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის სრულყოფილი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი, მიწიერი სულით და სხეულით, თანაარსი მამისა ღვთაებით და თანაარსი ჩვენი კაცებით, ყოველითურთ ჩვენი მსგავსი, ცოდვების გარეშე, შობილი საუკუნეთა უწინარეს მამისგან ღვთაებით, ხოლო უკანასკნელ ჟამს ჩვენთვის და ჩვენი ხსნისთვის მარიამ ღვთისმშობლისაგან კაცებით. ერთი და იგივე ქრისტე ძე, უფალი მხოლოდშობილი ორი ბუნებით შერწყმულად, შეუცვლელად, განუყოფლად, მამისაგან განუშორებლად განკაცდა ისე, რომ შეერთებით არანაირად არ დარღვეულა ორი ბუნების განსხვავება. არამედ მეტად შეინახა თითოეული ბუნების თავისებურება და გაერთიანდა ერთ პირში, ერთ ჰიპოსტასში, არა ორ პირად განწვალდა ანუ გაიყო, არამედ სუფევს ერთი და იგივე მხოლოდშობილი ძე, ღვთის სიტყვა, უფალი იესო ქრისტე“ (ნ. პაპუაშვილი „რელიგიის ისტორია“, ავტორის სტილი დაცულია).

ქალკედონის კრებას თითქოს დასაბამი უნდა მიეცა ორი დაპირისპირებული მოძრაობის შერიგება-შეთანხმებისთვის, მაგრამ ასე არ მოხდა. ქრისტიანული სამყარო კვლავ ორ ბანაკად გათიშული დარჩა. დიოფიზიტობას მიემხრნენ საბერძნეთი და დასავლეთის ლათინური სამყარო, მონოფიზიტობას - სირია, პალესტინა, ეგვიპტე და სომხეთი.

უთანხმოება ორ მიმდინარეობას შორის მარტო თეორიული დისკუსიით არ შემოფარგლულა. მონოფიზიტებმა მეტისმეტი აგრესიულობა გამოამჟღავნეს, მათ აჯანყებები და დიოფიზიტური ეკლესიების რბევაც კი მოაწყვეს იერუსალიმში, პალესტინასა და სირიაში. დავაში საერო ხელისუფლებაც ჩაერია. ბიზანტიის კეისარმა ბასილიკემ 474 წელს 500 ეპისკოპოსი აიძულა, ხელი მოეწერათ ანტიქალკედონიტურ „საყოველთაო ეპისტოლეზე“, რასაც დიოფიზიტთა მწვავე რეაქცია მოჰყვა. 482 წელს, კეისარ ზენონის ინიციატივით, მიღებული იქნა შერიგების აქტი „ჰენოტიკონი“, თუმცა უნიის, შერიგების, გაერთიანების მცდელობა ამაო გამოდგა. პირიქით, ბრძოლა უფრო გამწვავდა, უთანხმოება ჩამოვარდა რომისა და ბიზანტიის ეკლესიებს შორის, თუმცა ეს უთანხმოება მონაგონი იყო იმასთან შედარებით, რაც აღმოსავლეთის ეკლესიებში ხდებოდა. ალექსანდრიასა და ანტიოქიაში „ჰენოტიკონის“ მომხრეთა შორის კონფლიქტმა სისხლისმღვრელი და დამანგრეველი ხასიათი მიიღო, დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა ფანატიკოსი ბრბოები მოედვნენ ქვეყანას და მათი დაოკება კონსტანტინეპოლის მთავრობასაც აღარ შეეძლო. 567 წელს, კეისარ იუსტინე მეორის დროს, კიდევ ერთხელ შეიმუშავეს უნიის პროექტი, მაგრამ შერიგების მცდელობა კვლავ უნაყოფო გამოდგა, უფრო მეტიც, უნიის პროექტი მონოფიზმა ბერებმა თავზე გადაახიეს კეისრის მოციქულს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მაშინ მთავრობამ მონოფიზიტთა წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მიმართა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მონოფიზიტი ბერები „მსგავსად ნადირისა, მთელ ღამეებს ატარებდნენ ცის ქვეშ, დაეხეტებოდნენ მთასა და ბარში, სუსხიან ზამთარში ღამეებს ათევდნენ თოვლსა და ყინულზე, ქვებზე მჯდომარენი, სიცივისა და ძლიერი ქარისაგან შეწუხებულნი, მრავალი იძულებული იყო მსგავსად ნადირისა, შეფარებოდა გამოქვაბულებსა და მიუვალ ადგილებს ევფრატის გაღმა, ზოგი კიდევ გარბოდა თოვლით დაფარულ მთებში და ფარეხებში იმალებოდა“. ასე გადმოგვცემენ ჯვარცმული ძე ღვთისას ერთბუნებიანობისთვის თავგამოდებულთა ტანჯვა-წამებას. რწმენა, რაღა თქმა უნდა, პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ, როგორც ჩანს, დაპირისპირებულ მხარეებს იმ დროს ცოტა რამ შემორჩათ ღვთაებრივი და ვერც იესოს კვალზე დგომით დაიტრაბახებდნენ. ისინი ბრმა ფანატიზმს, სიძულვილსა და შურისგების გრძნობას შეუპყრია, სამოქალაქო რევოლუციონერთა თავგანწირვით შებმიან ერთმანეთს და ყოვლად არაქრისტიანულ ცოდვის ქაოსში ჩაცვენილან.

საერთოდ, ჯვარზე ვნებული იესოს სახელსა და სარწმუნოების განმტკიცებას მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მოკიდებული 30 წლის მაისიდან, როცა მოძღვარს სხეულში ბოლო სამსჭვალი ჩააჭედეს, ვიდრე ახალ საუკუნეებამდე. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ დავას იესოს ღვთაებრივი წარმოშობა კი არ იწვევდა, არამედ ის გაუგებრობანი, რაც მის შემდგომ დარჩა. მოძღვრის ქარაგმული სიტყვების გაგება და, მით უფრო, განმარტება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა არ იყოს, მის მოწაფეებსაც უჭირდათ, ხოლო შემდგომ იესოსგან მოციქულად წოდებულნი თავგანწირვით ცდილობდნენ ქვეყნიერებისთვის მოეფინათ განკაცებული ძე ღვთისას სიტყვა და სახელი, მაგრამ, როგორც ჩანს, ქადაგებაში უფრო მეტი იყო პათოსი, ვიდრე დამაჯერებელი არგუმენტაცია ან მოძღვრის ღრმაშინაარსიანი ფრაზების სრულყოფილი განმარტება, რის გამოც 9 მათგანი საშინელი სასჯელით დასაჯეს, როგორც გამოუსწორებელი დამნაშავე. მთელი ეს ტრაგედიები, რაც ახალი სარწმუნოების დამკვიდრებას სდევდა თან, მარტოოდენ იესოს მოციქულთა და ქრისტიან მისიონერთა თეორიული მოუმზადებლობის ბრალი როდი იყო, ამ ნაკლს რწმენა და მოძღვრისადმი უსაზღვრო თავდადება ანაზღაურებდა. უფრო მნიშვნელოვანია, ალბათ, ის, რომ კაცობრიობა ჯერ კიდევ არ იყო მზად ჯვარცმული ღმერთის აღიარებისთვის. ბერძნულ-ლათინური სამყაროდან მთელ ცივილიზებულ ქვეყნიერებაზე განფენილი მრისხანე ზევსის პანთეონის შემდეგ ძნელი იყო იმ კაცის რწმენაზე შედგომა, ვინც ბარაბა ავაზაკთან ერთად იყო დამწყვდეული საპყრობილეში, ხოლო როცა საქმე არჩევანზე მიდგა, ავაზაკი გაუშვეს, მესიას კი ჯვარი აჰკიდეს და გოლგოთის გზას გაუყენეს. ძალისა და ი... ლის კულტით გამსჭვალულ იმ ეპოქაში ადამიანთა ცნობიერება ვერაფრით ჩასწვდა, ძლევამოსილი უფლის ძემ რატომ მისცა თავი ნებაყოფლობით სატანჯველს ან როგორ შეიძლებოდა ღმერთი ჩვეულებრივი მოკვდავივით დაესაჯათ. ამ ერთი შეხედვით მარტივ, მაგრამ ღრმა ფილოსოფიურ მოვლენას მეტისმეტად დამაჯერებელი ახსნა-განმარტება სჭირდებოდა, ახსნა-განმარტება კი ყოველთვის ერთნაირი არ იყო და აი, მაშინაც, V საუკუნის მიწურულს, ქრისტეს ბუნების განმმარტებელნი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჯახებოდნენ ერთმანეთს. ორიდან ერთი დოგმატი უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტი: ან ქრისტეში ღვთაებრივმა ბუნებამ შთანთქა კაცებრივი და იგი ოდენ ღვთის სახით მოევლინა კაცთა მოდგმას, ანდა მან თანაბრად შეინარჩუნა ორივე ბუნება, - ღმერთიც იყო და კაციც.

... და მთელი ხმელათშუა ზღვის სამყაროში აწყდებოდნენ ერთმანეთს ფანატიკოსთა ბრბოები, ხოცავდნენ, ძარცვავდნენ, დევნიდნენ, ტანჯავდნენ და იტანჯებოდნენ. ვერც მეხუთე საუკუნემ, ვერც შემდგომმა ასწლეულებმა ვერა და ვერ გადაწყვიტა ქრისტეს ბუნების საკითხი და ამ დაუდგენელმა ჭეშმარიტებამ თავისი ფრიად სახიფათო კვალი დააჩნია ქართულ სამყაროსაც. ეს ხიფათი სომხეთის მიერ მონოფიზიტობის აღიარებიდან და დოგმატის საკითხებში უთანხმოებიდან მოდიოდა. განხეთქილება ქართულ, სომხურ და ალბანურ ეკლესიებს შორის თავიდან არცთუ მწვავე იყო, უფრო მეტიც, ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეში, 330-იანი წლებიდან მოყოლებული, ამ ეკლესიათა შორის სრული თანხმობა და სიყვარული სუფევდა, რადგან ქრისტეს ბუნების კვლევა ჯერ ეგოდენ გამწვავებული არ იყო. იგი აქტუალური გახდა ქალკედონის კრების შემდეგ. დვინის საეკლესიო კრებაზე 506 წელს სამივე ეკლესიამ მხარი დაუჭირა ჰენოტიკონით გამოცხადებულ უნიას, მაგრამ დვინის მეორე საეკლესიო კრებაზე, 554 წელს, სპარსეთის ერთგულებაზე თავგამოდებულმა სომხეთმა საქვეყნოდ აღიარა მონოფიზიტობა და ძალისმიერი მეთოდებით დაიწყო შეტევა დიოფიზიტობის მიმდევარ ქართულ და ალბანურ ეკლესიებზე, შესაბამისად, მათ კულტურასა და სახელმწიფოებრიობაზე, რადგან ამ დროისთვის სომხური ეკლესიის მოღვაწეობამ აშკარად ნაციონალისტურ-ასიმილატორული ხასიათი შეიძინა. ეკლესიამ სომხეთში მეფობის გაუქმების შემდეგ იტვირთა საერო ხელისუფლების ფუნქცია და დამპყრობელ სპარსთა დახმარებით სახელმწიფო დიპლომატიისთვისაც კი საჩოთირო ხერხებით შეუდგა თავისი პრიორიტეტის განმტკიცებას ამიერკავკასიაში. ეს ბრძოლა დამთავრდა ალბანთა დიდი ნაწილის ასიმილაციითა და ალბანეთის, როგორც სახელმწიფოს გაქრობით. საქართველომ და მისმა ეკლესიამ, რომელიც უმეფობის ხანაში ასევე ჭარბად ითავსებდა საერო ხელისუფლების ფუნქციას, შეძლო წინ აღდგომოდა მეზობელი ქვეყნის რელიგიურ-ნაციონალურ აგრესიას და თვითმყოფადობა შეინარჩუნა.

...კვლავ ამოუცნობი დარჩა ჭეშმარიტება თუ რამდენ ბუნებას ითავსებდა უფალი ჩვენი იესო, ამის შესახებ მას არ დაუტოვებია რაიმე განმარტება თავისი მოწაფეებისთვისაც კი. ამ განუმარტავი ჭეშმარიტების ძიება კაცთა მოდგმის უმეცარი გონების წილად დარჩა და მეამბოხე ერესიარქთა გარშემო შემოკრებილი მორწმუნენი ქვეყნიერების ოთხივ კუთხეში სისხლით, ძალადობით, შეხლა-შემოხლით ცდილობდნენ თავისთვის მისაღები დოგმატის აღიარებას. ქართველები მაცხოვარში ორ ბუნებას - ღვთაებრივსა და კაცებრივს აღიარებდნენ და, საკუთარი ეროვნული ბუნებიდან გამომდინარე, ვინძლო კაცებრივი ბუნება უფრო ხიბლავდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში

ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელი ეპოქიდან მოყოლებული ამიერკავკასიაში სამი ძირითადი სახელმწიფო არსებობდა: ქართველთა ქვეყანა, რომელიც ლეგენდარული ფარნავაზის დროიდან მეტ-ნაკლები სიმტკიცით აერთიანებდა დასავლეთსა და აღმოსავლეთით მცხოვრებ ყველა ქართულ ტომს; სომხეთი, რომელიც მცირე აზიის უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული და თითქმის მთელი სამხრეთი საზღვრის გასწვრივ ემეზობლებოდა საქართველოს; ალბანეთი - მოიცავდა ტერიტორიას ჰერეთიდან და ვანის ტბიდან კასპიის ზღვამდე, ხოლო ჩრდილოეთით კავკასიონის მთები საზღვრავდა. მსოფლიოს ბედს მაშინ ერთი დიდი დამპყრობელი - რომის იმპერია განაგებდა. მართალია, იგი დაცემის გზაზე იდგა, იმპერიის უსაზღვრო სივრცეში დაუსჯელად იჭრებოდნენ ათასი ჯურის ბარბაროსი ტომები, ოდესღაც დიდი რომაელებისაგან დათრგუნვილი გუთები, გალები, ჰუნები, მოგვიანებით ყივჩაღ-პაჭანიგთა თურქული მოდგმის ხალხები და სხვანი, მაგრამ მომაკვდავი ურჩხული დროდადრო ძალას იკრებდა, იმპერიის გარყვნილ სამეფო კარზე გამოჩნდებოდა ვინმე ძლიერი იმპერატორი და არა მარტო იმპერიის საზღვრებიდან გარეკავდა ბარბაროსებს, არამედ იმ გზების ომით გავლასაც ცდილობდა, ოდესმე რომ გაევლოთ ლუკულუსსა და იულიუს კეისარს, პომპეუსსა და სხვა დიდ რომაელებს. შორეული რომი კვლავ ცდილობდა აღედგინა იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრები, რომელშიც თავის დროზე მეტ-ნაკლებად მოქცეული იყო ამიერკავკასიის სამივე ქვეყანა.

აღმოსავლეთისაკენ სწრაფვა კიდევ უფრო განაპირობა იმ პერიოდში ბერძნული ორიენტაციის გაძლიერებამ და სატახტო ქალაქის აღმოსავლეთში გადმოტანამ. 330 წელს ბერძნული წარმოშობის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (305-337) იმპერიის სატახტო ქალაქად გამოაცხადა ბოსფორის ყელზე მდებარე მანამდე უმნიშვნელო ქალაქი ბიზანტიონი, რომელსაც შემდგომში კონსტანტინოპოლი ეწოდა.

378 წელს, 9 აგვისტოს, ადრიანოპოლთან გაიმართა საბედისწერო ბრძოლა იმპერიის ჯარებსა და აჯანყებულ ვესტგუთებს შორის. რომაელთა ჯარებს სარდლობდა იმპერატორი ვალენტი, რომაელთა არმიის ერთ-ერთი სარდალი ყოფილა აგრეთვე ბაკურ იბერიელი. აჯანყებულმა ქვეშევრდომებმა სასტიკი მარცხი აგემეს რომაელთა არმიას, ბრძოლაში დაიღუპა თვით იმპერატორი. ბრძოლამ საბოლოო ბიძგი მისცა იმპერიის ორ - დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად გათიშვას, თუმცა იგი ჯერ კიდევ დიოკლიტიანემ დაჰყო ოთხ ნაწილად, რათა მართვა გაეადვილებინა, მაგრამ ეს მაშინ მხოლოდ ადმინისტრაციული დაყოფა იყო. ახლა კი რომის გარშემო დარჩა ლათინური დასავლეთი, კონსტანტინეპოლის გარშემო შემოიკრიბა ბერძნული აღმოსავლეთი და გაჩნდა ბიზანტიის იმპერია.

სანამ რომის ღვთაებრივი იმპერია დაღუპვისკენ მიექანებოდა, აზიაში ახალი დამპყრობელის აჩრდილი წამოიმართა. კიროსისა და დარიოსის სპარსეთის ნანგრევებზე, ოდესღაც ბერძენ-მაკედონელებმა რომ გაანადგურეს, I-II საუკუნეებში აღმოცენდა ძლიერი სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს სათავეში 224 წელს მოექცა სასანიდთა დინასტიის პირველი მეფე არდაშირი. მან მიზნად დაისახა აზიური პროვინციებიდან რომაელთა განდევნა და წარმატებებსაც მიაღწია: ხელთ იგდო მიდია, ხორასანი, ატროპატენა, სომხეთი და მთელი მესოპოტამია. სპარსეთმა ახალი შეტევები განავითარა რომის იმპერიაზე შაბურ I-ის დროს (241-272). 260 წელს შაბურმა თვით რომის იმპერატორი ვალერიანეც კი იგდო ტყვედ. სპარსელებმა აიღეს ანტიოქია, ტიროსი, კესარია; ამ ბრძოლებში სპარსელთა მხარეზე დამდგარა ქართველთა მეფე ამაზასპი, რომელმაც „შეიტყუარა სპარსნი..." მეფე ამაზასპი რომაელებთან ბრძოლაში დაღუპულა კიდეც.

მესამე საუკუნის 80-იან წლებში რომაელებმა შეძლეს სპარსელთა შემოტევების შეჩერება, უკან დაიბრუნეს დაპყრობილი ტერიტორიების ერთი ნაწილი, მათ შორის სომხეთი და 283 წლის ზავით დროებითი მშვიდობა ჩამოვარდა, რომელიც მყიფე გამოდგა. საბრძოლო მოქმედებები 90-იან წლებში განახლდა, რასაც მოჰყვა 298 წლის იზიბინის 40 წლიანი ზავი. ორმა დიდმა დამპყრობელმა გაინაწილა ამიერკავკასია. სომხეთი და საქართველო რომის გავლენის სფეროდ გამოცხადდა და სტატუსკვო შენარჩუნებული იქნა 338 წლამდე, როცა შაბურ II კვლავ დაიწყო რომის აღმოსავლეთის პროვინციებზე შეტევა.

სწორედ იმ წელს, დაბა ბოდში მიიცვალა წმინდა ნინო.

ორ მეტოქე იმპერიას შორის 40-წლიანი მშვიდობა თითქოს იმისთვის იქნა გამოყენებული, რომ მთელი აღმოსავლეთი ქრისტეს რჯულზე მოქცეულიყო. 325 წელს იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობა რომის იმპერიის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოაცხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. 326-336 წლებში ქრისტიანობა მიიღეს სომხებმა, ქართველებმა და ალბანელებმა. ქრისტიანობა შეიჭრა თვით სპარსეთის იმპერიაში, მიუხედავად იმისა, რომ იქ ცეცხლთაყვანისმცემელთა შეუვალი სარწმუნოება იყო გაბატონებული.

აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს მოთავედ იქცა ბერძნული ეკლესია, და ეს ფაქტი განამტკიცებდა არა მარტო ბიზანტიის იმპერიის რელიგიურ პოზიციებს აღმოსავლეთში, არამედ მის პოლიტიკურ გავლენასაც. ამიერკავკასიის ხალხებს ჯერ კიდევ არ გააჩნდათ საკუთარი დამწერლობა, მანამდეც ბერძნული დამწერლობით სარგებლობდნენ, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ კი ბერძნული იქცა საეკლესიო, ღვთისმსახურების ენად. ეს ყოველივე ამიერკავკასიისა და, საერთოდ, ქრისტეს რჯულზე მოქცეული აზიის კონტინენტზე მოსახლე ხალხების დასავლურ, ბერძნულ-რომაულ ორიენტაციას მოასწავებდა, რასაც მშვიდად ვერ უყურებდა პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილი სპარსეთის სამეფო კარი. 338 წელს შაბურ II დაიწყო შეტევა რომაელთა სამფლობელოებზე. ომმა 25 წელს გასტანა და დასრულდა სპარსელ-რომაელთა 363 წლის ზავით, რომლის თანახმად სპარსეთს გადაეცა მთელი სომხეთი. რომაელებმა შეასრულეს პირობა, რომ არ ჩაერეოდნენ სომხეთის საქმეებში და ხელიც არ გაუნძრევიათ, როცა 364 წელს სპარსელები სასტიკი რბევით შეიჭრნენ სომხეთში. სამაგიეროდ, ქართველებმა გამოიდეს თავი, ჯერ სომეხთა დევნილი მეფე არშაკ II შეიფარეს, შემდეგ კი ჯარიც მიაშველეს და სპარსელებს ბრძოლა გაუმართეს. განაწყენებულმა შაბურ II 368 წელს ქართლს შემოუტია, მეფე საურმაგი ტახტიდან ჩამოაგდო, მის ნაცვლად სპარსელებმა ვარაზ-ბაკური გაამეფეს ბოლოს კი საურმაგმა და ვარაზ-ბაკურმა ქართლის სამეფო ორად გაიყვეს და მტკვრის გაღმა-გამოღმა მხარეს დასხდნენ.

ამჯერად ბიზანტიელებმა ზავის პირობები დაარღვიეს, წინ აღუდგნენ სპარსთა მძლავრობას სომხეთსა და საქართველოში, რამაც ეს ქვეყნები პერმანენტული ომის ასპარეზად აქცია.

377 წელს კი უფრო ავბედითი მოვლენები მოხდა. რომის იმპერიის ევროპულ ნაწილში აჯანყდნენ ვესტგუთები და არა მარტო მარადიულ ქალაქს შეუქმნეს საფრთხე, არამედ იმპერიის ბერძნულ მხარეებსაც დაემუქრნენ. იმპერატორმა ველენტმა, რომელსაც ბარბაროსებთან ერთი წლის შემდეგ საბედისწერო შეხვედრა ელოდა ადრიანოპოლის ველზე, სასწრაფოდ გაიყვანა ჯარები აზიიდან და მთელი თავისი არმიით აჯანყებულებთან საომრად გაემართა.

ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს - სომხეთს, საქართველოს და ალბანეთს უმალ სპარსეთი დაეპატრონა. სპარსელები პირდაპირ ცეცხლითა და მახვილით არ მოსულან. მათ ქართლს და სომხეთს მხოლოდ ხარკი დაუწესეს და მეფობაც შეუნარჩუნეს, სამაგიეროდ, დაიწყეს ქრისტიანობის დევნა, რადგან ეს სარწმუნოება ამიერკავკასიის ხალხებს რა მარტო სულიერად, არამედ პოლიტიკურადაც აკავშირებდა სპარსეთის დაუძინებელ მტერთან - რომის იმპერიასთან. სპარსთა შემოსევისას ქართლის მეფე ვარაზ-ბაქარი იძულებული გახდა, თავის ქვეშევრდომთათვის ებრძანებინა „ჯვართა დამალვა“, რათა კიდევ უფრო არ გაემძვინვარებინა დამპყრობლები, თუმცა ქართლის მეფე მოერიდა ორიენტაციის ისეთ რადიკალურ შეცვლას, როგორც მოიმოქმედა სომხეთის პოლიტიკურმა და სასულიერო ხელმძღვანელობამ მეფე პაპის დროს. მათ, როგორც კი იგრძნეს, ამიერიდან რომაელები ჩვენთვის დიდი ხნით ვეღარ მოიცლიანო, უმალ გაწყვიტეს კავშირი ბერძნულ ეკლესიასთან, რაც ერთობ დიდი საჩუქარი იყო სპარსეთისთვის და, უნდა ითქვას, რომ ეს საქციელი ღირსეულად დაუფასეს: სომხურ ეკლესიას განსაკუთრებული პრივილეგიები მიანიჭეს და, ფაქტობრივად, ამიერკავკასიის ქვეყნების ზედამხედველად აქციეს, რაც თავისი ინტერესებისთვის კარგად გამოიყენეს სომხურმა პოლიტიკურ-რელიგიურმა წრეებმა.

მანამდე კი რომის იმპერიამ კიდევ ერთხელ მოიხედა აღმოსავლეთით და სცადა მოეწესრიგებინა ვესტგუთების შემოსევის გამო ომის ზღვარზე მიტოვებული საქმეები. 387 წლის სპარსელ-რომაელთა მორიგი ზავით სომხეთი ორ ნაწილად გაიყო, ბიზანტიას ერგო დასავლეთი ნაწილი, სპარსეთს აღმოსავლეთი. იგივე პოლიტიკა განხორციელდა საქართველოს მიმართაც.

428 წელს სპარსელებმა სომხეთში მეფობა გააუქმეს, 463 წელს ასევე მოიქცნენ ალბანეთში. ქართლის მეფენი ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ტახტს, მაგრამ თანდათან კარგავდნენ დამოუკიდებლობას. მიუხედავად ამისა, ქართველ მეფეებს, რომელნიც ჩამომავლობით სპარსელ ხოსრომიანთა დინასტიას ეკუთვნოდნენ, არ შეუწყვეტიათ ბრძოლა სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ; მათ გააფთრებით ებრძოდნენ, და ზოგჯერ წარმატებებთაც, მეფეები ფარსმანი, მირდატი, არჩილი... მაგრამ მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო წარმომავლობას ობიექტური ვითარება განაპირობებდა. სწორედ იმ ეპოქაში შევიდა ძალაში ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესი, რამაც „ახალი ადამიანების", ანუ ფეოდალური სახლების მეთაურთა სახით ახალი დასაყრდენი გაუჩინა და პოლიტიკური ლავირების საშუალება მისცა სპარსელებს.

450 წელს სპარსთა რელიგიურმა და პოლიტიკურმა აგრესიამ სომხეთსა და ალბანეთში გამოიწვია ანტიირანული აჯანყება. იგი მარცხით დამთავრდა, მაგრამ დამპყრობლები იძულებით დათმობებზე წავიდნენ, ხელი აიღეს ამიერკავკასიის ხალხთა ასიმილაციაზე და მათი ცეცხლთაყვანისმცემლობაზე მოქცევის მცდელობაც შეანელეს.

ამ პერიოდში სომხურმა ეკლესიამ კიდევ ერთხელ ისარგებლა მომენტით და სპარსეთისადმი ერთგულების გამოცხადებით ქართულ-ალბანურ ეკლესიებზე უპირატესი უფლებრივი მდგომარეობა მოიპოვა.

წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა დიდი ვახტანგ გორგასალი, სახელმწიფოს სამხედრო და პოლიტიკური გაძლიერებისაკენ მიმართულ სხვა ღონისძიებებთან ერთად მეფემ დიდი საეკლესიო რეფორმაც გაატარა. V საუკუნის 60-იან წლებში შემოიღო კათალიკოსობა, 482 წელს დაიწყო ომი სპარსთა წინააღმდეგ, 484 წელს მოაკვლევინა შუშანიკის ჯალათი, სპარსოფილი ფეოდალი ვარსქენ პერეთის პიტიახში.

სპარსეთის მეფე პეროზი, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდა საქართველოს გაძლიერებას და ვახტანგის მოქმედებას. 502 წელს (სხვა ვერსიებით 503, 506 წ.) სამგორის ველზე მოხდა გადამწყვეტი და საბედისწერო ბრძოლა. ვახტანგ მეფე მოღალატემ სასიკვდილოდ დაჭრა და ქართველთა ლაშქარიც, სომეხ მოკავშირეთა ღალატის წყალობით, სასტიკად დამარცხდა. ამ მოსალოდნელი ღალატის შესახებ თავად სომეხთა მარზპანმა ვაჰან მამიკონიანმა თურმე წინასწარ იცოდა, რასაც სომეხი ისტორიკოსი ვაჰან ფარპეცი გვაუწყებს. ღალატის მიზეზად ვაჰან მამიკონიანი თურმე სომეხთა შორის ერთობის არარსებობას თვლიდა. მართლაც, ბრძოლის დაწყებისთანავე სომეხთა ლაშქარმა მიატოვა ბრძოლის ველი, არია საომარი გეგმა და ქართველი მოკავშირეები სასტიკი დამარცხებისთვის გაწირა. მალე, 532 წელს, გამარჯვებულმა სპარსეთმა საქართველოში მეფობა გააუქმა და ჩვენი სამშობლო დიდი ხნით მოექცა ჯერ სპარს, ხოლო შემდეგ არაბ დამპყრობელთა კლანჭებში. ქართლის ცაზე საუკუნოვანი წყვდიადი ჩამოწვა. ქვეყანა, სადაც ჯერ კიდევ III საუკუნეში ქართულის გარდა სხვა ენა აღარ იხმარებოდა, VI-VII საუკუნეთა განმავლობაში ეროვნული გადაგვარების და ასიმილაციის წინაშე აღმოჩნდა. ამ საფრთხიდან თავის დაღწევა ქართველი ერის კიდევ ერთი ისტორიული გამარჯვება და ეროვნული იდეის ზეიმი იყო.

## სომეხთა რელიგიურ-ნაციონალური აგრესია *

თანამედროვე მკითხველს, თუ ის საფუძვლიანად არ არის ჩახედული რელიგიურ მოძრაობათა ისტორიაში, გაუჭირდება იმის წარმოდგენა, რომ ქართველი და სომეხი ხალხი ოდესღაც ერთნაირ ქრისტოლოგიურ დოგმატს მისდევდა, მათ შორის სრული თანხმობა სუფევდა არა მარტო რელიგიურ, არამედ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ურთიერთობებში და ეს ურთიერთობები გაცილებით გულთბილი, კეთილმოსურნე და უპრეტენზიო იყო, ვიდრე შემდგომ საუკუნეებში.

იმ შორეულ ეპოქაში სომეხ-ქართველი მორწმუნენი დაუბრკოლებლად მოძრაობდნენ ერთი ქვეყნიდან მეორეში ეკლესიათა მოსალოცავად, სომეხი მრევლი თურმე დიდ პატივს სცემდა მცხეთის ჯვარს და ყოველწლიურად აუარებელი მლოცველი მოედინებოდა მეზობელი ქვეყნიდან; ასევე, ქართველები მიემგზავრებოდნენ სომხეთს და იქაურ წმინდა ადგილებში ლოცულობდნენ; სასაზღვრო რაიონებში (მაგალითად, ცურტავში), სადაც შერეული ქართულ-სომხური მოსახლეობა იყო, წირვა-ლოცვა ორივე ენაზე სრულდებოდა თანაბარი უფლებით და ღვთისმსახურებადაც ორივე ენის კარგად მცოდნე პირებს ნიშნავდნენ; იშვიათი არ იყო შემთხვევა, როცა სომხეთში მსახურობდნენ ქართველი ეპისკოპოსები (მაგალითად კირიონი, შემდგომ ქართლის დიდი კათალიკოსი) და პირიქით.

შემდეგ კი მოვლენები საბედისწეროდ განვითარდა და ამ ორ ხალხს შორის საუკუნოვანი უთანხმოება ჩამოვარდა, თუმცა ორივე ერის ღირსეული შვილები რელიგიურ დოგმატში უთანხმოებაზე მაღლა ერთობასა და კეთილმეზობლობას აყენებდნენ, მაგრამ ნაციონალისტური ძალები, რომელთაც იმ შორეულ დროში რელიგიური უთანხმოება ნაციონალურ ინტერე-

- - - -

* ამ თავში ძირითადად ვსარგებლობ მთავარეპისკოპოსის ანანია ჯაფარიძის ნაშრომით „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია". ტ. I-II, თბილისი „მერანი" 1996-98.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებს დაუკავშირეს და გაფთრებით ცდილობდნენ ქართული მხარეების არმენიზაციას, დღემდე არ დამცხრალან.

ქართველთა და სომეხთა შორის განხეთქილება იმ გლობალური რელიგიური შეხლა-შემოხლის ნაწილი იყო, რაც თან ახლდა ახალი ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებას და ეს შეხლა-შემოხლა რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა. რაც მთავარია, რელიგიური და დოგმატური უთანხმოებანი არცთუ იშვიათად ხელმწიფეთა და სახელმწიფოთა ინტერესებთან იყო გადაჯაჭვული და საერო ხელისუფალთა აქტიური ჩარევით მიმდინარეობდა.

ეს განხეთქილება სპარსეთის სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა, რასაც ზედ დაერთო ცალკეულ სომეხ სასულიერო მოღვაწეთა უკიდურესი ნაციონალიზმი, დოგმატური უთანხმოებისთვის ნაციონალური ხასიათის მინიჭება და დაუფარავი დიდმპყრობელური მისწრაფებანი. სპარსეთმა კარგად გამოიყენა დიოფიზიტურ საქართველოსა და მონოფიზიტურ სომხეთს შორის საეკლესიო უთანხმოება და ეს უკანასკნელი თავის იარაღად აქცია.

სომხეთის სახელმწიფოს დაქუცმაცებამ, მისი ერთი ნაწილის სპარსეთის, ხოლო დასავლეთ მხარეების ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ მოქცევამ, მეფობის გაუქმებამ და ეროვნული გადაგვარების საშიშროებამ წინ წამოსწია სომხური ეკლესიისა და სამღვდელოების როლი. ეს როლი ამიერიდან მრავალი საუკუნის განმავლობაში სცილდებოდა ჩვეულებრივ სასულიერო მოღვაწეობას და ეროვნული ლიდერის ფუნქციას ითავსებდა სომხურ მწერლობასა და ისტორიოგრაფიასთან ერთად. ამის გამო, სომხური ეკლესიის მოღვაწეობამ მიიღო ნაციონალური ხასიათი და ამ გზაზე გამოყენებული იქნა ყოვლად არასაეკლესიო ხერხები და მეთოდები მეზობელი ქვეყნების ეკლესიისა და ეროვნული თვითმყოფადობის წინააღმდეგ: სპარს დიდმოხელეთა მოქრთამვა-მოსყიდვა, ურჩ საეკლესიო მოღვაწეთა ჯალათური დასჯა, მეზობელ სახელმწიფოთა მოსახლეობის ძალადობრივი არმენიზაცია - „გასომხება“, საკუთარი რელიგიური მრწამსისა და სომხური ღვთისმსახურების თავსმოხვევა და სხვა. ყოველივე ამას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მართალია, სომხურ ეკლესიას მოძმე ეკლესიათა შორის გარკვეულად შეელახა ავტორიტეტი, მაგრამ თვით სომეხი ერისთვის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი გამოდგა და სახელმწიფოებრიობის არსებობის ვითარებაში ქვეყანამ შეძლო გადარჩენა, შექმნა უდიდესი კულტურა და ლიტერატურა. ცხადია, სომხური ეკლესიის აგრესიულ-ნაციონალისტური სულისკვეთება მეზობელ ხალხებში ადეკვატურ რეაქციას იწვევდა. როგორც კი ამიერკავკასიური პროვინციებიდან განდევნა ბიზანტია და ხელთ იგდო ბატონობა, სპარსეთი შეუდგა ქრისტიანთა სასტიკ დევნას, თუმცა ამ სარწმუნოებას სპარსეთშიც ჰქონდა ფეხი მოკიდებული, მაგრამ იქ ძირითადად ნესტორიანელობა - მონოფიზიტობა იყო გავრცელებული, რამაც განაპირობა სპარსეთისგან მონოფიზიტური სომხური ეკლესიისადმი მხარდაჭერა. სპარსეთი შეეცადა, მეფობათა გაუქმებასთან ერთად ხელთ ეგდო ეკლესიაზე კონტროლიც ამიერკავკასიის სამივე ქვეყანაში, თავად ნიშნავდა ეკლესიათა მეთაურებს, უფრო მეტიც, V საუკუნის 30-იან წლებში ქართველ-ალბანელთა ეკლესიას ერთი მეთაური, ვინმე გლონოქორი ჰყოლია, ხოლო ქართლის მთავარეპისკოპოსად მცხეთაში მჯდარა სპარსოფილი და, ალბათ, ეროვნებით სპარსი მობიდანი, რომელიც ქრისტიანობას მისდევდა, მაგრამ რწმენით მაზდეანი იყო.

სომხეთის ეკლესიის დადგომა სპარსულ ორიენტაციაზე უცებ არ მომხდარა. კათალიკოს საჰაკის დროს (397-448) ეს ქვეყანა გაორებულ რელიგიურ პოზიციაზე იდგა. სიტყვით აღიარებდა სპარსეთისადმი ერთგულებას, სინამდვილეში კი ისევ „ბერძენთა რჯული“ ეჭირა. სომეხთა კათალიკოსის ამ პოზიციას წერტილი დაუსვა ირანოფილთა პუტჩმა, რომელთაც სპარსთა დახმარებით დაამხეს სომხეთის ელინოფილი მეფე არტაშესი და კათალიკოსი საჰაკი, გარკვეული დროის შემდეგ საჰაკი კვლავ დაუბრუნდა საკათალიკოსო ტახტს, მაგრამ სასტიკად იქნა გაფრთხილებული სპარსეთის მეფისაგან, რომ თუ თავის პრობიზანტიურ პოლიტიკას არ შეწყვეტდა, სომხეთის განადგურების მიზეზი შეიქმნებოდა. მიუხედავად ამ მრისხანე გაფრთხილებისა, საჰაკი ჩუმად განაგრძობდა ბიზანტიურ ეკლესიასთან ურთიერთობას. 452 წელს საქართველოს ეკლესიის მეთაურიც ასევე ელინოფილი მიქაელი გახდა, თუმცა მას სასტიკი უთანხმოება ჰქონდა ვახტანგ გორგასალთან, მაგრამ ეს სარწმუნოებრივ ორიენტაციასთან არ იყო დაკავშირებული.

სომხეთის ეკლესიაში პროსპარსული ორიენტაცია თვალსაჩინოდ გამოიკვეთა 451 წლის ანტისპარსული აჯანყების შემდეგ.

სომხეთის პატრიოტულმა ძალებმა უფრო ადრე გმირული ნაბიჯი გადადგეს, როცა სომხური ანბანი შემოიღეს და სასწრაფოდ მიჰყვეს ხელი საეკლესიო ლიტერატურის თარგმნას სომხურ ენაზე; წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საეკლესიო ენა ან ასურული უნდა გამხდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიყო, ან სპარსული. სომეხთა ამ ეროვნული ღონისძიების კვალდაკვალ შეიქმნა ქართული დამწერლობაც, რაც იმავე მიზანს ემსახურებოდა. ეს იყო ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის ერთი უმთავრესი გზა და ამ ამოცანას ერის დიდმა შვილებმა უძნელეს პირობებში გაართვეს თავი. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ამ დიდი ეროვნული ღონისძიების არც მოთავეთა და არც პრაქტიკულად განმახორციელებელთა სახელები. ცნობიერებადამახინჯებული ადამიანები დღემდე უწევენ ექსპლუატაციას ყოვლად უსაფუძვლო ლეგენდას მაშტოცის მიერ ქართულ-ალბანური ანბანის შექმნის შესახებ. ამგვარი ვარაუდის დაშვებაც კი საფუძველშივე ეწინააღმდეგება იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას. სომხეთი და იქაური მოღვაწე მაშტოცი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა დაინტერესებული ყოფილიყო ქართულ-ალბანური დამწერლობის შექმნით, რადგან სომხეთი დაუცხრომლად ცდილობდა ამ ქვეყნებში ენის, კულტურის, რელიგიური დოგმატის ლიკვიდირებას და მათ ასიმილაციას, დამწერლობის შექმნა კი ამ განზრახვაზე ხელის საბოლოო აღებას ნიშნავდა, რადგან საქართველოს და ალბანეთს ხელთ ეროვნული თვითშემეცნების უმძლავრესი იარაღი ეძლეოდათ. მეორეც, სპარსეთის გავლენის ქვეშ მყოფი სომხეთი ვერაფრით ვერ გაბედავდა ქართლსა და ალბანეთში ესოდენ მნიშვნელოვანი ეროვნულ-კულტურული ღონისძიება განეხორციელებინა - ეს არსებითად ეწინააღმდეგებოდა სპარსეთის ინტერესებს და ყველა, ვინც შეეცდებოდა ქართველთა და ალბანთა, გნებავთ სომეხთა ეროვნული ცნობიერების გამოცოცხლებას, სასტიკად დაისჯებოდა. ამავე მიზეზით, ეროვნული დამწერლობის შექმნა სარისკო საქმე იყო თვით სომხეთშიც. ამ გმირულ ამოცანას სამივე ერის დიდმა პატრიოტებმა, ადგილობრივმა ეროვნულმა ძალებმა გაართვეს თავი.

450 წლის სომეხ-ალბანთა აჯანყებით სპარსეთით დარწმუნდა, რომ ამიერკავკასიის ქვეყნების მაზდეანობაზე მოქცევის მცდელობა და, შესაბამისად, მათი ირანიზაცია უსარგებლო საქმე იყო. მაშინ გადაწყვიტა, იმისთვის მაინც მიეღწია, რომ ამ ქვეყნებში ქრისტიანული დოგმატის ისეთი მიმდევრობისთვის დაეჭირა მხარი, რომელიც მათ ჩამოაშორებდა ბიზანტიის იმპერიას და პროსპარსულ ორიენტაციას განამტკიცებდა; ასეთი მონოფიზიტობა იყო. სომხური სამღვდელო და პოლიტიკური წრეები, ცდილობდნენ რა ახალი რბევისაგან გადაერჩინათ სამშობლო, უყოყმანოდ დაადგნენ სპარსულ ორიენტაციას და ბრძოლა გამოუცხადეს ბიზანტიურ დიოფიზიტობას. მათი ეს მოძრაობა კიდევ უფრო მძლავრი და აგრესიული გახდა მას შემდეგ, რაც სპარსელებმა ქართულ და ალბანურ ეკლესიებს უბრძანეს სომხური ეკლესიისთვის დამორჩილება. მაგალითად, 614 წელს სპარსეთის მეფემ გამოსცა ბრძანება, რომლის „ძალითაც ყველა ქრისტიანი არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ სპარსეთის მთელ იმპერიაში უნდა დამორჩილებოდა სომხურ ეკლესიას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გაასახლებდნენ“ (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე - „საქართველოს სამოციქულო ეკლესია“ ტ. II გვ. 30). ამ დროს სპარსთაგან აღიარებულ დიოფიზიტობას თურმე თვით საქართველოს საერო ხელისუფალი, ერთმთავარი სტეფანოზიც უჭერდა მხარს არა მარტო პოლიტიკური მოსაზრებით, არამედ რწმენითაც. მართალია, სომხური ეკლესიის დიქტატი ქართულ ეკლესიაზე წყვეტილად ხორციელდებოდა და ვახტანგ გორგასალის დროს ქართული ეკლესია სრულიად დამოუკიდებელი იყო სპარსულ-სომხური საეკლესიო გავლენისაგან, მაგრამ მე-4 და განსაკუთრებით VI-VII საუკუნეებში მონოფიზიტთა უღელი ერთობ დამძიმდა და ქართველ ხალხს ლამის ეროვნული გადაგვარებით დაემუქრა.

როგორც ჩანს, სპარსეთისგან სხვა ქრისტიანულ ეკლესიებზე სომხეთის მონოფიზიტური ეკლესიის პრიორიტეტულობის აღიარებამ სომხურ საერო და საეკლესიო წრეებს შორსმიმავალი მიზნები გაუჩინა: თუ ისინი საქართველოსა და ალბანეთზე სომხური ეკლესიის გავლენას გაავრცელებდნენ, შესაბამისად მოხდებოდა ამ ქვეყნების არმენიზაცია, მრევლის „გასომხება“, რაც თავის მხრივ გაზრდიდა სომეხთა ძლიერებას და ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის პერსპექტივებს.

ეს იყო გაბედული, მაგრამ ფანტასტიკური იდეა.

VI საუკუნის დასაწყისიდან სომხური მონოფიზიტური ეკლესიის გავლენა ქართულ ეკლესიაზე განუყოფელია, ღვთისმსახურების ენად მკვიდრდება სომხური ენა, ყოველი ქართველი სასულიერო პირისათვის აუცილებელი ხდება სომხური ენის ცოდნა, მძალადე ეკლესიის უკან მძალადე სპარსეთი დგას და თავს ზევით ძალა აღარ არის. ერისმთავარი სტეფანოზი სპარსოფილი და დამპყრობელთა პოლიტიკის გამტარებელია. არა ბერძნული დედნიდან, არამედ სომხური თარგმანებიდან ითარგმნება სასულიერო ლიტერატურა, ტაძრებზე ჩნდება სომხური წარწერები, საქართველოს აღმოსავლეთში აღარავინ მისდევს „ბერძნულ რჯულს“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ დიოფიზიტობას, ყოველი ერი სომეხთა სარწმუნოებაზე მოქცეულა, ხდება მატიანეთა არმენოფილური პოზიციებიდან რედაქტირება. რომელიღაც ჟამთა აღწერაში, რომლითაც შემდეგ ლეონტი მროველი სარგებლობდა თავის მეფეთა ცხოვრების წერისას, შეურყეველ ჭეშმარიტებად ცხადდება, თითქოს საქართველოს მეფეთა მეორე დინასტია, ფარნავაზიანთა შემდგომ, პართიული წარმოშობის სომეხი არშაკუნიანები იყვნენ; რომ საქართველო მუდამ სომხეთის სატელიტი ქვეყანა იყო და იბერთა მოდგმის ხალხს დამოუკიდებლად არაფერი შეუქმნია. „ამით არის გამოწვეული ის, რომ მოციქულთა ეპოქის საქართველოს ბრწყინვალება და სიდიადე არ ასახა „ქართლის ცხოვრებამ“ და უცნობი დარჩა შემდეგი თაობებისთვის, ასე, რომ მოციქულთა ეპოქაში I-II საუკუნეებში საქართველო იყო მაშინდელ მსოფლიოში სახელგანთქმული, ძლიერი სახელმწიფო, რომელზედაც გადიოდა გზები რომის იმპერიიდან აღმოსავლეთისკენ და დასავლეთის ქვეყნებისკენ“ (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“).

ისტორიულ მეხსიერებას ბინდავს გამუდმებული შეტევა ეროვნულ ფესვებსა და თავდაპირველი ქრისტიანობის ხსოვნაზე. საქმე იქამდე მიდის, რომ დავიწყებას მიეცემა წმინდა ნინოს ღვაწლი და VII საუკუნის ქართველებს, მათ შორის კათალიკოსს, შეურყევლად სჯერათ, რომ საქართველო და ალბანეთი სომეხთა განმანათლებელმა, წარმოშობით სპარსელმა გრიგოლმა მოაქცია ქრისტიანობაზე. ამის შესახებ სიმონ ჯანაშია წერდა: „სპარსეთის მეფის აგენტებმა შეთხზეს ლეგენდები, ვითომც ქრისტიანობა სომხეთსა, ქართლსა და ალბანეთში ერთი პირის მიერ არის გავრცელებული და რომ ეს „განმანათლებელნი“ ვითომ, ამავე დროს, სპარსეთთან იყვნენ დაკავშირებულნი“.

გავიხსენოთ, რომ გრიგოლი პართიელი იყო, ანუ იმ ქვეყნიდან, რომლის ნანგრევებზეც აღმოცენდა ახალი სასანიდური სპარსეთი.

რასაკვირველია, ამ ლეგენდების დამკვიდრებას ხალისით შეუწყობდა ხელს სომხური სამღვდელოების ის ნაწილი, რომელიც ყოველი ღონისძიებით ცდილობდა მეზობელი არასომხური ოლქების არმენიზაციას, ქართველთაგან კაბადოკიელი ქალწულის ღვაწლისა და ნათელმოსილი სახის დავიწყება ეროვნული სულისა და ეროვნული იდეის უმაგალითო დეგრადაციას მოასწავებდა. თუმცა მას პოლიტიკური მიზეზი ჰქონდა. მონოფიზიტ სომეხთა დიქტატის ქვეშ მყოფი ქართული ეკლესია ოფიციალურად ვერ იქადაგებდა, რომ ქართველთა ქვეყანა ქრისტეს რჯულზე წარმოშობით „რომაელმა“ მოაქცია, ეს თავისთავად განაპირობებდა მის დასავლურ ორიენტაციას.

წმინდა ნინოს ხსოვნისა და ღვაწლის დავიწყებით ქართულ ეკლესიას მტერმა გამოაცალა მთავარი იდეოლოგიური ბურჯი და განმანათლებლად დაუმკვიდრა სპარსული წარმოშობის კაცი, რომელმაც მართლა მოაქცია სომხეთი, მაგრამ მისი საქართველოსა და ალბანეთში მისიონერობა მანამდე არავის სმენოდა. ამრიგად, ის, რაც ბოდში 338 წლის ცხელ ზაფხულს მომაკვდავი ნინოს ბაგეთაგან ცრემლისღვრით ჩაიწერა სალომე სომეხთა მეფის ასულმა, სრულიად უარყოფილი იქნა ორიოდე საუკუნის შემდეგ სალომესავე თანამემამულეების მიერ. მხოლოდღა გვიან გამოჩნდა ღირსეული მწერალი და, ალბათ, სალომეს ჩანაწერების მიხედვით შექმნა ნინოს ცხოვრების მშვენიერი ქრონიკა.

რაკი ქართულ ეკლესიას იდეური საფუძველი გამოცლილი ჰქონდა, ახლა მთავარ დაბრკოლებად ქართული ენა რჩებოდა, ეროვნულობის ამ ბურჯზეც ორმხრივი შეტევა განხორციელდა; საეკლესიო ენად იქცა სომხური, სახელმწიფო-სამოქალაქოდ სპარსული. ქართულმა ენამ წვრილი ერის ქოხებში, ცენტრებიდან მოშორებულ დაბებსა და სოფლებშიღა შეინარჩუნა არსებობა.

ამ ეპოქას უნდა მიეწეროს სპარსული სიტყვების მძლავრი დანალექი ქართულ ენაში, შემდგომ საუკუნეებში სპარსოფილობის ასეთი მძლავრობა საქართველოში თვით როსტომ მეფის დროსაც აღარ ყოფილა.

ქართულ მწიგნობრობაზე შეტევა საყოველთაო ასიმილატორული პოლიტიკის ნაწილი იყო. იმ ვითარებას, რაც VI-VII საუკუნეების საქართველოშია შექმნილი, კარგად ახასიათებს მოგვიანებით გიორგი მცირეს განმარტება ბერძენი სასულიერო წინამძღოლობისადმი: „ეგრეთვე დალაცათუ პირველთგანვე გვქონდა წერილნიცა და სარწმუნოებაც ჭეშმარიტი და მართალი, გარნა ჩვენს შორის დათესილ იყო ბოროტი თესლნი სომეხთა, გულარძნილნი და მანქანანი და მათ მიერ ფრიად გვევნებოდა, რამე თუ ნათესავი ჩვენი წრფელ იყო და უმანკო“. გიორგი მცირე იქვე დასძენს ჩვენი წიგნებიც მათგან იქნა ნათარგმნიო, თუმცა ღირს მამას შეიძლება ცოტა გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს საკუთარ თანამემამულეებზე, როცა მათ „წრფელსა“ და „უმანკოს“ უწოდებს, მაგრამ, ალბათ, მოძალადეთა ყოვლად ვერაგულ ბუნებას ადარებს და, ამასთან, ცდილობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველთა შორის ზნეობრივი სრულყოფილების გრძნობის, საკუთარ შესაძლებლობათა რწმენის განმტკიცებას.

ამაოდ იქადნიდნენ დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მონაწილენიც: „არა გეცრუვნეთ შენ, სიწმინდითა მშობელო ჩვენო კათოლიკეო ეკლესიაო, არცა გაგცეთ შენ სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო, არიდისა არა განმცემელ ქმნილ ვართ..." VI-VII საუკუნეებში ქართული ეკლესია მეტისმეტად იყო მოწყვეტილი კათოლიკე ეკლესიის წიაღს და სომეხთა „ბოროტ სარწმუნოებაზე" იყო მიქცეული. ქართული ენის დარაჯად და გულშემატკივრად ისევ მწერალი იდგა. იოანე ზოსიმეს სახელით ცნობილი პოეტი არ შეუშინდა სასიკვდილო საფრთხეს და შეთხზა დიადი, წინასწარმეტყველური ჰიმნი მშობლიური ენის შესახებ „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ".

ამ ნაწარმოებში მკვლევართა უმეტესობა ეზოთერულ სიღრმეებსა და უძველესი ქართული ცივილიზაციის ხსოვნის ანარეკლს ეძებს. შესაძლოა, ჰიმნი რაღაც დოზით ყოველივე ამას შეიცავდეს კიდეც, მაგრამ იგი, უპირველესად, უცხო ტომის ძალმომრეობით შეჭირვებული პოეტის კვნესაა, რომელიც მესიანური წინასწარმეტყველებით ცდილობს, გადაარჩინოს მშობლიური ენის აღორძინების რწმენა. იოანე ზოსიმე მეათე საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი დაახლოებით 987 წელს გარდაიცვალა. თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი სამშობლოდან შორს, პალესტინაში, საბაწმინდის ლავრაში გაატარა, სადაც, მიუხედავად თვალნაკლულობისა, წიგნების გადაწერას და „ჩხრეკას" მისდევდა. ჯერ ერთი, საბაწმინდის ლავრა მონოფიზიტი ბერების თავშესაფარი იყო და, ალბათ, იოანე ზოსიმეც ამ რწმენაზე იდგა, მეორეც, იქ, შორეულ ქვეყანაში ძნელი საგრძნობი იქნებოდა მშობლიური ენის შევიწროების ეგოდენ მტკივნეული შეგრძნება. „ქებაჲ", როგორც გამოთქმულია მოსაზრება, უსათუოდ VI-VIII საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი და იგი იოანე ზოსიმეს მისგან გადაწერილ კრებულში უავტოროდ შეუტანია, რადგან, შესაძლოა, ავტორის ვინაობა უკვე ცნობილი აღარ იყო.

„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი" სრულიად რეალურ ვითარებას ასახავს და სრულიად გარკვეულ მიზანს ემსახურება. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ფრაზაში: „ნინო და ელენე... ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა" - იგულისხმება ბერძნული და ქართული ეკლესიის განუყოფლობა. ამ ქვეყნების მოქცევის სათავეებთან ხომ ელენე დედოფალი და მოციქულთა სწორი ნინო იდგნენ, ხოლო ვითარცა მარიამ და მართა იყვნენ მწუხარენი ლაზარეს მიცვალების გამო, ასევე არიან მწუხარენი ნინო და ელენე ქართული ენის დამცრობის გამო, მისი კანონიერ უფლებებში აღდგენის შემდეგ კი ისევე გაიხარებენ, როგორც მარიამმა და მართამ გაიხარეს ქრისტეს მიერ ლაზარეს აღდგინებით.

თუ „ქებაის" შექმნის დროდ მონოფიზიტთა მძვინვარე შემოტევის ხანას ვაღიარებთ, უთუოდ მისახვედრია, რაოდენ დიდმნიშვნელოვანი იყო ეგოდენ პატრიოტული ძალების არსებობა საქართველოში, როგორიც ჰიმნის ავტორი ჩანს. ამგვარი თხზულებების შექმნა სასიკვდილო საფრთხესაც არ გამორიცხავდა. სპარსელ აგრესორებს და მათ სამსახურში ჩამდგარ სომეხ ნაციონალისტებს, რომელნიც თავიანთ ნამდვილ ზრახვებს რელიგიური საბურველით ფარავდნენ, პირველ რიგში ხომ ქართული ენის მოსპობა, დამცრობა და გადაგვარება ჰქონდათ მიზნად დასახული. ვინ იცის, იქნებ ამ გაბედულ თხზულებას შეეწირა კიდეც მისი ავტორის სიცოცხლე.

ბერძნულ ენაზე არსებული სასულიერო ლიტერატურა ასევე სასტიკად გაანადგურეს თვით სომხეთში. სპარსეთის გავლენის ქვეშ მოქცეულ მთელ ამიერკავკასიაში აიკრძალა ბერძნული წერა-კითხვის შესწავლა, სანაცვლოდ გასაქანი მიეცა სპარსულს. სპარსეთმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ აღსასრული უახლოვდება. 627 წელს მას სასტიკად დაამარცხებს დიდი ჰერაკლე კეისარი, ხოლო ათიოდ წლის შემდეგ, 637 წელს არაბები საბოლოოდ მოუღებენ ბოლოს. ქართველთა გატეხვა კი ამაო ჩანდა, რაც უფრო მეტი იყო დაწოლა, ქართული ეკლესია მით უფრო მტკიცედ ადგა საკუთარ გზას. VI საუკუნის ბოლოს საქართველომ აშკარად აღიარა ქალკედონიტობა, ანუ დაადგა დიოფიზიტურ მრწამსს და საბოლოოდ გაეთიშა სომხურ ეკლესიას, რასაც კიდევ უფრო გამძვინვარებული შემოტევა მოჰყვებოდა სპარსთა და სომეხთა მხრიდან.

სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიისგან თანდათანობით ჩამოცილება ქართულ სამღვდელოებასა და პატრიოტულ ძალებს, ალბათ, იმ მწარე გაკვეთილებმაც აიძულა, რასაც მათ თვალწინ ჰქონდა ადგილი არმენიზებული ალბანეთის სახით. ეს ქვეყანა ოდესღაც ამიერკავკასიის მთელ აღმოსავლეთს მოიცავდა, ალბანეთში იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხი ცხოვრობდა, ენაც კავკასიური ჯგუფისა ჰქონდათ, რწმენითაც ქრისტიანები იყვნენ - სომხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თისა და საქართველოს კვალდაკვალ მიიღეს ქრისტიანობა.

საქართველოს მხრიდან ალბანეთს ჰერეთი ესაზღვრებოდა და ისინი, როგორც ისტორიკოსები ამბობენ, ხშირად „ფარავდნენ“ ერთმანეთის ტერიტორიას. ჯერ კიდევ ჰეროდოტეს უნახავს ალბანეთ-იბერიის საზღვარზე მთავარის ღვთაების დიდი ტაძარი, სადაც ორივე ხალხი – ქართველები და ალბანელები მსხვერპლს სწირავდნენ. როგორც ცნობილია, მთავარის ღვთაებას ქრისტიანულ ეპოქაში ჩაენაცვლა წმინდა გიორგის კულტი. ვინ იცის, იქნებ ჰერეთ-ალბანეთის საზღვარი სწორედ იქ გადიოდა, სადაც ახლა ალავერდის წმინდა გიორგის ტაძარი დგას და რომელსაც არა მარტო ქართველები, არამედ სხვა, აწ უკვე არაქრისტიანი კავკასიელი ხალხებიც ეთაყვანებიან; იქვე დიდი ალვანის მინდორია გადაჭიმული. ქრისტიან და არაქრისტიან კავკასიელ ტომთა თავმოყრა ალავერდის დღეობაზე, ალბათ, ძველი, წარმართობისდროინდელი ტრადიციის გამოძახილია, ამ ადგილას ოდესღაც უთუოდ კავკასიელთა, უპირველესად კი ქართველ-ალბანთა დიდი საკულტო ტაძარი იდგა.

უეჭველია, რომ მრავალრიცხოვანი ალბანური მოსახლეობა ცხოვრობდა ჰერეთში, ასევე, ალბათ, ალბანეთშიც იყო ჰერთ[illegible]თო განსახლება. სამწუხაროდ, ალვანთა სახელმწიფოს აღმოაჩნდა ისეთი შინაგანი ეროვნული ძალა, რომ თავი ეხსნა სპარსულ-სომხური აგრესიისაგან, დაკარგა ეროვნული სახე, მოსახლეობის ნაწილმა მუსულმანობა მიიღო, ნაწილმაც სომხური და ტომითაც „გასომხდა“, თუმცა მომდევნო საუკუნეებში შარვანის სამეფოდ წოდებულ ამ მხარეს არ გაუწყვეტია საქართველოსთან ნათესაური და კეთილმეზობლური ურთიერთობა. ამ სახელმწიფოს ნაშთი უნდა იყოს კახეთ-ჰერეთის მოსახლეობის ერთი ნაწილიც. ქართველთა წინააღმდეგ სპარსელ-სომეხ მონოფიზიტთა რელიგიურ-ნაციონალური აგრესიის გააქტიურებას დაემთხვა საქართველოში 13 ასურელი მამის ჩამოსვლა. დაემთხვაო, რომ ვამბობ, ალბათ, ზუსტად ვერ გამოვხატავ წმინდა მამების ჩამოსვლის მიზეზს. საფიქრებელია, რომ ისინი სულაც ქართველ დიოფიზიტთა დასახმარებლად გამოეშურნენ საქართველოში, თუმცა ასურეთიდან წმინდა მამები იმავე წლებში სომხეთსა და ალბანეთშიც მოსულან.

ასურელ მამათა ცხოვრების წერილობითი ისტორია არა გვაქვს და, თუ რამ დაწერილა მათ შესახებ, ისიც მომდევნო საუკუნეებშია შექმნილი. მეცნიერთა მიერ გამოთქმულია ვარაუდი, რომ წმინდა მამები წარმოშობით ქართველები იყვნენ და საზღვარგარეთ სწავლა-განათლების მისაღებად უნდა ყოფილიყვნენ წასულები. ასურელებადაც მხოლოდ იმიტომ უხმობენ, რომ ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთი მთავარი სამწერლობო ენა იმ ეპოქაში ასურული იყო და შესაძლოა, თავის დროზე სამშობლოდან გამგზავრებული ახალგაზრდები ასურულენოვან სასწავლებელში სწავლობდნენ. ასურელ მამათა ქართველობის დასამტკიცებლად იმ ეპიზოდს იშველიებდნენ, როცა საქართველოში შემოსვლისთანავე იოანემ, შემდგომში ზედაზნელმა, დამხდურებს ქართულად მიმართა. დადასტურებულია, რომ ქართველებს მჭიდრო რელიგიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ასურულ სამყაროსთან. ასურული ენა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელზეც ითარგმნა ბიბლიური წიგნები ჯერ კიდევ 140 წლის მახლობელ პერიოდში. ასურული კულტურისა და დამწერლობის ცენტრი იყო ქ. ედესი ზემო მესოპოტამიაში. სულ ადვილი დასაშვებია, რომ ის ცამეტი მოძღვარიც, ცოდნითა და დიდი მიზნებით აღჭურვილმა, საქართველოს საზღვრები რომ გადმოლახა 540-იან წლებში, ედესში განსწავლული ქართველები იყვნენ. ამ ვერსიის დასტურად კიდევ ერთი გარემოება არსებობს: VI საუკუნის დამდეგს სპარსელთა ხელშეწყობით და არცთუ ძალდატანების გარეშე, მონოფიზიტურ სომხეთში ღვთისმსახურების, ასევე სამწერლობო ენად, სომხურის პარალელურად ასურული ენა იქცა. რადგან სომხური ეკლესია ამ პერიოდში, ფაქტობრივად, აკონტროლებდა ქართულ და ალბანურ ეკლესიებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ სასულიერო მოღვაწეთა ახალი კადრების მომზადება სწორედ ასურულენოვანი კულტურის ცენტრში ხდებოდა და სამივე ქვეყნიდან იქ იგზავნებოდნენ სასულიერო განსწავლის მოსურნე ახალგაზრდები. მათ შორის იქნებოდა ის 13 მამაც, რომელთაც, თავიანთი მასწავლებლების, ზედამხედველებისა და ედესში გაბატონებული მიმართულების საწინააღმდეგოდ, ქალკედონიტობას დაუჭირეს მხარი, მონოფიზიტთაგან შევიწროებულ სამშობლოში გამოემგზავრნენ და დ[illegible] კვალი დააჩნიეს საქართველოს სასულიერო-კულტურულ ცხოვრებას.

მეცნიერებაში ისიც სადავოა, ასურელი მამები ერთად ჩამოვიდნენ თუ ცალ-ცალკე, ერთ ჯგუფად თუ სხვადასხვა დროს, მგრამ ეს ჩვენთვის მთავარი არ არის. უფრო მნიშვნელოვანია, რომ უკიდურესი ძალმომრეობით შეჭირვებულ ქართულ ეკლესიას თანამდგომად და დამხმარედ მოევლინა ინტელექტით, ენერგიითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნებისყოფით აღჭურვილი 13 ბერი.

ასურელ მამათა საქართველოში ჩამოსვლის სავარაუდო დროდ ითვლება 540-იანი წლები. ეს ის პერიოდია, როცა სპარსეთმა ხელი აიღო ამიერკავკასიის სამი ქვეყნის გამაზდეანებაზე, სამაგიეროდ, ერთადერთ მისაღებ სარწმუნოებად გამოაცხადა მონოფიზიტობა, გააერთიანა ქართულ-ალბანურ-სომხური ეკლესიები და მოთავე ეკლესიად სომხური გამოაცხადა. ამ დროს შეითხზა ლეგენდა გრიგოლ განმანათლებელზეც. ასურელ მამათა სამაგალითო ცხოვრებამ და მოღვაწეობამ იმ საუკუნის დამლევამდე, 590-იან წლებამდე გასტანა. ამ დროისთვის საქართველოს მთავარი საფრთხე უკვე მოგერიებული ჰქონდა, მტკიცედ იდგა რელიგიურ-ნაციონალური თვითგამორკვევის გზაზე, რაშიც დიდი იყო ასურელ მამათა ღვაწლი. თუ გავითვალისწინებთ მათ შემდეგდროინდელ საქმიანობას - მონასტრების მშენებლობას, ბერთა შემოკრებას და საეკლესიოკულტურული კერების დაარსებას აღმოსავლეთ საქართველოში და ისიც მონოფიზიტური აგრესიის ჟამს, უნდა ითქვას, რომ 13 წმინდა მამა პირდაპირ ღვთისგან იყო გამოგზავნილი ქართველთა საშველად. ისინი საქართველოს მოევლინენ მონოფიზიტთა შემოტევის ყველაზე მძიმე, VI საუკუნის 30-40-იან წლებში, ხოლო მათი ცხოვრების დასასრულს, 80-90-იან წლებში დიოფიზიტობა უკვე გამარჯვებას ზეიმობდა.

ჩვენ არ ვიცით, რა პრინციპით დაინაწილეს ასურელმა მამებმა სამოღვაწეო ასპარეზი, მაგრამ მათ მოქმედებაში ერთი მიზანდასახულება კი ჩანს: ისინი ცდილობდნენ, მთლიანად მოეცვათ აღმოსავლეთი საქართველო, სადაც მძლავრი იყო რელიგიურ-ნაციონალური აგრესია. დასავლეთ საქართველოში, სადაც ძლიერი იყო ბერძნული ეკლესიების გავლენა, ცალკეული ეპიზოდების გარდა, სპარსელ-სომეხთა ხელი ვერ წვდებოდა და არც ეროვნული ასიმილაციის საფრთხე არსებობდა. ამიტომაც, წმინდა მამებმა მოღვაწეობა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში გაშალეს.

იოანე - *დადგა ზედაზენს, ააშენა ზედაზნის მონასტერი და იწოდა ზედაზნელად;*

დავითი - *წავიდა გარეჯის უდაბნოში, ააშენა დავით გარეჯის ლავრა და იწოდა გარეჯელად. გველითა და ღრიანკალით სავსე უდაბნოში წმინდა მამას სხვა საფრთხეც დაემუქრა: გარეჯის მხარე ცურტავის საპიტიახშოში შედიოდა, სადაც მრავალრიცხოვანი სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა. უდაბნოში გასულ მამა დავითს ვიღაც სომეხი თავადი, სახელად ბუბაქარი გადაეყარა, რომელსაც უდაბნოში მოხეტიალე უცხო კაცი საეჭვოდ მოეჩვენა და მოკვლა დაუპირა. მამა დავითი თავისმა განათლებამ იხსნა, სომხურად დაელაპარაკა გაავებულ თავადს და, ეტყობა, მასაც გული მოულბა ამ მხურვალე უდაბნოში უცხო კაცის სომხურად ამეტყველების გამო.*

საერთოდ, ამ წმინდა მამამ საქართველოში ერთობ ხიფათიანი ცხოვრება გაატარა. ჯერ იყო, თბილისის თავზე, მთაწმინდად წოდებულ შევაკებაზე დამკვიდრდა და იქ ეკლესიის შენებას მიჰყო ხელი, მაგრამ რელიგიურმა მტრებმა სამარცხვინო ინტრიგები მოუწყვეს, ცილი დასწამეს, თითქოს ვიღაც თბილისელ მეძავთან დადიოდა, რომელიც წმინდა მამისგან ფეხმძიმედ ქმნილიყო, რასაც უდავოდ ამტკიცებდა ფოლორცთა დიაცის წამოზრდილი მუცელი. დავითი, რასაკვირველია, უარზე იყო, მეძავთან კავშირი არა მქონიაო და თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად ასურელმა მამამ ერთობ ორიგინალურ ხერხს მიმართა: ცილისმწამებელი დიაცი ხალხის წინაშე წამოაყენა და მის მუცელში განაბულ ცოდვის ნაყოფს ჩასძახა:

- მე ვარ მამა შენი?!

- არა, შენ მხოლოდ მჭედელი ხარ ჩემიო, - დედის მუცლიდან ორაზროვნად გამოეპასუხა პატარა ცუღლუტი, რომელიც, ეტყობა, კარგად იყო გარკვეული გარეთ მიმდინარე ამბებში. „მამასა“ და „მჭედელს“ შორის რაღაც განსხვავება კი იყო, მაგრამ იმდენი არა, რომ წმინდა მამას მოსვენებით ეცხოვრა თბილისში და ისიც უდაბნოში გადაიხვეწა, იქ კიდევ ის გულღრძო ბუბაქარი დახვდა და კინაღამ თავიც წააგო;

იოსები - *დადგა ალავერდს, ააშენა ტაძარი და იწოდა ალავერდელად;*

ზენონი - *დადგა იყალთოს, ააშენა ტაძარი და იწოდა იყალთოელად;*

ანტონი - *დადგა წილკანს, ააშენა ტაძარი და იწოდა წილკნელად;*

თათე - *დადგა სტეფანწმინდას, ააშენა ტაძარი და იწოდა სტეფანწმინდელად.*

შიო - *დადგა ქართლის მღვიმეს, ააშენა ლავრა და იწოდა მღვიმელად.*

ისიდორე - *დადგა სამთავისს ააშენა ტაძარი და იწოდა სამთავნელად;*

აბიბოს *დადგა ნეკრესს, ააშენა ტაძარი და იწოდა ნეკრესელად;*

მიქაელი - *დადგა ულუმბოს, ააშენა ტაძარი და იწოდე ულუმბოელად;*

პიროს - *დადგა ბრეთს, მონასტერი ააგო და იწოდა ბრეთელად.*

წმინდა მამებს თან ხლებია ელია დიაკვანი, თუმცა უცნობია, თავისი პირდაპირი მოვალეობის გარდა რა საქმიანობას ეწეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა მამებმა, როგორც ჩანს, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს მონოფიზიტურ აგრესიას და სპარსულ ცეცხლთაყვანისმცემლობას, რის გამოც არაერთხელ ჩაიგდეს თავი ხიფათში. მტერთა სამიზნედ განსაკუთრებით მამა დავითი იქცა. იგი ჭორებით, კომპრომეტაციითა და ავსიტყვაობით განდევნეს თბილისის მახლობელი, ამჟამინდელი მამა დავითის მთიდან და აიძულეს უდაბნოში გადახვეწილიყო.

ერთხელ მამა იოანე სპარსთა რელიგიურ რიტუალს შეესწრო, რომელთაც „საგზებელში“ დაენთოთ ცეცხლი და თავიანთ ღმერთს, ცეცხლის დიად ღვთაებას აჰურამაზდას ეთაყვანებოდნენ. გაჯავრებულმა წმინდა მამამ საიდანღაც წყლიანი ლოქი იშოვა, საგზებელს დაასხა და წმინდა ცეცხლი „დაშრიტა“. შედეგი ადვილი წარმოსადგენია - იგი ძლივს გადაურჩა მორწმუნე მაზდიანთა მახვილს, თანაც ეს თავგანწირვა, რომელიც, კაცმა რომ თქვას, თუ არა რწმენის დიადი ძალა, უფრო ყმაწვილურ ონავრობას დაემგვანებოდა, სულ ამაო იყო. შეურაცხყოფილმა სპარსებმა უთუოდ „საგზებლიდან“ სველი ნაცარი ამოყარეს და ცეცხლი ხელახლა გააჩაღეს... ისიც საგულისხმოა, რომ მაზდეანებსაც ისევე სწამდათ დიადი აჰურამაზდა, როგორც ქრისტიანებს გოლგოთაზე ჯვარცმული, მაგრამ მისი მიმდევრები ხშირად აგრესიული მოქმედებით ცდილობდნენ სხვათა რწმენის დათრგუნვას. იმ ადგილებში, სადაც წმინდა მამებმა დაივანეს ან მათივე სიცოცხლეში, ან მოგვიანებით მათ მოწაფეთაგან დაარსდა დიდი კულტურული და სალიტერატურო ცენტრები, აშენდა ბრწყინვალე ტაძრები.

ასურელ მამათა დროს აღდგა ხსოვნა წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შესახებ. (არ არის გამორიცხული, რომ „ნინოს ცხოვრებაც“ რომელიმე ასურელ მამას ეკუთვნოდეს). ეს უდიდესი დარტყმა იყო სპარსულ-სომხურ იდეოლოგიაზე, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ თაობათა ხსოვნაში დავიწყებას მისცა მოციქულთა სწორის სახე და მის ადგილას წარმოშობით სპარსი, სომხეთის პირველი ეპისკოპოსი გრიგოლი დააყენა, თუმცა საფიქრებელია, რომ ეს უფრო ოფიციალური, ძალდატანებით გაბატონებული ვერსია იყო და წმინდა კაბადოკიელის ხსოვნა და ღვაწლი ქართველთა გულიდან არასოდეს ამოშლილა.

## ალბანთა ქვეყნის დაღუპვა

ალბანეთის ეკლესია სამოციქულო იყო და ორი მეზობელი სახელმწიფოს - საქართველოსა და სომხეთის მსგავსად ჰქონდა მტკიცედ ჩამოყალიბებული საეკლესიო იერარქია, ჰყავდა ეპისკოპოსები და კათალიკოსი.

ალბათ, იმის გამო, რომ სამხრეთ ალბანეთში, სადაც მისი დედაქალაქი პარტავი მდებარეობდა, მრავლად ცხოვრობდა სომხური მოსახლეობა, ალბანელთა საეკლესიო ენა თავიდანვე სომხური ყოფილა. მკვლევარები თვლიან, რომ ალბანეთის არმენიზაცია სწორედ იქ სომხური მოსახლეობის მრავალრიცხოვნებამ განაპირობა და ეს პროცესი ჯერ კიდევ V საუკუნეში დაიწყო. ამავე დროს, გაკვირებას იწვევს ის ამბავი, რომ ალბანელებმა სომეხთა და ქართველთა კვალდაკვალ შექმნეს საკუთარი დამწერლობა. შესაძლოა, ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა ალბანელი იყო, იყენებდნენ კიდეც ალბანურად თარგმნილ სასულიერო ლიტერატურას და ღვთისმსახურებასაც ალბანურად ასრულებდნენ, მაგრამ სპარსთა აგრესიისა და სომხური ეკლესიის შემოტევის შემდეგ უკვე VII საუკუნეში ალბანური ენა ეკლესიიდან საბოლოოდ განდევნილი აღმოჩნდა. ნაციონალისტურად განწყობილ სომეხ საეკლესიო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ ადგილობრივი ენის შევიწროება და წირვა-ლოცვისთვის სომხურის დამკვიდრება ცალკეული კუთხეებისა და მთლიანად ქვეყნის ასიმილაციის წინაპირობას ქმნიდა, მით უფრო, რომ მათ მხარდამჭერად გამოდიოდა სპარსეთი და მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევდა. VI საუკუნის შუა ხანებში ალბანეთის კათალიკოსი გახდა ნერსესი, რომელსაც ერისკაცობაში ბაკური რქმევია. მისი სახელის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახალი კათალიკოსი წარმოშობით ჰერეთელი ქართველი იყო. ეს სრულიადაც არ იქნება საფუძველსმოკლებული, თუ გავიხსენებთ, რომ ალბანეთში ჰერების ტომის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა.

ბაკურ-ნერსესი თურმე რწმენით ქალკედონიტ-დიოფიზიტი ყოფილა, მაგრამ მონოფიზიტთა საყოველთაო ბატონობის პერიოდში ამას ვერ გაამხელდა. კათალიკოსის მომხრე და თანამგრძნობი ყოფილა ალბანეთის დედოფალი სპარამი. იმ მოკლე ინფორმაციაში, რასაც „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ავტორი მოსე კალანკატუანცი გვაწვდის, შეიძლება ამოვიკითხოთ ალბანეთში შექმნილი უკიდურესად დაძაბული ვითარება, რასაც სომხურ და ალბანურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიათა მეთაურებს შორის ინტერესთა დაპირისპირება ქმნიდა. კათალიკოსის ქალკედონიტობა მალე გამჟღავნებულა, მას თურმე დედოფალი სპარამი აქეზებდა მონოფიზიტების წინააღმდეგ. ეს, რასაკვირველია, მარტოდენ დედოფლის და მთლიანად ალბანთა სამეფო კარის რელიგიური გრძნობებით არ იქნებოდა გამოწვეული, არამედ ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის ინტერესების გამოხატულებაც უნდა ყოფილიყო, რადგან მონოფიზიტების წინააღმდეგ მოქმედება ერის გადარჩენისათვის ბრძოლას ნიშნავდა. კათალიკოს ნერსეს ალბანეთიდან გაუძევებია მრავალი მონოფიზიტი, ანუ სომხური ეკლესიის მხარდამჭერი და ალბანურ ეკლესიებში ქალკედონური დოგმატი დაუმკვიდრებია. მონოფიზიტებს მიმხრობია გავლენიანი ალბანელი მთავარი შერო, რომელიც უეჭველია, სომხური საეკლესიო და საერო ნაციონალისტური წრეების მხარდაჭერით სარგებლობდა. „ოპოზიციონერებს“, ანუ პროსომხურ ძალებს მოუწვევიათ კრება და ბაკურ-ნერსესი თავის მომხრეებთან ერთად შეუჩვენებიათ. თუ ალბანეთის კათალიკოსის ქართველობის ვარაუდს განვავითარებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი მოძრაობის უკან ქართული საერო და სასულიერო პატრიოტული ძალები იდგნენ, რომელთაც ხელს აძლევდა მეზობელ ალბანეთში ერთმორწმუნე ქალკედონიტობის აღდგენა, თუმცა, როდესაც კათალიკოსი საფრთხეში ჩავარდა, ქართველებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს და ვერც სატანჯველიდან დაიხსნეს.

ალბანელმა მონოფიზიტებმა კათალიკოს ნერსესის ქალკედონიტური მოღვაწეობის შესახებ წერილი მისწერეს სომხეთა კათალიკოს ელიას. ამ ქვეშევრდომული სულისკვეთებით დაწერილ უსტარში შემდეგი ეწერა: ჩვენს მამებს, თქვენს მამებთან ერთად, საერთო ჭეშმარიტი რწმენა ჰქონდათ, მაგრამ იმძლავრა ქალკედონიტობამ და აავსო ქვეყანა. ნერსესი მგლად იქცა და დაიწყო ქრისტეს გონიერი სამწყსოს გადაბირება. ამის გამო გატყობინებთ ვითარებას, რათა მოხვიდეთ ჩვენთან, როგორც თქვენს ნაწილთან და განკურნოთ ჩვენი ჭრილობები.

ამ მიმართვიდან და კერძოდ ფრაზიდან - ნერსესი მგლად იქცაო, შეიძლება კარგად დავინახოთ ის გააფთრებული ბრძოლა, რასაც ალბანელი მღვდელმთავარი ეწეოდა სომხეთა რელიგიურ-ნაციონალური აგრესიისაგან თავისი ქვეყნის დასაცავად. ეს იყო არა მარტო მორწმუნე კათალიკოსის, არამედ პატრიოტი მოღვაწის თავდადებული გამოსვლა თავისი ერის ჩაგვრის, გადაგვარებისა და ასიმილაციის წინააღმდეგ. სომხეთა კათალიკოსმა თავის მხრივ ახალ დამპყრობლებს, რომელთაც ამ დროისათვის ამიერკავკასიაში შეცვალეს სპარსელები, - არაბებს გამოუცხადა ქვეშევრდომული გრძნობები, არაბთა ამირას წერილი მისწერა და აუწყა, რომ სომხეთი არაბებს ემორჩილება, მაგრამ ალბანთა კათალიკოსი ბერძენთა კეისარს შეუთანხმდა, იხსენებს მას ლოცვებში და ალბანთა ქვეყანას ბიზანტიური სარწმუნოების მიღებას აიძულებსო.

ამირა გაგებით მოეკიდა კათალიკოს ელიას დასმენას და ალბანეთში დიდი ჯარი გაგზავნა, რათა ალბანელები მკაცრად დაესაჯა ბიზანტიური ორიენტაციის გამო. ამირას ასევე უბრძანებია კათალიკოსი ნერსესი და დედოფალი სპარამი რკინის ჯაჭვით გადაებათ და მის წინაშე წარმოედგინათ. ამირას ბრძანება შესაშური სიზუსტით შესრულდა. სომეხი კათალიკოსი ელია თავად ჩავიდა ალბანეთში დიდი ამალით, ნერსესი, რომელმაც დამალვა სცადა, შეიპყრეს და დედოფალ სპარამთან ფეხით ფეხზე ჯაჭვით გადაბმული გაუგზავნეს ამირას, რომელმაც ორივეს რომელიღაც უცხო ქვეყანაში გადასახლება გადაუწყვიტა, მაგრამ კათალიკოსმა ამდენი ტანჯვა ველარ აიტანა და რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა.

მთელი ლიტერატურა, რომელსაც რაიმე კავშირი ჰქონდა ბერძნულთან - დაწვეს, ნერსესის „მწვალებლური თხზულებებით“ სავსე ზანდუკი წაიღეს და მდინარეში გადააგდეს. სომეხთა კათალიკოსს ამირას დივანში გაუგზავნია, აგრეთვე, იმ ალბანელ თავადთა სია, რომელნიც შეიძლებოდა კვლავ დიოფიზიტობაზე გადასულიყვნენ; მათი მოქმედებისთვის მკაცრად უნდა ედევნებინათ თვალი და უმალვე დაესაჯათ, თუკი ამგვარ მიდრეკილებას შეატყობდნენ. ალბანეთში მძლავრი არმენოფილური ძალების არსებობას ადასტურებს მათი საქვეყნოდ გამოხატული ზეიმი ბაკურ-ნერსეს კათალიკოსის მოძრაობის დამარცხების გამო. ისინი მადლიერებით აღსავსე წერილს სწერენ სომხეთა კათალიკოსს და მას „შემომტკიცების წიგნს“ უწოდებენ: „მოხვედით თქვენ ჩვენს დედაქალაქ პარტავში და ტბილი მოძღვრებით აღკვეთეთ ბოროტი ჩვენს შორის, გაგვახსენეთ ჩვენი წინაპრების ანდერძი“.

ამავე არმენოფილურ ძალებს ალბანელ მონოფიზიტთა კრება მოუწვევია, რომელსაც მიუღია ყოვლად ანტიეროვნული და მოღალატური გადაწყვეტილება - ამიერიდან ალბანელი კათალიკოსი სომხეთში უნდა ეკურთხებინა იქაურ კათალიკოსს. თუ ვინმე გაბედავდა და სომხეთის კათალიკოსისგან არ მიიღებდა ხელ-

დასხმას, ის კათალიკოსად არ ჩაითვლებოდა. ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება მოასწავებდა ალბანური ეკლესიის საბოლოო დაქვემდებარებას სომხური ეკლესიისადმი და, მაშასადამე, მის სრულ არმენიზაციას.

სომეხ მონოფიზიტებს ალბანეთშიც, ისევე როგორც საქართველოში, უცდიათ ხალხისთვის დაევიწყებინათ მისი განმანათლებელი. V საუკუნეში ალბანელებს მიაჩნდათ, რომ მათ ქრისტეს რჯული უქადაგა მოციქულმა ელისემ და თანაც სომხებზე ადრე. ამით ისინი ალბანურ ეკლესიას სამოციქულოდ თვლიდნენ და სომხურზე წინ აყენებდნენ.

VII საუკუნეში კი ალბანეთში მტკიცედ იყო დამკვიდრებული რწმენა, რომ მათ ქვეყანაში ქრისტიანობა სომხეთიდან, გრიგოლ სომეხთა ეპისკოპოსის მიერ გავრცელდა. როგორც ჩანს, მოგვიანებით, კერძოდ 837 წელს, არაბ დამპყრობლებს სომხეთის ალბანეთისა და საქართველოს განმგებლად სომეხი ეროვნების პირი საჰლ სმბატიანი დაუნიშნავთ. ამგვარ მმართველს ქართული ისტორიოგრაფია არ იცნობს, თუმცა მის სამფლობელოში, შესაძლოა, აღმოსავლეთ საქართველოს რაღაც ნაწილი, კერძოდ, ალბანეთისა და სომხეთის მოსაზღვრე მხარეები შედიოდა. სომეხი გარზაპანის მოღვაწეობა, რასაკვირველია, ხელ ...წყობდა ალბანთა საბოლოო არმენიზაციას, რაც მალე მოხდა კიდეც. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ალბანეთი სომხურენოვანი გახდა და „გასომხდა" - სომხურ მოსახლეობაში გაითქვიფა, ჩრდილოეთ ნაწილი კი, რაც ჰერეთის ქართული სამეფოს გარეთ აღმოჩნდა, არაბთა წყალობით გამუსლიმანდა და მოგვიანებით თურქულ ტომებში გაითქვიფა. ამ ქვეყნის ნანგრევებზე დღეს აზერბაიჯანის თურქულენოვანი ქვეყანა არსებობს.

ასე დაიღუპა ოდესღაც დამოუკიდებელი და ძლიერი კავკასიური ქვეყანა ალბანეთი, არის მოსაზრებები, რომ ალბანთა დიდი ნაწილი ჰერეთ-კახეთში გადმოიხვეწა, კახეთის სამეფოს ჩამოყალიბებაში მიიღო მონაწილეობა და გაქართველდა.

ალბანეთის ბედი ელოდა საქართველოსაც, რომ არა ერის დიდი შვილების მედგარი წინააღმდეგობა და ეროვნული სულის მძლავრი აღმავლობა.

## განყოფა

*„VII საუკუნის დამდეგს აღმ. საქართველოს სარწმუნოებრივ სფეროში ისეთი ცვლილებები მოხდა, რომელსაც ქართველი ერის მთელი შემდინდელი ისტორიისთვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ცვლილებამ ორი მეზობელი ერი ერთმანეთს დააშორა და მათი განვითარების გზები გაჰყარა".*

*ივანე ჯავახიშვილი*

ყველაფრიდან ჩანს, რომ ისევე, როგორც ალბანეთში, სომხური ნაციონალისტური ძალები ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით მის სასაზღვრო რაიონებში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობას იყენებდნენ. სომხური მოსახლეობის არსებობა დადასტურებულია ქვემო ქართლში, ე. წ. გუგარქში, აგრეთვე, ჰერეთში, კერძოდ დაბა ცურტავში, სადაც ჰერეთის პიტიახშთა რეზიდენცია ყოფილა.

ქართველებისთვის, რასაკვირველია, ცხადი იყო, რომ სომხური ნაციონალისტური ძალები რელიგიურ ექსპანსიას თავიანთ დიდმპყრობელურ ეროვნულ მისწრაფებებს უხამებდნენ, ამიტომ პატრიოტულად განწყობილი საერო და სასულიერო ძალები ასევე ცდილობდნენ, რელიგიის საბურველში გახვეეული ნაციონალური ექსპანსიისთვის მტკიცე ბარიერები შეექმნათ. როგორც ცხადად იგრძნობა, მთელი V-VII საუკუნეების მანძილზე, მოკიდებული ქალკედონის კრებიდან (451 წ.), საქართველოში ერთპიროვნულად არასოდეს მიუღიათ სომეხთაგან აღიარებული და მათი მფარველობის ქვეშ მყოფი ქრისტეს ერთბუნებიანობა - მონოფიზიტობა. 506 წელს ქალაქ დვინში გამართულ კრებას საქართველოში არსებული 33 საეპისკოპოსოდან 24 დაესწრო. როგორც ჩანს, დანარჩენი 9 ქართველი ეპისკოპოსი არ იზიარებდა მონოფიზიტობას, არც სომხური ეკლესიის დიქტატს სცნობდა და არც კრებას დაესწრო. მოგვიანებით, სომხური ნაციონალისტური ძალებისა და მათ უკან მდგომი სპარსელი დამპყრობლების ძალდატანების კვალდაკვალ, ქართულ ეკლესიაში კიდევ უფრო გაიზარდა ანტიმონოფიზიტური მოძრაობა და ქართულმა პატრიოტულმა ძალებმა დაინახეს, რომ ეს ძალდატანება იმდენად რელიგიურ ინტერესებს არ ემსახურებოდა, რამდენადაც ქართველთა ეთნიკური გადაგვარების პირობებს ამზადებდა.

საქართველოში „მეხუთე კოლონის" როლს ასრულებდა მონოფიზიტობის ერთგული მიმდევარი მრევლი და სომხური სამღვდელოება. ამ

ორ ეკლესიას შორის აშკარა კონფლიქტიც დაბა ცურტავიდან დაიწყო, სადაც იყო საეპისკოპოსო კათედრა, ცხოვრობდა მრავალრიცხოვანი სომხური მოსახლეობა და მათ ეროვნულ-რელიგიურ შემჭიდროებას, ალბათ, დიდად უწყობდა ხელს წამებული შუშანიკ დედოფლის სამარტვილე, სადაც წირვა-ლოცვა მხოლოდ სომხურად ტარდებოდა. გაუგებარი კია სპარსელთა თვალწინ ანტისპარსული გამოხდომისათვის წამებული დედოფლის სამლოცველოს გახსნა და წირვა-ლოცვის გამართვა, მაგრამ, ეტყობა, სპარსოფილებმა აქაც გამონახეს დამპყრობელთან საერთო ენა.

VII საუკუნის დასაწყისში ცურტავის ეპისკოპოსად სომხური ეროვნების პირი მოსე ყოფილა. ეს ორივე მხრიდან გამონაკლისი შემთხვევა არ იყო. გავიხსენოთ, რომ იმჟამინდელი ქართლის კათალიკოსი კირიონი უფრო ადრე სომხეთში იყო ეპისკოპოსად.

კონფლიქტის მიზეზები, რაღა თქმა უნდა, დიდი ხნის მომწიფებული იყო, ქართულ ეკლესიას არ სურდა სომხური ეკლესიის დიქტატის ქვეშ ყოფნა, რაც არა მარტო შეურაცხმყოფელად მიაჩნდა, არამედ კარგად ხედავდა იმ საფრთხესაც, რასაც ეს დიქტატი უმზადებდა ქართველი ხალხის ეროვნულ თვითმყოფადობას. თავის მხრივ, სომხური დიასპორა საქართველოში და სომეხი სასულიერო პირები, ეტყობა, ყველანაირად ეძებდნენ საბაბს, რათა საბოლოოდ გაერკვიათ ურთიერთობა ქართულ ეკლესიასთან და კვლავ დაემორჩილებინათ იგი.

ეს მოხდა დაახლოებით 602-603 წელს. მოსე ცურტავის ეპისკოპოსმა ერთ მშვენიერ დღეს მიატოვა თავისი სამწყსო, სომხეთში გაიქცა და, ალბათ, თავისი მოქმედებისთვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა, სომეხთა კათალიკოსის მოადგილეს ვართანესს ზეპირი მოხსენება არ აკმარა და წერილობით აუხსნა თავისი ლტოლვილობის მიზეზი. ქართველთა შორის იმძლავრა ქალკედონიანობამო, - წერდა მოსე ცურტაველი, - კათალიკოსიც, მთავრობაც, ეპისკოპოსები და მრევლიც განუდგა სომეხთა სარწმუნოებას, მერე კი ხმა ავიმაღლე მათ წინააღმდეგ და საქართველოდანაც ამიტომ გამომაძევესო. დამსმენი ეპისკოპოსის ამ მონათხრობში ერთი ფრაზა იქცევს ყურადღებას, ჩემმა ამ მოქმედებამო - წერს, - ყველა მტრულად განაწყო ჩემდამი და საქართველოში აღარ დამედგომებოდაო. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ქართველ მრევლს, სამღვდელოებასა და ხელისუფლებას შორის სრული ერთობა ყოფილა რელიგიური ორიენტაციის საკითხში.

მოსე ცურტაველი, ეტყობა, ცოტა აზვიადებდა თავდადებას მონოფიზიტური სარწმუნოებისადმი. მას, როგორც ქართლის კათალიკოს კირიონის საპასუხო წერილიდან ჩანს, რაღაც „სულმდაბალი" მოქმედება ჩაუდენია, რისთვისაც კირიონ I თავისთან დაუბარებია დარიგებისა და შეგონებისათვის. მოსე ცურტაველმა ბოლოს აღიარა, რომ მართლაც იხმო კათალიკოსმა, მაგრამ თბილისში ჩასული 8 დღის მანძილზე ამაოდ ელოდა მიღებას; შემდეგ კათალიკოსი მცხეთას წასულა, ის კი სომხეთს გამგზავრებულა, როგორც დევნილი, „დახმარება უხთივია და ქართული ეკლესიის შინაურ საქმეებში სომეხთა ეკლესიის საჭეთმპყრობელის ჩარევა მოუწადინებია" (ივ ჯავახიშვილი). მოსე ცურტაველმა სომხეთში, როგორც ჩანს, დიდი ანტიქართული მოძრაობა წამოიწყო, ის არ დასჯერდა მარტოდენ კათალიკოსისადმი მიმართვას და ყველა შესაძლო შემთხვევას იყენებდა ქართველთაგან მისი დევნისა და სომხური სარწმუნოებისგან განდგომის დასამტკიცებლად, თანაც მოითხოვდა, სომეხ მღვდელთმთავრებს საპასუხო ღონისძიებები მიეღოთ. საპროტესტო წერილები მართლაც დაიწერა, მაგრამ მათი ქართლის კათალიკოსამდე მიტანა გაჭირდა, რადგან ვერა კაცმა ვერ გაბედა ამ წერილების კირიონ I-ისათვის გადაცემა. ეტყობა, მღვდელმთავარი იმაზე უფრო მრისხანე, ფიცხი და ამაყი კაცი იყო, ვიდრე მაღალი სასულიერო პირი წარმოგვიდგენია და მთელ ამ დავიდარაბაში, რაც „სულმდაბალ" მოქმედებაში შემჩნეულმა ცრუმეტყველმა მოსე ეპისკოპოსმა ატეხა, ქართველი კათალიკოსი კონფლიქტის დაფარულ არსსაც კარგად ხედავდა და ყოველნაირად ცდილობდა მოდავე მხარისთვის ეჩვენებინა, რომ ქართული ეკლესიისთვის უცხო ნების მოხვევა ერთობ ძნელი, სულაც შეუძლებელი საქმე იყო.

სომეხ მღვდელმთავართა ეპისტოლეებში, დვინიდან თბილისში რომ ლებულობდნენ, მრავალგზის და მეტისმეტი დაბეჯითებით კეთდებოდა აქცენტი სომეხ-ქართველ-ალბანელთა საერთო განმანათლებელ გრიგოლზე. ეს ლეგენდა კირიონ კათალიკოსსაც სჯეროდა, თუმცა მტკიცედ იდგა დამოუკიდებელ პოზიციაზე. „ჩვენი ორი ქვეყნის აღსარებაში, რომელიც სასწაულებრივი დაფუძნებით დამყარებული იქნა უცლის უშიშარი და გულადი მოღვაწის გრიგოლისგან, ახალსახეობა ნუ იქნება" - იწერებოდნენ სომხეთიდან. კირიონ კათალიკოსი, თავის მხრივ, დარწმუნებული იყო, რომ სომხურმა ეკლესიამ დიდი ხნის წინ გადაუხვია გრიგოლის გზას, ეზიარა „აბდლშ ასურისა და სხვათა მწვალებელთა" მოძღრებას და, რახან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლმა იერუსალიმში ისწავლა იესოს მოძღვრება, დაე, ჩვენი ეკლესიების დავაც იერუსალიმის პატრიარქმა გადაწყვიტოსო, ითხოვდა.

ამ დროს (606 წ.) სომხეთში ახალი კათალიკოსი აბრაამი აირჩიეს, რომელმაც თავისივე პირველ ეპისტოლეში კირიონს აქეთ დასდო ბრალი. - იერუსალიმის სარწმუნოებას ქართულმა და ყველა სხვა ეკლესიამ გადაუხვია, ჭეშმარიტი სარწმუნოების მიმდევრები მხოლოდ ჩვენ, სომხები დავრჩითო. მან გადაჭრით უარყო ქართლის კათალიკოსის მიერ შეთავაზებული გზა სალვთო საკითხების იერუსალიმის საპატრიარქოში გარჩევის შესახებ.

საპასუხო ეპისტოლეში კირიონმა, სრულიად სამართლიანად, გაკვირვება გამოთქვა: ეგ როგორლა არის, წმინდა მოციქულთა - პეტრეს, მარკოზის, ლუკას, იოანეს, იაკობის კათედრაზე მსხდომი ალექსანდრიის, ანტიოქიის, კონსტანტინეპოლის, იერუსალიმის ეკლესიათა მღვდელმთავრები, სხვა უამრავი ეპისკოპოსი, მეფე და მთავარი ჩვენს მართლმადიდებლობას (ე. ი. დიოფიზიტობას) მისდევენ, როგორ შეიძლება მათ გადავუდგეთ და მხოლოდ თქვენთან გვქონდეს ერთობაო? ქართლის კათალიკოსის პასუხი ერთობ დამაჯერებელი და არგუმენტირებული იყო. აბრაამ სომეხთა კათალიკოსს ისღა დარჩენოდა, კირიონისთვის დვინის 506 წლის საეკლესიო კრებაზე 24 ქართველი ეპისკოპოსის დასწრება და მათგან სომხური სარწმუნოების აღიარება შეეხსენებინა. ქართველ მღვდელმთავარს ამ ფაქტზე ლაპარაკი აშკარად არ სიამოვნებდა, თანაც მას შემდეგ ზუსტად ერთი საუკუნე იყო გასული, ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა და მოდავე მხარეს პასუხიც საკმაოდ დამაჯერებელი გასცა: რასაც თქვენ ბრძანებთ, ეგ ფაქტია, მაგრამ ჩვენ გვირჩევნია, იმ სარწმუნოებას მივდიოთ, რაც ჩვენი ეკლესიის დამაარსებლებმა იმ 24 ეპისკოპოსზე ადრე დაგვიწესესო.

რახან კირიონ კათალიკოსისთვის სიტყვის მოგება არც ისე ადვილი ჩანდა, სომეხმა მღვდელმთავარმა კამათი პოლიტიკურ ასპექტში გადაიტანა: რატომ უნდა ჰქონდეს მეფეთა მეფის (ე. ი. სპარსეთის შაჰის) ქვეშევრდომს სიყვარული და ერთობა სხვა სახელმწიფოსთან (ე. ი. ბიზანტიასთან) და მკვიდრ თანამორწმუნეებს (ე. ი. სომხებს) კი ჩამოშორდესო. კირიონისთვის, რაღა თქმა უნდა, თვით მისი ქვეყნის სპარსეთის ქვეშევრდომად ყოფნა დიდი ვერაფერი სასიამოვნო იქნებოდა, ახლა კი ამავე მოტივით საკუთარი რწმენის მიხედვით მოქმედებასაც უშლიდნენ. დვინიდან მოსულ ეპისტოლეში, ცოტა არ იყოს, მუქარაც იგრძნობოდა, ქართველ მღვდელმთავარს შეახსენებდნენ, რომ ის სპარსეთის ქვეშევრდომი ქვეყნის მოძღვარი იყო, იმ სარწმუნოების უარყოფა კი, რასაც მხარს უჭერდა სპარსეთი, ამბოხების ტოლფასი იქნებოდა და სასჯელიც შესაფერისი მოჰყვებოდა. სომხური ეკლესიის იმ წინამძღოლებს, ვინც ეგოდენ იდებდა თავს „მეფეთა მეფის“ ერთგულებაზე, რასაკვირველია, წარმოდგენაც არა ჰქონდათ, რომ სულ რაღაც ოციოდე წლის შემდგომ სპარსეთის დიდებას და მისი მეფეთა-მეფის ძალმოსილებას მტვრად აქცევდა სომეხთა ბიზანტიელი თვისტომი, დიდი ჰერაკლე კეისარი. ქართლის კათალიკოსისთვის სპარსეთის ქვეშევრდომობის ეს დელიკატური მინიშნება იმის მომასწავებელიც არის, რომ საქართველო მტკიცედ იყო დარაზმული თავისი მოძღვრის გარშემო და სომხურ დიასპორას, მიუხედავად მისი ცურტაველის ავანტიურისა, ბევრი არაფრის გაკეთება შეეძლო. კირიონი აშკარად არ იყო ის კაცი, ვისაც ალბანთა კათალიკოს ბაკურ-ნერსესივით დაბორკილს გაუგზავნიდნენ ხოსრო სპარსთა „მეფეთა მეფეს“, და არც საქართველოში მოიძებნებოდა მოღალატეთა ისეთი დასი, რომელიც ალტაცებას გამოხატავდა თავისი კათალიკოსის დამცირების გამო, როგორც შემდეგ ალბანეთში გააკეთეს. მას ერთადერთი გზა რჩებოდა - ქართლის კათალიკოსი და მთლიანად საქართველო ხოსრო სპარსთა მეფესთან დაესმინათ - საქართველოში „ვითარმედ ჰრომთა უპყრია სარწმუნოება“-ო (არსენ დიდი), მაგრამ, საბედნიეროდ, სპარსთა მეფე ტოლერანტულად განწყობილი კაცი იყო, მას მთელ თავის იმპერიაში სარწმუნოებრივი აღმსარებლობის თავისუფლება ჰქონდა გამოცხადებული, რაც, დასმენის მონაწილეებს ეტყობა, მხედველობიდან გამორჩათ. სამაგიეროდ, კირიონ კათალიკოსმა შეახსენა დახვეწილი დიპლომატიური მოქნილობით: ეხლა უფრო ბედნიერნი ვართ, ვინც მეფეთა-მეფის ქვეშევრდომად ვიქეცით, რადგან მას შემდგომ, რაც ცა და ქვეყანა არსებობს, არც ერთი მბრძანებელი არ ყოფილა, რომელსაც მეფეთა მეფესავით ყველა ხალხისთვის თავისი სარწმუნოებრივი აღსარების უფლება მიეცეს... მეფეთა მეფე რომაელთა (ე. ი. დიოფიზიტთა) ისეთივე მბრძანებელია, როგორც არიელობისაო (ე. ი. მონოფიზიტებისა).

კათალიკოსი კირიონი მარტო სომეხ მღვდელმთავრებთან კამათით არ შემოფარგლულა; მან დისკუსიას საერთაშორისო-საეკლესიო რეზონანსი მისცა, წერილები დაუგზავნა სხვა ეკლესიათა მეთაურებს, მათ შორის, რომის პაპს გრიგოლ დიდს. მის მიმართვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება და მხარდაჭერა მოჰყვა. სომეხ და ქართველ მღვდელმთავართა მიმოწერის ტონი თანდათან უფრო გამომწვევი და მკვეთრი ხდებოდა, კამათმა გამოამჟღავნა მის სიღრმეში მიჩქმალული ეროვნული შინაარსი და უკვე ღვთისმსახურების ენას შეეხო. აბრაამ კათალიკოსი დიდ გულისწყრომას გამოთქვამდა, გავიგე ცურტავში, წმინდა შუშანიკის სახელობის ეკლესიაში სომხური წირვა-ლოცვა აგიკრძალავს და მრევლსაც აიძულებ თქვენი სარწმუნოება აღიარონო - ესაო, - ჯავრობდა კათალიკოსი, - სიკვდილზე უფრო უბოროტეს საქმედ მიმაჩნიაო. ქართლის კათალიკოსს წერილი მოუვიდა სომხეთის საერო ხელისუფალთაგანაც, კერძოდ სმბატ მარზპანი სწერდა, ცურტავში სომხური წირვა-ლოცვის მოშლით მტრობას სთესავო. კირიონ კათალიკოსმა ისევ დიპლომატური პასუხი გასცა: ჩვენ ცურტავში სომხური წირვა-ლოცვა არ მოგვისპია, არამედ ეპისკოპოსმა, ვინც მოსეს ნაცვლად დავადგინეთ, ქართულიც იცის და სომხურიც, ღვთისმსახურებაც ორივე ენაზე შეუძლიაო. ამაზე გაქცეულმა მოსე ცურტაველმა გამოიღო თავი და ამტკიცებდა, ახალმა ეპისკოპოსმა არც ქართული იცის წესიერად და არც სომხურიო.

ივანე ჯავახიშვილი თვლის, რომ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად კირიონს ცურტავის ეპისკოპოსად არც ქართველი და არც სომეხი სამღვდელლო პირი არ დაუნიშნავს; ახალი ეპისკოპოსი სპარსული თუ ასურული წარმომავლობისა ყოფილა, რამაც მოსე ცურტაველს მისი ქართული და სომხური ენების უცოდინრობაში მხილების საბაბი მისცა.

დისკუსიამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ რომელიმე მხრიდან დათმობა ან რაიმე შუალედური პოზიციის მოძებნა შეუძლებელი ჩანდა. სომეხი მღვდელმთავრები იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ან თავის სარწმუნოებაზე უნდა გადაეყვანათ ქართველები, ან საბოლოოდ მტრულად გათიშვოდნენ ქართულ ეკლესიას. თავის მხრივ, კირიონ კათალიკოსიც არ აპირებდა დათმობას და თავის რწმენაზე იდგა, თანაც, სომეხთა პრეტენზიებით ერთობ თავმობეზრებულს, დისკუსიის შეწყვეტა სურდა და მისწერა კიდეც აბრაამ კათალიკოსს: თუ ჩვენთან მშვიდობით ცხოვრება გინდათ, ამისთვის მზადა ვართ, ხოლო თუ კვლავ თქვენსაზე დგახართ, გთხოვთ, მეტად ნუღარ შეწუხდებით და ნუღარც წერილს მოიწერთო. ერთი ეგ არის, შეიძლება ოდესმე ღმერთმა იერუსალიმს წასვლა მაღირსოს, მაშინ მომიწევს თქვენს ქვეყანაზე გავლა, სხვა რამ საერთო თქვენთან აღარა მაქვსო. აბრაამ კათალიკოსიც მიხვდა, რომ ქართველთა სომხური ეკლესიის წიაღში დაბრუნების მცდელობა უსარგებლო საქმე იყო, კირიონთან მიწერ-მოწერა შეწყვიტა, სამაგიეროდ, 607 წელს გამოსცა თავისი ავადსახსენებელი ეპისტოლე, რომლითაც დასწყევლა ქართველები და სომხებს უბრძანა: არავითარი საერთო არ ჰქონოდათ მათთან „არც ლოცვაში, არც ჭამა-სმაში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში, მცხეთისა და მანგლისის ჯვრებში სალოცავად აღარ გამგზავრებულიყვნენ, არც თავის ეკლესიებში შეეშვათ ქართველები, არც ჯვარი დაეწერათ ერთმანეთში". ნებადართული იყო მხოლოდ ყიდვა-გაყიდვა, როგორც ებრაელებთან, ალბანური წარმოშობის არმენოფილი ისტორიკოსი მოსე კალანკატუელი გვაუწყებს, რომ აბრაამმა ყველას გაუგზავნა ცირკულიარები და განაძევა ის (კირიონი) სულიერი ხმლით.

მის უწმინდესობას, კირიონ I თავისი სომეხი მეტოქის მიერ „სულიერი ხმლით" გუძევება, ალბათ, დიდად არ განუცდია, რადგან დაკარგული ჰქონდა იმედი, რომ სომხურ ეკლესიასთან ოდესმე საერთოს გამონახავდა. საბედნიეროდ, სომეხ ხალხსაც ბოლომდე არ შეუსმენია თავისი მღვდელმთავრის მრისხანე შეგონებანი, არც მისი აკრძალვები განუხორციელებია, მაგრამ იმ ავბედითი მოწოდების რეციდივები საუკუნეთა განმავლობაში ამღვრევდა ორივე ხალხის გონებას და დღემდე დამღუპველ კინკლაობაში, ურთიერთპრეტენზიებსა და არაკეთილმოსურნე დისკუსიებში იჩენს თავს.

სომეხ-ქართველთა შორის რელიგიური დავა შემდგომ საუკუნეებშიც გაგრძელდა. ერთი ასეთი დიდი დისკუსია გამართულა დავით აღმაშენებლის დროს, ოდეს „შემოკრბა... წინაშე მეფისა ნათესავი გულარძნილი ყოვლად ბოროტთა სომეხთა, ეპისკოპოსები და მონასტერთა მათთა წინამძღვრები მრავალი ფრიად". დისკუსიის პირობაც მეტად პრინციპული იყო: თუ სომხები დამარცხდებოდნენ, თავისი სჯული უნდა შეეჩვენებინათ, ხოლო თუ გაიმარჯვებდნენ, ქართველებისგან მოითხოვდნენ, „რათა არღა გვიწოდდეთო მწვალებლად და არც შეგვაჩვენებდეთ". დისკუსიაში მონაწილეობდნენ საქართველოს კათალიკოსი იოანე, არსენ იყალთოელი, სხვა მრავალი მეუდაბნოე, მთარგმნელი და სჯულის მეცნიერი. საეკლესიო დავას ესწრებოდა თვით მეფე დავითი. დისკუსია მრავალ დღეს გაგრძელდა „ცისკარითგან ვიდრე ცხრა ჟამამდე", მაგრამ ვერც ერთმა მხარემ წარმატებას ვერ მიაღწია, „რამეთუ შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა". ბოლოს და ბოლოს, მეფეს თავი მობე-

ეროვნული
დავით მჭედლუ[illegible]



ზრა ამ უთავბოლო კამათმა, „შეეწყინა“ და წმინდა მამებს, ცოტა არ იყოს, ირონიულად მიმართა: თქვენ ისეთ ფილოსოფიურ სიღრმეებში შესულხართ, რომ ეგ მხოლოდ თქვენთვის არის საცნაური, მე კი „შორს ვარ სწავლულობასა და მეცნიერებასა, ვითარცა მჴედრობასა შინა აღზრდილი“, ამიტომ „მარტივი და ლიტონი სიტყვით“ გეტყვით ჩემს სათქმელსო. ამ თავმდაბლური განცხადების შემდეგ დავით მეფემ ისეთი ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა, იმდენი საბუთი და „აფსანა საკვირველი წარმოადგინა“ სადავო საკითხებზე, რომ მსმენელი უპასუხო ყვნა და ყოვლად „უსიტყუელ“. ბოლოს, დისკუსიის მონაწილე სომეხი საეკლესიო მოღვაწენი ცნობას მოვიდნენ და ალტაცებულებმა საქართველოს მეფეს ერთხმად შესძახეს: „ჩვენ მეფეო, მოწაფე გვეგონე ამა მოძღვართა თქვენთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ რომე ხარ მოძღვარი მოძღვართა, რომელისა ბარჭალსა ვერ მიმწვდარ არიან ეგე მოძღვარ საგონებელნი თქვენნი“. სომეხ სტუმრებს ისღა დარჩენოდათ, დამარცხება ეღიარებინათ, მაგრამ პირობა რატომღაც არ შეასრულეს, თავისი სჯული არ შეუჩვენებიათ.

დიდი დისკუსია გაიმართა, აგრეთვე, თამარ მეფის დროს, რომლის ინიციატორები იყვნენ ზაქარია და ივანე მხარგრძელ[illegible] დისკუსიაც ასევე ქართველთა გამარჯვებით დასრულდა, ოღონდ მეფის ჩარევის გარეშე (იხ. თავი „ეროვნული იდეის კრიზისი XII ს-ში“, „ცისკარი“ №9, 1998)

სამწუხაროდ, სომხური ეკლესიის მხრიდან რელიგიურ ნიადაგზე ქართული მოსახლეობის ასიმილაციის, ანუ „გასომხების“ მცდელობა მომავალ საუკუნეებში, თვით XIX საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა და ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში ჩვენს საუკუნეშიც იჩენს თავს. ქართველი და სომეხი ხალხების, კავკასიის ორი ქრისტიანი ერის მომავლისთვის, რაღა თქმა უნდა, გაცილებით უკეთესია, დაივიწყონ დოგმატური მიზეზები, უსარგებლო ურთიერთპრეტენზიები და ძმურად ამოუდგნენ ერთმანეთს გვერდით.

## ეროვნული იდეის გადარჩენა

სომეხ-ქართველთა საეკლესიო განყოფის შემდეგ მსოფლიო მოვლენები მეტისმეტი ცვალებადობით განვითარდა. ბიზანტია თანდათანობით დაცემის გზაზე დადგა, თუმცა მისი მზე ერთხელ კიდევ ამობრწყინდა ჰერაკლე კეისრის დროს. ჰერაკლე 575 წელს დაიბადა კაბადოკიაში, მონოფიზიტი სასულიერო მოღვაწის ოჯახში, როგორც ამტკიცებენ, იგი წარმოშობით სომეხი იყო. მოგვიანებით ჰერაკლეს მამა კართაგენის ეგზარქოსად დააუნიშნავთ. 610 წელს დაიწყო აჯანყება კეისარ ფოკას წინააღმდეგ, აჯანყების ერთ-ერთი მოთავე იყო ჰერაკლეს მამა, კართაგენის ეგზარქოსი. ჰერაკლე, რომელსაც ამ დროისათვის უკვე გამოცდილი სამხედროს სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, დიდი ფლოტით მოადგა კონსტანტინეპოლს. აჯანყებულებმა ფოკა სიკვდილით დასაჯეს და ბიზანტიის კეისრის ტახტზე ჰერაკლე აიყვანეს. უზურპატორმა კეისარმა უმნიშვნელოვანესი სამხედრო-ადმინისტაციული ღონისძიებები გაატარა და იმპერია სწრაფად დააყენა ფეხზე.

ჰერაკლემ უპირველეს საგარეო ამოცანად დაისახა სპარსეთის განადგურება და აღმოსავლეთ პროვინციებში კონსტანტინეპოლის ძალაუფლების აღდგენა. ბიზანტიის კეისარმა 627-28 წლებში მოაწყო აღმოსავლური ლაშქრობები. 627 წლის ზაფხულში ჰერაკლე, როგორც სპარსეთის ქვეშევრდომ ქვეყანაში, საქართველოში შემოიჭრა. თბილისში ბიზანტიელები დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ ქართლის ერთმთავრის სტეფანოზისა და მისი სპარსელი მხარდამჭერების მხრიდან. ბოლოს კეისარმა ქვედა ქალაქი აიღო, მხოლოდ კალას ციხეში გამაგრებულ მეციხოვნეებს ვერაფერი მოუხერხა. უფრო მეტიც, ერთ დღეს კალას ციხისთავი გალავანზე გამოდგა, კეისარს ლანძღვა დაუწყო და სხვათა შორის ჩამოსძახა: „ვაცისა წუერნი გსხენ და ვაც-ბოტისა კისერი გითქს“. ჰერაკლეს, ეტყობა, იუმორის გრძნობა ჰქონდა, გაეცინა და მხლებელს უთხრა – ამ კაცმა რომ ვაც-ბოტი მიწოდა „არ არს ცუდ სიტყვა მისი“. იმავ წუთს თავისი მწიგნობარიც მიეახლა და დანიელის წინასწარმეტყველება აჩვენა, სადაც სიტყვა-სიტყვით ეწერა: „გამოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსრნეს რქანი ვერძისა აღმოსავლეთისანი“. ჰერაკლე კეისარს მთელი ეს ამბავი კეთილად ენიშნა, კალას ციხის მოალყეედ ერისთავი ჯიბღუ დატოვა, თავად კი დაუყოვნებლივ აღმოსავლეთის ვერძის – სპარსეთის შაჰის ხოსრო II-ის შესამუსრავად გაეშურა.

ჯიბღუ ერისთავმა აიღო კალას ციხე; ენამახვილი ციხისთავი შეიპყრეს, ბიზანტიელი სარდლის ბრძანებით ჯერ ოქროებით გაუვსეს პირი – აქაოდა, კეისარს ბიბლიური წინასწარმეტყველება აუხდაო, შემდეგ კი იმავე კეისრის შეურაცხყოფისთვის ცოცხლად გაატყავეს და მისი ტყავი ურჯუკმა ერისთავმა ჰერაკლე კე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისარს გარდაბანში დააწია.

იმავე 627 წლის 12 დეკემბერს დასავლეთის „ვაცი“ და აღმოსავლეთის ვერძი ერთმანეთს შეხვდნენ უძველეს ქალაქ ნინევიის ნანგრევებთან. სისხლისმღვრელი ბრძოლა სპარს-ბიზანტიელთა არმიებს შორის სპარსთა სასტიკი მარცხით დამთავრდა. კეისარი სპარსეთის დედაქალაქ ქტესიფონისაკენ დაიძრა, მაგრამ დამარცხებული ხოსრო მეორე თავისმა ძემ კავადმა მოკლა და სეპარატისტული ზავი შეკრა ბიზანტიელებთან.

საქართველოში მოსვლამდე ჰერაკლემ დაიპყრო სომხეთი; მემატიანის სიტყვით, დიდად „დაღონდა“, როცა იქ მწვალებლური წიგნები და სარწმუნოება იხილა. ვინც ნებით მოიქცა ბერძენთა რჯულზე, აპატია, ვინც არა, ამოჟლიტა და ეკლესიებში „სისხლის რუები დააყენა“. სამწუხაროდ, ბიზანტიელთა გამარჯვებებს დიდი დღე არ ეწერა, 630 წლიდან ქვეყნად გამოჩნდნენ არაბი დამპყრობლები, მათ რამდენჯერმე დაამარცხეს ჰერაკლე კეისარი სირიასა და ეგვიპტეში, 640 წელს კი სომხეთის დედაქალაქი დვინი აიღეს და მორწმუნე სომეხ მონოფიზიტებსაც ისევ თავის რწმენაზე დაბრუნების საშუალება მიეცათ, რადგან არაბებისთვის ქრისტეს ბუნების საკითხს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. მალე, 641 წელს კეისარი ჰერაკლეც მიიცვალა, მაგრამ ბიზანტია კვლავ რჩებოდა ქრისტიანული სამყაროს ცენტრად და ორიენტირად, მისი სამხედრო დამარცხებები ამ როლს ვერ ამცირებდა და ქართული ეკლესიაც არაბთა საქართველოში შემოჭრისას (641-642 წ.) კვლავ კონსტანტინეპოლის ერთგული იყო.

სომეხთა რელიგიურ-ნაციონალური აგრესიის მოგერიებაში, სომხური ქრისტოლოგიური დოგმატიდან თავის დაღწევისა და კვლავ ბერძნული ეკლესიისაკენ მიქცევაში მთავარი მებრძოლი იყო დიდი მამულიშვილი და საეკლესიო მოღვაწე კათალიკოსი კირიონ პირველი.

ამ კაცის სახელი და ღვაწლი შორეული ისტორიის წიაღში, საუკუნეთა სიღრმეში დანთქმულა და სპეციალისტების გარდა ცოტამ თუ იცის, რაოდენი ღვაწლი დასდო მისმა უწმინდესობამ ქართული ენის, სარწმუნოების, ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გადარჩენას. რაღაც პერიოდში იგი არა მარტო საქართველოს სულიერი მოძღვარი ჩანს, არამედ საერო წინამძღოლის როლიც აკისრია. საქართველოში უმძიმესი სიტუაციაა: გაუქმებულია მეფობა, საერო ხელისუფლება, ერისმთავარი, მეთაურობა უნდა თუ არა, სპარსეთზეა ორიენტირებული, ქართველთა ქვეყნის პოლიტიკური საქმეები სპარსეთის „მეფეთმეფის“ კარზე განიხილება და წყდება, ხოსრო II-ის ტოლერანტული განწყობილების გამო რელიგიური აღმსარებლობა თავისუფალია და კირიონ კათალიკოსი კარგად სარგებლობს ამით, იწყებს ქართული ეკლესიის გამოცალკევებას სომხური ნაციონალ-ასიმილატორული ეკლესიისაგან, რასაც მოჰყვება მწვავე საეკლესიო დისკუსია და „განყოფა“.

ჩანს, რომ კირიონი, ამაყი, მრისხანე, ფიცხი ბუნების კაცი იყო, ადვილად ვერავინ მიეკარებოდა და ვერც სიტყვას შებედავდა; ეტყობა, მისადმი ამ მოკრძალებას კათალიკოსის კაცური და ინტელექტუალური ძალმოსილება, სიდარბაისლე და სიბრძნე განაპირობებდა.

მეშვიდე საუკუნის დასაწყისში კირიონ I თავის ხალხს მოევლინა ჭეშმარიტ წინამძღოლად - გადაჭრით უარყო ქართული ეკლესიის კავშირი მთელი მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიებისაგან უარყოფილი ქრისტოლოგიური დოგმატის ერთგულ სომხურ ეკლესიასთან, მაგრამ ქრისტოლოგიურ დოგმატს აქ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. კირიონი, რომელსაც თავად ემსახურა სომხეთში, კარგად იცნობდა სომხური ნაციონალისტური წრეების დიდმპყრობელურ მიზნებს, რომელთაც მოხერხებულად ფარავდნენ რელიგიური საფარველით; იცოდა, რომ დამპყრობელი სპარსეთისა და არაბების ქვეშევრდომ სომხურ ეკლესიასთან კავშირი თანაბარი ვერ იქნებოდა. სომხური ეკლესია, როგორც დამპყრობელთაგან კავკასიაში პრიორიტეტულად აღიარებული, უმალ გაბატონდებოდა ქართულ ეკლესიაზე, ჩაახშობდა ქართულ კულტურას, მწიგნობრობას, ეროვნულ სულს, გააბატონებდა თავის ენას, კულტურას, რაც შექმნიდა ქართველთა ასიმილაციისთვის ხელსაყრელ პირობას, მოხდებოდა ის, რაც მოხდა ალბანეთში.

საქართველოში დავიწყებულია კირიონ კათალიკოსის ღვაწლი და სახელი, სახელი იმ კაცისა, ვინც ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე თავის თანამებრძოლებთან და თანამოაზრეებთან ერთად იხსნა ქართული ეროვნული იდეა, საქართველო არ მოსწყვიტა დასავლეთს და მსოფლიოს მართლმადიდებლურ სამყაროს, მას არ უდგას ძეგლი, არც მისი პოლემიკური ხელოვნების ნიმუშები „ეპისტოლეებია“ ცალკე გამოცემული.

დაე, შეგვინდოს მისი უწმინდესობის დიადმა სულმა ეს უმადურობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


სომხურ ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტასა და მისი დიქტატისგან თავის დაღწევას, მიუხედავად არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარებისა, ერთბაშად მოჰყვა ქართული კულტურის დიდი აღმავლობა. ქართველთა ეროვნულმა გონმა თითქოს უეცრად გამოიღვიძა და მთელი თავისი შესაძლებლობებით ამუშავდა. კორნელი კეკელიძე წერდა: „...შეიძლება ითქვას, რომ თვით კლასიკურ ხანაშიც ვერ ვხედავთ ჩვენ ორიგინალური საეკლესიო მწერლობის ისეთ მძლავრ ზრდა-განვითარებას, როგორც VIII-X საუკუნეებში. ამ პერიოდში შემუშავდა, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალური აგიოგრაფია, დაიწერა ცხოვრებანი ქართველ ეროვნულ წმინდანთა, რომელნიც მეათე საუკუნემდე მოღვაწეობდნენ... აგიოგრაფიასთან ერთად შემუშავდა ეროვნული ეორტოლოგიაც, დაწესებულ იქნა წმინდა ქართული დღესასწაულები ეროვნული წმინდანებისა, იწყება მთელი რელიგიურ-კულტურული წარსულის გადაფასება, დგება საეკლესიო მშენებლობათა და მთარგმნელობითი საქმიანობის ეპოქა, ქართლის ცხოვრების ქრონიკების შეკრების, ქართველთა დავიწყებული წარსულის გახსენების ეპოქა. ქართულ ცნობიერებაში კვლავ აღდგება დავიწყებული სახე მოციქულთა სწორისა, ქართული პატრიოტული ძალები ცდილობენ არა მარტო მეხსიერებიდან, უპირველესად წიგნებიდან ამოშალონ სომეხთა რელიგიურ-ნაციონალური ექსპანსიის კვალი. იწყება სასულიერო ლიტერატურის უშუალოდ ბერძნულიდან თარგმნა, საეკლესიო მშენებლობის მთავარი პოლიგონი გადატანილია სამხრეთში, ტაო-კლარჯეთში, რათა იქ, სასაზღვრო და სადავო მხარეებში განმტკიცდეს ქართული ეკლესიის გავლენა, გავრცელდეს ქართული ენა და კულტურა. ტაო-კლარჯეთში ოდითგანვე შერეული ქართულ-სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა, მაგრამ იქ მოსახლე სომხები „ბერძნულ სარწმუნოებას“ ანუ დიოფიზიტობას მისდევდნენ და ქართველთა ერთმორწმუნეები იყვნენ. ტაო ერთხანს სომხეთის სახელმწიფოშიც შედიოდა, მაგრამ სპარსთა შემოსევის შემდეგ ჩამოსცილდა მას და ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოექცა. ახლა კი ქართველებმა მიზნად დაისახეს ამ მხარეთა კვლავ ქართულ სამყაროში დაბრუნება, იქ რაღაც ისეთს მიაგნეს, რაშიც ქართული ეროვნული მუხტი იყო ჩაბუდებული და ამ მუხტის გაძლიერებამ ბიძგი მისცა საქართველოს გაერთიანებას.

ქართველი ერის წიაღში იღვიძებს დიდი ეროვნული ენერგია და მწიფდება ახალი ეროვნული იდეა, იდეა „ყოველთა ქართველთა“ შეკრებისა და მათი ერთ ქვეყნად - საქართველოდ გაერთიანების შესახებ.“

## ღვთისმშობლის წილხვდომილი

ყოველი უძველესი ერი რომელიმე მესიანისტურ იდეას ეფუძნება, რომელსაც თავისი არსებობის მუხტად აქცევს, თავისი სულიერი და ფიზიკური არსებობის საძირკველში სდებს; უფრთხილდება, უწყვეტად აგრძელებს ისტორიის ჯაჭვს და მისი ყოველი რგოლი როგორღაც მთავარ ეროვნულ იდეალთან არის დაკავშირებული.

გადაივლიან დამანგრეველი ქარიშხლები, სისხლიანი ეპოქები, საუკუნეები, დამპყრობელთა თარეში გადათქერავს ყოველივე მატერიალურს, დააქცევს ქალაქებსა და სოფლებს, ტაძრებსა და სასახლეებს, მაგრამ ვერაფერი ამოძირკვავს ერის სულიერ საწყისებში ჩაბუდებულ ეროვნულ იდეას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ზოგჯერ ზედაპირზე ფეთქავს, ძნელბედობისას სიღრმეში ჩაეშვება და მაინც ცოცხლობს, არსებობს, კვებავს ჩვენს ყოფიერებას, შემეცნებას, გონსა და ენერგიას. სამწუხაროდ, ჩვენ ყოველთვის არ ძალგვიძს უმთავრესი ეროვნული იდეის ბოლომდე აღქმა და შემეცნება, ჩვენს ბუნებაში ის როგორღაც გაუცნობიერებლად არსებობს და მისი მუდმივი მატარებელი მხოლოდ ცალკეული პიროვნებანი არიან.

ქართული ეროვნული ცნობიერება ვერ დაეფუძნა დიად მესიანისტურ იდეას და მხოლოდ ფეტიშად ქცეულ „ღვთისმშობლის წილხვედრილობას“ ემყარება, რომელიც თავისი არსით არ არის იმდენად ყოვლისმომცველი, რომ აქტიური მოძრაობისაკენ გვიბიძგოს. მას პასიური, მფარველობითი ხასიათი აქვს და უფრო რელიგიურ ელფერს ატარებს, ვიდრე საეროს. თავად ეს წილხვედრილობაც ხომ არშემდგარი აქტია, ამდენად, მას არ შეიძლება ჰქონდეს ერის შინაგანი ძალების ამოქმედების დიდი უნარი და ეროვნული ხერხემლის ეს სისუსტე ყოველი ისტორიული განსაცდელის ჟამს საბედისწერო შედეგებით იჩენს თავს.

ქართველთა მესიანისტური იდეა სათავეს არ იღებს ისტორიის შორეული სიღრმეებიდან და მხოლოდ ქრისტიანული ეპოქის სათავეებიდან მომდინარეობს. ლაპარაკია იმაზე, რომ მოციქულთა ეპოქაში იბერიის მოქცევა წილად ხვდა თავად ღვთისმშობელს, მაგრამ მან აქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდე ვერ ჩამოაღწია და იონიის ქალაქ ეფესში გარდაიცვალა, თუმცა ღვთისმშობლის მფარველი კალთა ვინძლო მართლაც ეფინოს იბერთა მოდგმას, მაგრამ თავისი შინაარსით ეს იდეა, ანუ ჩვენი ეროვნული ცნობიერების უმთავრესი მუხტი არა ერის შინაგანი ძალების რწმენას, არამედ მფარველ ძალას ეფუძნება, თუმცა ეს მფარველი ძალა ერთობ დიადი - შემაძრწუნებლად დიადიც კია, მაგრამ, როცა საქართველოს გაერთიანების ჟამი დადგა, როცა ჩვენი ეროვნული სიმწიფე სრულყოფილებას, ანუ ეროვნული ერთიანობის გრძნობას მიუახლოვდა, რელიგიურ-მფარველობითი იდეის გვერდით ჩნდება წმინდა საერო ხასიათის იდეა და იგი მეხსიერების წყვდიადში აღმოჩენილ ფარნავაზის ლეგენდარულ ეპოქას ეფუძნება. ეს იდეა არა ოდენ ქრისტიანულ სამყაროში ღირსეული ადგილის პყრობის, არამედ ეროვნული თვითმყოფადობის დაფუძნების აუცილებლობაა, ქართველთა შეგნებაში იმის ჩანერგვა, რომ საქართველოში აღარ უნდა იზრახებოდეს სხვა ენა ქართულის გარდა, რომ მეზობელ ტომთა და ხალხთა მოძალებას საზღვარი უნდა დაედოს და ქართულმა ეთნოსმა უნდა შექმნას საკუთარი სახელმწიფო, ენა, კულტურა...

ეს არის ეროვნული იდეა, მაგრამ არა მესიანისტური; იგი, ვითარებიდან გამომდინარე, მძლავრი ნახტომია მომავლისაკენ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ნამდვილად იყო თუ არა მეფე ფარნავაზი და მისი ეპოქა. ადვილი შესაძლებელია ეს ყოველივე ლეგენდა ან მომდევნო საუკუნეების მწერალ-ისტორიკოსთა გამონაგონია, მაგრამ მის ნამდვილობაში ეჭვი იმიტომ არ შეაქვთ, რომ ქვეყანას სურს, თავის ისტორიაში ჰქონდეს იმგვარი ბრწყინვალე ნიშანსვეტი და ეროვნული გამოღვიძების დრო რაც შეიძლება შორს გადასწიოს. ეს რენესანსული სულის ქროლვაა და შორეულ ეპოქებში ეროვნული იდეების ძიებაც ქართული რენესანსის გარიჟრაჟზე, საქართველოს გაერთიანების წინა პერიოდში იწყება. ეს იდეა „მუშაობს“ აგერ რამდენი საუკუნეა. იდეის მამამთავარმა იცის, რომ საქართველო არაერთგვაროვანია, ლიხის მთას საბედისწეროდ გაუყვია ისედაც პატარა ქვეყნის მიწა-წყალი, ლიხთიქითური საქართველო არა ჰგავს ლიხთაქეთურს; იქ მუდამ დასავლური, ძველი, ხმელთაშუაზღვისპირული ცივილიზაციის სული ტრიალებს. იქაური მხარეები საუკუნეთა განმავლობაში რომაულ-ბიზანტიური გავლენის არეალში იყვნენ მოქცეული, ევრაზიის საზღვარიც, მაშინდელი წარმოდგენით, სადღაც აქვე, მდინარე ფაზისზე გადის (უფრო სწორი კი იქნებოდა იმ საზღვრად ლიხის ქედი ეღიარებინათ), ლიხთიქეთური მდინარეებიც კი დასავლეთისკენ მიედინებიან, სხვანაირია იქაური ხალხის ბუნება, ცხოვრების წესი დიალექტები და ცალკე ენებიც კი (მეგრული, სვანური) არსებობს. მათი საერთო ქართველური ძირები მხოლოდ მეცნიერთა ინტერესის სფეროს განეკუთვნება, სხვა კუთხეთა უბრალო ადამიანებს, სამწუხაროდ, ამ ენების გაგება არ შეუძლიათ. ლიხთაქეთური საქართველო კი, ოდითგან აღმოსავლეთის ორომტრიალში იყო ჩაბმული, ამ ხალხის კუთხური თავისებურები არცთუ დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან და თითქოს ბუნებას უნებებია მისი დასავლეთისაგან გამოცალკევება; ეს ტიპური აზიური მხარეა და ძირითადად აზიის ქვეყნებისაკენ არის მზერამიმართული, იქაური მოვლენები თავის კვალს აჩნევენ აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიას, სახელმწიფოებრიობას, ხალხის ბუნებასა და ცხოვრების წესს, კულტურასა და ზნეობას... ლიხთაქეთური მდინარეებიც კი აღმოსავლეთისაკენ მიდიან და ბოლოს აღმოსავლეთის სამყაროში გამომწყვდეულ კასპიის ზღვას ერთვიან.

...და იდეის ბრძენ მამამთავარს ასპარეზზე გამოჰყავს ოდიშის ასევე ლეგენდარული მეფე ქუჯი, რომელიც უპირობოდ აღიარებს აღმოსავლეთის მეფის უზენაესობას და ქვეშევრდომობას უცხადებს ფარნავაზს. იდეის ავტორმა იცის, რომ ერთიან სამშობლოს მთავარი დარტყმა აღმოსავლეთიდან ემუქრება, სადაც სახიფათოდ წამომართულა სპარს-სომეხ აგრესორთა აჩრდილი და ქვეყნის პირველი პირი, მისი გამაერთიანებელიც აღმოსავლეთის მეფე უნდა იყოს, რომელიც, უპირველესად, იმისთვის იზრუნებს, რომ მის სამეფოში, „არღარა იზრახებოდეს სხვა ენა ქართულისა გარდა“, მაგრამ ეს არ ეხება მეგრულ-სვანურ-ჭანურს - რომელიც იმ ეპოქაში, ალბათ, უფრო ახლო იყო ძირეულ ქართულთან, ვიდრე დღეს არის. ყოველ შემთხვევაში, იმდროინდელ ქართველთა ცნობიერებაში ენობრივ-დიალექტური განსხვავებანი არავითარ ბარიერს არ ქმნის ერთობისათვის და ვიდრე გვიან ფეოდალურ ეპოქამდე ქართული მოდგმის ყველა ტომისთვის არსებობს ერთი ეთნიკური ცნება - ქართველი. ცნობიერების დასნებოვნება ტომობრივ-კუთხური პარტიკულარიზმით მხოლოდ ქართული სახელმწიფოს კრიზისის ჟამს ხდება და საერთოდ ამ მოვლენის აქტივობა სახელმწიფოებრივი სისუსტის უტყუარი მაჩვენებელია. იდეის ბრძენი ავტორი უფრო შორს მიდის და ერთიანი ქართული ენისა და სახელმწიფოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობას ისეთ კულტურულ მონაპოვარზე აფუძნებს, როგორიც დამწერლობაა.

მართალია, ეს ყველაფერი ლეგენდების სფეროს და პატრიოტულ პათოსს ვერ გასცილდება, სანამ არ აღმოჩნდება ფარნავაზის დროინდელი, ანუ ძველი წ. ა. III საუკუნის ქართული ანბანით დაწერილი თუნდაც ერთი სიტყვა, მაგრამ რწმენა, რომ ქართველმა ხალხმა სწორედ იმ ეპოქაში შექმნა დამწერლობა და გააერთიანა თავისი მიწა-წყალი, თავისი ძალმოსილებითა და ცხოველმყოფელობით უახლოვდება მესიანისტურ იდეას. ამ იდეაზეა აღმოცენებული ყველაზე უფრო რომანტიკული მისწრაფებები და ოცნებები, შემთხვევითი არ არის XIX საუკუნის რომანტიკოსის შეძახილიც:

*შენ ჰე, ფარნავაზ, ჰქმენ ერთმთავრობა,*
*შენ მიეც ქართველს წიგნი პირველი.*

გამოხდა ხანი და უკვე რეალურად გამობრწყინდება ამ იდეით შთაგონებული ეპოქები, ხოლო ეროვნული იდეის მატარებელი დიადი ადამიანები: მეფეები, საეკლესიო მოღვაწეები, მწერლები, ფილოსოფოსები, სამხედრო და საზოგადო მოღვაწეები უკვე მესიანიზმთან მიახლოებულ იდეას ეროვნული ყოფიერების მთავარ მუხტად აქცევენ.

ამ იდეით შთაგონებული სულ[illegible] ...ანსახიერდება მწერლობაში, საეკლესიო [illegible]...ტექტურაში, ხალხურ მუსიკაში, მითოლოგიაში, სტუმარ-მასპინძლობაში, ადამიანურ ურთიერთობებში... ყოველივე ეს აღბეჭდილია არა ცერემონიალური, არამედ ღრმა შინაგანი კულტურით, ამაღლებულისაკენ სწრაფვით და არც სიამაყის გრძნობას არის მოკლებული; ზოგჯერ ამპარტავნებაშიც გადადის და საშიშ ზღვარს აღწევს. ჩვენი შინაგანი წყობა არ ემორჩილება დისციპლინას და მუდამ ამბოხებისაკენ მიისწრაფვის, ინდივიდი იბრძვის საკუთარი ავტონომიისათვის და მუდამ მზად არის იტვირთოს ნებისმიერი ფუნქცია, თუნდაც ეს მის ძალებსა და შესაძლებლობებს აღემატებოდეს. ქართული სულისთვის მიუღებელია დოგმატიზმი. იგი ვერ ეგუება პოლიტიკურ დოგმებს, რელიგიურ დოგმებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია; ის არის ცერემონიალური და ზერელე მორწმუნე, თუმცა შინაგანი წყობით, სულიერი მისწრაფებებით ქრისტიანია და თავის რელიგიურ მრწამსს ეროვნულ ინტერესებთან აკავშირებს.

გრიგოლ რობაქიძე სამართლიანად აღნიშნავდა აბსოლუტიზმის ნაკლებობას საქართველოში და, მართლაც, იმ ისტორიულმა ფაქტმა, რომ დავით აღმაშენებლის გარდა საქართველოში არასოდეს ყოფილა ტირანიასთან მიახლოებული თვითმპყრობელობა და აბსოლუტიზმი, დიდად დაასუსტა ქართული სახელმწიფოებრიობის ხერხემალი. საქართველოში თითქოს უფროს-უმცროსობის ტრადიციაზე აგებული, მფარველობითი ხასიათის სოციალური ურთიერთობები სჭარბობდა, ვიდრე ფეოდალურ-მონარქისტული ტირანია. ამ ურთიერთობათა სათავე ქართველი კაცის ბუნებაა და, რაღა თქმა უნდა, პროგრესულ მოვლენას წარმოადგენს, როგორც კულტურულ-ჰუმანისტური ფაქტი, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ყოველთვის მომგებიანი ვერ იქნებოდა, რადგან იმ ადამიანთა დაუოკებელ თავკერძობას აძლევდა გასაქანს, ვისთვისაც მირონცხებულის ჰუმანისტური სულისკვეთება ჯერ კიდევ უცხო იყო.

საქართველოში არასოდეს ყოფილა გლეხთა ომი, არც მნიშვნელოვანი აჯანყებები ფეოდალების წინააღმდეგ. მათ შორის სოციალური განსხვავებანი, ეტყობა, პირობითთან მიახლოებული იყო და ამ პატარა მიწაზე ყველამ იცოდა თავისი ადგილი, თუმცა იმ საზარელ ფაქტებს, რომ საქართველოში, მისი უკიდურესი დაცემის ხანაში, გავრცელებული იყო ადამიანებით ვაჭრობა და პირველი ღამის კანონი, ისტორიიდან ვერ ამოვშლით.

აბსოლუტიზმი კი... აბსოლუტიზმი, პიროვნების დიქტატურა, გნებავთ, ტირანია, არასოდეს ყოფილა, ტირანად ვერ იქცა თვით გიორგი სააკაძეც, ქვეყანას კი რარიგად სჭირდებოდა იგი, და იდგა კიდევაც დიქტატორთა, ტირანთა, სასტიკ თვითმპყრობელთა დროება, მაგრამ საქართველომ მსოფლიო სულისკვეთებას ვერც აქ აუწყო მხარი. არ მოვიდა დროის მძლავრი, დროის დიდკაცი, ერის მესიანისტური იდეით გამაერთიანებელი, ფეოდალურ თავკერძობათა დამთრგუნველი, დაფანტული მიწა-წყლის შემკრები, იმერისა და ამერის მპყრობელი, ზეკაციდიქტატორი, თუნდაც არამეფური წარმოშობისა.

რაღა თქმა უნდა, საქართველო მართლაც „გახლეჩილი" ქვეყანაა, ევროპისა და აზიის პირობით საზღვარზე მდებარე და ქართველთა ცხოვრების წესში, კულტურასა და ხასიათში მძლავრად იჭრება ორივე კონტინენტის სულიერ-ინტელექტუალური ენერგიები. აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის თქმით: „რამდენადაც საქართველო მდებარეობს ევროპის უკიდურესად სამხრეთ-აღმოსავლურ ნაწილში და კონტინენტის „აზიურ" ნაწილს ესაზღვრება, ბუნებრივია, ქართული კულტურა და ცივილიზაცია სწორედ დასავლურ-აღმოსავლური კულტურების სინთეზსა და სიმბიოზს წარმოადგენს, აღმოცენებულს ამ კულტურათა შერწყმისა და შერევის შედეგად".

ამ ორმაგ საძირკველზეა დაფუძნებული ის, რასაც ეროვნული სული ახლავს და რაც, ალბათ, ჩვენს მიღწევად უნდა ჩაითვალოს საკაცობრიო წინსვლაში.

•

ახლა, როცა მსოფლიოში მძლავრობს სემიტური იდეოლოგია და საუკუნეთა მიჯნაზე მესამე ათასწლეულის ზოგადი სახე იხატება, საშიში მასშტაბებით მიმდინარეობს ტრადიციული ეროვნული ღირებულებების გადაფასება. ეს ეხება წარსულსაც. ახალი იდეოლოგიით დამუხტულ ამ ეპოქაში ჩვენ ვერაფრით გავაოცებთ მსოფლიოს: ვერც არქიტექტურით, ვერც ხელოვნების სხვა ნიმუშებით, ვერც მიწათმოქმედებით და მრეწველობით, ყველა ამ საქმეში უნუგეშოდ ჩამოვრჩით; თუ კი რაიმე გადარჩა, ეს ჩვენი შინაგანი კულტურაა, ადამიანური სითბო და სილაღე, რაც ჯერ კიდევ არ დაუჩრდილავს ცივ ანგარიშიანობას და ბურჟუაზიული ცხოვრების წესს. ეს ის განძია, რომელმაც მომავალი, ერთიანი მსოფლიოს ღირებულებათა საგანძურში უნდა ჰპოვოს ადგილი, მაგრამ ჩვენი ეროვნული ბუნება, ალბათ, ყველაზე მეტად პოეტურ გენიაშია განსახიერებული. რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი... და ყველა სხვა დანარჩენი ერთი დიდი ჰარმონიაა, ქართული სულის მარადიულისა და შეუცნობელისაკენ სწრაფვა უპირველესად პოეზიაშია გადმოცემული.

*ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,*
*ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა მძრომასა,*
*მომცეს ფრთენი და აღვფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა...*

განა ეს არ არის კოსმოსის სიღრმეებისკენ გაქროლილი „ჰაერთა თანა მძრომელი" სულის კივილი ანდა როგორია „მომცეს ფრთენი და აღვფრინდე", განა რუსთაველის გენიაში არ არის განსახიერებული კაცთა მოდგმის ყველაზე დიდი ფანტაზია, ეს გენიოსი კი მე-12 საუკუნეში ცხოვრობდა. ჩვენი ეროვნული აზროვნების სიდიადისა და გენიალობის მასშტაბები და გაქანება, ყველაზე დიადი ეროვნული და საკაცობრიო იდეალები ერთმანეთს შეერწყმის პოეზიაში, ანუ სიტყვიერების ამ ღვთაებრივ ჰარმონიაში განსახიერებული.

პოეზიის შესახებ საუბარი ერთობ მოსაწყენი იქნებოდა, ადამიანურ აზროვნებას რომ მისი ბოლომდე გაცნობიერება შეეძლოს ანდა დასაწყისსა და დასასრულს შორის, დამთრგუნველ სივრცეში იყოს მოქცეული. ის კი ჩვეულებრივი გონებისთვის კვლავ მიუწვდომელი სამყაროს ნაწილად რჩება და მთელი მგზნებარებით ისწრაფვის მარადიულისა და შეუცნობელისაკენ. პოეზია თითქოს იმიტომ მოვლენია კაცთა მოდგმას, რომ წამით მაინც აზიაროს დროისა და სივრცის არამიწიერ განზომილებებს.

სამწუხაროდ, ადამიანის ინსტინქტი, როგორც საერთოდ სჩვევია, ცდილობს, სიდიადის ეს გამობრწყინება ჩვეულებრივ, სანიადაგო მოვლენად აქციოს და გაუთანაბროს ყოველდღიურობას. ვაი, რომ გონებრივ სიდუხჭირესა და უმეცართა თავდაჯერებას მრავალგზის შეურყვნია პოეზიის ჭეშმარიტი დანიშნულება და ღვთაებრივი ნიშატი. მარადიულისა და შეუცნობელისაკენ გაჭრილ გენიას გზას ულობავს ხელოსანთა ბუტაფორიული ნაცოდვილარი; მასა არა მარტო დაბალი გემოვნებისაა, არამედ თავისი ბუნებით პრაგმატისტია; იგი ეძებს ყოველდღიური მოხმარების „სულიერ საზრდოს", ტაშს უკრავს ფსევდო-პოეტურ რიტორიკას და არაფერი გაეგება უცხო განზომილებებთან ნაზიარები სიტყვათა ჰარმონიისა, არც დიადი ტანჯვებისა და სიმარტოვეებისა უწყის რამე. ვინ იცის, იქნებ საჭიროც გახდეს ჩვენი წარმოდგენების შეცვლა საერთოდ პოეზიის, როგორც სიტყვის ხელოვნების ერთ-ერთ უმთავრეს გამოვლინებაზე და, მაშასადამე, ამ როლის უარყოფა, რასაც, ჩვეულებრივ, ხელოვნებას აკუთვნებდნენ სხვადასხვა დროსა და ეპოქაში; მაგრამ თუ მას კიდევ გააჩნია ესთეტიკური ღირებულების ფუნქცია, უნდა ვაღიაროთ, რომ პოეზიის ზემოქმედების ასპარეზი მეტად შეზღუდულია. ჭეშმარიტი პოეზიის წვდომა, მით უფრო, გაგება და მისი შეგრძნებით გამოწვეული სულიერი გარდატეხების განცდა მკითხველთა მეტად ვიწრო წრეს შეუძლია. აქ, რასაკვირველია, არ იგულისხმება სნობისტური დამოკიდებულება, რომელიც დილეტანტიზმთან მიახლოებული მოდური გატაცება უფროა, ვიდრე ნაწარმოების პროფესიული ღირსებების აღქმა და შეცნობა.

როგორი პარადოქსიც უნდა იყოს, პოეზიის არსის ჭეშმარიტ გაგებასთან უფრო ახლოს ძველ დროთა მოაზროვნეები იყვნენ, ვთქვათ, არისტოტელე ან ლესინგი, ვიდრე თანამედროვე კრიტიკოსები. თუმცა ისინი პოეზიას არ უყურებდნენ, როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების მოვლენას, არამედ განიხილავდნენ, როგორც წმინდა ხელოვნების ნიმუშს და მკითხველს ასწავლიდნენ, როგორ მიღწია მისი გაგებისათვის.

ჩვენს დროში კი, ვგულისხმობ მეოცე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკუნის საქართველოს, პოეზიასთან დამოკიდებულებაში მისი პროფესიული სრულყოფის ამოცნობაზე უწინარეს იდეურმა ნაკადებმა იმძლავრეს და, შესაბამისად, დაიწყეს პოეტური ნაწარმოების განმარტება, ანუ მისი ინტერპრეტაცია გაბატონებული იდეური პოსტულატების მისადაგებით, რამაც საბოლოოდ დააკნინა პოეზია, როგორც სიტყვიერი ხელოვნების უმაღლესი ნიმუში. რაღა თქმა უნდა, ამის შედეგად დაეცა ოსტატობის დონეც, რადგან ინტერპრეტატორებმა უპირატესობა, შინაარსსა და „იდეურ დატვირთვას“ მიანიჭეს და არა პროფესიონალიზმს. ეს კი ძალზე მაცდუნებელი რამ აღმოჩნდა და დღეს ჩვენ აღარ ვიცით ის კრიტერიუმები, რომელთა წყალობით მიახლოებით მაინც შეიძლება განისაზღვროს ჩვენი დროის პოეტური ღირებულებები.

კვლავ დაუცხრომლად ბოგინობს წარმოდგენა პოეზიის საყოველთაო მისაწვდომობაზე და შემოქმედის ნებისყოფას არ შეუძლია წინ აღუდგეს უმაღლესი სულიერი ღირებულების დევალვაციას. მასის ყურადღებით განებივრებული და მასის გემოვნებაზე მორგებული, იგი ველარ შეძლებს სხვა სიბრტყეზე გადანაცვლებას, მას აღარ ძალუძს პოპულიზმისათვის თავის დაღწევა, აღარ ილტვის ტანჯვის, სიმარტოვისა და მიუსაფრობისათვის, არც მათი ჭეშმარიტი განცდა შეუძლია; ამიტომ ცდილობს გამოიგონოს ისინი, მაგრამ ამ გამონაგონის ამოცნობა ძალიან ადვილია, რადგან გარკვეულ ეტაპზე პოეტის პატრიოტული მგზნებარება, ანუ ის ძირითადი პათოსი, რამაც პოეტი მასის ყურადღების ცენტრში მოაქცია, კონფორმიზმის წყაროდ, გაქვავებული კერპის პოზად იქცა, სადაც უფრო მეტი იყო დევნისა და ტანჯვის იმიტაცია, ვიდრე სინამდვილეში. ეს ყველაფერი სალიტერატურო პროცესისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების განუყოფელი ურთიერთკავშირის გამოვლინებას წარმოადგენდა, მაგრამ იგი წარსულში დარჩა და შესაძლოა, მხოლოდ ლიტერატურული ფაქტის მნიშვნელობა ჰქონდეს. ახალი დრო, თავისი ულმობლობით, ტექნიციზმით, მეშჩანობით, ნიჰილიზმითა და კოსმოპოლიტიზმით საყოველთაო სულიერი კრიზისისაკენ მიგვაქანებს. დღეს ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას, თუ ნიჰილიზმის ნიცშესეულ გაგებას მოვიშველიებთ, უფრო „პასიური ნიჰილიზმი“ დაუფლებია, აშკარად ჩანს სულიერი რეგრესის ნიშნები, გამოფიტულობა, სინამდვილიდან გაქცევისაკენ ანდა თავდავიწყებაში დანთქმისკენ სწრაფვა. იგივე ნიცშეს შეძახილი, „მთელი ევროპული კულტურა მიექანება კატასტროფისაკენ“, შესაძლოა, გადაჭარბებული იყო, მაგრამ დიადი კულტურის ევროპაში თვით ამ აზრის წარმოშობაც კი შემზარავი სულიერი რეგრესის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო. ცივილიზებული კაცობრიობა უკვე მივიდა იმ ზღვართან, როცა აშკარა გახდა, რომ ჰუმანისტური იდეების მთელს იმ ზღვას, რომელსაც ჩვენი მოდგმის უმაღლესი ინტელექტი ქმნიდა საუკუნეების მანძილზე, არ ძალუძს ჩვენი კატასტროფისაგან ხსნა. რაღა უნდა ქნას პოეზიამ, რომელსაც, როგორც ღვთაებრივი გონის განსხეულებას, სიდიადისა და სიამაყის განცდა ახლავს? მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მისმა სიმაღლემ, მთლიანობამ და ღირსებამ თითქოს კვალი ვერ დააჩნია ინსტინქტების სამყაროს, ვერ იხსნა ადამიანის სული, ვერ აღირსა არამიწიერი თავისუფლებისა და სინათლის ბედნიერება.

მეოცე საუკუნის მიჯნასთან დამანგრეველი ზიგზაგებით მისულ ადამიანს აფორიაქებული გონება აიძულებს, ტრაგიკულად განიცადოს თავისი მოდგმის მთელი ისტორიული გზა, მთელი ის ცხოვრება და ცხოვრების წესი, რომლის საწყისი, მეხსიერების შესაძლებლობათა შეზღუდულობის გამო, მას აღარც კი ახსოვს. სინამდვილეში ის სულაც არ არის უკეთესი ადამიანთა იმ მოდგმაზე, ჯერ კიდევ წარღვნამდე რომ ცხოვრობდა. ადამიანურ ცხოვრებასთან მიმართებაში ერთი შეხედვით ხანგრძლივი პერიოდი - რამდენიმე ათასწლეული, საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ რაიმე არსებითი გვესწავლა ან დაგვევიწყებინა. ადამიანი კვლავ რჩება ქვეცნობიერი იმპულსების მონად და მასში არათუ იმატებს, იქნებ იკლებს კიდევაც ღვთაებრივი ჰარმონიის ნიშნები: გონიერება, ზნეობა და შემოქმედების უნარი. საზოგადოებად წოდებული პირობითი გაერთიანება კვლავ ემყარება ცალკეული ინტელექტების გამოსხივებას და გენის აღმოცენებაზე დამყარებული იდეები კვლავ გაჭირვებით მიიკვლევენ გზას საყოველთაო უტიფრობისა და უზნეობის ჭაობში, რასაც თან ახლავს ნგრევის, კაცთა კვლისა და მძულვარების საშინელი ამოფრქვევები, ადამიანის მიერ ადამიანზე ძალმომრეობა.

ადამიანთა მოდგმას ჯერაც არ შეუძლია იარსებოს იურიდიულ შეზღუდვათა გარეშე, მხოლოდ ზნეობრივი კანონებით. ამ შეზღუდვათა უკან სახელმწიფოთა სახით დგანან ძალმომრეობის გრანდიოზული მექანიზმები და მათ პირისპირ ინდივიდი კიდევ უფრო უმწეოა, ვიდრე პირველყოფილი ჯოგის წევრი, და ბევრად უფრო უუფლებო, ვიდრე ანტიკური ეპოქის რესპუბლიკათა მოქალაქე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას თითქოს ქვესკნელის ძალები მართავენ და იგივე ძალები განგებ არ ანებებენ ადამიანს, მიიღოს უფრო დასრულებული სახე, მომწიფდეს და მიუახლოვდეს ჯერ უხილავი და შეუცნობელი ჰარმონიის წყაროს.

ადამიანური ყოფის ამ შეგრძნებაში არის გაუსაძლისი ტკივილი და ამ ტკივილის განცდა, უპირველესად, კაცობრიობის იმ უკეთესი ნაწილის ხვედრად იქცა, ვინც მივიდა პოეზიამდე, როგორც სულისა და ინტელექტის ზეიმსა თუ მწუხარებამდე, ვინც მარადიულად ცდილობს ამაღლებულისაკენ სწრაფვას, საკუთარი მოდგმის ზნეობისა და გონების ხარვეზების დათრგუნვას.

გამოიღო კი ამან ნაყოფი?!

დედამიწა, რომელიც სახელმწიფოებად წოდებული წარმონაქმნებით და ეროვნულ-ეთნიკური სამკვიდრებლებით არის აჭრელებული, რაღა თქმა უნდა, ჯერაც ვერ მიუახლოვდა ერთიანობისა და სამყაროს უსასრულობის განცდას, ან, უფრო უარესი, - ვინ იცის, იქნებ შორდება კიდეც მას. მოწიფულობის ამ გრძელ გზაზე კაცთა მოდგმის გონებამ ჯერაც ვერ მიაღწია არსებით მისაქცევს დიადი ჰარმონიისა და სრულყოფილებისაკენ და წრეზე ბრუნვის ეკლესიასტესეული განცდებით ინუგეშებს თავს.

ყველაზე დიდი საშიშროება, რაც ხელს უშლის ადამიანის წინსვლას, ეს არის გაბატონებული რწმენა, რომ ჩვენი მოდგმა ღვთაებრივი გონის უმაღლესი ქმნილებაა და არსებობს დროისა და სივრცის მხოლოდ ერთადერთი - ადამიანის მიერ აღქმული განზომილებები. თუმცა მატერიალისტურ და იდეალისტურ შეხედულებათა ჭიდილს არსებითი მნიშვნელობა არასოდეს ჰქონია, მთავარი იყო იმ რწმენით აღჭურვა, რომ ყოველივე ის, რასაც ადამიანი მოიმოქმედებს, ამ მოდგმის განუყოფელი თვისებაა, ყოველივეს აქვს გამართლება და, თუ აღმაფრთოვანებელი არა, მისატევებელი მაინც არის.

ადამიანთა მოდგმა თავგამოდებით იგონებს თვითგანადგურების ახალ-ახალ საშუალებებს, იგი თითქოს განგებ ილობავს წინ სავალ გზას, იხშობს პერსპექტივას და კვლავ და კვლავ უბრუნდება ბნელ გვირაბს, საიდანაც არაერთხელ უკვე გამოვიდა.

სულიერების მთელი ნაკადი, რომელმაც კონკრეტული განსახიერება ჰპოვა პოეზიად წოდებულ სიტყვის ჰარმონიაში, უძლურია, წინ აღუდგეს ინსტინქტების მოძალებას და უმალვე არარაობად იქცევა, როგორც კი დედამიწას სისხლის პირველი წვეთი დაეცემა, ადამიანი მზად არის, ულმობლად დაკლას თავისივე თანამოძმე, თანაც იგი ამას მეტი სიამოვნებით და პროფესიულად სჩადის, ვიდრე შრომობს ან შემოქმედებით წარმოსახვებს ეძლევა.

შესაძლოა, ძველი ეგვიპტელი, მესოპოტამიის მკვიდრი ან ხუანხესა და განგის ნაპირებთან დასახლებული ადამიანი, მიუხედავად მისი პრიმიტიული ყოფისა, ზნეობრივად უფრო მაღლა მდგომი იყო, ვიდრე რომელიმე ჩვენგანი: ის არ იცობდა ტექნიკური ცივილიზაციის მიღწევებს, რაც დღეს ჩვენს გარშემო გაჰყვირის, გრგვინავს, დაჰქრის და დაფრინავს, მაგრამ პირველყოფილ ბუნებასთან სიახლოვე მის ზნეობას მეტ სიხალისეს სძენდა. პრიმიტიული ცხოვრების წესი ნიადაგ ულვივებდა ერთიანი, მარადიული გონებისაკენ სწრაფვას, აიძულებდა, უფრო ხშირად ეფიქრა მასზე და ეძებნა მასთან მისასვლელი გზები. იმდროინდელი კოსმოგონიური წარმოდგენები დიდად არ იყო დაშორებული ადამიანური ყოფის ორბიტას, ამიტომაც მათ მიღმა იგულისხმებოდა ერთიანი, დიადი, შეუცნობელი და მარადიული ძალა, რომელსაც ყველანი ერთად ემორჩილებოდნენ, ღვთაებაც და ადამიანიც. მაშინდელი ადამიანის ბუნება, მართალია, გარემო პირობების წყალობით ერთობ სასტიკი იქნებოდა, მაგრამ შეპყრობილი არ უნდა ყოფილიყო საყოველთაო ჯანყისა და ნგრევის სტიქიით, რაც აგრე ახასიათებს კაცთა მოდგმის დღევანდელ თაობას. მას შეეძლო მორჩილება, შეუცნობელი და მარადიული ძალების, როგორც სუბსტანციის, აღიარება და არ აწვალებდა მათთან შებმის, მათი განადგურებისა და დამორჩილების სურვილი.

მას შემდეგ ადამიანმა ვერაფრით გაიუმჯობესა ვერც ანთროპოლოგიური და ვერც მორალური სახე; ვერ მოახერხა მრავალრიცხოვან უკეთურებათა განდევნა თავისი არსებიდან; დღემდე რჩება მათ მონად და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ჩვენ ამას თითქმის ვერ ვგრძნობთ ან სულ არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ადამიანმა ვერ შეძლო სიცოცხლის არსის ამოხსნა, ვერც მის საწყისს მიაგნო; მაშასადამე, იგი კვლავ მეტად უმეცარია და მთელი მისი მეცნიერული გატაცებები მარადიულისა და შეუცნობელისაკენ სწრაფვის წარუმატებელ ცდად რჩება. უფრო უარესი კიდევ ის არის, რომ სულაც არ გვაშფოთებს მოსალოდნელი კატასტროფა იმ საზოგადოებრივი სისტემისა ახლო თუ შორეულ მომავალში რომელიც დღეს ეტალონად არის აღიარებული და რომელზეც ორიენტირებულია ადამიანთა სოციალური მოწყობის მთელი მექანიზმი. თუმცა ამ სისტემისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი განაპი-

რობებს სულიერების ნგრევის უფრო მეტ მასშტაბებს, ვიდრე ყველა გარდასულ დროებში მომხდარა, როცა ადამიანებს ჯერ კიდევ სტანჯავდათ შემეცნების წყურვილი, თუმცა მისი დაკმაყოფილების ინტელექტუალური წყაროები და პრაქტიკული საშუალებები ერთობ შეზღუდული იყო. დღეს ეს ტანჯვები უარყოფილია და თვითკმაყოფილების შეგნება, რაც მატერიალურ კეთილდღეობას ემყარება, ულმობლად ახშობს სულიერ სწრაფვებსა და, სარეთოდ, სულიერების ნაკადს. საკვირველია, მაგრამ ცხადია, რომ რაც უფრო მეტად უახლოვდება ადამიანი უზრუნველი ცხოვრების ზღვარს, მით უფრო კარგავს კულტურისადმი ინტერესს და ეს მისი ზოგადი ბუნების საყოველთაო დეგრადაციის ნაწილია.

ადამიანთა იმ უკეთეს და მცირერიცხოვან ნაწილს, ვისაც სიტყვის ჭეშმარიტი ჰარმონიის აღქმა და სამყაროს ჭუჭრუტანაში შეხედვა ძალუძს, დიდი ძალისხმევა სჭირდება, რათა თავის თანამოძმეებს დაუმტკიცოს ახალი აღმოჩენების კეთილნაყოფიერება, თუმცა მათი წყალობითაა, რომ კაცობრიობა ასე თუ ისე, ტაატით მიიწევს მარადიულისა და შეუცნობელისაკენ, ნელ-ნელა ეჩვევა ჰარმონიის განცდას, მაგრამ ჯერ მაინც გზის დასაწყისშია. ამის გაგება კი ძალიან უჭირს, რადგან მარადიული მოძრაობის ილუზია მას თავისი სიდიადის რწმენას ანიჭებს, თუმცა ეს მოძრაობა უმეტესად კვლავ ქვეცნობიერი ინსტინქტების გამოძახილია. იგი ქმნის და ანგრევს სახელმწიფოებს, საზოგადოებებს, ფორმაციებს, ადვილად იწყებს და გაჭირვებით ამთავრებს სისხლისმღვრელ ომებს. ამპარტავანთა ხროვა, შეპყრობილი ხელისუფლების წყურვილითა და ცუდმედიდურობის მანიით, ნიადაგ მიძვრება იერარქიის კიბეზე, რომელსაც მორჩილად აგებენ ადამიანთა ნაცრისფერი მასები. კვლავ ბატონობს ძალაუფლების კულტი და მასას კვლავ სწყურია ბელადი, რომელიც ახალი ხუნდებით დაბორკავს. ყოფილსა და არსებულს შორის პროგრესი მცირეოდენი მანძილით განიზომება, ადამიანის მოდგმაში ჩანერგილი სიკეთის ნასახს გამუდმებით გამოცდას უწყობენ სისასტიკე, გულცივობა, ბოროტება და სიძულვილი; ადამიანს აღიზიანებს თავისივე მსგავსთან თანაბარ მდგომარეობაში ყოფნა და გამუდმებით ცდილობს მასზე გაბატონებას თუ არა, მისთვის გადასწრებას მაინც, მაგრამ ამ შეჯიბრს, რომელსაც თან ახლავს საძრახისი ვნებათაღელვა, კაცობრიობა ყოველთვის წინ არ მიჰყავს.

სიკეთე და კეთილგონიერება გამუდმებით საფრთხეშია, გამუდმებით იტანჯება და თანდათან უფრო ნაკლებად ამჟღავნებს თავს, ჩვენ კი ჯერაც არ ძალგვიძს იმ განძის მოვლა, რომელიც ჩვენს არსებობას ღირსებას შემატებდა. მზად ვართ, ნებისმიერი შეჭირვების ჟამს კვლავ მივუბრუნდეთ ჩვენს პირველყოფილ სახეს, რომლისგან შორს წასვლა ვერ შევძელით, იგი ჩვენი მოდგმის მარადიული თავშესაფარი და უკანდახევათა ზღვარია. ტლანქი ნადირის სახე ამართლებს სისხლის წყურვილს, ძალადობით გონების დათრგუნვას და ჩვენივე თანამოძმის განადგურებას ერთადერთი მიზნით: მე უნდა გადავრჩე!

ადამიანი კვლავ ადამიანზე ბატონობას მიესწრაფვის და ეს წყურვილი მით უფრო მძაფრია, რაც უფრო უბადრუკ გონებას დაეუფლება იგი. უმეცრება კვლავ თავხედობს და ყოველივე დანარჩენის ტრაგიკულ განსაცდელს ამზადებს, კვლავ შეურყევლად ბოგინობს ადამიანის მთავარი ინსტინქტი - აგრესია - და კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ აგრესიათა გრძელი ჯაჭვი კვლავ უმოწყალოდ ბორკავს ყოველგვარ სულიერ აღმაფრენას, ადამიანს კვლავ ეშინია ადამიანისა და გაფაციცებით იმარაგებს თავისი თანამოძმის მოგერიების ან მასზე თავდასხმის საშუალებებს.

ამ ფონზე აზრსა და დანიშნულებას კარგავს ყოველგვარი პროგრესი, იგი ილუზიად აღიქმება და მაინც, პირველყოფილებისაკენ უკან დახევა, შერიგება მარადიულ წრეზე ბრუნვასთან, ალბათ, დანაშაულია და მიუტევებელი სილაჩრე. ამის გაგება კი მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვინც უკვე მზად არის შეიცნოს სიტყვის ჰარმონია, მხოლოდ ისინი თუ ესწრაფვიან მტანჯველი უსასრულობის წვდომას, ფიქრობენ მისაწვდომის მიღმა არსებულ გალაქტიკებზე, დროებზე, სივრცეებზე, ცივილიზაციებზე; ზეცა მათთვის სამყაროს უსასრულობის კარიბჭეა - ხშირად გასცქერიან მას კრძალვით, მონატრებით და დანანებით, რომ მათი ემპირიული სახე ჯერ კიდევ ადამიანის სხეულშია გამომწყვდეული.

მარადიულისა და შეუცნობელისაკენ სწრაფვის დიადი გრძნობა თრგუნავს სიკვდილის შიშს, რადგან ამ პროცესით ადამიანის მატერიალურ სხეულს განეშორება კოსმიური გონის ის ნაწილი, რომელიც მიწისთვის არ არის განკუთვნილი და არც მისი განადგურება შეუძლია.

პოეზიად წოდებული სიტყვის ჰარმონია დროთა უბერებელი ყელიდან ისევ და ისევ მოედინება, როგორც უკვდავი ფენომენი. იგი მიმოიქცევა ადამიანისათვის მისაწვდომ განზომილებათა გარეთ და სამყაროს ვიწრო ჭრილიდან გზას აძლევს არამიწიერ სინათლეს, რომლის შუქზე ჩვენს ცხოვრებას ოდნავ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძლევა აზრი.

და თუ ათასწლეულთა მიჯნაზე კაცობრიობა ეძებს თავისი არსებობის გამართლებას, მას შეუძლია ხმამაღლა იყვიროს: პოეზია, პოეზია, უპირველეს ყოვლისა!

●

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაზე არსებობენ დიადი სულები, არსებობს პოეზია, არსებობს შეუცნობელი სამყარო და ფანტაზია, რომელიც მის შეცნობას ესწრაფვის, კაცთა მოდგმა არცთუ სწრაფად აცნობიერებს თავის საარსებო გარემოს, თუმცა მთელი მისი არსებობის ათასწლეულები დროის მარადიულობასა და სამყაროს უსასრულობაში მეტად ხანმოკლეა.

სულაც რაღაც ხუთასი წლის წინ ევროპისა და აზიის მკვიდრთ ჯერ კიდევ ცნობიერად არაფერი აკავშირებდათ ერთმანეთთან. ევროპამ არ იცოდა აზიის გზა, ხოლო ამერიკის ვეებერთელა კონტინენტზე დანარჩენ მსოფლიოს წარმოდგენაც არა ჰქონდა. არ იცოდნენ ორი ყინულოვანი პოლუსის არსებობა, არც ავსტრალია და ოკეანეთის არქიპელაგი არსებობდა მეთხუთმეტე საუკუნის რუკაზე და, საერთოდ, უკანასკნელ საუკუნეთა განმავლობაში დიდი გამოცდა ელოდა ადამიანთა შეხედულებებს, რწმენასა და წარმოდგენებს. კაცთა მოდგმა დროდადრო წარმოშობს გენიოსებს, რომელნიც მას მტკივნეულ დარტყმებს აყენებენ და ხშირად კაცობრიობის მთელ ორიენტაციასაც კი ცვლიან. ფროიდი ამბობს, კაცობრიობა დიდად იმედგაცრუებული დარჩა, როცა კოპერნიკმა გაუმხილა საშინელი საიდუმლო, რომ დედამიწა არ არის სამყაროს ცენტრი, იგი მხოლოდ მზის გარშემო ტრიალებს და სამყაროს უსასრულობაში ერთ პატარა წერტილს წარმოადგენსო.

ჩარლზ დარვინმა გაანადგურა ადამიანის ღვთაებრივი წარმოშობის რწმენა და ჩვენს წინაპრად საზიზღარი მაიმუნი გამოაცხადა, თავად ფროიდმა კი ის ქვეცნობიერი იმპულსები აღმოაჩინა, რომელთა მონასაც თურმე ადამიანი წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას თურმე საკუთარი თავის ფლობაც არ შეუძლია.

მიუხედავად მისი მატერიალისტური თვალთახედვის გაფართოებისა, ადამიანი კვლავ რელიგიათა დიქტატის ქვეშ იმყოფება და, არცთუ უსაფუძვლო ვარაუდით, შესაძლოა, მომავალში სწორედ რელიგიური ნიშნით არსებულ ცივილიზაციათა საბედისწერო შეჯახება მოხდეს (ჰანთინგტონი) და ამ შეჯახებაში, რაღა თქმა უნდა, მთავარ როლს ისლამი და მართლმადიდებლობა, შესაძლოა, კათოლიციზმიც ითამაშებს. ეს არის სულიერი წყვდიადის, ფანატიზმისა და გონებრივი უმწიფრობის დრამატული ფინალი, რასაც არაფერი აქვს საერთო ფანტაზიის კოსმიურ მასშტაბებთან და გონებრივ გაქანებებთან. ადამიანი ჯერ კიდევ შორს არის ერთი დიადი კოსმიური სუბსტანციის აღიარებისაგან და კვლავ ღვთის ძეთა და მოციქულთა გულუბრყვილო მოძღვრებების მონად რჩება. იგი თავისი სულიერი და გონებრივი შესაძლებლობებით მზად არ არის და, ალბათ, კიდევ დიდხანს არ იქნება შორეულ ცივილიზაციებთან შესახვედრად, არც მათი აღქმა შეუძლია და არც მათი უეჭველი აღიარება ისევე, როგორც კოლუმბამდელ ადამიანებს არ შეეძლოთ აქვე, სამი კვირის სავალზე მდებარე უზარმაზარი კონტინენტის აღქმა და ინკების უძველესი ცივილიზაციის შესახებაც არაფერი უწყოდნენ. ნეტავ როდის მოვა ახალი კოლუმბი, თუნდაც მაგელანი ან ამუნდსენი, დედამიწაზე დაიბადებიან ისინი თუ სხვა გალაქტიკებიდან უნდა ველოდეთ?

კაცთა მოდგმა უმწეო ჩვილივით მიიწევს სამყაროს შორეული სიღრმეებისა და საიდუმლოებისაკენ. წინ არის ახალი სულიერი გაქანებები, ტექნიკური ცივილიზაციის ახალი ნახტომები, სოციალური გარდატეხების ახალი დროები და ეპოქები. არ გვინდა, ვიფიქროთ კატასტროფებზე, გლობალურ ნგრევებსა და განადგურებებზე, რადგან ახალი ათასწლეულიდან ახალი, რენესანსული სუნთქვა მოჰქრის, ახალ ცივილიზაციებთან ზიარების, სამყაროს დიადი საიდუმლოებების შეცნობის იმედი აფორიაქებს ჩვენს ფანტაზიას.

...და იმის შეგრძნება, რომ სადღაც ამ უკიდეგანო სამყაროში არის პატარა წერტილი, რომელსაც შენი სამშობლო ჰქვია, სიამაყის გარდა განგაშის გრძნობითაც გვავსებს: რა ელის მას ახალ დროებასა და ეპოქებში?

დღეს საქართველო არნახულ სულიერ დეგრადაციას განიცდის, ინგრევა ათასწლოვანი კულტურა, ტრადიციები და ადამიანთა შინაგანი წყობა. წყდება ეროვნული ფესვები და ჩვენ უსასრულო უფსკრულის თავზე გამოკიდებულნი ვრჩებით და მინდობილნი ვართ არა საკუთარ შინაგან ენერგიასა და შინაგან შესაძლებლობებს, არამედ ჩვენს ბედ-იღბალს კვლავ სხვათა ნება და თავსმოხვეული იდეალები განაგებენ. ეს იდეალები ახლა ოკეანის გაღმიდან და ევროპიდან აწყდება ჩვენს ეროვნულ სამყაროს, ჩვენს ახალთაობას, ჩვენს უმწიფრობას, არამდგრადობას... პრაგმატიზმის ულმობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოტევა არღვევს ზნეობისა და ეროვნულობის უკანასკნელ ზღუდეებს და, არავინ იცის, რა მოგველის ხვალ...

წარსულს ჩაბარდა სულიერ აღმავლობათა კლასიკური ეპოქები. ჩვენ ვეღარასოდეს მივწვდებით მათ სიდიადეს, სიბრძნესა და სინათლეს. დიდხანს, ძალზე დიდხანს იბოგინებენ ზედაპირული ფსევდონოვაციები, ნიჰილიზმი, უარყოფა და განურჩევლობა...

შემაძრწუნებელია ჩვენი სულიერი კოლონიზაციის მასშტაბები. მონობის ახალი ბორკილების ბრწყინვალება მონუსხულივით იზიდავს საყრდენს მოწყვეტილ თაობებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ძალიან ცუდად, ზანტად ან არასწორად ვირჯებოდით საუკუნეთა მანძილზე, არც უძველეს კულტურათა ღირსეული მემკვიდრენი ვართ და მთელი ჩვენი პატრიოტული პათოსის გაქარწყლება უცხოეთიდან მობერილ ნიავსაც კი ძალუძს.

ჩვენი უმწეობითა და არამდგრადობით გაჯერებული ეროვნული ცნობიერება თავგანწირვით ებრძვის განსაცდელს, მაგრამ ცდუნებათა გაძლება არ შეუძლია, მაცდური იდეალების შემოტევა ანგრევს ყოველგვარ საყრდენს, შლის წარსულის ხსოვნას და ახალ განზომილებაში, ახალ პროგრესში, ახალ ცივილიზაციაში მიგვაქანებს, რომლისთვისაც მზად სრულიად არა ვართ.

ეროვნულ იდეალებს ცვლის პრაგმატისტული სოციალური იდეალები და კეთილდღეობის წიაღში დანთქმა სულიერების უარყოფის თანაფარდია, აღარსად სიბრძნე და ამაღლებული, ჭეშმარიტი ხელოვნება კარგავს თავის დანიშნულებას, მისი მეტყველება აღარავის ესმის, არც ცხოველმყოფელობის განცდა შეუძლია, არც სურვილი აქვს და არც მისწრაფება.

ჩვენი შთამომავლები ოდესმე გამოფხიზლდებიან და საკუთარი ფესვების ძებნას დაიწყებენ, მაგრამ ეს იქნება დიდი ხნის მერე და ძალიან დაგვიანებით, ახლა კი აღარა ძალას არ შეუძლია ნაპირგახსნილი მდინარეების შეჩერება, რომელიც უგზოდ მიითხევა ათას საცთურზე, ფიტავს და გადაგვარებას უქადის ყოველივე მშობლიურს.

...და ეს არის ჩვენი სამშობლოს ყველაზე მძიმე განსაცდელი ათასწლეულთა ამ შესაყართან.

კიდევ რამდენი საუკუნე, რამდენი ათასწლეული დასჭირდება კაცთა მოდგმას, რათა გვირაბის ბოლოს გააღწიოს ან იქიდან შემოჭრილი სინათლე იხილოს, ვინ იცის, ვინ... ვინ არის წინასწარმეტყველი და მომავალ დროთა წყვდიადში გამომხედავი?

ადამიანთა მცირედი ნაწილის გონება და ინტელექტი დაუცხრომლად ეძებს მომავლის გზებს, მაგრამ თავად კაცობრიობა თითქოს ისევ ხეპრეობის დროს უბრუნდება და მათ შორის ჩემი თანამემამულენი პირველობენ.

ჩვენ დიდი ზნეობრივი მსხვერპლის ფასად გვიწევს დასავლეთისკენ გზის გაგნება და კიდევ უფრო დიდი მსხვერპლის ფასად მოგვიხდება უკან, საკუთარი ეროვნული ცნობიერებისაკენ მობრუნება; თუ მომავალ საუკუნეებში ადამიანთა მოდგმა რაიმე ახალ ერთობას შექმნის და სამყაროს ის უმცირესი ნაწილი, რომელსაც დედამიწა ჰქვია, მიუხედავად თავისი ეთნიკური სიჭრელისა, ერთიანი იდეალებით განიმსჭვალება, ეზიარება სამყაროს უსაზღვრობას, ახალ განზომილებებსა და ახალ ცივილიზაციებს, იზეიმებს ინტელექტი და გონიერება, ჩამოყალიბდება ახალი საზოგადოებრივი სისტემები, დაფუძნებული არა ქონებრივ შესაძლებლობებზე, ძალმომრეობასა და პოლიტიკურ ამბიციებზე, არამედ ზნეობრიობაზე, ადამიანის ღირსების პატივისცემაზე და გონების უსასრულო გაქანებაზე.

...და დროთა მთელ ამ უსასრულო მდინარებაში იმოძრავებს ჩვენი პატარა სამშობლო. იქნება ომები, კატასტროფები, სისხლისღვრები, დამარცხებები, ტკივილები, ცრემლები, შიმშილი და სიღატაკე, გამარჯვებები და ბედნიერი დროები, იქნება ყველაფერი, რაც ოდესმე ყოფილა სხვა განზომილებებით, სხვა ფორმებით, სხვა გარემოში...

და იქნება ქართველთა პატარა ქვეყანა, იქნებიან მისი შვილები, რომელნიც იმ უშორეს დროებში მიიტანენ უწმინდეს ეროვნულ იდეას, ქართულ სიტყვას, კულტურას, საკუთარ ხასიათს, საკუთარი სიამაყისა და ღვთაებრივი სიკეთის ნათელს.



*მარია ჰელენა ვიეირა და სილვა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯემალ მეხრიშვილი

## ქართული პოეზიის ხემძევალი *

*უცხო* პლანეტების მოლურჯო კონტურებიდან გამაოგნებელი მოულოდნელობით ამოჩნდება სევდიანი პრინცი, მის მხრებზე წამოსხმული ლაჟვარდოვანი უკიდეგანო სივრცის ბოლო კოსმოსურ მტვერს რომ მოიყოლებს, ერთ აზრჩატანებულ მზერას გადმოავლებს მთელ სამყაროს და დაახლოებით იგივეს თქმას, შექსპირმა ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „ჰამლეტი“ რომ მოანდომა, ის ორჯერ ორი სალექსო სტროფით ამოიოხრებს.

*ხალხთა ულაზნო დედამიწაზე,*
*ერთი შეხედე, რა უშნოდ უდევს.*

ეს მთელი ნიკო სამადაშვილია!!! ამ ორი სტრიქონით ბევრ რამეს ეფინება ნათელი, მეტადრე კი ორ მომენტს: მისი მთქმელი რომ გენიოსია და რომ ამ შეგნების მატარებელი კაცი ვერასოდეს იქნება მოსვენებული და თვითკმაყოფილი. ბედნიერებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია! ამას თვით პოეტიც აღიარებს: *„როგორ არ მინდა, რომ ხვალ გათენდეს, როგორ არ მინდა ბედნიერება... რომ ამ დასაქცევ დედამიწაზე ბედნიერებაც დასავმობია“*. თუმცა აქ რომელ ბედნიერებაზედა შეიძლება ოცნება, როცა პოეტის მგრძნობიარე და ფაქიზმა გონებამ საზარელი რამ შენიშნა!

*ქვეყნიერება ჩვენ დაგვიგეს კაკანათივით,*
*ქაოსებს იქით... კრიჭაშეკრულ*
*სამრეკლოებთან.*

*დავლოთ ქუდი და ვთქვათ სამართალი*: ეს ორი სტრიქონი მსოფლიოს რომელი გენიოსის ნაწარმოებს არ ჩაექარგებოდა ბუნებრივად?!

სამადაშვილს ერთგან ასეთი ფრაზა უელვარებს: *„გადმოთ უკუღმა ეგდო ქვესკნელი“*. ეს განსაცვიფრებელ ასოციაციურ ცდუნებას იწვევს მკითხველში, ვინაიდან ამ *„ქვესკნელს“* გარდა დღეს ჩვენ თვალწინ უკვე უკუღმა გდია კომუნისტური იდეოლოგია, ბოროტების იმპერია და, რაც ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს იდეოლოგიური წნეხის შედეგად 20-30-იან წლებში შედგენილი ქართველ მწერალთა კარიკატურული პანთეონი, სადაც ილიასთვის, მიხეილ ჯავახიშვილისთვის თუ ტიციან ტაბიძესთვის ადგილი არ აღმოჩნდა და რომლის შემადგენლობა და თანმიმდევრობა ბევრს უცვლელი და მარადიული ეგონა.

მაგრამ აქ დრომ კარგა ხანია დაიწყო ცვლილებების შეტანა და, როგორც ეტყობა, არსებითი ცვლილებები მომავალშიც მოხდება. ამ თვალსაზრისით რუსეთის მაგალითიც კმარა. XX საუკუნის ყველაზე დიდი რუსი მწერლების დასასახელებლად წელს იქ მოაწყეს არჩევნები-კენჭისყრა, რომელშიც თურმე 6597 კაცი მონაწილეობდა. რევოლუციის მეხოტბე მაიაკოვსკი ყურადღების მიღმა დარჩენილა. გორკი ბეწვზე გადარჩა - ხმების 14,51 პროცენტით სულ ბოლო, მეათე ადგილზე აღმოჩნდა, შოლოხოვს მეცხრე ადგილი არგუნეს. ხმათა 63,68 პროცენტით პირველი ადგილი დაიკავა მიხეილ ბულგაკოვმა! ეს ის ბულგაკოვია, კრემლის ფუნქციონერები და უნიჭო მოშურნენი უსაფუძვლო კრიტიკით სიცოცხლეს რომ უშხამავდნენ და, მიუხედავად თვით სტალინის არაერთგზის გამოსარჩლებისა, მაინც თავისი გაიყვანეს - 49 წლისა უდროოდ დაასამარეს!

*მწიგნობართა* ასოციაციამ ახლახან გამოსცა ნიკო სამადაშვილის პაწია, გულის ჯიბით სატარებელი წიგნი „სინათლის მიმოქცევა“ (რედაქტორი ამავე ასოციაციის თავმჯდომარე ქალბატონი ლია ნადარეიშვილი). არ დავმალავ, ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო ავტორთან და ისეთი გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ დღესაც ვერ გავრკვეულვარ, თავს როგორ მივეცი უფლება: წიგნის ნახევარგოჯიან ანოტაციაში მოხსენიებული პოეტის მეუღლის, ქალბატონ მარიამის და მათი ქალიშვილის ქალბატონ მზიას ბინის ტელეფონის ნომერი კითხვა-კითხვით გავიგე და მოწიწებით ვითხოვე მათთან შეხვედრა. ამ პაწია წიგნში ჩაბუდებული ჯადოსნური პოეზიით ისე ვიყავი გაოგნებული, ბავშვივით მჯეროდა რაღაც სასწაული: ჩვენი საუბრისას ბინდიან კუთხეში ან უხმაუროდ გაპობილი კედლიდან უცაბედად თვით ჯვარცმული პოეტის ხატი გაიელვებდა და წამით მაინც მოვასწრებდი თვალის შევლებას!..

თავაუღებლად კითხულობთ ხალას პოეზიას, გამტკნარებული ისმენთ დედა-შვილის თავშეკავებულ მონათხრობს საყვარელ ადამიანზე და შეძრული რჩებით - ერთი შეხედვით პროზაული პროფესიის კაცს, რევიზორ-ბუღალტერს თურმე რა უკუღმართი, ბობოქარი და ნარეკლიანი ცხოვრება გამოუვლია, ცხოვრება, რომელიც პატრონისეული რაინდული მოთმინებით ელის თავის პირუთვნელ ბიოგრაფს.

------

* ხემძევალი - ტყის გაკაფვისას სანაშენოდ დატოვებული საუკეთესო ხე.

გამგასმა ყველგან ავტორს ეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უფრო შემაძრწუნებელია სამადაშვილის თვითნაბად პოეტურ ტალანტთან დაკავშირებული ტრაგედია: შური, უმეცრება, ვერაგობა, ბრმა-ყრუობა, იდეოლოგიური სწორხაზოვნება... უკვირდებით და აშკარაზე აშკარა ხდება: საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში პიროვნების (თანაც როგორი პიროვნების!) მიმართ ჩადენილია ერთ-ერთი ყველაზე საშინელი დანაშაული, რომლის გამოსყიდვა ადამიანთაგან უკვე აღარავის ძალუძს და რაც ბოლოს მხოლოდ ღმერთმა ინება - ისიც ისევ და ისევ თვით ნიკო სამადაშვილისავე გენიის წყალობითა და საშუალებით.

ტანზე პირდაპირ საკირის მხურვალება გცემთ და სუნთქვა გეკვრით, როცა თვალნათელი ხდება: ტოტალიტარულ რეჟიმს და ამ რეჟიმით დემონურად მოსარგებლე მწერალ-ფუნქციონერებს, მოშურნე ჩინოსან მდარე კალმოსნებს, ხალასი ნიჭის მიგნება-განადგურებაში დახელოვნებულ და ამით მხეცურ სიამოვნებანაჩვევ მოლიტერატურო ბრაკონიერებს ქართული პოეზიის თუ რა ჯანსაღი, განსაცვიფრებლად ხალდაკრული და ელვარე, განუმეორებელი ჯიშის ოქროს კალმახისთვის საგულდაგულოდ გადაუხერგ-გადმოუხერგავთ მკითხველისკენ გასაცური ყველა ნაკადი და უმოწყალო ზნეობრივი ტანჯვა-წამებით 57 წლისა ისე დაუსამარებიათ, „ჰანგებით მდიდარი“ პოეტი, რომ იგი სიცოცხლეში ვერ ღირსებია თავისი თუგინდ ერთი პაწია დაბეჭდილი ლექსი მაინც ეხილა თვალით და იმქვეყნად ზიარების მადლივით წაეყოლებინა მისი სტამბური სურნელი!

*ხედავ, რას სჩადის გულქვა საწუთრო*
*და ყინულივით გულქვა ქვეყანა.*

ცრემლი მოიწმინდე, გულჩვილო მკითხველო, ნუ გეშინია, ყველაფერი არ დაკარგულა! თურმე ღმერთი ზევიდან ყველაფერს ხედავდა, იმახსოვრებდა და თანამოკალმეთაგან შურით ჩაწიხლულ ნიკო სამადაშვილს ქართული პოეზიის ხემძღვლად ინახავდა!!! მართლაც, მისი გარდაცვალებიდან გაივლის რაღაც ოცდაათიოდე წელი, დაიწყება ღირებულებათა გადაფასების შეუქცევადი პროცესი და „პოეზიის გერის“ მოშურნეთა მდარე, ჰონორარებისთვის უსირცხვილოდ განზრახ გაბერილი სქელ-სქელი ტომები მკვდრადშობილ ნაწარმოებთათვის განკუთვნილი ლიტერატურული მორგის ბნელსა და ნესტიან თაროებზე გადალაგდებიან, ნიკო სამადაშვილის ცოცხლად დამარხული მადლიანი პოეზია კი მკვდრეთით აღსდგება და ქართველი მკითხველის გულში იპოვის ბინას. კითხულობთ ამ მართლაც სისხლით დაწერილ დიდოსტატურ შედევრებს და გჯერათ - ისინი იცოცხლებენ მანამ, სანამ ამ ცოდვილ დედამიწაზე იბოგინებს სიცოცხლე და გადარჩება თუგინდ ერთი წიგნიერი ქართველი.

*1947 წლის* მკათათვეში ციალა თოფურიძისადმი მიძღვნილ ლექსში „სტრიქონების ქარაფი“ 42 წლის ნიკო სამადაშვილი იგონებს:

*პოეზია იყო ვერაგი ჭირი,*
*რომ შემეყარა მე ბალღობისას.*

ნათქვამი ელდასავით მოქმედებს. წიგნს ელვისებურად ხურავთ თითჩატანებით და დაკვირვებით ახლადა აშტერდებით პრიალა ყდაზე გამოსახულ 5 წლის ნიკოს, რომელიც თურმე ორწლინახევრისა დაობლებულა და ბებია ეკატერინეს აზერბაიჯანიდან ხიდისთავში ჩამოუყვანია. გეჩვენებათ, რომ ეს პატარა ბიჭუნა უკვე პოეზიის ჭირშეყრილია ანდა სწორედ ახლა მიმდინარეობს ამ საშინელი სენით დასნებოვნების ღვთაებრივი რიტუალი. ამ განცდას აძლიერებს ძველებური სკამის ოვალურგუმბათოვანი საზურგე და ღმერთის ნებით ვიღაცის მიერ სკამის კიდეში პროვინციული პრიმიტიულ-უშუალობით ჩამაგრებული საოცრად ცოცხალი შტო, რომლის ყველაზე თამამი ფოთოლი დემონ-ანგელოზის ფრთასავით ეხება პატარა ნიკოს მხარს - თითქო ეფერება, ამხნევებს, მაგრამ იმავდროულად ამ ძვალგაუმაგრებელ არსებას იქვე უმთავრებს უზრუნველ ბავშვობას - გარდაუვალი აუცილებლობისა და უზემთაესის წილნაყარობის კარნახით მარადისობისკენ მიმავალ გრძელსა და ნარეკლიან გზისკენ ახედებს.



სახეზე დააკვირდით: კოხტა, განსაკუთრებული ინდივიდუალობის მაუწყებელი ნატიფი ნიკაპი, ჭკვიანურად მოკუმული გაბანტული ტუჩები, სოთი ცხვირი, მეტყველ შუბლზე ღვითური შუქის ლივლივი, გადაკალმული წარბები, ირიბჭრილიან თვალებში ჩაგუბებული ბავშვობამოთავებული ნორჩის სევდა, გონიერება და გარინდება. ერთი შეხედვით ყოვლად უმნიშვნელო ბერეტიც კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და კეთილ ღიმილს იწვევს: თითქოს უცხოეთის რომელიღაც პრესტიჟულ მეცნიერებათა აკადემიას იგი თავის ყველაზე ახალგაზრდა საპატიო დოქტორად აერჩიოს და შესაბამისი თავსაბურავითაც შეემკოს. მოკლედ, ეს უკვე ის ყმაწვილი აღარ არის, ფოტოაპარატის ობიექტივიდან გამოსაფრენი ჩიტით რომ მოატყუებენ. სხვა დროს ანჩხლი, მფრთხალი, მჩხავანა, მოუსვენარი თუ შეუსმენელი ბავშვების მოტყუება-გაჩერებით

ეროვნული ბიბლიოთეკა



სისხლგამშრალი ფოტოგრაფი ახლა, ალბათ, ალტაცებული და დაფაცურებულია, მუხლებზე ასე ბრძენკაცურად ხელებდაწყობილი ყმაწვილი გაუნძრევლად რომ უზის წინ. მაგრამ აქ არის კი? ვინ იცის, ფიქრებით სად არის და რას დასტრიალებს მისი გონება! ანდა, შესაძლოა, სულაც გულაცრუებით უცქერის გორელი ხელოსნის ზედმეტ ფუსფუსს, რომლის ჯაბახანა აპარატმა ახლა ისტორიული მისია უნდა შეასრულოს და წამი გააქვავოს - უკვდავება აღბეჭდოს. ნეტავი, თუღა მოხერხდება იმ ფოტოხელოსნის ვინაობის დადგენა - დაე, ისიც ნიკო სამადაშვილის უკვდავების ერთი რიგითი და უპრეტენზიო თანამგზავრი გამხდარიყო!

ფოტოზე აღბეჭდილი პატარა ნიკო და მწვანე რტო ღმერთმა თითქოს ერთმანეთს შეასისხლხორცა, უხვად აწოვა ქვესკნელის ნაკური და ბოლოს ქართლის მადლიანი მიწიდან ქართული პოეზიის ერთი იმისთანა ხემძევალი ამოაქანა, რომლის ფოთოლხშირ ტოტებს პოეზიის ბევრი თაყვანისმცემელი და ცხოვრების გზებზე დაქანცული მგზავრი მოიჩრდილებას.

*XX საუკუნის* ქართველ პოეტთა შორის მეორე არავინ მეგულება, ვინც სამადაშვილივით ასეთი სიტყვამომჭირნეობით ქმნიდეს თავის პოეზიას. ეტყობა, ამას ბევრი მიზეზი განაპირობებს, მთავარი კი მაინც ეს მგონია: საგნებისა და მოვლენების, პოეტური ხილვების ლაკონურად ჭვრეტის ღვთივ მომადლებული უნიკალური ნიჭი. დააკვირდით: მის პატარ-პატარა ლექსებში თითოეული სიტყვა ჩამოჰგავს სასიკვდილო ალყაში მოტანებული ვაზნებდათვლილი ჯარისკაცის მიერ ძუნწ, კარაბინის ხრახნიან ლულაში გაწურულსა და ზუსტად შიგ გულში მორტყმულ სნაიპერულ ტყვიას და არა პოეტი-მაყრის გლუვლულებიანი თოფიდან მუჭა-მუჭა ნატყორცნ საფანტს, ჩალიანში წარამარა რომ გააქვს ხრიალი, შედეგი კი გაცილებით ნაკლებია. ტრაგიკოსი პოეტის კალამი გამძვინვარებით იელვებს ხოლმე ცარიელ სივრცეში და ერთი ზუსტი ჩანისკარტებით სრულიად არსაიდან და არაფრიდან ისეთ მოსხლეტილ სტრიქონებს ამოაგდებს სუფთა ფურცელზე, რომ ჩვენს გვერდით მოკრძალებით მდგარი ახალგაცნობილი ავტორი თვალსა და ხელს შუა გვიქრება და ისე ელვისებურად აღმოჩნდება ხოლმე მსოფლიო პოეზიის კორიფეთა შორის, რომ თვალის აყოლებას ძლივს ვასწრებთ. *„ქვესკნელს შემასხი, მარადისობავ, რომ კიდევ შენსკენ გამოვტრიალდე“, „ჩემი გაჩენა მიეზღოს ცეცხლად, ვისაც ეს ჩემი იღბალი მართებს“, „მიწიდან ხალხი ამოცვინდება, შემოდამებულ სივრცეებს იქით“, „უსაზღვროება ისე შეხუდრე, რომ ჩვენს პლანეტას გზა აერიოს“, „ვგავართ დალრეცილ მინიატურებს“, „დაქვავებული იქნება მტევრში ბავშვის თითებში გამშრალი ძუძუ“, „გული იწვოდა და ლურჯი კვამლი მსხვილად მდიოდა ბნელ თვალებიდან“, „რამდენი კაციც ცხოვრობს მიწაზე, ქვეყნად იმდენი საგიჟეთია“, „ბუხრის კვამლს აჰყვა ის სიყმაწვილე, თავქვეშ დაეგო დიდ მარტოობას“, „გარეთ გადაყრილ ნაცარსა ვგავდით“, „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები ტანზე გამონაყარი“, „ალბათ, ავდრებიც თან წაიღებენ საუკუნეთა ხშირ კენწეროებს“, „მეც მარტო ყოფნა ათასწლობით მომეწყინება, თავის ქალაში მწვანე ხვლიკი შეძვრება დამე, ძვლებზე შემხმარი დაფიქრება მოეწონება და მატლებდახრულ თვალებიდან გახედავს ბალებს“* და ასე შემდეგ და ასე შემდეგ!..

სამადაშვილი ერთგან წერს: *„არ მოეწონა ღმერთებს რომ შეხვდი და გაუხვიე სივრცეებს ცერად“*. რა თამამი და ვაჟკაცური ნათქვამია! საერთოდ, თუ რამე პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, მეტად სახიფათო და ამასთან უმადური საქმეა - ისიც რიგითი მკითხველისთვის - ცალკეული პოეტური სტრიქონების წრეგადასული შიგვნა: აქ მაინცდამაინც რა არის ნაგულისხმევი? ის კი არა, თვით ავტორსაც რომ ვკითხოთ, შეიძლება მისი პასუხიც არ იყოს ელექტროსაპარსის თუ მაცივრის ინსტრუქციასავით პუნქტობრივი და ნათელი. ანდა, იქნებ შეგნებულად არც გვიპასუხონ: დაე, თითოეულმა მკითხველმა თავისებურად გაიგოსო და, ალბათ, მართალნიც იქნებიან! მიუხედავად ამისა, მაინც საშინლად მაინტერესებს: პოეტს რა არ მოეწონა ღმერთებთან შეხვედრისას და რატომ გაუხვია სივრცეებს ცერად?

შეიძლება მიპასუხოს ვინმემ: ღმერთებში შეფარვით კომუნისტი ბელადები იგულისხმაო. ეს ნაკლებსარწმუნოდ მეჩვენება. პოეტის *„რჯულდაწყვეტილობა“* ან შეჩეხების ელდა? მაშინ პოეზიის ოქროპირი მას სხვანაირად იტყოდა. ან იქნებ, როგორც *„მონასტრის ხმა რაღაცას ტყუის“*, პოეტმა მიიჩნია, რომ ღმერთიც ტყუის რაღაცას. მაგრამ როგორ შეიძლება ღმერთი მატყუარად მივიჩნიოთ - სამადაშვილისთანა კაცსა და პოეტს ეს არ შეეძლებოდა! მაშ, რა, რა არ მოეწონა?! შემოქმედში იქნებ თავგაზვიადებული ამირანის ვნებამ იჩინა თავი, თავის ნათლიას, ქრისტე-ღმერთს დაჭიდება რომ... თუმცა აქ ერთი უფრო მიწიერი ამბავი მახსენდება. ტოლსტოის ერთხელ იასნაია პოლიანას მინდვრებში სეირნობისას წინ გლეხი ცოლ-ქმარი შემოეყარა. ქმარი იგინებოდა. ტოლსტოის რომ გაუსწორდნენ, დედაკაცმა ქმრის დაშოშმინება სცადა.

- Замолчи, вон граф едет.

- А что мне граф! Я - сам граф!

ტოლსტოი აღტაცებაში მოიყვანა ამ ბოლო სიტყვებმა და თურმე სიკვდილამდე ახსოვდა.

თითქო აქაც რაღაც მსგავსი რამ მეორდება. მეჩვენება, რომ აქ სრულიად „შემთხვევით“ ერთმანეთს წააწყდა არა ღმერთი და ვიღაც მოკვდავი, მორჩილი კაცუნა, არამედ მოხდა ორი ღმერთის - მამაღმერთის და პოეზიის ღმერთის - მოულოდნელი შეხვედრა. თუ პირველ მათგანს, ჩვეულებისამებრ, სამყაროს საზრუნავი აწვა, არც მეორე იყო დალხენილ-მოსვენებული: რწმენადაკარგულობის, მარადისობის, წარმავალობის, „რჯულდაწყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტილობის“, დაცემული სამშობლოს, გარიყულობის და სხვა ათასობით *„ფიქრებს სკათ ჰქონდათ ეგ თავის ქალა“*. ჰოდა, პოეტს ღმერთებთან უეცარმა შეხვედრამ ამდენი ფიქრის კრიალოსანი რომ გაუწყვიტა, შეიძლება, სწორედ ეს არ მოეწონა! თუმც სუბორდინაცია და რაინდული ზრდილობა როდი ეშლება: ღმერთებს დიდსულოვნად უტია გზა და სივრცეებს ცერად გაუხვია არეული პოეტური ხილვების აღსადგენად...

*მ თ ვ ა რ ე ზ ე*, ვარსკვლავებზე, უცხო პლანეტებზე, საერთოდ, ცის საუფლოზე ვის რა აღარ დაუწერია, მაგრამ ჩემზე ისეთი ცოცხალი, წარუხოცელი და გამაოგნებელი შთაბეჭდილება არაფერს მოუხდენია, როგორც ნიკო სამადაშვილის უშრეტი პოეტური ფანტაზიით შექმნილ კოსმოგრაფიას.

*პლანეტებს გაღმა ვიღაც ნანობდა,*
*ვინ იცის, ბარში ველარ დაბრუნდეს.*

ლექსს ზემოქმედების ისეთი დემონური ძალა გააჩნია, რომ ამოდენა კაცს თანაგრძნობა-შიშისაგან სისხლი მეყინება - ვაითუ მართლა ველარ დაბრუნდეს და რა ეშველება პლანეტებს მიღმა მარტოდ დარჩენილ პოეტის ორეულს, ზეკაცს თუ მსოფლიო სატკივარის მატარებელ სალოსს-მეთქი! მაგრამ იქვე მეხილება თვალი: ის თავმოძულებული მამაცი მგზავრია და წინდაწინვე შეგუებულია ყოველგვარ მოულოდნელობას - ეს მისი მისია თუ ბედისწერაა! ახლა მთლად ჭკვიანურ-ობივატელური აზრი მიჩნდება: ის ჩემი ცოლვით სავსე, მარტოკა რამ წაიყვანა - ვინმე მაინც გაეყოლებინა! ლექსის სულისკვეთება, საერთოდ, პოეტის ხმის ინტონაცია აქაც მშველის: ეს წვრილფეხა ადამიანები ერთიანდებიან და ქმნიან ათასგვარ დასს, წრეს, მარაქას, საძმოს, გუნდს, რაზმს, ექსპედიციას, პარტიას, ბრიგადას, ამხანაგობას, პლატფორმას, ასოციაციას და კიდევ, ღმერთმა უწყის, რაღას არა! გენიოსები კი ყველგან და ყოველთვის მარტოდმარტონი წალდავენ გზას!!! *„სადღაც ბინდებთან შეაჩერებს იმას ნამქერი, ვინც სამყაროდან სიმღერებით ჩამოირბინა“, „სამყაროს გაღმა ჩაივლის ვიღაც დაფიქრებული, როგორც მისანი“, „ვინც ლაჟვარდებში მეხლის ჩოქით გადაიპარა, ფრთხილად წამოდგა და გასწია, ვინ იცის, საით...“ „ხან ქაოსებში დამინახონ, ხან მთვარის გასწვრივ“, „გასწი, ირბინე და იცხოვრე სივრცეებისკენ“, „მეც ვანათებდი მეტეორივით მარადისობის ხშირ მარგილებთან...“ „შორეულ გზაზე დასველდება ის მოგზაური, მსოფლიოს უკან შეთქმულივით რომ ჩაიარა, წაიღო ძვლები თოვლისაგან მთლად დაბზარული და მზის წერტილებს გრიგალივით გადაეფარა...“* კითხულობ ამ და მსგავს სტრიქონებს და გული გიჩქროლდება: პოეტის წყალობით შენც ამ ფანტასტიკურად მიმზიდველ პლანეტებზე იმყოფები, ოღონდ როგორც სასურველი სტუმარი და არა როგორც მარადიული ბინადარი. ჩვენც რაღა გვეთქმის - ამაზეც მადლობელსა ვართ!

*უ ზ ა რ მ ა ზ ა რ ი* საოკეანო ლაინერი შემთხვევით ან შეცდომით მდინარეში თუ მოხვდა, მანევრირება უჭირს და წვალობს, ხშირად კი უიმედოდ იჩხირება ან სულაც იღუპება, ვინაიდან მისი სტიქია უკიდეგანო წყლის სივრცეებია და არა მდინარე, რაგინდ დიდიც უნდა იყოს იგი. ამ ემადურ დედამიწაზე იგივე ემართება ნიკო სამადაშვილსაც. *„შენ ის კაცი ხარ, ვისაც არ ეყო გზებმიუვალი ქვეყნიერება“, „ბოლოს კი დარდი: დედამიწაზე ნეტავი რისთვის შემოვეხეტე?!“* ტრაგიკოსი პოეტისათვის დედამიწა ხან სამყაროს სარკმლიდან *„ბარით გადმოყრილ ქვიშას და ნაგავს“* ჰგავს, ხან კიდევ *„სამყაროს უსასრულო თოვნეზე... ეს დედამიწა კუტია ჩავარდნილი სივრცის ნაცარში“*. ეს კიდევ არაფერი - აქ მოუსმინეთ!

*ის ერთხელ ნათელს გამოჰყვა ზიზღით,*
*სოფელს წააწყდა, ავდარი იყო,*
*წინ დაეხედა, თურმე ნუ იტყვით,*
*ეს დედამიწა გამომდგარიყო!*

ჩემი მხრიდან მკრეხლობა იქნება, ამ გენიალურ სტროფს გარჩევის მსგავსი რამ ვაკადრო. მხოლოდ ერთს ვიტყვი და ისიც იმიტომ, რომ აქედან მიღებულ ჩემსავე ზნეობრივ ტკივილს ეხება, რომელიც ამავე დროს ფიზიკურ ტკივილშიც გადადის. გულალალი პოეტის მიერ ასე დარდიმანდული გულუბრყვილობითა და უბოროტო ირონიით ნახმარი ჩართული გამოთქმა - *თ უ რ მ ე  ნ უ  ი ტ ყ ვ ი თ* - გულში სალგისივით იჩხვლიტება, ვინაიდან იგი ჩემს ცნობიერებაში უამრავ სასტიკ „თურმე ნუ იტყვით“-ს წარმოშობს: თურმე ნუ იტყვით, ამ დედამიწაზე ბოროტებსაც უცხოვრიათ! თურმე ნუ იტყვით, „ჰანგებით მდიდარ“ პოეტს ნიჭიერება არ აპატიეს და „მუჯლუგუნით ჩაუქრეს გული!“ თურმე ნუ იტყვით, რეჟიმი მას არასაიმედო „ელემენტად“ ჩათვლის და დევნაშევიწროებას დაუწყებს! თურმე ნუ იტყვით, უმიზეზოდ ციხეს მიუსჯიან ხუთი წლით და წელიწადნახევარს მაინც მოიხდის! თურმე ნუ იტყვით, მამაპაპეული მცირე ქონებიდან არაფერს არგუნებენ და მშრალზე დასვამენ! თურმე ნუ იტყვით, ველარ გაუძლებს ამდენ ბოროტებას და 1963 წელს 57 წლის უიღბლო პოეტი ქუჩაში დაეცემა და სულს დალევს! თურმე ნუ იტყვით, დღეს, როცა სამართალმა პური ჭამა, ზოგიერთებს სახე ეღუშებათ და კრიჭა ეკვრებათ მისი პოეზიის ხსენებაზე! თურ-მე... მაგრამ არ კმარა?! აი, რა საშინელი *„თ უ რ მ ე  ნ უ  ი ტ ყ ვ ი თ“*-ები სცოდნია მტრედივით უბოროტო პოეტის მიერ ერთ ავდრიან დღეს ასე შემთხვევით და *„თ უ რ მ ე  ნ უ  ი ტ ყ ვ ი თ“* აღმოჩენილ ბოროტებით დაორსულებულ დედამიწას!!!

*ნ ი კ ო  ს ა მ ა დ ა შ ვ ი ლ ი ს* ბიოგრაფიას და პოეზიას რომ ვუკვირდები და ვადარებ ერთმანეთს, ასეთი სურათი მეხატება: იგი თითქო მწერალთა და ხელოვანთა გამოქნა-გახედნაში გაწაფული რეჟიმის მიერ უზარმაზარ სატაძრო კომპლექსში - რომელიც მთელ ქართლს მოიცავს! - შემწყვდეული მძევალია და მისგან მოთმინებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიან დანებება-შემორიგების ნიშანს. თავისი პრინციპების ერთგული პოეტი კი ქედს მაინც არ იხრის, *„თუმცა ბავშვივით უჭერდნენ ხელებს“*. გეჩვენებათ, რომ თვით განგების მიერ ამორჩეულ, სასიკვდილოდ თავგადადებულ ერისკაცს - თავად მძევალმა მეუღლე და სამი შვილიც რომ სასტიკ რეჟიმს შეატოვა მძევლად - ეკლესიათა კედლებსა და გუმბათებზე თავამოყოფილი ჯუჯა ხის ფესვებითა და ნაყოფით, ნესტიანი ლოდების ირგვლივ ამოსული მხალეულითა და წვიმის წყლით გააქვს თავი, თავისი პირუთვნელი პოეზიის სამრეკლოზე კი თეთრ ბაირაღებს არა და არ კიდებს. თან არც ერთი საწუწუნო სიტყვა თავის ნივთიერ სიდუხჭირეზე! პირიქით, პოეტს ისევ ისინი ებრალება, ვინც მოჩვენებითი პოპულარობისათვის, წოდებათანამდებობისა თუ მაძღარი ცხოვრებისთვის ფეხის პირველი დაბაკუნებისთანავე სრულიად წინააღმდეგობის გაუწევლად ანდა საკუთარი ინიციატივით რეჟიმს მიჰყიდა თავისი სული, ნიჭი, სამშობლოს მომავალი და ინტერესები. *„ვინც განდიდების კვერით დანაყრდა, რა ეშველებათ, იმ უბედურებს“*. თავისი მწარე ხვედრის მაგიერ ისევ სხვებს ტირის მათგანვე წიხლჩაკრული და გარიყული პოეტი.

მოკლედ, ეს ყველაფერი რაღაცით ბიბლიურ ამბავს ჩამოჰგავს და ერთსა და იმავე დროს სამწუხაროც არის, რომ იმდენ შემოქმედთა შორის ნიკო სამადაშვილის მეტმა ვერავინ შეინარჩუნა პრინციპულობა და სულის სიფოლადე. და ამავე დროს სასიხარულოც არის, რადგან ერთმა კაცმა მაინც იტვირთა ის მოწამეობრივი გვემა და მისია, რათა მის წმინდანურ პიროვნებაში შეეფარებინა თავი კომუნისტური იდეოლოგიისაგან სასიკვდილოდ დევნილ ჭეშმარიტებას. სწორედ ამნაირი კრისტალურად სუფთა ერისკაცის გულსა და ნამუსში გაევლო, გაწყვეტას გადარჩენილიყო და სამომავლოდაც გაგრძელებულიყო ათასხუთასწლოვანი ქართული მწერლობის ჯანსაღი ძარღვი. აი, რა აუზენაესებს ნიკო სამადაშვილის ისედაც ნიჭითცხებულ პოეზიას, რომლის თავანკარა დინებისთვის სრულიად უცხოა წნეხის გემო და იდეოლოგიური შმორის სუნი.

*წ ი გ ნ ი ს* ბოლო ლექსია „სინათლის მიმოქცევა“. ეს ერთგვარად შეჯამება და დამშვიდობებაა. აქ ნიკო სამადაშვილი თავისი ფილოსოფიური ჭვრეტითა და მხატვრული ოსტატობით რამდენიმე სტორფში ისეთ სიმაღლეებს აღწევს, რომ წარმოსახვაში თავისთავად მეძერწება სურათი: მსოფლიო პოეზიის ქურუმთა პანთეონის მდუმარე ბინადარნი რა კეთილშობილური სტუმართმოყვარეობით მიიწ-მოიწევიან, რათა ადგილი გაუჩინონ და გვერდით დაიყენონ თავიანთი სადარი კალმოსანი. ოღონდ ჩემი გონება ამას კი ვეღარ სწვდება: თავის დროზე „პოეზიის გერად“ მიჩნეული და ამისაგან სამუდამოდ გულნატკენი ნიკო სამადაშვილი მათ ღირსად ჩათვლის თავს და კრძალვარიდით დაიკავებს შემოთავაზებულ ადგილს თუ, წელანდელი ღმერთებთან შეხვედრისა არ იყოს, რაღაც არ მოეწონება, ერთს თავისებურად „წაიმხედრულებს“ და გაუყვება „სივრცეებს ცერად“.

არ ვიცი, ეს კია, თუმცა, ყველა სხვა ლექსში თავს პოეტის გვერდით ვგრძნობდი - თითქო ერთად ვწერდით და განსაცდელსაც ერთად განვიცდიდით. ეს აქ აღარ მეორდება. ამ ლექსში და ამ ლექსით ჩვენ ერთმანეთს სამუდამოდ ვშორდებით. არავის ეგონოს, პოეტი ხელისკვრით იშორებდეს მკითხველს. არა! ეს განშორება ჩემთვის რამდენადაც მტკივნეულია, იმდენადვე ბუნებრივი, ვინაიდან მკითხველის გეშით ვგუმანობ: არ შეიძლება პოეტს, რაგინდ საყვარელიც უნდა გახდეს შენთვის, ყველა ლექსში ფეხებში ებლანდებოდე. პოეტის კილოსა და ლექსის პირველივე სტროფებიდან ვხვდები: ღვთოდ ნატანჯი შემოქმედი უკვდავებასა და მარადისობაში გადადის და მე უკვე აღარ მმართებს იქაც შეყოლა. მკითხველი სამანს აქეთ უნდა დარჩეს. ამიტომ პოეტი თავისთავად უჩინარდება და სამყაროს მიღმა, ქაოსებს შორის გაფანტული პლანეტებიდან მხოლოდ მისი ხმაღა ჩამოისმის - საოცრად შეცვლილი, მშვიდი, თანაბარი, დამაჯერებელი:

*ამინ ყველაფერს, რაც რომ ქვეყნად*
*მიმდინარეობს,*
*რაც ამ მდინარით ჩაუვლიათ ყველა*
*დროს აფრებს,*
*რა ვუყოთ მერე, მზის სინათლეც*
*გადაიდარებს.*
*ამინ ყველაფერს.*
*ამინ ყველაფერს - ბოროტებას, სიკეთეს,*
*ნუგეშს,*
*რა ვუყოთ მერე, თუ მთხოვრებმა ყაყანით*
*ჩაგვლეს.*
*გასწი, იარე, მომაკვდავო, ნუ გეშინიან.*
*ამინ ყველაფერს.*
*ამინ ყველაფერს, რაც მიწაზე*
*ჩამოუყრიათ -*
*ბედნიერება, სინანული, ტანჯვა, სიგიჟე.*
*უკაცობრიოდ დედამიწაც გამოყრუვდება,*
*თუ გინდა გული დღეში ასჯერ ამოიგლიჯე.*
*სუყველაფერი უკლებ მიაქვს დროს*
*აშლილ ლაფებს.*
*ამინ ყველაფერს.*
*ამინ ყველაფერს, რაც ცდუნებით*
*წარმოშობილა -*
*გენიალობა, სივერაგე, ზმანება, ბოდვა.*
*სუყველაფერი ეს ღმერთების ბოდვა*
*ყოფილა.*
*ამინ ყველაფერს.*

განშორების ნაღველი ყელში ბურთივით მაწვება და ვგრძნობ, ვემსგავსები იმ ნაფერებ ფინიას, პატრონმა დილით სასეირნოდ რომ წაიყვანა უკიდეგანო სივრცეებში, ერთ უღაბურ სადგურზე თავად მოულოდნელად სადღაც გაემგზავრა, ის კი მარტოკა დააგდო. და როგორც საწყალი ფინია ყეფა-წკავწკავით მოკურცხლავს ხოლმე შინისაკენ, რაკი ჰგონია, რომ პატრონი იქ დახვდება, მეც გამალებით ვიწყებ წიგნის უკუფურცვლას. აქ კი ფინიას შემშურდება ჩემი მდგომარეობა: მსგავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევაში იგი პირში ჩალაგამოვლებული რჩება, მე კი რომელ ფურცელსაც უნდა დავკრა თვალი, კვლავ ვხვდები მარადისობიდან გამოხმობილ საყვარელ პოეტს, ისევ გვერდი-გვერდ ვიმყოფებით და კვლავ იწყება ჩვენი ტკბილ-მწარე ღლესასწაული!!!

*ბედნიერებას სთხოვდა ნაპრალებს*
*და სულელივით სთვლიდა ნაბიჯებს.*

არაფერი გეცნოთ და გენიშნათ, მკითხველო, მსგავსი რამ თქვენ არ შეგმთხვევიათ?

ან:

*ერთი მელექსე თქვენც შეგენახათ,*
*იქნებ ამასაც სწყუროდა ზეცა!*

ო, თურმე სწყურებია და მერე როგორ! არ გებრალებათ განზრახ გაყრუმუნჯებული თანამოკალმეთაგან გარიყული კაცი?

*იმ დღეს ღვინის ფულს ვთხოვდი*
*მათხოვარს*
*და ვუკითხავდი ლექსებს ტირილით.*

რას არ მივცემდი, ოღონდ აქ მის ადგილას მე ვყოფილიყავი! ჰმ, ამის თქმა ახლა ადვილია, როცა ხედავ, რომ მსოფლიო რანგის პოეტთან გვაქვს საქმე. აბა, თუ ბიჭი ხარ, ეს მაშინ გენატრა, როცა უმეცარი რედაქტორი მიწასთან ასწორებდა: ვიღაც სამადაშვილს ტანზე გამონაყარი სახადი და ავადმყოფობა პოეზია ჰგონებიაო. როცა აუტანელი ფილისტერული ნორმებიდან გადაცდენილი, მოძმეთაგან განზრახ მიჩქმალული პოეტი ზოგს მართლა გიჟი ეგონა *„და ეზო-ეზო ცეკვავდა მარტოდ“*. დრომ დაამტკიცა, ვინ გიჟი იყო, ვინ გენიოსი, ვინ რეგვენი, ვინ გულბოროტი...

ან კიდევ:

*როცა საღამო მოვა ხოლმე, ვეძებ*
*სარდაფებს,*
*და როს ვიპოვი ოკრობოკრო. კიბიან*
*სარდაფს,*
*ცალკე კუნჭულში მაგიდასთან*
*ვთხოულობ ღვინოს.*

იცანით, მიხვდით?! თუმცა ამას რა დიდი მიხვედრა უნდა! აი, პოეტის ტალანტითა და განგების ნებით სარდაფის ამ *„ცალკე კუნჭულში“* ერთმანეთს ბუნებრივად შეხვდა და შეერწყა ორი ნიკო - ნიკო სამადაშვილი და ნიკო ფიროსმანაშვილი! ორმა ნიკომ მაინც რა სასწაულებრივად გაიელვა ამ ასწლეულის თავსა და ბოლოს. ნიკო ფიროსმანაშვილი საუკუნის ათიანი წლების ბოლოს აღმოაჩინეს, მაგრამ იქვე მიივიწყეს და საზოგადოებამ ვერც კი გაიგო, როგორ მოკვდა ან სად ჩაფლეს. ნიკო სამადაშვილი საუკუნის ბოლოსდა გაიცნო მკითხველმა. იგი საბურთალოს სასაფლაოზე ყოფილა დასაფლავებული. ხალხში ოქროს მონეტებივით მიმობნეულმა მისმა მინიატურულმა წიგნებმა უკვე წარმოშვა აზრი - გენიოს პოეტს საკადრისი სამუდამო სასუფეველი მიეჩინოს.

უპატრონოდ მიგდებული დიდი ამერიკელი მწერალი ედგარ ალან პო (1809-1849) ისე ძაღლუმადურად ჩაკვდა, რომ დღევანდელმა ამერიკამ მთელი მსოფლიოს გასაგონად აღიარა ამაში თავისი დანაშაული. თუმც იქვე ამასაც ამატებენ ამაყად: პოს შემდეგ ამერიკას შეცდომა აღარ მოსვლიაო!

ნეტავი საქართველო როდის იტყვის მსგავს ფრაზას და ვინ იქნება ის უკანასკნელი ტანჯული?!

●

*„სინათლის მიმოქცევა“* სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა პუშკინის დაბადების მე-200 წლისთავის საზეიმო დღეები მიმდინარეობდა. გაზეთებში კვლავ გაიელვა პოეტის შესანიშნავმა მოსკოვურმა ძეგლმა. ცადატყორცნილი პუშკინი ძირს სევდიანად დაიყურება. რას უცქერის ან ვის ელოდება? მეჩვენება, ანდა უბრალოდ მსურს, რომ ასე იყოს: იგი პიედესტალის ძირას თითქოს თავისი მტრების პატარ-პატარა სტატუეტების განლაგებას უცდის, რათა ხალხს თვალწინ ედოს წარსული, აწმყო და მომავალი - ვინ ვინ იყო, ვინ ვინ არის და ვინ ვინ იქნება! როგორც თვალსაჩინოება და გაფრთხილება, პიედესტალის ირგვლივ მართლა რომ შემოემწკრივებინათ პოეტის მტრების ბრინჯაოს ძეგლები, ოღონდ, ცხადია, ლილიპუტების ზომის, ხომ წარმოგიდგენიათ, რა საზოგადოება შეიყრებოდა?! საბავშვო კარუსელის ცხენზე ამხედრებული რუსეთის თვითრჯული იმპერატორი, კოხტაპრუწა დანტესი, ვერაგი ბენკენდორფი, დანტესის მამობილი, ცბიერი გეკერნი, პუშკინის ცერცეტი ცოლისდები, ოჯახურ დრამაში სულ დანტესის მხარი რომ ეჭირათ, ანონიმური წერილების ავტორები, კარის ჭორიკნები, ჟანდარმები, პოეტის ნიჭის მოშურნენი...

ჭეშმარიტ შემოქმედთა ძეგლების დადგმის მართლა რაღაც ამგვარი სავალდებულო წესი რომ შემოეღოთ, ღრმად მწამს, მშობლიური ცის ქვეშ ასვეტილი ნიკო სამადაშვილის ფერხთითაც ქონდრისკაცების საკმაოდ ჭრელი ჯგრო შემოგროვდებოდა: პროლეტარიატის ბელადები, პარტიული მწვალებელ-ფუნქციონერები, უგემოვნო რედაქტორები, შურით გასიებული მდარე კალმოსნები, პოეზიის პროფანები, მოლიტერატურო ჯიბგირები, ბრაკონიერები, კუ-კლუქს-კლანელები, ფირალები და ფირალუკები!.. ეპიგონები, პლაგიატ-ბაცაცები, ტაკიმასხარები... ხარბი ახლობელი, ახირებული მეზობელი... სამსახურის ბიუროკრატი ხელმძღვანელი... ციხის უფროსი... მიჩენილი ჯაშუშები და სხვანი, რომელთა ერთობლივმა ბოროტებამ ნაადრევად დაასამარა და რომლებმაც ამავე დროს - ღმერთო, შემინდე თუ ვცდებოდე! - სრულიად გაუცნობიერებლად ერთგვარად თან ხელიც შეუწყეს მისი კრიტიკული აზროვნების გაფხიზლებას, პოეტური სტიქიის შინაგანად გამძვინვარებას და თავგანწირულობამდე მიყვანას, ტალანტის აბობოქრებას, შემოქმედებითი მოთმინების ფიალის ავსებას და იქიდან შედევრების გადმოღვრას...

*„ა მ ი ნ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს!!!“*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთერ ყამბეგიშვილი

# ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი" და გ. ტაბიძის „ლურჯა ცხენები".

გალაკტიონის პოეზიაში დიდი ადგილი უკავია ბარათაშვილის სიმბოლიკას. გვახსოვს ლექსი გალაკტიონისა მიძღვნილი ბარათაშვილისადმი. აქვს წერილი დაწერილი გალაკტიონს „სულო ბოროტოს" შესახებ. ლექსში „მთაწმინდის მთვარე" პოეტი პირდაპირ გვიცხადებს ბარათაშვილთან სულიერ ნათესაობას და მისგან თავს დავალებულად გრძნობს ისე, როგორც აკაკისგან: „ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული".

მიხეილ კვესელავა წიგნში „პოეტური ინტეგრალი" გ. ნატროშვილის მოგონებას გადმოგვცემს. „სტუმრად ვიმყოფებოდით წყნეთში, აივანზე ვისხედით, მთვარე ხევებში გადაიხარა. ისეთი პეიზაჟი შეიქმნა, რომ სტუმრები ვჩურჩულებდით:

*ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი*
*მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი,*
*ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხევებში*
*აქსოვს,*
*ასე ჩუმი, ასე ნაზი, ჯერ ცა მე არ მახსოვს*

გვეგონა, რომ ჩვენი მასპინძელიც თავისავე ლექსის ხმოვანებით იყო გამსჭვალული, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, გალაკტიონის ბაგეთაგან მოისმა ჩურჩული:

*ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ ადგილნი შენნი,*
*დამაფიქვრელნი ვერანანნი და უდაბურნი,*
*როგორ შვენიან როს მონამენ ციურნი ცვარნი*
*ოდეს საღამოს დაშთენ ამოს ციაგნი ნელნი.*

ჩვენ გაოგნებულნი ვუგდებდით ყურს და მივხვდით, რომ საყრდენი გალაკტიონის ლექსის ხმოვანებისა იყო ბარათაშვილი, რადგანაც სახე, რომელმაც ჩვენს სულში გალაკტიონის სტრიქონები აახმოვანა გალაკტიონთან ბარათაშვილის ლექსის ასოციაცია გამოიწვია".

ამდენად, „მთაწმინდის მთვარე" და „შემოღამება მთაწმინდაზე" ერთ პრიზმაში გარდატეხილი პოეტური სახეა:

*დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით*
*გამაქანებენ სწრაფი ცხენები!*
*დამენათევი და ნამთვრალევი*
*ცივ სამარეში ჩავესვენები.*

განთავისუფლებისკენ სწრაფვის გზა ნაცნობი გზაა, მაგრამ იქნება კი ბედნიერი რწმენისგან თავისუფალი პოეტი თუ ეს მხოლოდ სურვილია ამქვეყნიდან გაქცევისა და იმაზე უკვე ნაკლებად ფიქრობს. სულაც უფსკრულში რომ ეშვება?

ამქვეყნიური თავისუფლება ისე, როგორც ბარათაშვილისთვის, იქნებ მხოლოდ სატყუარა იყო, მაგრამ გალაკტიონი მაინც ცდილობს ჰქონდეს ამ ქვეყნადვე ეს თავისუფლება, ან ცდილობს ამ ქვეყნიურ თავისუფლების დათრგუნვას, რომ იმ ქვეყნიურს ეზიაროს „მერანში" მიუწვდომელია ამქვეყნიური თავისუფლების განცდა, როდესაც კარგავს ამქვეყნიურის თავისუფლებას და არც იმ ქვეყნიურის იმედი აქვს, მაშინ თავისუფლებად მხოლოდ სიკვდილი აისახება, როგორც მორჩილება და არა იმქვეყნიური სიცოცხლის გაგრძელება.

„მერანი" ამ ქვეყნიურ თავისუფლების დათრგუნვაა, იგი აღარ დაეძებს ფორმას, ოღონდ რაღაცნაირად მიიღოს თავისუფლება და მოისვენოს.

მარადისობაში ყველაფერი მიისწრაფვის არაფრობისკენ, რათა ისევ ყოფიერებისაკენ დაბრუნდეს. „ლურჯა ცხენები" თუ სამარეში ქრიან, გარკვეული წრებრუნვის შემდეგ, ისევ ყოფიერებას უბრუნდებიან: „მხოლოდ შუქთა კამარა, ვერაფერმა დაფარა". ეს კანონზომიერი წრებრუნვაა ყოველი მოვლენისა სამყაროში.

ყველა დრო სხვადასხვანაირად აფასებს ნაწარმოებს და მასში დასმულ პრობლემებს. მითუმეტეს „მერანიც" და „ლურჯა ცხენებიც" მრავალმნიშვნელოვანი და მრავალცნებითი ნაწარმოებებია და მათი ერთმნიშვნელობამდე დაყვანა ალბათ არ შეიძლება. იმის თქმა, რომ პოეტს ეს უნდოდა ეთქვა „მერანში" ან „ლურჯა ცხენებში" შეუძლებელია. ერთშიც და მეორეშიც მე ვკითხულობ ჩემი დროისა და სულიერი მდგომარეობის შესაბამისობას. სხვადასხვა თაობა სხვადასხვა ფორმით დაინახავს სათქმელს. ყველა შემთხვევაში იმართება დიალოგი მკითხველისა ტექსტთან. როცა ვეცნობით ორივეე ტექსტს შედარების საფუძველს გვაძლევს მათ შორის ჩვენგან დამოუკიდებელი შეთანხმება. „ლურჯა ცხენები" თავისებური დიალოგია „მერანთან", რომელიც კონკრეტულ დროში სხვადასხვა ფორმით შემოიჭრება.

ჩვენში „მერანი" რამდენადაც მრავალსიუჟეტიანი ნაწარმოებია, იმდენად გულისხმობს სხვადასხვა მნიშვნელობას სხვადასხვა დროში.

მითოლოგიურად ცხენი არის მზის სიმბოლო, მისი გამოჩენა მზის ამოსვლას უკავშირდებოდა. ცხენი იყო ამავე დროს სიკვდილის წინასწარმეტყველი, ეტლზე შემჯდარი მზე ბედაურებს მიჰყავდათ. ზოგან იგი სექსუალური ვნების სიმბოლოა. უფრო ხშირად გზის, ან სადოლე ცხენები გამარჯვების სიმბოლოდ აღიქმებოდა. წარმართული ქართული დროშები ცხენის სახეს ატარებდნენ. მაგალითად სვანური დროშა რომ იბერებოდა ლომის ფორმას იღებდა. ამ დროშაზე გამოხატული ცხენი სახელმწიფო სიმბოლოდ აღიქმებოდა, რომელშიც ინახებოდა მისი ქვეყნის გადარჩენის მნიშვნელობა. ნაწარმოები გახსნილად იძლევა იმის საშუალებას რომ მისი მნიშვნელობა მრავალგვარად გაიშიფროს. ამბობენ ვაჟამ „არწივი" დაწერა

იმიტომ, რომ ბიძაშვილებმა სცემესო, მაგრამ ლიტერატურული კრიტიკა ამტკიცებს, რომ ნაწარმოებში საქართველო იგულისხმებოდა. თვით ნაწარმოები იძლევა მრავალი მნიშვნელობის მიკუთვნების საშუალებას.

ძველ მითოლოგიაში თუ ცხენის ერთ-ერთი სიმბოლოდ სახელმწიფო აღიქმებოდა, მაშინ გასაგებია ბარათაშვილის მისწრაფება „მერანში“ „რომ მოძმესა ჩემსა გზისა სიძნელე გაუადვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი, შავის ბედის წინ გამოუქროლდეს“.

როგორც ჩანს, აქ ცნობიერი მისწრაფებაა უდიდესი მიზნისაკენ, თუნდაც ეს სახელმწიფოებრივი სიმაღლე იყოს. იქამდე მისვლა გადაულახავი წინააღმდეგობებით არის სავსე და ისიც დიდი რამეა პოეტისათვის, თუ ამ სავალ გზებს მოძმეს მაინც გაუიოლებს.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით კახეთის დროშაზე გამოსახულია ცხენი. სრულიად საგულისხმოა, რომ ამ დროშაში ხალხი გამარჯვების სახელმწიფოებრივ სიმბოლოს გულისხმობდა, ამ გაგებით ლექსი „მერანი“ შეიცავს ფენომენს, რომელსაც ერი აიგივებს თავის ბედთან, სახელმწიფოს ბედთან და იმ ბრძოლებთან, რომლის პირისპირაც იმყოფებოდა. ამდენად მხედარი ჩის მერანზე და უხდება უდიდესი დაბრკოლებების გადალახვა, რომელთა მიღმა მიზნის მიღწევის სიმბოლო – სახელმწიფოა.

იპოლიტენს – (ფრანგული ლიტერატურის ისტორიის კრიტიკოსი) ცხენები აქვს შედარებული ევროპულ სახელმწიფოებთან, რომლებიც გვანან სტარტზე შემდგარ სადოლე ცხენებს. ასოციაციურად ბარათაშვილის „მერანიც“ და გალაკტიონის „ლურჯა ცხენებიც“ სტარტზე შემდგარ ცხენებს გვაგონებს, რომელთა სახეშიც, ვფიქრობ, ავტორი სახელმწიფოს გულისხმობდა.

ნ. ბარათაშვილის ლექსს „მერანი“ ღრმა მითოლოგიური გააზრება უდევს საფუძვლად. მერანი აღქმულია ქართველი მკითხველის მიერ როგორც ნ. ბარათაშვილის მიერ ავტომითი. ლექსი უდიდესი აღსარების და აღთქმის ნიმუშია. აქ იგულისხმება სამყარო, რომელიც ადამიანთა სამყოფადაა განკუთვნილი და ამ სამყაროს მითოლოგიაში სკნელი ეწოდება. აღსარებას გამოხატავს გალაკტიონის რამდენიმე ლექსიც (იგულისხმება „სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში“ და „ლურჯა ცხენები“), სკნელი მიანიშნებს ჰორიზონტალურ და ვერტიკალური ჭრილების გადაკვეთას ადგილზე, რომელშიც „მხედარს უნდა ეცხოვრა, როგორც საკუთარ სამშობლოში, მამულში მშობლით, სწორ-მეგობრებით, სატრფოთი და რაც მთავარია თავისუფლებით გარემოსილს“.

მე მეჩვენება, რომ „მერანი“ მთლიანად საბრძოლველად დაკრული ნაღარაა დაფდაფებით აკომპანიმენტირებული. იგი საბრძოლო შემართებით იწყება. რაღაც საშინელი ბნელი და ბოროტი ძალებისადმი მუქარის პათოსით, სადაც მხედარს უარმყოფელი ოპოზიციური მოწინააღმდეგე გასჩენია. „მამულს – მტერი, სამშობლოში ცხოვრებას – უცხოობა, თავისუფლებას – მონობა, სიცოცხლეს – სიკვდილი, ბედნიერებას – უბედურება და ა. შ.“.

უარყოფითი ძალების სიმბოლო „მერანში“ ყორანია, რომელიც მავანთა მინიშნებით ფაუსტურ პარადიგმაში მეფისტოფელს ატრიბუტია. „ლეშის მჭამელი ფრინველი, შავი ფერით და შემზარავი ხმით ყორანი ქვესკნელის საუფლოს უკავშირდება“ და აქედან იძენს ბოროტებისა და დემონური ძალების დანიშნულებას. იგი ქვესკნელ-ზესკნელში მიმომფრენი საშუალებაცაა.

მაინც საით მიისწრაფვის მერანი? ან რა არის მისი სრბოლის მიზანი? კრიტიკოსი გ. გაჩეჩილაძე წერს: „მერანის მიზანი კოსმიური სამყაროს გადალახვაში იკვეთება, ვიცით, რომ მითოლოგიაში ამ დიდ სამყაროში 3 სფერო იკვეთება: ზესკნელი, სკნელი და ქვესკნელი, რომელთაც გარშემო აკრავს გარესკნელი. ყველა სკნელები იზოლირებულნი არიან ზღვებით, კლდეებით და უფსკრულებით, ყველა მათგანს შესაბამისი მოსახლეობა და მიზანდასახულობა გააჩნია. მაგ. ქვესკნელი წყლის ქვეწარმავალთა მუდმივ სიბნელისა და სიკვდილის საუფლოა. მისი სიმბოლოებია „მერანში“ საფლავი, ყორანი, მონობა, სიკვდილი „გზა-უვალი“, მაგრამ იკვეთება პოეტის მტკიცე, უშიშარი დამოკიდებულება „ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი“ („ლიტ. საქართველო“, 22 ივლ. 1983), რომლის გადალახვის საშუალება არის მერანი ანუ ჯადოსნური ცხენი.

ძველი მითოლოგია და ქართული ზღაპარიც იცნობს ამ მეტაფორას. ამირანის თეთრონი – იგივე ჯადოსნური ცხენია, ამირანმა ძმას სთხოვა:

*ბადრო მათხოვე თეთრონი,*
*ზღვაში გავიდე ნგრევითა,*
*გავიდე გამოვიყვანო*
*ქალია თეთრი მზე ვითა.*
*თან ყურძენ გამოვაყოლო,*
*ტკბილია დედის რძევითა.*

თეთრონი ხომ „ერთი წლის სავალს ერთ დღეში გაირბენდა, ზღვა და ხმელეთი მისთვის ერთი იყო“. მერანს და ამირანს ერთი თვისება სჭირთ „საწყაულის აღუვსებლობა“, რომელსაც ბარათაშვილი ასე გამოხატავდა: „ერთხელ ნატვრით ისი ეკმაროს“, რაც თითქმის იგივეა – სწრაფვა მიუწვდომელობისაკენ.

ჩვენი ინტერესები მახვილდება – რა მიზანი აქვს ყამართან ერთად ყურძნის როგორც ნადავლის მოტაცებას „მერანში“. კრიტიკოსი გ. გაჩეჩილაძე ასეთ ინტერპრეტაციას გვაწვდის. განა ყურძენი თავის მიწაზეც თავსაყრელი არა ჰქონდა ქართველ კაცს, რომ მასზე ოცნებით ნგრევით არ გასულიყო გადაკარგულ ზღვაში და ზესკნელისთვის არ მიემართა?

მაგრამ ყურძენი ხომ მითოლოგიაში არამხოლოდ ვაზის ნაყოფია, არამედ კოსმიური სიცოცხლის ხის სიმბოლო, ხე, რომელიც სამყაროს ერთადერთ გამაერთიანებელ ღერძს წარმოადგენს. სამივე მათგანის თვისობრიობას იკრებს. მისი ფესვები გადგმულია ქვესკნელში, შუაწელის სკნელში და წვერი ებჯინება ცას. ხოლო ამ ხის ნაყოფის მგემებელი სიცოცხლის უკვდავების და სიბრძნის მომნიჭებელი საწყისთანაა ნაზიარები. იგი ბრძენი და მისანია – „ესაა დედის რძესავით ტკბილი. „ყურძნის სიტკბოსთვის გემოს გასინჯვის მიზანი“.

მოგზაურობა კი გმირისა ქვესკნელიდან ზესკნელში გმირის შინაგანი განახლების, მკვდრეთით აღდგომის, მეორედ მოსვლის, სამყაროს ცოდნის მისნურ ცოდნასთან მისასვლელი გზაა. რომელიც შეიცავს ბრძოლის გზით მკვდრეთით აღდგომის შესაძლებლობას. ამიტომაც მიაჩნია მერანის მხედარს, რომ „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება“ და დარჩება მის მიერ „თელილი გზა“, როგორც უკვდავება. პოეტის მიერ გათელილი გზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოპოვებული ნადავლი სულიერ-გონითი მონაპოვარია.

გალაკტიონთან „ზესკნელისა და ქვესკნელის იარუსები მარადიული ყოფნის ჰარმონიას ქმნიან და მისი მზეთა სიმღერა ამ მარადიულობის ჰიმნია“. მიუხედავად სიკვდილის გაუფასიურებისა და მასთან მისასვლელი გზის „ვარდისფრად“ წარმოსახვისა, ამ „გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე“. ოლიმპომდე მისაღწევ გზას „ზარით და ქუხილით ვერ გაივლი“ თუ არა ღვთის ნება, ნიჭი, გრძნობა და გონება“. და უპირველესად მან პოეტმა იცოდა, რომ შესწევდა ამის უნარი, მას შესწირა თავისი განუყოფელი სული.

გალაკტიონის ხედვა სამყაროსადმი მაინც განსხვავებულია ბარათაშვილთან შედარებით. იგი უფრო ზეაწეული, ბარათაშვილი უფრო მიწიერი და რეალისტი. გალაკტიონი ხელოვანის ფართო თვალსაწიერიდან უმზერდა ყოველივეს. კოსმოსური სიმაღლიდან დაჰყურებს სამყაროს, „მაღალი პოეზიის სხივებით ასხივებს დედამიწას თუ ადამიანებს“, ყველაფერში ხედავდა ამაღლებულ ხელოვნებას. ბარათაშვილი უფრო მშვიდი მეისტორიის თვალით უმზერდა, ბრძენი სწავლულივით აფასებდა ყველა მოვლენას. იგი პრობლემებსაც აყენებდა და მოვლენების სალი შემფასებელიც იყო. გალაკტიონთან პოეტური შემოქმედება უპირველესად ინტელექტუალური შრომის და შემდეგ ინტუიტური აზროვნების შედეგია. ხოლო ბარათაშვილთან პირიქით – ჯერ ინტუიცია, შემდეგ ინტელექტი.

„ლურჯა ცხენები“ მიღმური სამყაროს აღქმა და ხატვაა. სამუდამო მხარის გალაკტიონისეული სურათები საოცრად გიზიდავენ. ჩამავალი მზით ნაფერი ელვარე ნაპირი სამუდამო მხარისა, ნისლის ნამქერივით ისარკება, სიცივის თარეში და სიმწუხრე სხეულს გიყინავს ადამიანს. აქ სიხარული არ არის, არც ირგვლივაა – ცეცხლი და არც თვალებში, ცივ სამარეში მწოლს გადაგივლიან შეშლილი სახეები, ჩონჩხები, უსულდგმულო დღეები და საბოლოოდ ყველა და ყველაფერი მაინც აქ იყრის თავს:

*სიზმარიან ჩვენებით, ჩემი ლურჯა ცხენებით,*
*ჩემთან მოესვენებით... ყველანი აქ არიან.*

აქ ცრემლიც არ არის სამუდამო ბალიშის დასანამავად, როგორც ღამის ზმანება, ისე ჰქრება ვნებაწამება აბორგებული სულისა, ყვავილები არ ჩანან და სამარეში მოსვენებით ხარ, მაგრამ ვინ იცნობს შენს სახეს, ვინ მოიგონებს შენს სახელს, ანდაც კიდევაც რომ მოიგონონ, ვინ დაიჯერებს ამას?! მიღმური სამყარო საოცრების უბეა და იქ ვერავინ განუგეშებს. ბნელ ხვეულებშია მიძინებული გამოუცნობი ქიმერები, უსულდგმულო დღეები – ქვესკნელდება!.. ბოლოს და ბოლოს ეს განცდები ხომ ჯერ კიდევ ცოცხალი, ჩვენს შორის მყოფ ადამიანს ეკუთვნოდა, ჯერ კიდევ ჭაბუკსა და სიცოცხლით სავსეს. აქ კი ვხედავთ რომ სიკვდილსა და მიღმურ მხარეს პოეტის სული კარგახანია ნაზიარები და გინდ მიწის ზემოთ, გინდა სამარეში იგი წყევლითაა შენაჩვენები:

*მხოლოდ ნისლის თარეშში სამუდამო მხარეში,*
*ზევით თუ სამარეში, – წყევლით შენაჩვენები,*
*როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის*
*ტრიალი,*
*ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა*
*ცხენები.*

აქ კიდევ ერთხელ წარმოჩნდა პოეტის დაუოკებელი და ურთულესი ბუნება.

ქართველმა ხალხმა გულწრფელად გაიგო და შეიყვარა „მერანიც“ და „ლურჯა ცხენებიც“, იმიტომ, რომ მათში თავისი ბედ-იღბლის ასახვას ხედავს. „მერანში“ თავისი მდგომარეობის ანალოგიას აიგივებს, იქაც ხომ გონითი მხარე და მისი მხედარი ერთად იბრძვიან დაბრკოლებების გადასალახავად ისე, როგორც უნდა იბრძოლოს ქართველმა ხალხმა თავისთავადობის დასამკვიდრებლად.

გალაკტიონის პოეზიაში, რაც ტექსტებში ვერ იგრძნობა, ის ხშირად კონტექსტში იგულისხმება – გამოწვევის, განზრახვის, ან განწყობის ფორმით ამ მხრივაც გალაკტიონი ბარათაშვილის გაგებას იმეორებს.

რა თქმა უნდა ჩვენის მხრიდან ეს არის ერთიერთ წახნაგთან მიახლოვება და არა ამ საკითხის ბოლომდე გაშიფვრის პრეტენზია.

ბარათაშვილის მერანს შეგნებულად იმეორებდა თუ არა გალაკტიონი, ძნელი პასუხსაცემია. პოეტი აბსოლუტურად არ დასტრიალებს რომელიმე პოეტის ხატს, ყოველთვის მასში არის გავლენის მომენტი, რომელსაც ქვეცნობიერად თავისებურად ასხავს ფრთებს, ზოგჯერ სულაც წამიერი გაელვებით.

ბარათაშვილის პოეზია უდაოდ იდეურ პარალელებს იდებს თანამედროვე ფსიქოანალიტიკურ მწერლობასა და მისი გმირის სამყაროსთან. ადამიანის სული გაუცხოვდა, გაუსაძლისი ხდება სხვა ადამიანთან ურთიერთობა და ნატრობს მისთვის სათაყვანებელ არსებასთან ერთად სხივად გადაქცევას, გაქცევას, ან გაქრობას ამ სამყაროდან. პოეტის, ან მწერლის სწრაფვას კოსმიურ სხეულისაკენ, ანუ ამ მხატვრულ მიგნებას, თავის ბიოგრაფია აქვს თანამედროვე ლიტერატურის ისტორიაში. აბსურდამდე საზრისის დაკარგვამდე დასულა სამყაროში ყველაფერი, ასე ხედავს ბევრი თანამედროვე მწერალი ღირებულებათა ერთობლიობას. (მაგ. კამიუს, სარტრი, კაფკა და სხვა).

„რადგან ადამიანია ყველაფერი ნებადართული ვერ იქნებაო“ – შეჰხაროდა ადამიანის უზენაესობას გენიოსი ჰუმანისტი ვაჟა.

„ადამიანი არარად ქცეულაო, ახლა რაღა ეშველებაო, ვხედავ ამას ნათლად ვხედავ, არც არაფერი წამალი მეგულება და რაღა ჩემს ნაწარმოებს ნურვის გააცნობთო“ – ჩიოდა ადამიანის ბედით შეწუხებული კაფკა...

„რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა“... ნატრობდა ვაჟა. ბარათაშვილი იტყოდა:

*მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთა დღეთ*
*გარსამოვავლო*
*საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო*
*ვაცხოვლო*
*მინდა შენ იყო სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი.*
*რომ განაცოცხლო, შავარნო მდელო სიცხითა*
*დამჭკნარი.*

გალაკტიონს უდიდესი და უმძიმესი ეპოქის ქარტეხილები უწეწავდა სულს. ძნელი გასაგები შეიქმნა სად იყო ხოლმე ღამესთან ერთად მარტო... და კიდევ... და დრო გვეუარესა... დაისერა მსოფლიო. გამოუცნობ წყლულებით“ და ამიტომაც „ახლა რა თქმა უნდა ძლიერ გვიანია“ გულში მწუხარებამ ღამე გაათია“. ამიტომაც „დუმილი გახდა ვიწრო გალია“, „უკმარის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის ნიაღვარი“. ან „ჯვარს ეცვი, თუ გინდა საშველი არ არის!“ „რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე“?! და მაინც თქვა: „ბედთან არ დარიდების“, ანუ ესაა ცხოვრება.

მიუხედავად გალაკტიონის და ბარათაშვილის ლექსთა საოცარი ექსპრესიისა, მაინც არის მომენტი მასში იდუმალი აღსარებისა, ჩახშობილი ენერგიისა მონოტონური უსასრულობის გამო და მაინც თამამი გაბედული გადაჭრა ზესკნელში, ფანტაზიის წამიერი გაელვება იმ და ამქვეყნიურ სამყაროებს შორის. ფსიქოლოგიურ მოვლენათა „მდინარებით“ უწყვეტი „ნაკადით“ ხასიათდება „მერანიც“ და „ლურჯა ცხენებიც“. შეიძლება ეს აზრი იყოს ნაკლებ ზუსტი და არა მყარიც. ან მხოლოდ ჩემი მოკრძალებული მიგნება. და თუკი თანამედროვე პროზა ხასიათდება ფსიქოლოგიური ასპექტის გამახვილებული წარმოჩენით და ის შესაძლოა გამოყენებული იქნას გარკვეული სიზუსტით...“ როგორც „მერანში“, ასევე „ლურჯა ცხენებში“ ჩანს ლექსის ლირიკული გმირის ფსიქოლოგიური ასპექტის აბსოლუტური სიზუსტით ჩვენება. ორივე ლექსში ყურადღება (მახვილდება) ფიქსირდება ყველა სფეროზე დაწყებული ქვეცნობიერიდან, გონების ზეაღმავალი შრეების გავლით სასურველის გაცნობიერების უმაღლეს დონემდე.

ზედროულია ან პირობითია მოვლენები „მერანსა“ და „ლურჯა ცხენებში“ ანუ „ეს არასოდეს ყოფილა, ოღონდ ყოველთვის არის“ - სალუსტიუსის გამოთქმა სიმბოლიზმთან დაკავშირებით, რომელსაც ხშირად იმეორებდა გრიგოლ რობაქიძე.

ლექსთა იდეასთან დაკავშირებულია მთლიანი ფსიქოლოგიური წვდომა პოეტისა, სადაც ცნობიერების შრეები წინ უსწრებენ აბსოლუტურ გამოთქმების დონეს და არსებობენ პოეტის ყველაზე უფრო აქტუალური ყურადღების ფენებში. უბრალოდ აქ ფსიქოლოგიურ რომანში უფრო „მეტად ცნობიერება“ ჩანაცვლებულია „აზროვნებით“ ან „მეხსიერებით“.

ბარათაშვილის და გალაკტიონის პოეზიაში ერთიანი თვალთახედვა შენარჩუნებულია იმით, რომ ნაწარმოები აიგება გმირის აზროვნების სიღრმიდან. ამ ლექსთა პოეტიკა იმითაც უახლოვდება ფსიქოანალიტიკურ რომანს, რომ ისინი უკავშირდებიან ცნობიერების წინასწარმეტყველურ დონეს, ამჟღავნებენ აბსოლუტურ ინტუიციას და ცოდნას რა ელოდებათ ხვალ, ან ერთი წლის შემდეგ. „მერანში“ ბარათაშვილი ხედავს არა მხოლოდ საკუთარ გარდაცვალებას, საკუთარი სიკვდილის გარდუვალობას, არამედ ხედავს როგორ, რა ვითარებაში უნდა მოკვდეს.

*ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ*
*საფლავებს შორის*
*ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს*
*ცრემლი მწუხრის*
*შავი ყორანი გამითხრის საფლავს, მდელოთა*
*შორის ტიალის მინდვრის*
*და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა, ზარით*
*ღრიალით მიწას მომაყრის.*

რომ ყველაფერს ნათლად ხედავს და გარკვევით გრძნობს მისი შავი ბედისწერის ძალას, მაგრამ არ ნებდება და ეხვეწება: „გასწი! გაფრინდი! - ეს მეორე მხარეა. ამ შემთხვევაში ხაზგასმას ვაკეთებ პოეტის სწორ აბსოლუტურ ნათელხილვაზე და უტყუარ ინტუიციაზე.

გალაკტიონთან სიკვდილისა და მიღმურ მხარეს პოეტის სული კარგახანია ნაზიარები და გინდ მიწის ზემოთ, გინდ სამარეში იგი წყევლითაა შენაჩვენები.

*მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,*
*ზევით თუ სამარეში. - წყევლით შენაჩვენები.*
*როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის*
*ტრიალი.*
*ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა*
*ცხენები.*

ორივე სფეროს პოეზიასა თუ თანამედროვე პროზას ახასიათებს „შინაგანი“ ან „სუბიექტური“ ის, რაც წარმოჩენილია - სრული ფანტაზიის, ან ფსიქოანალიტიკურის სახით.

ორივე პოეტისათვის მისასადაგებელია ეპითეტები „ზეცნობიერება“ და „ზეხილვა“. შესაძლოა ჩემს მიერ შესადარებლად მოტანილი „ცნობიერება“ აკონკრეტებს ჩვეულებრივობას, ყოფიერებას აფიქსირებს, გალაკტიონთან და ბარათაშვილთან კი ყველაფერი ზეაწეული და ზეცნობიერია. ყოველივე ღვთიურით განათებულია „ლურჯა ცხენების“ სწრაფვა ქვესკნელში - ზესკნელსაც გვაახლოვებს და ჩნდება გაიგივების, ანუ მსგავსების გრძნობა ქვესკნელ-ზესკნელისა და ესეც ხომ მარადისობის წრებრუნვაა.

დასაწყისში აღვნიშნე, რომ „ლურჯა ცხენები“ დიალოგია „მერანის“ ავტორთან, სადაც სჩანს, რომ არც მერყევი სიტუაციაა მარადიული. იგი ხშირად ამბობს: „თუ გინდა ჯვარს ეცვი საშველი არ არის, არ არის, არ არის“. ამ მძიმე წუთებში გალაკტიონი უფრო ტრაგიკულ პიროვნებად გამოიყურება, ვიდრე ბარათაშვილი, თუმცა ხშირად ღვთაებრივი სამყაროს არსებობის რწმენაც ანათებს მასში. ასეთი გაორება დიდ პოეტებს მიეტევებათ, რადგან მისი მსოფლმხედველობა განცდა, განწყობილება, სიტუაციიდან გამომდინარე გაორებულ მდგომარეობაშია. ვერც რწმენასთან იქნება მტკიცე და გაუბზარავი, რამეთუ ყველა დიდი შემოქმედი მონაცვლეობს სხვადასხვა ღმერთთიან დამოკიდებულებაში და მისი მსოფლმხედველობაც შესაბამისია მისი რწმენისა, ბარათაშვილისგან განსხვავებით გალაკტიონი უფრო ჩაღრმავებას მოითხოვს. სიმბოლიზმის პოეტიკიდან გამომდინარე სიმბოლოებით და მინიშნებებით გვესაუბრება. ბარათაშვილი კი უფრო ნათელი და გასაგებია:

*თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი*
*და დაღალული ფიფქით დამთოვა.*
*როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!*
*როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!*

ამ ლექსს ასეთ ახსნას აძლევს მკვლევარი ა. გომართელი:

ლექსში პოეტი ცხადია არ გულისხმობს როგორმე გადაურჩეს მკაცრ და სუსხიან ზამთარს, ან ქალის სიშორით გამოწვეული სევდიანი პოეტის აღსარებას. მისი სულიერი ქარტეხილები იგულისხმება. ეს ლექსი წმინდა ფილოსოფიურ-რელიგიური ხასიათისაა და ამის დასაბუთებას გვაძლევს სიმბოლური მინიშნებები „თოვლი“, უდაბნო“, „გზა“, „ქალწულებრივი სისპეტაკე“, -- უდაბნოში მოფრიალე მანდილი და სხვა.

სახარებიდან ვიცით, რომ „უდაბნო“ სულიერი გამოცდის სიმბოლოა. გრ. ხანძთელმა - „უდაბნოში ანუ ტაო-კლარჯეთში წაიყვანა ძმობისწევრები გამოსაცდელად. გზა ძიების სიმბოლოა ბიბლიაში.

თანამედროვე ლიტერატურაში აქტუალური საკით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხთა გზის ძიება გრძელი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზით მოტანილი კათარზისის მომენტი (ოთარ ჭილაძის რომანებში, გ. დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“), ქალწულებრივი სისპეტაკე მარიამ ღვთისმშობლის სახებიდან მოდის. მოფრიალე მანდილიც ალბათ მისია, აქ ჩანს პოეტის სულიერი შვების ძიებისთვის ღვთისმშობელთან მიახლოვების სურვილი. გვახსოვს როგორ გადმოვიდა „თოვლიანი უდაბნოს“ მეტაფორა ო. ჭილაძის „რკინის თეატრში“, რომელიც მთავარი გმირის გელას მეორედ დაბადების სიმბოლოდ უნდა იქცეს, ან გ. დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პირველი“ დომენიკო ჩადის კამორაუდაბნოში მკვდრეთით აღსადგომად. ორივე გმირის მხრიდან „თოვლიან უდაბნოში“ გზის ძიება, როგორც სულიერი გამოცდის სიმბოლო, მეორედ დაბადება რელიგიური ხასიათისაა. რომ თოვლის სისპეტაკე ქალწულებრივ უბიწობას უკავშირდება - ეს უკვე გაშიფრული მეტაფორაა. აქედან მოდის ალბათ გალაკტიონის: „ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა“.

მერანის მხედარსა და ბედისწერის სატანურ ძალებთან დუელი იმართება, რომელსაც კი არ გაურბის მხედარი, არამედ ამ ბრძოლაში პოულობს არსებობის აზრს. იგი არ მთავრდება, ვინაიდან ეს ბრძოლა იგივდება ჭეშმარიტების ძიებაში. და ვინაიდან „ეს არის ჭეშმარიტი არსებობის თვისება“. მერანში იკვეთება ქართველი ერის ისტორია და მათ ბრძოლაში მჟღავრდება ერის საბრძოლო ქიმი და მისი „ბრძოლის ესთეტიკა“, „განწირულის სულისკვეთება“ ითვალისწინებს „თვითშეწირვის იდეას, „მოძმეთა“, როგორც მთელი კაცობრიობის ხსნის მიზნით თვითშეწირვის მითოლოგები გამოხატულებას მაცხოვრის მისტერიაში იძენს.

კრიტიკოს გ. გაჩეჩილაძის აზრით, „როგორც ქრისტე გოლგოთაზე - ჯვრის სიმაღლიდან გადმომზირალი და ქვეყნის უსამართლობით შეძრწუნებული ავლენს მზერას სამყაროს და „ხმითა დიდითა“ შეჰკივლებს: „ღმერთო ჩემო; რაისთვის დამიტევებ მე, მერანის მხედარიც ასევე სამყაროს გასაგებად ჰკივის:

*ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის,*
*ეს განწირულის სულისკვეთება*
*და გზა უვალი შენგან თელილი*
*მერანო ჩემო მაინც დარჩება.*
*და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა*
*სიძნელე გზისა გაუადვილდეს*
*და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი*
*შავი ბედის წინ გადმოუქროლდეს.*

მაგრამ ამავე დროს აქ იკვეთება მერანის მხედრის გარკვეული პოზიციაც: თქმაში „მოძმესა ჩემსა გზისა. სიძნელე გაუადვილდეს“ არ კრთის არანაირი იმედის ნაპერწკალი მომავლისა მხედრის მსოფლმხედველობაში. ეს არის მხოლოდ თვითკმაყოფილება მოძმისადმი სამსახურის გაწევისა და არა რწმენა ნათლით მოსილი ხვალინდელი დღისა.

მეორეს მხრივ მხედრის თარეში უსასრულოა, არა რომელიმე ძალისაგან დაქვემდებარებული. შავ ბედისწერას იგი ყორანის სახით წარმოადგენს - იქნებ ეს წყეული ფრინველი წარმართული ღვთაების რომელიმე სახეა ბოროტების სიმბოლოდ წარმოდგენილი.

პოეტის დამოკიდებულება წარმართული ღვთაებისადმი უფრო იკვეთება ლექსში „სულო ბოროტო“, სადაც ღმერთს სრულიადაც არ მოელაპარაკება. უფრო მეტიც, მას უპირისპირდება და ბედისწერის ძალას მის ტოლფასად წარმოადგენს, ამიტომაც უწოდებს ამ ძალას „ბოროტ სულს“, „შავ ბედისწერას“ და ა. შ., რომელსაც მიაფრენს შავი ყორანი და რომელსაც უპყრია პოეტის სულის მოძრაობის, ან მოქმედების სადავეები და ატარებს მას, ისე, როგორც თვითონ სურს, თუმცა პოეტი არ ემორჩილება მას და მკაცრ პროტესტსაც უცხადებს: „ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი“. აქ რომ ღმერთი იყოს ნაგულისხმევი, პოეტი უთუოდ მორჩილებას გამოუცხადებდა და ქედს მოიხრიდა მის წინაშე, მაგრამ გაურბის მას, როგორც საშინელ მოსისხარს, მტერს, რომელიც არ ინდობს. ე. ი. აქ მთლიანად განტვირთულია პოეტი ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან, ბუნებრივია რომ ყოველი დიდი შემოქმედის, თუ პოეტის მრწამსი განწყობილია, ხან ძალზედ რელიგიური, ხან პროტესტით ან ანგარიშსწორების წყურვილით შეპყრობილი (ბედთან ნ. ბარათაშვილის ლექსში „სულო ბოროტო“),

*მარქვი რა უყავ სად წარმიღე სოფლის*
*მშვიდობა*
*რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა*
*სარწმუნოება.*
*ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას ყმაწვილკაცობას?*
*თითქოს მაძლევდი ამასოფლად*
*თავის უფლებას?!*

და გალაკტიონის ლექსში „სილაქვარდე ანუ ვარდი სილაში“ მარიამ ღვთისმშობელთან მიმართება:

*სად არის ჩემთვის სამაგიერო,*
*სამაგიერო სად არის სული*
*ვით სამოთხიდან ალეგიური*
*მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული.*

ვფიქრობ, გალაკტიონმა ბარათაშვილის შემოქმედებიდან ყველა დიდი იდეა წამოიღო და უზარმაზარ, თავისებურ ორკესტრად აქცია. აქ საოცარი ორკესტრებისთვის გამოიყენა ფრანგული თუ რუსული სიმბოლიზმი, ქართული მითოლოგია, მას შეუძლია ყველა წამოსული ნაპერწკალი დიდ ცეცხლად ააგიზგიზოს. გენიოსის გასაგებად და დასანახად თვით მკითხველის განწმენდაა საჭირო, რასაც გალაკტიონის ლექსები თვითვე ახერხებენ (შესაძლოა თუნდაც ანალოგიური წამების ტანჯვის, განცდის გზით)

არაფერი ზეაწეული არ არსებობს გალაკტიონის პოეზიაში ისეთი, რომელმაც მიწიერიდან არ მიიღო საფუძველი, ყოველი სიმაღლე ხომ ნიადაგს მიწაში პოულობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ინგა მილორავა

## სილურჯე სიღრმის, ზღვის და... სიკვდილის

მოდერნისტული პროზის მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებად ჩამოყალიბებას ხელს უწყობს სინამდვილის ტრანსფორმაციის სხვადასხვა გზა და შედეგად მიღებული განსხვავებული ფორმები. ,,პირველადი ხატება" წმინდა მხატვრულობის პრინციპის გათვალისწინებით მხატვრულ ქსოვილში ტრანსფორმირდება როგორც ზმანება, სიზმარი, ხილვა, ლეგენდა, ზღაპარი. რადგან მოდერნისტული პროზის მსოფლმხედველობრივი და მხატვრულ-ესთეტიკური საფუძველი ცხოვრების ზმანებად, ილუზიად და მიღმური რეალობის ანარეკლად გააზრებაა, ბუნებრივია, დგება ამ მიღმური სამყაროს არა მარტო შეგრძნების, ინტუიციური წვდომის, არამედ მასთან შეერთების გამოსახვის აუცილებლობისა და ორი სამყაროს კავშირის ფორმების მხატვრული გარდასახვის საკითხიც. კავშირის ერთ-ერთი მთავარი ფორმაა სიკვდილი. სიკვდილი ყოფიერების, არსებობის ილუზიიდან თავდახსნის საშუალებად არის წარმოდგენილი. იგი სიცოცხლისგან ,,გამოღვიძებაა", ხორცის ბორკილებისაგან თავდახსნილი სული გადაჰყავს მისთვის ნამდვილ და ბუნებრივ სამყოფელში - სასუფეველში. ზოგადად ასეთია მოდერნისტული ასახვის და გამოსახვის კონცეფციის ეს ერთი ასპექტი.

მოდერნისტული აზროვნება, როგორც ევროპული, ქრისტიანული კულტურის წიაღში წარმოქმნილი მოვლენა, ითვალისწინებს და, მიუხედავად ფასეულობათა ძირეული გადაფასებისა, გარკვეულწილად ეყრდნობა კიდეც ქრისტიანულ დოგმებს. მაგრამ თვალსაწიერის გაფართოების შედეგად მას იმდენი რელიგიურ-ფილოსოფიური შენაკადი გაუჩნდა, რომ ვერასგზით შეინარჩუნებდა მტკიცე, უხინჯო რწმენას. მხატვრული გააზრების პროცესზე სხვადასხვა ფილოსოფიურ-თეოლოგიური დებულებების ზეგავლენა, უპირველეს ყოვლისა, ღვთაებრივი სამყაროს, ტრადიციული სქემის მიხედვით მოწყობილი საიქიოს არსებობა-არარსებობის საკითხში გამოიხატა. იგი მეოცე საუკუნის რწმენაშერყეული ადამიანის სკეპსისით, მტკიცე საყრდენის უქონლობის მტკივნეული განცდით, გაქრობის, არარსებობის შიშით არის შეფერილი, მაგრამ მოდერნისტული აზროვნებისათვის ნიშანდობლივია მხოლოდ დაეჭვება და არა რაიმეს, თუნდაც საიქიოს საპირისპიროდ სრული გაქრობის, არარსებობის რწმენა, სწორედ ეს ორჭოფობა, გაორებაა მისი დამახასიათებელი თვისება. საკუთარი გამოცდილების, ცდის, პრაქტიკის და შემოწმების თვალსაჩინო შედეგების გარეშე მას არც საიქიოს, ღვთის საუფლოს გარკვეული ფორმით არსებობის მტკიცება შეუძლია და არც მისი სრული უარყოფა. ამ შემთხვევაში იგი უფრო გრძნობას და სურვილს ეყრდნობა. უმთავრესი აქ არა რაციონალური, არამედ გრძნობად-ინტუიტიური აღქმაა. ინტუიციის, ხილვის, შეგრძნების დონეზე მოცემული მიღმური სამყაროს არსებობის სურვილი და ცხოვრების ილუზორულობის შეგრძნება აშკარად და რელიეფურად იკვეთება მოდერნისტულ ხელოვნებაში. ამ ურთულესი მხატვრულ-ფილოსოფიურ-რელიგიური პრობლემების საბოლოოდ გადაჭრას და სრულყოფილად გამოსახვას მხოლოდ მწერლობა და ისიც მისი ერთი ჟანრი - მოთხრობა, რა თქმა უნდა, ვერაფრით იტვირთავდა, მაგრამ ინტენსიური მცდელობა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მოთხრობაში, განსაკუთრებით კი მის წმინდა მოდერნისტულ ნაკადში. ნათლად ჩანს.

ქრისტიანობის საფუძველი ჯერ კიდევ განმანათლებლობამ შეარყია, აზროვნების საბოლოო მოდერნიზაციას კი ბიძგი ნიცშეს ღმერთის გარეშე დარჩენილი სამყაროს გააზრებამ მისცა. მაგრამ მოდერნიზაცია არ გაუტოლდა სრულ ურწმუნობას, ულმერთობას. რელიგიური გრძნობა უცვლელი დარჩა, მოხდა მხოლოდ მისი განახლება, ფილოსოფიასთან განზავება (სიორენ კირკეგორი, რუდოლფ შტაინერი). მოდერნისტულ აზროვნებაში ერთმანეთს შეერწყა ღმერთის გაქრობის, თვალთახედვის არიდან დაკარგვის შემდეგ სიცარიელის განცდა, ღმერთის ძიება (დ. მერეჟკოვსკი, ვ. როზანოვი, ნ. ბერდიაევი, ს. ბულგაკოვი) და ღმერთთან საკუთარი მიმართების გარკვევის სურვილი (ვლ. სოლოვიოვი). ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულებების მხატვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულად ტრანსფორმირებისას წინა პლანზე იწევს გააქტივებული პოეტური მგრძნობელობა. მეტაფიზიკური სამყაროს მისტიკური წვდომა ასოციაციებში, ალუზიებში, პარაბოლებში, რემინსცენციებსა და პირობით მხატვრულ სახეებში ისხამს ხორცს. მიუხედავად სკეპსისისა, მოდერნისტული ნაწარმოების „შიდაქვეყანაში“ „მარადიულის შრიალი ისმის“ (ქართული ლიტერატურული ესსე, თბ.1986, გვ.147). იგრძნობა მიღმური „პირველი ხატების“ არსებობა, ხოლო უშუალოდ ტექსტში „ნივთები აითვისებიან, როგორც ნიშნები გამოუთქმელის“ მიღმური და ხორციელი სამყაროების ურღვევი კავშირის გამოსახვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიკვდილს, როგორც ესთეტიკურ ფენომენს.

მიუხედავად ყველაფრისა, მოდერნისტულ მწერლობას მაინც არ გაუჩნდა რელიგიური თუ ფილოსოფიური პრობლემების არც საბოლოოდ განსჯის, არც რაიმე კატეგორიული დასკვნის გამოტანის სურვილი თუ პრეტენზია. მისთვის მთავარი იყო გარკვეული მიგნებების, ინტუიციასა და გამოცდილებაზე აღმოცენებული უშუალო, ხალასი შეგრძნებების მხატვრული ტრანსფორმაცია და ესთეტიზება, ფილოსოფიური იდეა ასრულებდა საყრდენის, მხატვრული ქსოვილების ტექსტუალური კომუნიკაციების ხერხემლის ფუნქციას. ურთულესი პრობლემა, როგორიც არის ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სამყაროთა, ცხადისა და ზმანების ურთიერთმიმართება და მათი შემაკავშირებელი რგოლი - სიკვდილი ესთეტიკურად გამოისახება და, პოეტური განცდის აქტივიზაციით, ზუსტი მხატვრული სახეებიდან მძაფრი ემოციის აღძვრით აღწევს მიზანს.

როგორც საერთოდ მოთხრობის ანალიზიდან ჩანს, სიკვდილს აქ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება:

ა) სიკვდილი - ტრაგიკული, მაგრამ მშვენიერი მოვლენა;

ბ) სიკვდილი, როგორც სულთა სამუდამო კავშირის აღდგენის საშუალება;

გ) სიკვდილი - მიღმა სამყაროში გადასვლის საშუალება.

ეს ფუნქციები მსჭვალავენ ერთმანეთს და მხოლოდ მათი მთლიანობაში დანახვის, პერსპექტივაში განჭვრეტის შემთხვევაში ხდება თვალსაჩინო ნაწარმოების მხატვრული მიზანდასახულობა და ესთეტიკური ღირებულება.

საგულისხმოა, რომ რომანში სიკვდილი ბოლო საფეხური, გადამწყვეტი ნაბიჯია, რომელიც წარმოსახვის სიღრმისეულ შრეებში გამავალი გრძელი გზის გადალახვით მიიღწევა და ნათელს ჰფენს ნაწარმოებში დატრიალებული მოვლენების შინაარსს (კონსტანტინე გამსახურდია, „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, დემნა შენგელაია, „სანავარდო“, გრიგოლ რობაქიძე „გველის პერანგი“, „ჩაკლული სული“ და სხვ.) მოთხრობაში სიკვდილის სახის ასეთი გადაწყვეტაც შენარჩუნებულია, მაგრამ იმავდროულად მნიშვნელოვანია მისი, როგორც ნაწარმოების შემდგომი განვითარების, მხატვრულ სახეთა გაშლის ათვლის წერტილის ფუნქცია.

სიკვდილის არსის სრულყოფილად შემეცნების, შეგრძნების ესთეტიკურად ასახვისა და გამოსახვის თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ნიკო ლორთქიფანიძისა და ვასილ ბარნოვის პროზა.

ნიკო ლორთქიფანიძის და ვასილ ბარნოვის მოდერნისტულ რკალში მოქცეულ მოთხრობებსა და ცალკეულ პასაჟებში შეერთდა სიკვდილის პოზიტიური შინაარსი. მისი ესთეტიკურად ასახვისა და გამოსახვის მოდერნისტულ ხერხებს თავისუფლად იყენებს ლეო ქიაჩელიც. ეს მწერლის აზროვნების წესია მოდერნისტული, მაგრამ მასთან მინიშნებაც აღარ გვხვდება ჯუფთ სულთა შეერთებაზე, ნათელ, სიყვარულით გაბრწყინებულ სასუფეველზე. მისი მიღმური სამყარო არაკონკრეტული, ბუნდოვანი და იდუმალია. მას არავითარი სქემა არა აქვს, მხოლოდ ინტუიციით გრძნობს ზერეალობის არსებობას. არ ჩანს ნიკო ლორთქიფანიძისეული ლირიზმიც ამ საკითხთან მიმართებაში. რაც შეეხება ხორციელ სიკვდილს, იგი ლეო ქიაჩელისთვისაც გაუსაძლისი ცხოვრებისაგან თავდახსნის და მიღმა სამყაროში გადასვლის საშუალებად რჩება. საიქიოს, მიღმა სამყაროს არსებობის საკითხში ლეო ქიაჩელი, შეიძლება ითქვას, ნიკო ლორთქიფანიძეზე უფრო იმედიანად არის განწყობილი, მაგრამ მის მიერ შექმნილი სურათები უფრო პირქუში და მკაცრია, ის კი არადა, ოდნავ ირონიითაც არის შეფერილი. მოთხრობაში „ისკანდერი“ მოცემულია სახე გარდაცვლილი ადამიანისა, რომელიც მიღმა სამყაროდან ელაპარაკება ცოცხლებს. გახევებული სხეულიდან ამომავალი იდუმალი ხმა უცნაური შთაბეჭდილებას ახდენს. ოდნავი ირონიით შეფერილი ეს სახე ტიპური მოდერნისტული ხერხებით არის გამოკვეთილი: ბუნდოვანი სიტუაცია, სხეულების ქაოტური განლაგება, ნისლოვანი რაკურსი და, რაც მთავარია, სიუჟეტური ქარგა, რომელიც ფილოსოფიური იდეის მხატვრულ ილუსტრაციას ემსახურება. ირეალნაკსად ქცეული იდუმალი არსება, მთლიანად მისი იერ-სახე, ირგვლივ შექმნილი სიკვდილის და იდუმალების სურნელით გაჯერებული გარემო ადასტურებს, რომ მიწიერი ფონი ილუზია, ზმანებაა, თვალის და ყურის საცთური, ხოლო სიკვდილი კი საიდუმლოს ერთადერთი გასაღები. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გაიგო ადამიანმა სიმართლე სიცოცხლის შესახებ და იპოვა თავისი ნამდვილი სახე. იგი უბრუნდება, უერთდება იდეათა იმ მარადიულ სამყაროს, რომლის ანარეკლიც იყო მისი ხორციელი ხატი და მრუდე მიწიერი სახელი. ნაწარმოების იდუმალებას კიდევ უფრო აძლიერებს სათქმელის ბოლომდე უთქმელობა. სიკვდილის გამომწვევი იმპულსის ბუნდოვანება სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა მოთხრობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მკვლელობა კოხტაგორაზე“. მაგრამ, როგორც ჩანს, მწერლისთვის უმთავრესი იყო არა თავისთავად მოვლენის შინაარსი, არამედ უშუალოდ სიკვდილის იდუმალი ატმოსფეროს შექმნა, სიკვდილის გრძნობის აღძვრა. ამ ასპექტს იგი არ ივიწყებს იმ შემთხვევაშიც, როცა სიკვდილის შინაარსობრივ მხარეს ანიჭებს უპირატესობას.

მაგრამ, მოქუფრული, მუქი ფერებისა და ფორმათა სიმკაცრის მიუხედავად, ლეო ქიაჩელის სიკვდილის ხატი მაინც მშვენიერია. მწერალი მას ესთეტიკურ ფენომენად გაიაზრებს. მოთხრობაში „თავადის ქალი მაია“ გამოვლინდა სიკვდილის ძირითადი ფუნქცია: აუტანელი ცხოვრების ცოდვით დამძიმებული სხეულისაგან თავის დაღწევის საშუალება. სიკვდილი ამ შემთხვევაში სრული თვითუარყოფა, თვითმკვლელობაა, მაგრამ მასთან მიახლების პროცესი უაღრესად ესთეტიკურად არის გამოსახული. უბედური, სასომიხდილი, ტანჯული ქალის თვითმკვლელობის მხატვრული ინტერპრეტაცია ქმნის მშვენიერების განცდას. ლეო ქიაჩელი ვასილ ბარნოვის გზას არ მიჰყვება და სიკვდილს არ უკავშირებს რაიმე კონკრეტული საკრავის ტკბილ ხმას, მაგრამ მელოდიას აქ ზღვის ხმაური ჩაენაცვლა. მაია მიდის ლურჯ ზღვასთან, რომელიც ზმანებასავით ღრმა და უსაზღვროა. ფერწერული პეიზაჟი ქმნის შესაბამის განწყობილებას:

„შავი ზღვის ნელი სუნთქვა ზაფხულის მიწურულში. ლურჯი ქარგები სამეგრელოს ნაპირებისა და მიბნედილი სიმშვიდე შორეული ჰორიზონტების.

საღამოს მოახლოება - ლურჯი ქვიშა და ლურჯი ზღვა. ლურჯი ცა და ამავე ფერის ტყეები და მათ შორის დაკარგული ზღაპრების ლურჯი ზმანება.“ (ლ. ქიაჩელი, თხზ. ოთხ ტომად, თბ., 1985, ტ. II, გვ. 259).

თავადის ქალი მაია თანდათან უახლოვდება ზღვას, ე. ი. უახლოვდება სიკვდილს. იგი ზღვის ტალღებს სწირავს ძვირფას და მშვენიერ ნივთებს - მოგონებებს. სიკვდილმა - ზღვამ ჩანთქა ყოველივე: წარსული, აწმყო, მომავალი, დაღლილი სხეული, მოგონებები, გრძნობები. ზღვის ტალღებში ინთქმება დრო და სივრცე.

„თვალებში ნაღველის ფერი ჩასდგომოდა და მის მიღმა კიდევ სხვა რაღაც ფერი შეუცნობელისა და შორეულის, რომელიც სიკვდილის ლანდს ჰგავდა.

- ვინ არის იქ ისეთი, ვინც აღარ უნდა იყვეს?!“ - იკითხეს მეორედ ზღვის ზვირთებმა და მაიას რომ თვალი მოჰკრეს, გაოცებით შესდგნენ და წამით სული განაბეს“ (იქვე. გვ. 74).

ზღვა აშინებს მაიას, მაგრამ იზიდავს, უხმობს, ზღვის ტალღების სილურჯესა და სირბილეში ეძებს იგი გვემული, ცოდვილი სხეულის განსვენებას.

„- ჰო, ეს ზღვა დღეს რა რიგ მაშინებს, დაფი! მეჩვენება, თითქოს სიკვდილსაც ლურჯი ფერი აქვს, როგორც ზღვას და როგორც ზღვა ისე დიდია, ისე ღრმაა სიკვდილი“ (იქვე, გვ. 276). მაიას მოგონებები თითქოს შენელებულია, რბილი და პლასტიკური მისი მოქმედება: სამკაულის მოხსნა, თანმდევი მოგონების გაცოცხლება, შემდეგ სამკაულის ზღვაში გადატყორცნა მშვიდი ზღვის ტალღების ნელ რიტმზეა აწყობილი. იქმნება სუფთა ლურჯი ფერის, მოქნილი ხაზებისა და ლაკონური შტრიხების ჰარმონიული შეთანხმებით დახატული დასრულებული მშვენიერი სურათი, რომელსაც ძლიერი ემოციური ველი აკრავს გარს.

ჩანს, ლეო ქიაჩელის წარმოსახვაში ზღვამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი, როგორც სიკვდილის ესთეტიკურმა სიმბოლურმა სახემ. „ალმასგირ კიბულანში“ კიდევ უფრო ფერადოვანი სურათი იქმნება. ზღვის ლურჯ მთრთოლავ სხეულს დაემატა მთვარის ვერცხლის დისკოს ათინათები. იმავდროულად მთვარე გააზრებულია როგორც ქალღმერთი დალი, რაც იდუმალების შეგრძნებას ბადებს და მისტიკურ ელფერს ანიჭებს მოქმედებას. „მთვარემ პასუხად უცებ ოქროს დალალები გადმოშალა და დალის სახე მიიღო. მერე დაირხა, მოწყდა და ძირს დაეშვა ალმასგირის პირდაპირ, საკვირველად ახლოს“ (იქვე, გვ. 288-289). დალად გარდაქმნილი მთვარის ოქროს დალალებს თან მოჰყვება იდუმალი საოცრება, რომელიც აერთებს მიწას და ზეცას და ეს არის ზღვა. „...თვალწინ გაუგებარი საკვირველება გადაეშალა. - ჰაერისა და წყლის უსაზღვროება ერთმანეთში არეულიყო და უსახეობას ქვეყნიერება ჩაენთქა. ეს იყო ზღვა ინგურის შესართავთან“. (იქვე, 289). ზღვამ შთანთქა მთელი ქვეყანა. დალის ოქროს თმა უერთდება ცისა და ზღვის სილურჯეს და ვერცხლისფერს. ამ ფერადოვან იდუმალ სამყაროში თავისუფლად დასრიალებენ აჩრდილები, ზმანებანი და მოდის სიკვდილი, ალმასგირის შვება:

„წინ აციალებული ზღვის სიღრმეში მან მართლა დაინახა მთვარის შუქმფენი სახე, რომელიც თითქოს ზედაპირისაკენ მოისწრაფოდა. ეს გივერგილას მფარველი იყო, რომელიც ამას წინ ზეციდან ძირს დაეშვა, სადღაც ახლოს, ოქროს თმებში თვალგახილული, მოღიმარი გივერგილა გაეხვია და ალერსით გულში ჩახუტებული უფსკრულიდან ამოჰყავდა.

- გივერგილ! - არაადამიანური გახარებით შესძახა ალმასგირმა, მძიმე ტანი აიმჩატა, ჰაერში შემართული ხელების დიდრონი, კაუჭა თითები მოლანდებული შვილისკენ გააშვირა, წყალი შეაპო და ზღვაში შეიჭრა.

მაგრამ მას ზღვა არ უგრძვნია სიკვდილის წინ, რადგანაც თვალგახელილი შვილის მოღიმარი სახე თვალთაგან არ მოშორებია“ (იქვე, გვ. 289).

ალმასგირ კიბულანის სიკვდილი ზღვასავით მშვენიერია, შვების მომგვრელი და მიღმა რეალობაში გარდაცვლილი შვილის სულთან შეერთების შესაძლებლობაზე მინიშნებასაც შეიცავს.

„ჰაკი აძბაში“ მოდერნისტული პროზის ტენდენციები უკვე საკმაოდ განეიტრალებულია და მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ შიგადაშიგ, მხატვრული ქსოვილის წმინდა ტექნიკური დამუშავების დონეზე გამოკრთის. შესაბამისად, სიკვდილიც აღარ არის იმდენად ესთეტიკური მოვლენა, მაგრამ ზღვის, როგორც სიკვდილის სიმბოლური სახე ინარჩუნებს თავის მხატვრულ მიზანდასახულობას. ჯერ ერთი, თვით ზღვაა ცოცხალი, ქმედითი „პერსონაჟი“. ზღვიდან მოდის საფრთხე - გემი. ზღვა აირეკლავს მოახლოებულ ტრაგიკულ მოვლენებს და უშუალოდაც ერთვება მოქმედების გაშლაში. იგი ხელს უწყობს მოვლენათა შორის ფარული კავშირის გაბმას. ზღვა ერთმანეთთან აერთებს სხვადასხვა სურათს (გემის მოახლოება; პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა; დახვედრისათვის მზადება; უჯუშის პორტრეტი; ვასკა-პირატის მკვლელობა; უჯუშის ძებნა; ჰაკი აძბას თავგანწირვა; გემი გაშლილ ზღვაში; უჯუშის და ჰაკის სიკვდილი) და სხვადასხვა პერსონაჟის დამახასიათებელ მუსიკალურ თემებს (კუზმას მრისხანე, მგრგვინავი, მჭექარე თემა; ვასკა-პირატის „სკომოროხული“ მელოდია; უჯუშ ემხას მღერი, კეთილშობილური, არისტოკრატიული ქედმაღლობითა და თავშეკავებულობით დაფარული მღელვარებით სავსე თემაა, თავისებური ექო, მელოდიკური თვალსაზრისით, ბევრად უფრო გამარტივებული ვარიაცია - ჰაკი აძბას თემა, რომელიც სიკვდილის მღერი აკორდით ბოლოვდება; სამსონ დავანაძის შემპარავი მელოდია; კეთილშობილ ქალთა სევდიანი, მოახლოებული საფრთხის შეგრძნებით ოდნავ შემღვრეული, მაგრამ სათნოებით, სიამაყითა და სინაზით აღსავსე თემა და ა. შ.) შედეგად მიიღება ერთიანი, კომპოზიციურად შეკრული სურათი, რომლის პოლიფონიურობა ერთფეროვანი ზღვის ფონზე თვალშისაცემი არ არის, მაგრამ ანგარიშგასაწევია. შემაერთებელი-სუბსტანციის გარდა ზღვას კიდევ ერთი ფუნქცია აქვს - იგი სიმბოლოა კარსმომდგარი პირქუში, სასტიკი ეპოქისა, რომელიც წალეკავს მშვიდ და წყნარ ცხოვრებას. პეიზაჟი აირეკლავს მომავალ ცვლილებებს.

სტიქიის მრისხანებაში ილანდება ადამიანთა სამყაროს მღელვარება. სულ მალე ტალღების ნაცვლად ნამდვილ ყუმბარებს დაუშენენ ამ ნაპირებს, ნამდვილი ტანკები გადავლენ იერიშზე. ზღვაში განივთდა მომავალი ქაოსი. მოთხრობის ჩარჩოში იგი ასრულებს ყოვლისშთანმთქმელი სიკვდილის ფუნქციას, ერთდროულად არის ტრაგიკული მომავლის ხატიც და აწმყოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების ასპარეზიც. მან უნდა შთანთქას გარდასული ეპოქების ნაშთები - განწირული ადამიანები, მათი ურთიერთობები, გრძნობები, წესჩვეულებანი. უჯუშ ემხა ახალ სამყაროში ვერ იარსებებს, არც აძლევენ უფლებას, განაგრძოს არსებობა, ზღვას მიაქვს ბოლშევიკებისაგან დახვრეტილი ახალგაზრდა არისტოკრატის ამაყი და სასტიკი, ვეფხვივით მოქნილი და შეუპოვარი თავადის სიცოცხლე. ჰაკი აძბასთვის ძუძუმტის ერთგულება ცხოვრების საზრისია, მასთან განშორება კი სიცოცხლესთან განშორების ტოლფასი. „ჰაკი აძბაში“ არ არის, ყოველ შემთხვევაში, არსად ჩანს, მიღმა სამყაროს ანარეკლი, არც სიკვდილია გააზრებული აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან ან მშვენიერებასთან შეერთების ბოლო საფეხურად. იგი რჩება მიწიერ ჩარჩოებში. მას არც განსაკუთრებულად ესთეტიკური გარეგნული სახე აქვს, არ არის „მორთული“, გამშვენიერებული არც მუსიკით, არც უხვი ფერებით, არც ძვირფასი თვლების ციმციმით, არც ნატიფი და მოხდენილი სახეებითა და სხეულებით. ჰაკი აძბას ზღვაში გადავარდნის სცენა ექსპრესიულად, მაგრამ ზედმიწევნით სადად და უბრალოდ არის „დადგმული“.

„- ვაჰაი, შენს ჰაკის, უჯუშ!

მისი თვალები შეურიგებლობის ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდნენ გარშემო და პირიდან ცოფის დორბლი სცვიოდა.

კუზმაც კი შეზარა მისმა შესახედაობამ, ზიზღი და ბრაზი სახეზე შეუკიდა, სახის მუდამ უძრავი ნახევარიც კი მოუქცია და აუკანკალა.

ერთ ხანს ასე უცქირა.

- გაუშვით! - თქვა შემდეგ.

ჰაკის ხელი შეუშვეს მეზღვაურებმა.

იგი ერთი ნახტომით გემბანის მოაჯირთან გაჩნდა. ცხადი იყო მისი განზრახვა და თვალიც ვერ შეასწრეს, რომ აქაფებულ ტალღებში გადაეშვა“.(ლ. ქიაჩელი, თხზ. ოთხ ტომად, თბ., 1985, ტ. II, გვ. 347).

არათუ მშვენიერი, პირიქით, მახინჯი ადამიანებიც კი ახვევია სიკვდილის წინ ჰაკი აძბას გარს. სურათს ზედმიწევნით მარტივი კომპოზიცია აქვს: პირქუში გემი, მეზღვაურები, ყოვლისმომცველი ზღვა, მაგრამ თვით მოვლენის არსია მშვენიერი. კუზმა-მრისხანეს თვალსაზრისით, ჰაკი აძბას სიკვდილი სიმდაბლე და სიმახინჯეა. მაგრამ ტრადიციების ერთგულება, მომავალი რევოლუციის ქარიშხლისგან წალეკილი ძველი რომანტიზებული სამყაროს რაინდულ წეს-ჩვეულებებზე ნოსტალგია ამშვენიერებს იმ ურთიერთობებს, რაც ჰქონდათ უჯუშ ემხას და ჰაკი აძბას. წარმოჩინდება მათი ამაღლებული, კეთილშობილური ელფერი და ქარწყლდება ის მცირე ხინჯიც, უსიამო გრძნობაც კი, რაც შეიძლება გარკვეულ მომენტში მართლაც აღიძვრის. „ვეფხისტყაოსნის“ ტრადიციაზე აღზრდილი მკითხველისათვის ძმადნაფიცის, მეგობრობისათვის თავდადება და სიკვდილიც კი უმაღლეს ზნეობრივ აქტად და მშვენიერებად აღიქმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნატა სვანიძე

## ჭოლა ლომთათიძე ქართული მოდერნისტული პროზის სათავეებთან

ფორმალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით, ხელოვნებაში ყველაფრის თავი და თავი მხატვრული მეთოდია. სინამდვილეში, როგორც ვ. ჟირმუნსკი ამბობს, ხელოვნება ხომ სხვა არც არაფერია, ხერხების ერთობლიობის გარდა. ახალი ფორმა ჩნდება არა იმიტომ, რომ გამოხატოს ახალი შინაარსი, არამედ, რათა შეცვალოს ძველი ფორმა, რომელსაც უკვე დაუკარგავს მხატვრულობა.

ზოგჯერ ხელოვანის მიერ მისი მოღვაწეობის დროისა და სივრცის ფარგლებში სოციალური კონტექსტის შესაბამისად შექმნილი ფორმა ათწლეულების შემდეგ ადასტურებს, რომ არაცნობიერად მწერალს მიუგნია სრულიად ახალი მხატვრული ხერხის, სრულიად ახალი მეთოდის, გამოსახვის არატრადიციული საშუალებისათვის. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მსგავს მოვლენას აქვს ადგილი ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში.

ამა თუ იმ ტექსტის ყველაზე ზოგადი კანონზომიერებების თვით ძალზე სქემატური აღწერა გაცილებით მეტად უწყობს ხელს მისი განუმეორებელი თავისებურებების გაგებას, ვიდრე გაცვეთილი ფრაზები ტექსტის განუმეორებლობის შესახებ, „ვინაიდან ყოველივე არანორმატიული, გარესისტემური, როგორც მხატვრული ფაქტი, არსებობს მხოლოდ გარკვეული ნორმის ფონზე და მასთან მიმართებაში“ (ი. მ. ლოტმანი „პოეტური ტექსტის ანალიზი“, გვ. 66), ნორმად კი ჭოლა ლომთათიძის სამწერლო მოღვაწეობისას გამომსახველობის რეალისტური პრინციპები მიიჩნეოდა. ჭ. ლომთათიძის შემოქმედებაში წინასწარ გამოვლინდა ის თავისებურებები, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო მოდერნისტულ პროზას.

ძნელია ან, საერთოდ, შეუძლებელიც, ილაპარაკო „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურის წარმომადგენელ მწერალთა ეპიგონობაზე, რადგან მოთხრობები: „სახრჩობელას წინაშე“ და „პირველი მაისი“ ქრონოლოგიურად (ერთი 1907 წლით თარიღდება, მეორე კი - 1910 წლით) წინ უსწრებენ „ცნობიერების ნაკადის“ ისეთ თვალსაჩინო ნაწარმოებებს, როგორებიც ჯეიმს ჯოისის „ულისე“ და უილიამ ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარებაა“.

მართალია, მხატვრული ტექსტის გარშემო წარმოიქმნება ხოლმე ინტერპრეტაციათა ველი, რომელიც ზოგჯერ მცდარია. ამასთან, რაც უფრო მნიშვნელოვანი და ღრმაა ნაწარმოები, რაც უფრო დიდხანს ცოცხლობს ის კაცობრიობის მეხსიერებაში, მით უფრო ფართოა შესაძლო ინტერპრეტაციების ჰორიზონტი. „მხატვრული ტექსტი, რომელიც, ერთი მხრივ, ესოდენ დინამიკურია, მეორე მხრივ, უაღრესად მყარია, ეწინააღმდეგება მექანიკურ შელახვას და მნიშვნელობათა სფეროში აერთიანებს თვით ხელოვანის ჩანაფიქრით გათვალისწინებულ ელემენტებს“. (ი. ლოტმანი). ამიტომ ზემოთ დასახელებული მოთხრობების განხილვისას, ნამდვილად არ ვცდებით და შინაგან მონოლოგს, რომელიც კონკრეტულ-მხატვრული ხერხია, ერთ-ერთი (თუმც კი მთავარი) საშუალებათაგანია „ცნობიერების ნაკადის“ ეფექტის მისაღწევად, „ცნობიერების ნაკადის“ მწერლობას არ ვუწოდებთ.

ნაწარმოებში „სახრჩობელას წინაშე“ თხრობა არ წარიმართება ერთიანი სიუჟეტის საფუძველზე, თხრობა მუდმივად წყდება და მკითხველს დაპატიმრებულ ჯეირან ვარდოსანიძის მეხსიერებაში უწევს გადასახლება. პატიმრის დღიურის შევსება იწყება რომელიღაცა თვის რომელიღაც რიცხვის ორშაბათს, დილით.

საზოგადოდ, ცნობილია, რომ „ცნობიერების ნაკადში“ წარსული და აწმყო თანაარსებობენ და პროვოცირებულნი არიან მისგან გაუსხვავებელი, გამოუყოფელი მომავლისაგან. ყველაფერი, რაც ხდება, ხდება ყოველთვის და არასდროს, ყველგან და არსად. მოქმედება ფორმალურად, დროის მოკლე მონაკვეთებში მიმდინარეობს. ისინი დატვირთულია შორეული ასოციაციებით და გახსენებებით და ერთგვარ აბრევიატურას გვანან დროისგარე ადამიანური ყოფისა. ჩვენს მიერ განსახილავი მოთხრობის მაგალითზე გმირის აღნუსხული დროის თანმიმდევრობა აღსასრულამდე შემდეგნაირია: დილა. ორშაბათი; 11 საათი; 2 საათი; 10 საათი; 12 საათი II დილა; 5 საათი; შუადღე; 5 საათი; 7 საათი და ა. შ. დრო მეტისმეტად პირობითია, ამიტომ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ჯეირანს სასჯელი აღუსრულეს სამ დღეში.

ცნობიერების ნაკადს ხომ დროის საკუთარი შეგრძნება ახასიათებს. „ყველაფერი, რაც ცნობიერების არეში ხვდება, რაც მასში დაილექება მოცემულ მომენტში, ერთიანად აწმყოშია“ (ჯ. ჯოისი). ამიტომაც არ ვხვდებით პატიმრის დღიურში თარიღებს, აქ მხოლოდ საათებია აღნუსხული, საათები, რომლებიც ჯეირან ვარდოსანიძეს სასჯელის აღსრულების წუთთან აახლოებენ. დრო სასტიკია, ულმობელი და, რაც უფრო ნაკლებია სიცოცხლის ვადა, მით მეტია სუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვის, არსებობის წყურვილი, რამდენადაც გარეგნულად დაუკავშირებელია ერთმანეთთან ასოციაციები, ალუზიები, წარმოდგენები, მით უფრო მკვეთრად იგრძნობა მათი ცნობიერებაში ამოტივტივების ლოგიკურობა. აი, თუნდაც, რამ განაპირობა ჯეირან ვარდოსანიძის საყოველთაო პროტესტი ჩამყაყებული საზოგადოების, მასში გაბატონებული ფუქსავატობის, მოძველებული აზროვნების მიმართ?! იგი რევოლუციონერია, შეამბოხეა, ამის გამოა დასჯილი, დატუსაღებული.

შემდეგ გმირი იხსენებს სასამართლოს, მაგრამ მხოლოდ პროცესის ვიზუალურ მხარეს კი არ აღიდგენს, არამედ კონკრეტულ ფრაზებს, ხმებსა და სიტყვებს, რომლებიც წარმოითქვა, მაგრამ ამ ხმათა ფონზე მისთვის მნიშვნელოვანია, რას განიცდიდა იმ დროს, რას გრძნობდა, მასთან მთავარია ასოციაციურობის პრინციპი, ანუ ტექსტური ასოციაციები, ბგერითი ასოციაციები. სწორედ ისინი ახსენებენ მთავარ პერსონაჟს იმ რვა ლექსსა და სიმღერას, ტექსტში რომ ვხვდებით და არც ერთი მათგანი არ ახსენდება მას შემთხვევით; ასოციაციური ჯაჭვი აერთიანებს სხვადასხვა პერსონაჟს, მას რომ ახსენდება, მაგრამ ეს უფრო ფუნქციური ერთიანობაა, ვიდრე კლასიკური ნაწარმოებისათვის სავალდებულო ნორმა, რადგან, როგორც ახსენდება ვინმე ჩუდაკ ივანიჩი, მარტოვი, ვერა ივანოვნა და სხვანი, ისევე ავიწყდება. სხვაგან მათი ხსენებაც კი აღარსად გვხვდება.

გმირის ცნობიერების რღვევას, მისი ხედვის არეალში მხოლოდ ნეგატიურის უარყოფითის, არასრულყოფილის მოხვედრას ბავშვობაში განცდილმა უარყოფითმა ემოციამ დაუდო სათავე. მას უყვარდა სასაფლაოზე ხეტიალი და ამის გამო „უმიცვალებულო ჭირისუფალს“ ეძახდნენ.

„ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკისათვის ასოციაციური ხატოვანება, ძირითადად, ორგვარი ბუნებისაა! ერთ შემთხვევაში ასოციაცია ეყრდნობა გმირის ან მთხრობელის ცნობიერების დინებაში არსებულ, თუნდაც, ერთი შეხედვით, ერთმანეთისაგან დაუკავშირებელ და განყენებულ „ნიშან სვეტებს“, რომელნიც ამ დინებას ახალი ასოციაციებისაკენ მიმართავენ, ასოციაციის ეს გამომწვევი სტიმულატორები ნაწარმოების გმირის თუ მთხრობელის მიერ გააზრებული ან გაუაზრებელი „ფაქტებია“, მეორე ბუნების ასოციაცია მთლიანად მწერლის მხატვრული კონცეფციის ნაწილია (ნ. ყიასაშვილი). აქ უთუოდ პირველ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რადგან მთავარი მოქმედი პირი პირველ პირში მოგვითხრობს: „ტანში ჟრუანტელმა დამიარა და მე ხელებ-გაშლილი დავეცი მუხლებზე“. ჭ. ლომთათიძის მწერლური ლოგიკა დაახლოებით ამდაგვარია: სასოება სუსტს აქვს, სუსტი კი დაჩაგრულია, იმთავითვე განწირულია მარცხისთვის. საწინააღმდეგოთი ხდება მისი შემეცნება და გმობა: „მიირთვი, გენაცვალე! მიირთვი და შეირგე! და ის იცინის, იცინის... ასეთია გამარჯვებული... რასაც უნდა, იმას ჩაიდენს!“

პატიმარი ვარდოსანიძე იმ თაობის ტიპური წარმომადგენელია, სოციალურმა კატაკლიზმებმა რომ გაბზარა, „ეგო“ გაუორა და გარდაუვალი აღსასრულის შეგრძნება გაუმძაფრა. მის თვალწინ დაიმსხვრა სიყვარულით შექმნილი სამყაროს მოდელი. სული შეუკმია მწერალს და სიყვარული მოენატრა.

შუაღლეზე სიკვდილმისჯილს ალუზიები მოუმძლავრდნენ: „У горя было три ключа... პირველი იყო სიკვდილი, მეორე იყო სიკვდილი, მესამე იყო სიკვდილი. У горя было три ключа რა მშვენიერი ლექსია ეს ლექსი, რა მწყენია, რომ ამის მეტი არ მახსოვს. У горя было три ключа“! - ერთი და იგივე სინტაქსური ერთეულების რამდენჯერმე გამეორება ემოციას ამძაფრებს და მკითხველს თანაგანმცდელს ხდის გმირის სულში მიმდინარე ქაოსისა, რომელიც ასოციაციურად წარსულს უკავშირდება - ბავშვობაში დაკარგული რწმენა, კლიშედ ქცეული ზნეობრივი და სულიერი ფასეულობების გადაფასება. სასაფლაო ასოცირდება დედის გარდაცვალებასთან, მღვდელი - სიკვდილთან, სიკვდილი - ეზეკიელის სიტყვებთან, იები - თინასთან.

„ცნობიერების ნაკადის ხერხი, ანუ ფორმა მხატვრული სიტყვის მეშვეობით ადამიანის სულის უკეთ წარმოსაჩენადაა გამიზნული. თუ რეალურ ცხოვრებაშიც ადამიანს, სხვადასხვა გარემოებისდა კვალად - როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ მიზეზთა გამო, რაიმე განწყობა მოიცავს, მის გადმოცემას ბევრი ფიქრი და, ამის შესაბამისად, აუარება სიტყვა დასჭირდება, ის მაინც ბოლომდე ამოუწურავი დარჩება, რადგან ძალზე ძნელია სიტყვაში გრძნობის ხორცშესხმა“. (ი. კოლომინსკი).

მოთხრობაში ერთგან დომინირებს სიტყვა „წვიმა“, მას აკუსტიკური ფუნქცია აკისრია, შემოაქვს გარკვეულივე ხასიათის მუსიკა. ამას კი შიშის უცაბედი გრძნობა ენაცვლება, აკვიატებული შიშის. თითქოს სხეულით გრძნობდა, რომ გარკვეული ჩარჩოებით დასაზღვრავდნენ მის არსებობას - „თითქოს უკან მომდევდა ვიღაცა, რომელსაც სურდა ეკბინა ჩემთვის“ და ეს განწყობა გასდევს აღსასრულამდე. ჟამიერად ამოუტივტივდება ცნობიერებაში ვარდოსანიძეს ეზეკიელის „და გავიარე მე შენს გვერდით, და გიხილე შენ სისხლში, და გითხარ შენ-შენ სისხლში ცოცხლობდე“, - ეს კანკალით წარმოთქმული სიტყვები გმირის ხორცშესხმული კოშმარებია. აქ აშკარად შეი-მჩნევა ცოცხალი ინტონაცია, რომელსაც თითქოს გამ-ოჰყავს სიტყვა მისი სემანტიკური ჩარჩოებიდან.

ჭოლა ლომთათიძე არ ელოლიავება სიტყვას, მასთან სიტყვა თითქმის ნეიტრალური ელემენტია, არ არის დატვირთული მრავალპლანიანობით, მთავარია ასოციაციურობა, შეტყველების მანერა ლირიკულია და თხრობა დინამიკური. მართალია, ლირიკულობა პროზისა ამცირებს მის ღირებულებას, მაგრამ „აქ ლირიკული ტონის ერთიანობა ამყარებს პროზაულ თხრობას“. (მ. გირშმანი) როგორც ბ. ტომაშევსკი ამბობს პროზის რიტმი სხვა არაფერია, თუ არა

მეტყველების ბგერითი დანაწევრება, განსაზღვრული მეტყველების აზრობრივი და სინტაქსური წყობით. ამგვარად, ეს რიტმი არის სინტაქსური წყობის შედეგი, ამიტომაც არ შეიძლება მათი დაპირისპირება, ერთი მთლიანად მეორედან გამოდის... რიტმი სინტაქსის სპექტრია“. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ: „მოვა მღვდელი, ჯვარით ხელში, ანაფორით მორთული, მოწყენილი სახით მოვა მღვდელი, ჯვარით ხელში. ჯვარით ხელში მოვა ის, ჯვარცმულის მოადგილე, მოვა მღვდელი...“

მოთხრობაში არ არის კონფლიქტი თუ მოტივირება, მაგრამ შეიგრძნობა სწრაფვა ერთიანობის, დასრულებულობის, ჰარმონიულობის, წრიულობისაკენ.

მოთხრობა უცნაურად მთავრდება. დასაღუპად განწირული გმირის თვითდაჯერება, რომ გადარჩება, ჯერ გახარებს და გაბნევს, რადგან თითქმის არარეალურ პიროვნებას, ვინმე სპირიდონს ჯეირანი ეუბნება: მომილოცე, სიკვდილი ოცი წლის კატორღაზე შემიცვალეს მაგ ოხრებმაო, სპირიდონიც თითქოს გახარებულია და ულოცავს, საათსაც კი იტოვებს (ეს მინიშნებაა გმირის დროის ამოწურვაზე) ამნისტიამდე, ბოლოს კი გაზეთებიდან ვიგებთ, რომ დილის ხუთ საათზე №-ის სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯეირან ვარდოსანიძის სიკვდილის განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. ვარდოსანიძე ჩამოახრჩეს...

ტრაგიზმითა და სასოწარკვეთით აღბეჭდილი სამყაროს კლასიკური მოდელი უკვე არასაკმარისი იყო ახალი მიმართულების მწერლობისათვის. სულიერი შეჭირვება სამყაროში ადამიანის არასტაბილური, ორჭოფული არსებობის გამო ტრაგიკომიკურ, გროტესკულ ჭრილში წარმოუდგებოდათ ევროპელ მწერლებს, ისინი ეძებდნენ ახალ ფორმებს, ჭ. ლომთათიძე ამ პროცესის უხილავი თანამონაწილე აღმოჩნდა. იგი, უდავოდ, ევროპული ცნობიერების მქონე მწერალია.

მოდერნიზმისთვის, საერთოდ, დამახასიათებელია გაძლიერებული მცდელობა მხატვრული შემოქმედების სულიერ-ესთეტიური ბაზის თავიდან მოძიებისა, ამა თუ იმ გზით შემეცნების კრიზისული „უსაფუძვლობიდან“ განთავისუფლებისა, ამიტომ მოდერნისტული მიმართულებები, თავდაპირველად, გამოსავალს ეძებდნენ სოციალ-პოლიტიკურ რადიკალიზმში, შემდეგ კი თავიანთი მცდელობა „სულის რევოლუციის“ სფეროში გადაიტანეს, მხატვრული მიზნებისათვის პოპულარული იდეალისტურ-ფილოსოფიური კონცეფციები გაითავისეს, რომლებიც ყურადღებას აჯაჭვავდენ ინდივიდუალური შემეცნების პრობლემებს და წარმოადგენენ „ფილოსოფიური ცხოვრების“ მრავალსახეობას, პრაქტიკული მიმართებით.

ამავე მიზეზით, მოდერნიზმში, ნახევარი საუკუნის განმავლობაში წარმოიქმნა მრავალი მიმართულება, სკოლა, რომლებიც ხან ერთ, ხან მეორე ლიტერატურულ-ტექნიკურ ხერხს გვაწვდიან. ჭ. ლომთათიძესთან კი ყველაფერი, რაც მოდერნისტული პროზისათვის ნიშნეულ თვისებებს ავლენს, ხდება გაუცნობიერებლად. იგი მიზანდასახულად კი არ ეძებს ახალ ფორმას, არამედ ფორმა სთავაზობს თავს, ფორმა თავად ქმნის თავის თავს, რადგან შინაგანი მონოლოგი, რომელსაც ავტორი მიმართავს და რომელიც პიროვნებაში მიმდინარეობს, სწორედ ასოციაციური, არამწყობრი, ფრაგმენტულია. ამ ფორმამ შესთავაზა თავი გარემოს გამო, შინაგანი მონოლოგი მისთვის არის ერთადერთი და გარდაუვალი გზა.

რომანტიკული სულისკვეთებით გამსჭვალულობის (ზომაზე მეტად) მიუხედავად, „პირველი მაისის“ სტრუქტურის კვლევა უფრო მეტად ამყარებს ჩვენს თეზას „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურასთან ჭ. ლომთათიძის სიახლოვის თაობაზე. „პირველი მაისის“ გმირი ბიკტორ აგიაშვილი, იგივე ხასანა, ჯეირან ვარდოსანიძის მსგავსად, პოლიტიკური პატიმარია. სამ წელიწადსა და ორ თვეში იგი უნდა გაათავისუფლონ, მაგრამ გული პირველ მაისს დაღუპული მეგობრებისა და საცოლის საფლავებისაკენ მიუწევს.

აგიაშვილი თუთუნის კვამლით გაჯერებულ ოთახში იხსენებს წარსულს. ზოგჯერ, რეალურ ამბებს ბანგიან გონში ამოტივტივებული ალუზიები ცვლიან: „ქრისტე აღდგა, ამხანაგო! - მხვევს ვიღაცა ხელს და მკოცნის, ღვინისა და ოფლის სუნი უსიამოვნოდ მიღიზიანებს ყნოსვას, მაგრამ ამაზე როდი ვფიქრობ, მე მინდა გავარჩიო მისი სახე, ვინც მაკოცა, მაგრამ ის უკვე თინასთან მისულა, ულოცავს ქრისტეს აღდგომას და შიგ ტუჩებში კოცნის მას და მირბის, მირბის“ - აქ ძნელია რეალურად გარდახდენილი ამბისა და ფანტაზიით შექმნილის ერთმანეთისაგან გარჩევა, წარსულის რეალურ ამბავსა და „ცნობიერების ნაკადს“ შორის საზღვრის გავლება, იგი უწყვეტ ჯაჭვად მოედინება.

სტრუქტურული ორიენტირები ხელოვნების კლასიკური ნაწარმოებისა ზემოთ რევიზიასა და გადაფასებას დავუქვემდებარეთ. ეს ყველაზე მეტად თვალსაჩინოა მოდერნიზმის ურთიერთობისას კლასიკური არქიტექტონიკის ისეთ ცენტრალურ მომენტთან, როგორიც პერსონაჟის ხასიათის ხატვაა.

ლიტერატურულ პერსონაჟთან მოდერნისტული მიდგომა სავსებით ახალ „ანტიკლასიკურ“ ურთიერთობას, ქრონიკალურობის ეპიკურ პრინციპზე უარის თქმას, მოვლენების არათანმიმდევრულ თხრობას მოითხოვდა. ეს პრინციპები საკმაო ხარისხით მოიპოვება ჭოლა ლომთათიძის ზემოთ განხილულ თხზულებებში. იგი გაუცნობიერებლად უარყოფს კლასიკურ ფორმას, უბრალოდ, შინაგანი მონოლოგი, რომელიც ცენტრალური ხერხია, ისეთივე არაპროგნოზირებადია, როგორც რაიმე საგნის გახსენებით ან სიტყვის აკუსტიკით მოგვრილი ასოციაცია და იგი წერს ისე, როგორც ეწერება, წერს იმას, რაც ახსენდება, რისაც სწამს და ყიმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამუკა სირაძე

## იბერია - ხეობათა ქვეყანა

დღემდე გაურკვეველია, საიდან წარმოიშვა სახელწოდება „იბერია“. ამის თაობაზე მრავალი აზრი არსებობს, მაგრამ ორიოდე მათგანის გამოკლებით ყველა ვარაუდი, როგორც იტყვიან, „ყურით მოთრეულის“ შთაბეჭდილებას ტოვებს და ის ორიოდეც, თუმცა ახლოა სიმართლესთან, ამომწურავ პასუხს მაინც ვერ იძლევა.

ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, რომ „*...სახელი „ივერია“ ენითავე ქართულითა მიეცა, რამეთუ „ii“ არს მორიყრილი, რომელი არს სასიხარულო ხმა ზახილისა, ხოლო „ვერიე“, რამეთუ ი მეფემან მოკლა არშაკ. მეფე ქართლისა, გოლიათობითა თვისითა, მაშინ აღუტევა ხმა სპათა მიმართ თვისთა: „ii, ვერიე“, და გახდა ხმა ესე იყჳოდიან. ყოველნი სიმხნისა მისათვის, ამის გამო იწოდა ივერია*“.

ამაში სიმართლეა მხოლოდ ის, რომ სახელი „ივერია“ ენითავე ქართულითა მიეცა;

აკადემიკოს ბროსეს მიხედვით, ტერმინი „ივერია“ წარმომდგარია სომხური სიტყვისაგან „ვერ“, რაც ნიშნავს „ზე“, „ზემოთ“, რამეთუ ქართველები გეოგრაფიულად „ზემოურები“ არიან, ანუ სომხების ჩრდილოეთით ცხოვრობენ.

მოსე ჯანაშვილის აზრით, ტერმინი „იბერია“ მომდინარეობს სიტყვიდან „ბირება“ (გადაბირება). აქედან „იბერია“ ნიშნავს „მოკავშირე რესპუბლიკას“. იგივე ჯანაშვილი სხვა ნაშრომში ამ ტერმინს საგვარეულო სახელისაგან - „ბირიან“ - წარმომდგარად მიიჩნევდა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „იბერია“ დაკავშირებულია ებრაულ სიტყვასთან „ივერიონ“.

ნიკო მარმა ამ სახელწოდებიდან დასავლეთ საქართველოს ტომობრივი სახელები გამოიყვანა (იმერეთი, გურია, სამეგრელო). ს. კაკაბაძე და ჰუმბოლდტი „იბერიას“ მდ. იბერიუსს უკავშირებდნენ, მაგრამ სულ ერთია, „იბერია“ დაერქვა. მდ. იბერიუსის სახელიდან თუ პირიქით, გაურკვეველი რჩება მთავარი - საიდან წარმოდგება თვით ეს ტერმინი.

ევროპელი მკვლევარები ფიქრობენ, რომ „იბერია“ მდინარე ებროს (ძველად იბერიუსი) სახელწოდებისაგან მომდინარეობს და ეს ტერმინი წარმოიქმნა ებრაული ძირიდან „ჰაბარ“, რაც „გავლას“, „გადასვლას“ ნიშნავს.

ტერმინ „იბერიას“ უკავშირებენ, აგრეთვე, გერმანულ სიტყვას „ებერ“ - „ტახი“ (ტახის ეშვი - ნიშანი ქუდზე); ძველ სპარსულ სიტყვას „იმერ“ - „უმშვენიერესი, უმაღლესი მოდგმა“ და სხვა.

ყურადღების ღირსია რენე ლაფონის აზრი, რომლის მიხედვითაც ტერმინი ბასკური წარმოშობისაა: იბ - „ნაპირი“, „მდინარე“+ერ (ერი) - „ხალხი“.

ყველა ეს ვარაუდი მეტად სუსტი და ხელოვნური მოჩანს (გარდა რენე ლაფონის ვარაუდისა; ჩვენ მას კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით).

ჩემი აზრით, სიმართლესთაან ყველაზე ახლოს არის ს. ჯანაშია, რომელიც აღნიშნავს, რომ იბერების სახელწოდების უძველესი ფორმაა „ტიბარენი“ („თუბალ-თაბალი, ტიბარენი-იბერი“. „შრომები“ ტ. III. I-80).

როგორც ვიცით, ტიბარენები ხალიბების მეზობლად მოსახლე ქართველი ტომი იყო. ალ. ჭყონიას აზრით, ტიბარენები იგივე სასპერებია, ს. ჯანაშიას აზრით კი სასპერები - იბერ-ქართებია. ე. ი. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სასპერები, ტიბარენები და იბერები ერთი და იგივე ხალხია.

იბერების სახელით ცნობილნი არიან ქართველები და პირენეის ნახევარკუნძულის ძველი მცხოვრებლები. ესენი რომ ერთი მოდგმისანი იყვნენ, ეს დღეისათვის მეცნიერთა უმრავლესობაში ეჭვს აღარ იწვევს. ამავე მოდგმის ხალხები იყვნენ, მეცნიერთა აზრით, აპენინელი ეტრუსკები, ბალკანელი პელაზგები, აფრიკელი ლიბიელები და სხვა მრავალი წინააზიური ტომი.

აღსანიშნავია, რომ ძველად დასავლეთს: იტალიას, ესპანეთსა და დასავლეთ აფრიკას „ჰესპერიას“ უწოდებდნენ, რაც, უდავოდ, სასპერთა სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. გვიანდელი ხანის ანტიკური მწერლები სასპერებს „ჰესპერიტებად“ მოიხსენიებდნენ, ხოლო ტაო-კლარჯეთში დღემდე არსებობს პროვინცია სპერი (ისპირი).

ამრიგად, უეჭველია, რომ ტიბარენთა (სასპერთა) სამკვიდრებელი მხოლოდ კავკასია-მცირე აზიით არ შემოიფარგლებოდა (მაგ.:იტალიაში არსებობდა ქალაქი ტიბური, ახლანდელი ტივოლი; ხოლო პირენეის ნ.კ-ზე დღემდე ცხოვრობს ტიბურების ძველი იბერიული ტომი). მით უმეტეს, რომ აპოლონიოს როდოსელის მიხედვით, ტიბარენებში შემდეგი ჩვეულება არსებობდა: მას შემდეგ, რაც ქალები მოილოგინებდნენ, ქმრები საწოლში წვებოდნენ და ხმამაღალი კვნესით მშობიარობის იმიტაციას ახდენდნენ, ცოლები კი მათ უვლიდნენ. დიოდორე სიცილიელის ცნობით, ასეთივე წესი ჰქონიათ კორსიკის მცხოვრებლებსაც. მსგავს ჩვეულებას აღწერს სტრაბონი ბასკებში, ხოლო პლუტარქე „თეზევსში“ წერს, რომ ასე იქცეოდნენ კვიპროსელები არიადნესათვის მსხვერპლის შეწირვის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღსანიშნავია ისიც, რომ, ჰეროდოტეს ცნობით, კოლხურ სელს ელინები სარდონულს (სარდინიულს) უწოდებდნენ. ეს (და, აგრეთვე, ისიც, რომ ჰეროდოტე კოლხებს ეგვიპტიდან მოსულებად მიიჩნევს), ალბათ, იმ ფაქტის გამოძახილია, რომ „ზღვის ხალხების“ მოძრაობის მონაწილე ტომების - ტურშა (ეტრუსკები, ანუ ტუსკები) და შარდანა (სარდინიელები) - ნაწილი ეგვიპტელებთან დამარცხების შემდეგ დასავლეთში გადასახლდა, ნაწილი კი კავკასიაში დასახლდებოდა (საქართველოში არსებობს გვარები: ტუსკია, ტუსკაძე, სორდია სისორდია. (ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, 1990). საგულისხმოა, აგრეთვე, მსგავსება თუშქები, ანუ თუშები (შეადარე მუშქები და ქაშქები).

ამ ხალხთა ე. ი. იბერიული მოდგმის (სხვადასხვა მეცნიერები ამ მოდგმას უწოდებენ „იაფეტურს“, „ალაროდიულს“, „მედიტერანულს“ და ა. შ.) ტომების განსახლების არეალში ფუძე „იბერის“ შემცველი მრავალი სახელწოდება გვხვდება. მაგ.: „ჰიბერნია“ - კ. ირლანდიის ძველი სახელწოდება (ჰუმბოლდტის ცნობით, ირლანდიაში იყო იბერების მიგრაცია; საერთოდ, ბრიტანეთის კ-ებზე ფუძე „იბერის“ შემცველი მრავალი ტოპონიმი არსებობს). სხვათა შორის, ბასკებში არის გვარი იბერნია. „ლიბერ“ - მევენახეობის ძველი იტალიური ღვთაება (როგორც ვიცით, მევენახეობა იბერიული რასის მონაპოვარია, ისევე, როგორც მეტალურგია და დამწერლობა). „ლიბერა“ - „თავისუფლება“ (ლათ.). ლიბურნები - ბალკანეთის მკვიდრი ტომი. ადრიატიკის სანაპიროზე. ქალაქი სიბარისი იტალიაში - ასეთივე სახელწოდების ქალაქი არსებულა კოლხეთშიც. დიოდორე სიცილიელის მიხედვით ასე ერქვა კოლხეთის დედაქალაქს (თუმცა ამის შესახებ სხვა ცნობები არ მოიპოვება, კოლხეთის დედაქალაქად ყველგან კუტაიაა ნახსენები).

მსგავსი ძღერადობის სახელწოდებები თითქმის მთელ მსოფლიოშია მიმობნეული: ხაიბარი (საუდის არაბეთში, ქალაქი); ხაიბერნია (რიფი ტიმორის ზღვაში, ინდოეთის ოკეანე); ხაიბერის გასასვლელი (ავღანეთში); ჰიბრალტარის სრუტე; ჰებრონი (ახლ. ელ-ხალილ - მუჰაფაზის ადმ. ცენტრი, იორდანია); ჰებრიდის კ-ები (არქიპ. ატლანტის ოკეანე); იბრალა (თურქეთი, ტავრის ქედის ჩრდ-ით); იბრი (არაბეთის ნ-კ, ომანი); ელ-ხაბურა (არაბეთის ნ-კ, ომანი); ბევრია მსგავსი სახელწოდებები იაპონიაშიც: იბური (კ. ჰონსიუ, ოლქი); იუბარი (კ. ჰონსიუ, ქალაქი); ხაბორო ( კ. ჰონსიუ, ქალაქი); იბარაკი (კ. ჰონსიუ, ოლქი).

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ეს სახელწოდებები ძირითადად მდინარეებს უკავშირდება: „ხუბურ“ - (მდინარე, წყლები), რომელიც უნდა გადალახოს შუმერული მითების მიხედვით ქვესკნელს შთასულმა. ალბათ, აქედან მოდის იგივე ებრაული „ჰაბარ“ - „გავლა“, „გადასვლა“. მდ. ჰებროსი (ახლ. მარიცა) თრაკიაში; მდ. ჰიბრისტე ხალიბთა ქვეყანაში („მოძალადე“, უფონო მდინარე - ასე იხსენიებს მას ესქილე „პრომეთეში“); მდ. ტიბრი იტალიაში; მდ. ტემბრისი (პლინიუსის მიხ. ტემბროგიუსი, ლივიუსის - ტიმბრეტისი და თიმბრისი) მცირე აზიაში; მდ. იბარი სუდანში; მდ. იბარი სერბიაში; მდ. იბარი კატალონიაში (ესპანეთი). აღსანიშნავია, რომ „იბარ“ ბასკურად „მდინარის დაბლობს“ ნიშნავს. ესპანეთშია, აგრეთვე, მდ. იბერუსი (ახლ. ებრო); მდ. იბერი (ახლ. რიო-ტინტო); მდ. იბერო (ნავარაში). სირიაშია მდ. ხაბური (ევფრატის აუზი); თურქეთშიც მდ. ხაბური (ტიგროსის აუზი).

საყურადღებოა, აგრეთვე, ისიც, რომ „იბერის“ მსგავს ტერმინებში თავში ხშირად დგას ასო „ტ“. მაგ.: ტიბარენები (ტომი მც. აზია-კავკასიაში); ტიბურები (იბერიული ტომი პირენეის ნ-კ-ზე); არტაბრები (იბერიული ტომი პირენეის ნ-კ-ზე); ტებარცები (ტომი კილიკიის მთიანეთში); ქ. ტიბური (იტალიაში, ახლ. ტივოლი); ქ. ბად-თიბირა (შუმერში); ქ. ტიბური (სირიაში, ევფრატის დას-ით); (აქ დაბანაკდა ოროდ I-ის ძე პაკორი პართების ჯარით რომაელებთან ომის დროს ჩვ. წ. აღ-მდე 51 წ. ევფრატის გადალახვის შემდეგ). ქ. თებერდა (ყარაჩა-ჩერქეზეთში, ჩრდ. კავკასია) ქ. თაბრისი (ახლ. თავრიზი, აზერბაიჯანში); ტავრიდა (ახლ. ყირიმის ნ-კ ეწოდა ტავრების ტომისაგან, რომელთა მეფეც იყო აიეტი დიოდორე სიცილიელის მიხედვით); ტავროსის მთები (მც. აზია); ტაბურნუსის მთები (იტალიაში); კანტაბრიის მთები (ესპანეთში); მდ. ტიბრი (იტალიაში); საკუთარი სახელები ტიბერიუსი და ტიბერიანე, რომლებიც დიდად პოპულარული იყო ძველ რომში.

ჯერ კიდევ ვარონი აღნიშნავდა, მდ. ტიბრს ლათინური ეტიმოლოგია არა აქვსო. იგი ეტრუსკული წარმომავლობის სახელია. ეტრუსკებს კი ა. პიგანიოლი ხალიბების შთამომავლებად მიიჩნევს (ხალიბები ვერგილიუსის „გეორგიკების“ I, 58-ე ტაეპის განმარტების მიხ. კ. ევბეიდან წამოსული პელაზგები არიან და სახელი ეწოდებათ ევბეის სოფელ ხალიბიუმიდან).

ცნობილი რუსი რომანისტი მ. ვ. სერგიევსკი ამბობს, რომ ეტრუსკების ენა მიეკუთვნება ხმელთაშუაზღვისპირეთის იმავე ენათა ჯგუფს, რომელსაც მიეკუთვნება იბერიული ესპანეთში, პელასგური საბერძნეთში და კავკასიური ენები (Введение в романское языкознание, Москва, 1952).

აღსანიშნავია, რომ, მითების თანახმად, მდ. ტიბრს სახელი ეწოდა ალბას მეფე ტიბერინისაგან, რომელიც ამ მდინარეში დაიხრჩო (შეად. ტიბარენები). მანამდე კი მას ალბულა რქმევია. თვით სიტყვა „ალბ“ - „ალპ“, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ძველი კავკასია - მცირე აზია - ხმელთაშუა ზღვის სამყაროს უძველესი მოსახლეობის ენაზე „მთიანეთს“ აღნიშნავდა (ალპები; სოფ. ალპანა ცაგერის რაიონში; სოფ. ალპენო თერმოპილეს ადმ-ით; ამით ხსნიან კავკასიისა და ბალკანეთის ალბანეთის სახელწოდებათა დამთხვევას. ქართ. საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. I).

ამხელა შესავალი იმის საჩვენებლად დამჭირდა, რომ კავშირი იტალიის მდინარე ტიბრსა და ტიბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რენებსა თუ იბერებს შორის მხოლოდ სახელწოდებათა მსგავსებით არ ამოიწურება. ახლა კი გადავიდეთ ძირითადზე - ამ სახელწოდებათა წარმომავლობის ჩემეულ ახსნაზე.

სწორია ჯანაშია იმაში, რომ იბერების სახელწოდების უძველესი ფორმაა „ტიბარენები"; მიმაჩნია, რომ აქედან ამოსავალია ფუძე „ტიბ", რაც სვანურ ენაზე „ხეობას" ნიშნავს. როგორც ვიცით, სვანურ ენაში, სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, ყველაზე უკეთ არის დაცული ქართველური ენების ფუძე-ენის ვითარება. სვანები პატარა მდინარეებს „ტიბრას" უწოდებენ, ხოლო ხეობიან ადგილს „ტიბერ" ჰქვია. სვანეთში არსებობს სოფელი „ტიბერი".

ამრიგად, „ტიბერი" არის „ხეობიანი ადგილი". ტიბარენები - „ტიბერელები", ანუ „ხეობიან ადგილებში მცხოვრები ხალხი" ან კიდევ „ხეობებში მცხოვრები ხალხი" - „ტიბელები", (ქართველურ ენებში ფუძე ტიბ/ტუბ/ტობ/ტაბ - აღნიშნავს ხრამს, ტბას, ხეობას, ტბორს და საერთოდ, წყლიან სიღრმეს: „ქართული ტბა, ტაბა. მეგრ. ჭან. ტობა, ტიბა- „ტბა, ღრმა". - სვან. ტუბ/ა/ - „ხრმა, ტბა." (რ. გორდეზიანი „ილიადა და ეგეოსური მოსახლეობის... საკითხები". თბ. 1970 გვ. 234). სვან. ტიბ - „ხეობა", ტობ-„ტბორი".ამ ფუძეებიდან წარმოსდგება სახელწოდება ტიბარენის სხვადასხვა ფორმები: ტუბალი, ტაბალი, ტობელი. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ტაბალ-ქართების გამოთქმაა ტუბალ-ტობალ - მეგრულ-ჭანური, ხოლო ტიბარ-სვანურს უახლოვდება). ანუ „ხეობელები" (შეად. „მოხევე"). აქედან მივიღეთ ტერმინი „ტ-იბერია" - „იბერია", რამაც „ხეობიან ადგილთა ერთობლიობის" - „ხეობათა ქვეყნის", ანუ „ხეობეთის" მნიშვნელობა შეიძინა. „იბერიელი" კი აღნიშნავდა „ხეობათა ქვეყნის მცხოვრებს", ანუ „ხეობეთელს".

დრომ და მანძილმა ტერმინი შეკვეცა, ჩამოაშორა ასო „ტ" ისევე, როგორც ჩამოშორდა იგი ბასკურში ხეობის (ნაპირის, მდინარის) აღმნიშვნელ სიტყვას და წინარე-ქართველური „ტიბ"-იდან დარჩა „იბ". აქ გავიხსენოთ რენე ლაფონის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ტერმინი „იბერი" აიხსნება, როგორც „მდინარის პირას მცხოვრები ხალხი".

თუმცა მე არა ვთვლი, რომ ამ ტერმინით ქვეყანაში მხოლოდ „მდინარის ეროზიული მოქმედების შედეგად გამომუშავებული რელიეფის უარყოფითი ფორმების არსებობა" აისახა. ჩემი აზრით, მას უფრო ღრმა შინაარსი აქვს და ასახავს ქვეყნის მაშინდელ სახელმწიფო წესწყობილებას.

გავიხსენოთ, რომ „ხეობა, ხევი წარმოადგენს უძველეს ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს. ხევები ყოფილა როგორც დასავლეთ (ზემო იმერეთი, რაჭა, სვანეთი), ისე მთელ აღმოსავლეთ საქართველოში (ძვ. „ქართლის სამეფოს". ტერიტორია). სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავდა, რომ ტერმინი „ხეობა" გულისხმობს „ერთს წყალზედ მრავალ მოსახლეს".

ხევი პირველყოფილ-თემური წყობილების დროს წარმოიქმნა. გვიანდელ ბრინჯაოსა და ადრინდელ რკინის ხანაში (ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან) საქართველოს მთელი ტერიტორია დიდ-პატარა ხევებად იყო დანაწილებული. საბოლოოდ ქართლის (იბერიის) სამეფო ამგვარ ხეობათა შერწყმა გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა ქართლის ხეობის ჰეგემონობით.

ადრინდელი კლასობრივი და ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის პერიოდში ხევი იყო სახელმწიფოს ძირითადი სოციალ-ეკონომიკური და სტრუქტურული ელემენტი, ხოლო „ქართლის სამეფო" - „ჴევთა ქართლისათა კრებული" (ქართ. საბჭ. ენციკლოპედია. ტ. XI).

მთაში ხევი, როგორც საზოგადოების ძირითადი სტრუქტურული ელემენტი, დიდხანს შემორჩა (ხევი - ძვ. „ჴევი წანართა", ფშავის ხევი, სვანეთის ხეობა - „შუანე ტიბ"...).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხევს სათავეში ედგა ხევისბერი. სულხან-საბას განმარტებით, „ჴევის-ბერი ერთი ჴეობის უხუცესი კაცია". დას. საქართველოს მთიანეთში - სვანეთში საზოგადოების (საზოგადოება რამდენიმე სოფლის კავშირს შეადგენდა) უხუცესი იყო „მახვში". ბესარიონ ნიჟარაძის ცნობით, საზოგადოებათა კავშირები შეადგენდა „ხეობას" (ხეობ), რომელიც ფედერაციულ რესპუბლიკას მოგვაგონებდა. ხევის კრებებზე ესწრებოდნენ თითოეული საზოგადოებიდან „მახვშიები" (მამასახლისები) და რამდენიმე დეპუტატი. განსაკუთრებულ შემთხვევებში თითო კაცი კომლიდან.

ამის მსგავს ფედერაციულ რესპუბლიკას წარმოადგენდა იბერია ფარნავაზამდე. ქვეყანას მამასახლისები განაგებდნენ (ასეთივე წყობილება შეიძლება ჰქონოდათ ესპანეთის იბერებსაც, (ესპანეთის იბერებში ტომის ან სოფლის სათავეში იდგა უხუცესთა საბჭო, მაგრამ წარმოადგენდა თუ არა იქ ხეობა ადმინისტრაციულ ერთეულს, ეს ჩემთვის უცნობია). თუმცა ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ისიც შესაძლებელია, რომ ესპანეთის იბერებს სახელი კავკასიის იბერების მიხედვით დარქმეოდათ, როგორც ერთი მოდგმის ხალხს, ან უკვე ამ სახელით გადასახლებულიყვნენ აზიიდან დასავლეთში).

ასე რომ, უფრო გამართლებულია „იბერია" ავხსნათ არა როგორც „მოკავშირე რესპუბლიკა", რასაც მოსე ჯანაშვილი გვთავაზობს, არამედ, როგორც „ხეობათა კავშირი", ან კიდევ „ქართლის შეერთებული შტატები, ანუ ხეობები".

საქართველოში (და ესპანეთშიც) რომ ბევრი ხეობაა ეს სადავო არ არის და, მგონია, არც ის უნდა იყოს სადავო, რომ სხვა ენებში ჩხრეკის ნაცვლად ქართველთა მოდგმის ძველი სახელის ახსნა ისევ ქართველურ ენებში უნდა ვეძიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსურს გელათის ცის ქვეშ ვიწვე…

## ირაკლი ბაზაძე



ჩვენმა მწერლურმა ოჯახმა კიდევ ერთხელ განიცადა ტკივილი. აღარა გვყავს ირაკლი ბაზაძე, ჟურნალ „ცისკრის“ პოეზიის განყოფილების გამგე, ნიჭიერი და თავისთავადი პოეტი, ძმა და მეგობარი. ეს მერამდენედ დაგვსაჯა ბედისწერამ, სულ მოკლე ხანში უკვე მერამდენე მწერალს ვეთხოვებით და ყოველი ასეთი სასჯელი ღრმა სინანულს განგვაცდევინებს. მოულოდნელი იყო მისი გარდაცვალება, სულ რაღაც ორი-სამი თვის წინ ფიქ[illegible]ც ვინ გაივლებდა, რომ ამ სიცოცხლემოწყურებულ კაცს, ლექსზე ფანატიკურად შეყვარებულს, უამრავი შემოქმედებითი გეგმებით დატვირთულს თურმე სასიკვდილო სენი ხრავდა და მოულოდნელ ფინალს უმზადებდა.

უჩვეულო პიროვნება იყო ირაკლი ბაზაძე, არათუ ქუთაისელი, უფრო ჭეშმარიტი საფიჩხიელი, სადაც ადამიანის ბუნებაში პოეზიის რომანტიკას უცნაურად ეხამება ქუჩის ბიჭის ჩვევები. მისთვის უცხო არც არსებობის ბნელი მხარეები იყო და არც ცისფრად მოელვარე პოეტური გამონათებები. თავისი ბუნებით ეგოცენტრიკოსმა იცოდა საკუთარი თავისა და შემოქმედების ფასი და ლიტერატურულ ასპარეზზე თავისი ნაღვაწი ერთგვარი თავდაჯერებით გაჰქონდა. მისმა ამ გამორჩეულმა ხასიათმა არაერთი არაკეთილმოსურნე შესძინა და უფრო მეტი მეგობარი; ვინც მის აქტიურ ბუნებას ვერ ეგუებოდა, იმას მისი ლექსები ათბობდა. ცდილობდა, თავისი სახე ისეთად ჩამოექნა, როგორადაც იდეალური პოეტი წარმოედგინა. როცა საკუთარი ბუნება სძლევდა, მასში თითქოს ორი ადამიანი სახლობდა, ყოფაში – მიწიერი, პოეზიაში – ამაღლებული.

ირაკლი ბაზაძის წიგნები! იგი ყოველ თავის წიგნს ისეთი რუდუნებით დასტრიალებდა თავს, თითქოს უხილავ მტერს ეომებოდა. ქართველი მკითხველი სიამოვნებით ღებულობდა მის როგორც ტრადიციულ, ისევე ვერლიბრად დაწერილ ნაწარმოებებს. გამორჩეული მუხტით და დახვეწილობით არის აღსავსე ირაკლი ბაზაძის ლირიკული ლექსები, რომლებსაც ამავდროულად ტრაგიზმის ელფერი დაჰკრავთ. სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრი ყოველთვის თან სდევდა მის პოეზიას:

*დრო მეც გამომთიბავს თივად,*
*ტკივილს შევეჩვიე… მტკივა,*
*ვერსად ვემალები სიკვდილს*
*სიკვდილს – კვალში ჩამდგარ მდევარს…*

სხეულისა და სულის გაყრის წინათგრძნობა, – სიკვდილთან მიახლოების, მარადიულთან შერწყმის სევდა პოეტის არაერთი ლექსიდან გამოსჭვივის:

*ახლოა აქვე თეთრი კბოდეები, –*
*დიდი მდინარის თეთრი კბოდეები,*
*ცოტაც და შენი ხორცის საკნიდან*
*ღვთისკენ წამები სულს გამოდენის…*

*„მე რომ შემეძლოს, დავბრუნდებოდი ჩემი ბავშვობის თეთრ საუფლოში“* – წერს ირაკლი ბაზაძე ერთ-ერთ ლექსში. ის დღეს თავის ქუთაისში, თავის ბავშვობაში ბრუნდება, როგორც ინატრა: *„მსურს, გელათის ცის ქვეშ ვიწვე…“*

*თამაზ წივწივაძე, რეზო ჭეიშვილი, დავით მჭედლური, გენო კალანდია, სოზე ადეიშვილი, ზაურ კალანდია, ელზა მეტრეველი, მაყვალა გონაშვილი, ბადაიერ არაბული, ჯემალ ქირია, ზურაბ ნარმანია, ლევან მალაზონია, მიხო მოსულიშვილი, მიხეილ ქვლივიძე, გივი ალხაზიშვილი, ჯარჯი ფხოველი, რენე კალანდია, გოგი წერეთელი, მერაბ მათირიშვილი, სოსო ბაჯელიძე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## *გამოსათხოვარი*

ქარუზის ქურუმ-ქალაქი,
ქცეულხარ წვიმის ქნარად.
წვიმა და ცრემლი რამ გაყო, –
პოეტის „ჰოშ“ და „არამ!“

ამაოების ბაზარზე
ბევრი სიცოცხლე ჰყიდეს,
აგერ, – ირაკლი ბაზაძეც,
შემოგემატა კიდეც.

შენ იყავ მისი ინტიმი,
მისი ღელდაც და მიწაც,
კვლავ შენს აკვანში ინდომა,
შენს არტახებში მიწვა.

ჩვენი იმედი არ გქონდეს,
ჩვენ დროში გავლით ვტირით;
გავა დრო, დავლა გავხდებით
ეთოფო მონადირის.

ისევ შენ შემოგვენაცვლე
ქარული გლოვა-კვნესით.
ეს ლექსიც ქარის ენაზე
თარგმნე და გადაეცი!

*ვახტანგ ღლონტი*

1999 წელი, დეკემბერი

## *პოეტის პორტრეტი*
## *(ირაკლი ბაზაძეს)*

სარკმელთან ზიხარ, ბუხარში ხრჩოლავს ბოლი,
ნაცრისფერ ცილან თოვლის ფანტელი ცვივა,
კარებს ვერ კეტავ, რადგან გადარდებს თოვლი,
რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად ცივა.

ბევრნი ეცადნენ. შენში ვერ მოკლეს ბავშვი
და, ბრბოსთან ყოფნა გაგიჭირდება როცა,
როგორც სენაკში, შეხვალ საკუთარ თავში,
მუხლებს მოიყრი და ცად აღავლენ ლოცვას.

აწმყოზე მოთქვამ, აწ გარდასულზე თხრავ
და მაინც გინდა, ზღვა ამოხაპო პეშვით.
მე კი მახარებს, ისევ ირაკლი რომ ხარ
და ყველაფერი შენეულია შენში.

დიდი ხანია, ცისკენ გაგირბის თვალი.
არსთა გამრიგეც დიდი ხანია გზვერავს,
მერე რა მოხდა, ლექსის ნექტარით მთვრალი
უკვდავებისკენ თუ გააპარებ მზერას.

დღისით შესცქერი ბულვარებულ ლაქვარდს,
ღამით შეჰხარი აჩახჩახებულ ხომლებს,
ტანჯულ ქვეყანას ხშირად უსინჯავ მაჯას
და ოცნებაში მოეფერები ხოლმე.

დაბადებიდან შეუპოვარის და უტეხს.
არც საფრთხე გაკრთობს, არც წინათგრძნობა ავი,
დროსა და სივრცეს თავგამეტებით უტევ.
ხორცის ტყვეობას რომ დააღწიო თავი.

ალიონიდან ესაუბრები მუზებს
და დაბიჯებ ხალხში ზმანებამკრთალი,
ყველაფერს ისე გაფაციცებით უმზერ,
თითქოს პირველად დღეს გაახილე თვალი;

ამ დროს მომავლის შიფრავ იდუმალ კოდებს
და თვით ვერ ხვდები, რა გაიძულებს, რა გრჯის,
ადამის მოდგმის ცოდვათა გამო ჰგოდებ
და შიშით უმზერ აპოკალიფსის აჩრდილს;

მერე გამჭოლავ მზერას მიაპყრობ შორეთს
და სევდიანი კვნესა მოგესმის თარის,
გაჩხერილი ხარ ყოფნა-არყოფნას შორის
და ამ საგანჯველს ვერ დააღწიე თავი.

საკუთარ ვნებებს ვემორჩილებით მხოლოდ,
ვნეტარებთ, ვბორგავთ, ვძრწით, ვბობოქრობთ
და ვღელავთ,
რადგან სხეულის ყრუ აკლდამაში ვცხოვრობთ
და მის სურვილებს ვემსახურებით ყველა.

სხეულის შიგნით მზერას მიმართავ ხშირად
და შიში გიპყრობს, არ მოგერიოს რული,
შენ გუმანით გრძნობ, რა გამწარებით ქშინავს
ხორცის საკანში გამომწყვდეული სული.

ქარი რომ კვნესის, ცრემლი გისველებს უპეს
და ეფერები ნამს, მიმობნეულს მძივად,
მოეფერები სახეღამეწყრილ ღრუბელს,
რომელსაც წვიმის ცივი ცრემლები სცვივა.

ყველაფერს ცდილობ, სანამ სიცოცხლე ქაცლის,
რადგან არსთ ყოფის არსში გაერკვე გინდა
სანამ არყოფნის ზარი ჩამოკრავს მკაცრი
და ყოველივე გადაიქცევა ბინდად.

სული გიჩქროლავს და ბულისწყრის ეტლი
შორს მიგაქანებს, ტოვებ მშობლიურ მთა-ველს,
მუდამ შორეულს და მარადიულს ელტვი
და ამიტომაც არ გებრალება თავი.

მაინც ხანდახან ამბობ – შეჩერდი წამო,
როცა გულათის მოგონებებით თბები,
სივრცეს ზომავდა მზისკენ გაფრენას ლამობ,
იკაროსივით თუ არ დაგეწვა ფრთები.

იდუმალება გტანჯავს ჟამის და სივრცის,
ყოვლის შეცნობის სურვილს ემსხვერპლო ლამის,
დიდ მოლოდინში გული ძალუმად გიცემს,
დგება განწმენდის და გაბრწყინების ჟამი.

*ალმაზონ თავაძე* 1999, 21 აგვისტო

Omega
ომეგა

დედის დაზღვევა
INSURANCE OF MOTHER
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY



## ახალი წიგნები










ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვასილი კანდინსკი



აფრო



ანტონიო საურა